

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
რომანული ფილოლოგია

ნიკოლოზ ესაკია

იტალიური და ქართული ჟარგონების სოციოლინგვისტური და
ფუნქციურ-სტილისტური ანალიზი

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ციური ახვლედიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან ჯაში

თბილისი-2022

აბსტრაქტი

იტალიელი ახალგაზრდობა თავის ენაზე ანუ ჯერგოზე საუბრობს. ახალგაზრდული ენა შეიძლება ჩავთვალოთ სპეციალურ ენად. სხვადასხვა თეორიების თანახმად, ახალგაზრდული ენა, ერთი მხრივ, განსაკუთრებულ ენად ითვლება, მისი სპეციფიკური და გამორჩეული ლექსიკის გამო, მეორე მხრივ, მას როგორც ჟარგონს განიხილავენ, რომლითაც ის გარკვეულ სოციალურ ჯგუფს განეკუთვნება. ახალგაზრდული ენა არაფორმალური, ხატოვანი, ინოვაციური და ხშირად სარკასტულია. იტალიურ ახალგაზრდულ ენას სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ამ ფუნქციებს შორის უნდა გამოვყოთ: გასართობი, გამომხატველობითი, იდენტიფიკაციის, საიდუმლო ფუნქცია. ახალგაზრდული ლექსიკა მალე იცვლება. დღეს, ჟარგონს, საიდუმლოზე უფრო მეტად, გასართობი ფუნქცია გააჩნია. საქართველოში, ჟარგონს მუდამ მიიჩნევდნენ უხემ და ვულგარულ ენად. ქართული ჟარგონული სიტყვები ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე იტალიური. ქართული ჟარგონი დედაქალაქში შეიქმნა და ბოლო დროს ის პოპულარული გახდა. ჩვენ მიერ განხილული მასალა 2700 ერთეულს მოიცავს, რომელიც აღებულია ლექსიკონებიდან და ინტერნეტიდან. ისინი ორ თემატურ ჯგუფად დავყავით: 1)ყოველდღიურობა; 2)ცხოვრების მანკიერი მხარეები. პირველი ჯგუფი აერთიანებს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ფული, სამუშაო, პოლიცია, ახალგაზრდული დისკურსი. მეორე ჯგუფში შედის: ქურდობა, ნარკოტიკები, სექსუალური ცხოვრება, ალკოჰოლი. ჩვენი დისერტაციის მიზანია იტალიური და ქართული ჟარგონების თემატური კლასიფიკაციის შედეგად გამოყოფილი ჯგუფების შეპირისპირებითი კვლევა სიტყვაწარმოებითი ხერხების თვალსაზრისით და ასევე მათი სოციოლინგვისტური და ფუნქციურ-სტილისტური ანალიზი. ის საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა სემანტიკურ და ფორმალურ ხერხებს იყენებს ეს ორი არამონათესავე ენა ჟარგონების ფორმირების პროცესში, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების დასადგენად.

Abstract

Italian youth speak their own language or gergo. The language used by youth can be considered a special language. According to various theories, youth language is a special language, on the one hand, because of its specific and distinctive vocabulary, and a jargon, on the other hand, because it is used by a certain social group. Youth language is informal, figurative, innovative and often sarcastic. Italian youth language has different functions. The functions which should be distinguished are: entertainment, expression, identity and secrecy. Vocabulary used by youth is subject to frequent change. Today, jargon has the function of entertainment more than that of secrecy. In Georgia, jargon has always been considered a foul and vulgar language. Georgian jargon words are less common than Italian ones. Georgian jargon originated in the capital of Georgia and has become popular recently. The material reviewed in the paper includes 2 items taken from dictionaries and the Internet. We divided them into two thematic groups: 1) related to everyday life and 2) related to vicious aspects of life. The first group includes topics such as: money, work, the police, youth discourse. The second group includes theft, drugs, sex life, alcohol. The aim of our thesis is to conduct a comparative study of groups of jargon identified as a result of thematic classification, in terms of methods of word formation and also their sociolinguistic, functional and stylistic analysis. The study will allow us to identify semantic and formal methods of jargon word formation applied in these two unrelated languages, as well as similarities and differences between Italian and Georgian jargon words and phraseological units.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი 1. ჟარგონი როგორც ენობრივ-სოციალური მოვლენა და მისი თანამედროვე კონცეფციები	10
1.1. ჟარგონი როგორც სოციალური დიალექტი. ჟარგონის დეფინიცია.....	10
1.2. ჟარგონების წარმოშობის ისტორია.....	16
1.3. დიალექტების ზეგავლენა ჟარგონზე. ჟარგონის სახესხვაობა სარდინიაში.....	26
1.4. იტალიური ჟარგონი და მისი ტიპები.....	40
დასკვნები.....	50
თავი 2. თანამედროვე იტალიური ახალგაზრდული არგო როგორც ლექსიკური მოვლენა და მისი სტილისტურ-საკომუნიკაციო ტიპები.....	53
2.1. ჟარგონები იტალიურ ლინგვოკულტურულ არეალში.....	53
2.2. კრიმინალური სამყაროს ჟარგონი (ჯერგო). ნდრანგეტა, მაფია, კამორა.....	74
2.3. ბანდიტების ენა. კრიმინალურ ორგანიზაციებში ხშირად გამოყენებული სიტყვები.....	98
2.4. იტალიური ჟარგონის წარმოქმნის ძირითადი მექანიზმები.....	110
დასკვნები.....	117

თავი 3. იტალიური ახალგაზრდული ჟარგონის დახასიათება ლექსიკურ- სემანტიკური და სიტყვაწარმოების თვალსაზრისით.....	118
3.1. ჟარგონების როლი კომუნიკაციის პროცესში.....	118
3.2. იტალიური ახალგაზრდული ჯერგოს კლასიფიკაცია.....	124
3.3. ქართული ჟარგონები თანამედროვე სოციოლინგვისტურ სინამდვილეში.....	136
3.4. ქართული ჟარგონების კლასიფიკაცია და წარმოქმნის ძირითადი მექანიზმები.....	141
3.5. იტალიური და ქართული ჟარგონების შეპირისპირებით-ტიპოლოგიური დახასიათება.....	149
დასკვნები.....	152
ზოგადი დასკვნა.....	153
ბიბლიოგრაფია.....	157
დანართი.....	168

შესავალი

წარმოდგენილ დისერტაციაში განხილულია იტალიური და ქართული ჟარგონების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევა ლექსიკურ-სემანტიკური და სიტყვაწარმოებითი ხერხების თვალსაზრისით. ის საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა სემანტიკურ და ფორმალურ ხერხებს იყენებს ეს ორი არამონათესავე ენა ჟარგონების ფორმირების პროცესში, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების დასადგენად. ჟარგონი ახალგაზრდულ ენას განეკუთვნება. ახალგაზრდული ენა არაფორმალური, ხატოვანი, ინოვაციური და ხშირად სარკასტულია. ყველა ეს ნიშანი კარგად ახასიათებს მას, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს არა მარტო ლინგვისტებში. ეს ენა პირველ რიგში გამოიყენება თანატოლების მიერ, როდესაც მათ სურვილი უჩნდებათ, რომ განსხვავებულები და ყურადღების ცენტრში იყვნენ. ახალგაზრდული ენის მეშვეობით შეიძლება ემოციურად ხაზი გავუსვათ მეტყველებას და გამოვხატოთ ის, რასაც ახალგაზრდების აზრით, სტანდარტული ენის სიტყვები ვერ გამოხატავენ.

თემის აქტუალურობა განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც ასრულებს ჟარგონი საერთოდ ორი არამონათესავე ენის სისტემაში. ჟარგონი ანუ იტალიურად ჯერგო ენობრივი მოვლენაა, აზრის გამოხატვის საშუალებაა.

პრობლემის აქტუალურობა. ჟარგონის კვლევა აქტუალურია და ამავე დროს რთული პრობლემაა. იგი აქტუალურია ლინგვისტიკის, კერძოდ, სტილისტიკის თვალსაზრისით. ჟარგონი ქართულ ლინგვისტიკაში ჯერ კიდევ კარგად არაა შესწავლილი, რომ არაფერი ვთქვათ ორი არამონათესავე ენის იტალიურის და ქართულის ჟარგონების ტიპოლოგიურ-შეპირისპირებით კვლევაზე. ჟარგონს ენაში საოცარი მაგალითები შეაქვს. ის საზოგადოების ვიწრო ჯგუფის ენა და ფამილარული მეტყველების გადაჭარბებული ფორმაა. ჟარგონი აქტუალურია ასევე სოციოლოგიის თვალსაზრისით. ჟარგონი, რომელიმე სოციალური ჯგუფის ენაა, რომელიც განსხვავდება ზოგადი სასაუბრო ენისაგან უპირატესად ლექსიკური თავისებურებებით. ამ ენის მიზანია მასზე მოსაუბრე ადამიანთა იზოლირება საზოგადოების სხვა ნაწილისაგან. სადისერტაციო ნაშრომი აქტუალურია

სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით. იტალიურ ლინგვისტიკაში დღემდე არ შექმნილა ნაშრომი, რომელიც ახალგაზრდების ენას შეისწავლიდა მათი კლასიფიკაციის თვალსაზრისით. ნაშრომი აქტუალურია იტალიური და ქართული ჟარგონების ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. დღემდე არ მომხდარა იტალიური და ქართული ჟარგონების დახასიათება ლექსიკურ-სემანტიკური და სიტყვაწარმოებითი კუთხით, ასევე მათი თეორიული გადააზრება და კლასიფიკაცია.

ნაშრომის მიზანია სიღრმისეულად შეისწავლოს იტალიური და ქართული ჟარგონების სიტყვაწარმოებითი და სემანტიკური პოტენციალი და გამოავლინოს ენის მატარებლების ლექსიკური რეპერტუარის სპეციფიკა. კვლევის ძირითადი ამოცანებია:

1. ჟარგონული ტერმინების ფორმირების ძირითადი ეტაპების განსაზღვრა;
2. ჟარგონების ფორმირების საერთო სურათის გაანალიზება;
3. იტალიური და ქართული ჟარგონული ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია;
4. ჟარგონების ფორმირების სემანტიკური და ფორმალური ხერხების აღწერა;
5. იტალიური და ქართული ჟარგონების შეპირისპირებით-ტიპოლოგიური დახასიათება.

კვლევის ობიექტი თანამედროვე ახალგაზრდული დისკურსია. კვლევის საგანია იტალიური და ქართული ჟარგონული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები. ორივე ენაში განხილულია 2700 ერთეული. აქედან, იტალიური ჟარგონები წარმოდგენილია 2090 ერთეულით, რომელთაგან 513 ფე, ხოლო 1577 სიტყვაა. ქართული ჟარგონები წარმოდგენილია 610 ერთეულით, მათგან 118 ფრაზეოლოგიური ერთეული და 492 სიტყვაა, რომლებიც მოვიძიეთ ლექსიკონებსა და ინტერნეტწყაროებში.

კვლევის მეთოდოლოგია. გარდა ზოგადი ლინგვისტური მეთოდებისა, ნაშრომში გამოყენებულია აღწერისა და სინთეზის მეთოდი, ლექსიკურ-სემანტიკური და სიტყვაწარმოებითი ანალიზის მეთოდი, შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი, ინტერკულტურული კვლევის მეთოდები.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე გაპირობებულია თავად კვლევის ობიექტის შერჩევითა და მისი შესწავლის რაკურსით. უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი საქართველოში პირველი ნაშრომია, იტალიური და ქართული ჟარგონული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. ჟარგონული სისტემების თემატური კლასიფიკაცია, სოციოლოგიური და ლინგვისტური მიდგომის სინთეზი იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ჟარგონების თითოეულ ჯგუფში გამოვყოთ მათი ფორმირების სემანტიკური და ფორმალური ხერხები.

ნაშრომის თეორიული ღირებულება ისაა, რომ მომავალში დისერტაციის ძირითადი დებულებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენათა ზოგადლინგვისტური პრობლემატიკის აღწერისას. ნაშრომს მნიშვნელობა აქვს იტალიური და ქართული სტილისტიკისათვის. ესაა იმის ცდა, რომ თანამედროვე სტრუქტურული, სემანტიკური და პრაგმატისტული ანალიზის ცნებებსა და სოციოლინგვისტურ მეთოდებზე დაყრდნობით შევიტანოთ გარკვეული წვლილი არგოტოლოგიაში. ჟარგონულ ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი სისტემური მახასიათებლები, ნათელვყოთ ჟარგონების ლინგვისტური, სოციოლოგიური და სოციოლინგვისტური კონცეფციების ურთიერთკავშირი იტალიურ და ქართულ ენებში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა ისაა, რომ დისერტაციის ცალკეული დებულებები და შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენის სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში, ასევე ენათმეცნიერების, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, ფუნქციური სტილისტიკის, ლინგვოსტილისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის ლექციებსა და სემინარებზე და ასევე ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში. ის მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია დისერტაციაში, შეიძლება

საინტერესო გახდეს იმ სპეციალისტებისათვის, ვინც სწავლობს ენობრივ ვარიანტებს სხვა ენების მაგალითებზე. დისერტაციის შედეგები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს თეორიულ კვლევებში, რომლებიც ეხება სუბენების ფუნქციონირების საკითხებს და მათ ზემოქმედებას ეროვნულ ენაზე, ასევე ნაშრომებში, რომლებიც ახდენენ არასტანდარტული სპეციფიკური ლექსიკის ანალიზს მასში რეალიზებული გადააზრების თვალსაზრისით.

ნაშრომის სტრუქტურა. დისერტაცია შედგება შესავლის, 3 თავის, ზოგადი დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისაგან, რომელიც 118 ერთეულს ითვლის, ასევე დანართისაგან, რომელიც მომავალი იტალიურ-ქართული ჟარგონების ლექსიკონის შესადგენად იქნება გამოყენებული.

თავი I. ჟარგონი როგორც ენობრივ-სოციალური მოვლენა და მისი თანამედროვე კონცეფციები

1.1. ჟარგონი როგორც სოციალური დიალექტი. ჟარგონის დეფინიცია

ჩვენი ნაშრომის მიზანია ენის იმ სფეროზე დაკვირვება და ანალიზი, რომელსაც ჟარგონი ჰქვია. ჟარგონი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ბევრი მეცნიერი დიდხანს ცდილობდა შესაბამისი განსაზღვრება მოეძებნათ ჟარგონისათვის. ცდილობდნენ მისი მახასიათებლების და პარამეტრების ახსნას. საკმაოდ რთული იყო ჟარგონისათვის რეალური და ყოვლისმომცველი განმარტების მოძებნა. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, რომ ჟარგონი სხვადასხვა თვალსაზრისით განეხილათ და თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ საკითხის შესწავლაში. ჟარგონი არა მარტო ფარული ენის სიმბოლოა, არამედ ის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ენაა, რომლის მეშვეობითაც ამ ჯგუფის წევრები ურთიერთობენ და თანაც ის უცხოა სხვებისთვის. ჟარგონის ასეთი მოკლე დახასიათება მას ხდის თავისებურ და მიმზიდველ მოვლენად ისეთი დისციპლინებისათვის, როგორებიცაა: ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და ა.შ., სადაც განხილულ უნდა იქნეს ალტერნატიული სოციალური რეალიების არსებობა, რომ „ანტიენის“ როგორც თავად ჯგუფის სოციო-ფსიქოლოგიური ნიშნის არსებობის აღიარების ინდენტიფიკაცია მოხდეს. კვლევის უმეტესი ნაწილი ჩატარებულ იქნა ლექსიკონებზე და ინტერნეტში მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით.

კვლევა ჩატარდა როგორც არსებული ჟარგონების სახესხვაობების ანალიზის, რომლებიც სათავეს შორეულ წარსულში იღებს, ისე სხვადასხვა ტექსტის ანალიზის საფუძველზე. აუცილებელია, თავად ტერმინის „ჟარგონი“ მნიშვნელობის დაზუსტება. არ შეიძლება მისი აღრევა სხვადასხვა სპეციალურ ენებთან, როგორებიცაა: დარგობრივი ენები, ტექნიკური ენები. ასეთი ენები სპეციალური ტერმინოლოგიის არსებობით ხასიათდება, რომლებიც კონკრეტულ სფეროში გაუთვინციობიერებელი ადამიანებისათვის უცნობია. ჟარგონის საიდუმლო ფუნქციის არსებობა ნაკლებად მნიშვნელოვანია რომელიმე ჯგუფის არსებობისათვის.

ჟარგონი, ინგლისურად *slang*, ფრანგულად *jargon*, წარმოადგენს ტერმინს, რომელიც ჩვეულებრივ ენის სახესხვაობის განსაზღვრისათვის, ადამიანთა კონკრეტული ჯგუფების მიერ გამოიყენება. ჟარგონების წარმოქმნა პრაქტიკული მოთხოვნების შედეგია, რაც ენობრივი განცალკევებისაკენ მიდრეკილებაში მჟღავნდება.

ყოველი თაობა ან სოციალური ჯგუფი რაღაც ენას შეიმუშავებს ერთმანეთთან სასაუბროდ ისე, რომ გაუგებარი იყოს სხვებისათვის. ენობრივი სლენგის ერთ-ერთი მაგალითი ახალგაზრდული ენაა. ამ ფენომენში საინტერესოა ის ფაქტი, რომ უფროსი თაობა ვერ იგებს ახალგაზრდების ენას. ზოგიერთი ჟარგონული სიტყვა, ადრე თუ გვიან ენის ნაწილი ხდება.

იტალიურად ამ ჟარგონს *gergo-s* უწოდებენ. ფაუსტო რაზოს აზრით, ბევრ ადამიანს ერევა ჯერგო სოციალურ დიალექტში. მათ მიაჩნიათ, რომ ისინი ერთმანეთის სინონიმებია. მაგრამ ეს ასე არ არის. ორივე ტერმინი ენის საკუთრებაა (რაზო 2008:1). ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ტერმინი ჯერგო იგივე ჟარგონი, იტალიური წარმოშობის არაა, იგი ძველი ფრანგულიდან მოდის *jergon* ან *jargon* და ნიშნავს *linguaggio degli uccelli*-ჩიტების ენას, ანუ «გაუგებარ მეტყველებას». იტალიურად ჯერგოს, *Zingarelli*-ის ლექსიკონში ასეთი დეფინიცია აქვს: «სპეციალური ენა, რომელსაც იყენებს ესა თუ ის ჯგუფი, კერძოდ, მარგინალური, ვისაც არ სურს, რომ მისი საუბარი გასაგები იყოს სხვებისთვის» ანუ ეს «პირობითი ენაა, რომელსაც ვიწრო სოციალური გამოყენება აქვს».¹ იგი ხელოვნური ენა გახლავთ. ყოველი ხელოვნური ენა განსხვავდება საერთო ენისაგან. არსებობს ბიუროკრატიული, დიპლომატიური, ჟურნალისტური, რადიო-ტელევიზიის, პროფკავშირული, სასამართლო და სხვა სფეროს ჟარგონები ანუ ჯერგო. ყოველ მეცნიერებას, ყოველ დისციპლინას თავისი ჟარგონი აქვს, რომელიც იმისათვისაა შექმნილი, რომ სხვებისთვის გაუგებარი იყოს.

ჟარგონის წარმოქმნა შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდს უკავშირდება. როგორ მოხდა, რომ ის შუა საუკუნეებში წარმოიშვა? პასუხი ისაა, რომ შუა

¹ Lo Zingarelli. (2015). Vocabolario della lingua italiana, di Nicola Zingarelli, Zanichelli, Kindle-ის ვერსია.

საუკუნეები ყველაზე ნაყოფიერი იყო მოხეტიალე ადამიანების არსებობისათვის, რომლებიც ცხოვრების მძიმე პირობებმა წარმოქმნა. ყალთაბანდები, მათხოვრები, გაიძვერები მოხეტიალე ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. ისინი მთელ ქუჩას იკავებდნენ სამათხოვროდ. თავად თაღლითობის სამყაროში, თაღლითობის ხელოვნება ჯერგოდ წოდებული „თაღლითური ენის“ შექმნის სასიცოცხლო ელემენტი გახდა. ისტორია განვითარდა და მასთან ერთად საზოგადოებებიც განვითარდა. ამან მოხეტიალეთა მახასიათებლები სრულიად შეცვალა, რაც თავად ჯერგოზე აისახა.

XIX საუკუნის შუა პერიოდში, დანაშაულებრივი ჯგუფები შეიქმნა, იმატა დანაშაულმა. ამასთან ერთად, ჟარგონით იტალიელი მეცნიერები დაინტერესდნენ, კერძოდ, 1846 წელს ბ. ბიონდელი და მოგვიანებით 1861 წელს ჯ. ასკოლი, რომლებმაც ენობრივი მოვლენები აღწერეს. 1957 წელს მეცნიერმა ფ. აჯენომ სხვადასხვა მაგალითებით ჯერგოზე კვლევა ჩაატარა. მათ ბევრი ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულ თემატიკას, რითაც გაირკვა, თუ რა ხერხებით უნდა იქნეს მიღებული ახალი ინფორმაცია მოცემულ საკითხზე. მოხეტიალენი ერთი ადგილიდან მეორეზე ფულის საშოვნელად გადადიოდნენ. ანტონიო ბროკარდომ, XVI საუკუნეში ჯერგოს ლექსიკონი შექმნა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე სიტყვა ამ ლექსიკონიდან: *fortoso* ნიშნავდა *ძმარს*; *chiaro* -*ღვინოს*; *pelosa*-*წვერს*; *ruspante*-*ქათამს*; *მამალს*. ყველა დროს თავისი ჟარგონი აქვს. იტალიის გაერთიანების დროს გაჩნდა სიტყვები *Carbonari Vendite*, რაც *კარბონარების გაერთიანებას* ნიშნავდა, მაშინ როცა სიტყვა *baracche* აღნიშნავდა მათი შეხვედრის ადგილს.

ძველი თაობის წარმომადგენლები იხსენებენ მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოქმნილ ჟარგონულ სიტყვებს. მაგალითად: *vilino* ნიშნავდა *ლორს*, *roba nera*-*ყავას*, *tabacco chinato* – *პაპიროსის ნაძწვს*, რომელსაც მიწიდან იღებდნენ, *roba bianca* ნიშნავდა *ფევილს*, *შაქარს*, *კარაქს*. დღეს შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ტიპის ახალგაზრდული ჟარგონები: *care salme* ნიშნავს მშობლებს, *gigia* - *დეიდას*, *caricone* – *მასწავლებელს*, რომელიც მოსწავლეებს ბევრ დავალებას აძლევს, *carica* ნიშნავს *დედას*, *secondino*-*ცოლს*, *lui*-*მამას*, *gong* ნიშნავს სკოლაში *შესვენებას* და მრავალი სხვა

სიტყვა, რომელიც დავიწყებას მიეცა. ასეთი ენა, როგორც ვნახეთ, ძალზე მდიდარია სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ იტალიაში საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკას განიცდის. რაც შეეხება დიალექტს, ისევე ფაუსტო რაზოს განმარტებით:

დიალექტი არის შეზღუდული კულტურული ან გეოგრაფიული ჯგუფის თავისებური მეტყველება არაარსებითი სახის ცვლილებებით, რომელიც ეროვნული ენისგან მკვეთრად განსხვავდება. იგი განსხვავდება ჯერგოსაგანაც. დიალექტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ადგილობრივი, ლოკალური ენა, ჩვენ შემთხვევაში რეგიონალური ენა. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ლათინურიდან მოდის *dialectus*, რომელიც თავის მხრივ ბერძნულიდანაა ნასესხები *diãctos*, რაც საუბარს, ანუ საუბრის მანერას ნიშნავს (რაზო 2008:1).

ლინგვისტური დიალექტური რეალობა, რომელსაც იტალიურში ყოველდღიურად ვაწყდებით, არის იტალიელთა ენობრივი მემკვიდრეობა. ზოგისთვის ახალია და ძნელი გასაგები. ასეთია სწორედ ჯერგო. სანამ გავაანალიზებთ არსებული ჯერგოს ზოგიერთ სახესხვაობას, რომელიც იტალიაშია გავრცელებული, კარგი იქნება ავხსნათ თუ რა არის და რას ნიშნავს ჯერგო ანუ ჟარგონი იტალიურად. წლების განმავლობაში სწავლობდნენ ამ ენობრივ მოვლენას, ითვალისწინებდნენ მსგავსს და განსხვავებულ ასპექტებს და ცდილობდნენ მისი შესაბამისი განსაზღვრება მოეცათ.

იტალიური ენციკლოპედია „ტრეკანი“, გვამლევს ყველაზე კლასიკურ განსაზღვრებას. ტერმინი ჟარგონი ენის სახესხვაობაა, რომელსაც სპეციფიკური ლექსიკა აქვს. მასზე, ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფები ზოგიერთ სიტუაციაში იმისათვის საუბრობენ, რომ უცხოთათვის ეს ენა გასაგები არ გახდეს. ჟარგონს უნარი აქვს, რომ ის გაუგებარი იყოს მოცემული ჯგუფის მიღმა მყოფი ადამიანებისათვის. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ფარული კოდი, ფარული ფუნქციით, რომელიც ერთი მხრივ, სხვებთან კომუნიკაციას გამორიცხავს და მეორე მხრივ, აძლიერებს ადამიანთა ჯგუფის შიდა კავშირებს და ერთობას, ვინაიდან ჟარგონზე მოსაუბრენი საქმიანობას, გამოცდილებას და ცხოვრების სფეროებს იზიარებენ. ჟარგონი გულისხმობს რომელიმე ჯგუფის არსებობას, რომლის წევრები განზრახ ითავისებენ კომუნიკაციის საშუალებას, რითაც იციან, რომ ეს ენა მხოლოდ მათია და უცხო

სხვებისათვის. ფსიქოლოგიურად ის შეიძლება განპირობებული იყოს რეალური აუცილებლობით ან დაკავშირებული იყოს სოციალური ხასიათის სიტუაციასთან. ჯგუფები განსხვავდება საზოგადოებების გარემოების, საჭიროების და იმ დინამიკის მიხედვით, რომლებიც მას განსაზღვრავენ. ამ ჯგუფების ჟარგონების შეფასებაც ასევე განსხვავებულად უნდა მოხდეს². თავად ჟარგონი სოციალური კატეგორიის მიხედვით გამოიყენება. მას განსაზღვრავენ როგორც „მარგინალურს“. მას უნარი აქვს დაუპირისპირდეს „ნორმალურ“ და ინსტიტუციურ საზოგადოებას და გარდაიქმნას „ანტიენად“ (ჰალიდეი 1983:186), რომლის სურვილია გამოხატოს „კონტრკულტურა“ ყველა ნორმის და კოდიფიცირებული ღირებულებების დაცვით. ამასთან, ჟარგონი ექსტრალინგვისტური ფაქტორის მონაწილეობით, ასევე განსაკუთრებული მოვლენა და „ინტერდისციპლინარული ქმედების ველია“ (კორტელაცო 1969:213), რომელშიც მონაწილეობს არა მარტო ლინგვისტიკა, ასევე სოციოლოგია, ფოლკლორი და სხვა. ისინი მას განსხვავებულად აფასებენ. ჯ.ბერუტოს აზრით, ჟარგონი ენის სახესხვაობაა (ან დიალექტი), რომელიც მარკირებულია ან განსხვავდება გეოგრაფიული, სოციოლოგიური, სტილისტური თვალსაზრისით დისფაზიის³(ვინაიდან გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთ კომუნიკაციურ სიტუაციაში და დიზარტრიის⁴ (რადგანაც ის რომელიმე სოციალური ჯგუფის შიგნით ყალიბდება და ხდება მისი ტიპური ნიშანი) დროს (ბერუტო 2004:114).

ლინგვისტური თვალსაზრისით 1919 წელს მ. კოენი ჟარგონს განსაზღვრავდა როგორც „პარაზიტულ ენას“. ჟარგონი ეყრდნობა უკვე არსებულ ენას ან დიალექტს, რომელზეც ახალი ლექსიკა აღმოცენდება, რედეფინიციისა და რესემანტიზაციის

² ტრეკანის ონ-ლაინ ლექსიკონი: <http://www.treccani.it/vocabolario/gergo/> (02.05.2019).

³ დისფაზია-როდესაც ადამიანს საუბარი უჭირს.

⁴ დიზარტრია-დარღვევაა, რომელიც ტვინის ანდა სხვადასხვა ორგანოების დაზიანების შედეგად ვითარდება, იმ ორგანოების, რომლებიც მეტყველების დროს მონაწილეობენ. ესენია: ენა, სასა. ეს დაავადება ძირითადად უფროსებში გვხვდება. ის ვლინდება არტიკულაციის გართულებით, მეტყველების და სამეტყველო ნაკადის ცვლილებით. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს პარკინსონის დაავადება, ინსულტი, სახის დამბლა და გაფანტული სკლეროზი.

პროცესის მეშვეობით, რომელშიც ახალი სიტყვების წარმოქმნის ხერხები მონაწილეობს, მეტაფორის და მეტონიმის, კერძოდ, სინეკდოხის, ასევე სხვა რიტორიკული ტროპების გამოყენებით, რომელთაც უნარი აქვთ წარმოქმნან ახალი სემანტიკური კავშირები. ზოგჯერ თვით კომპლექსურიც კი, განსაკუთრებით, როდესაც ის ეყრდნობა ენა-დიალექტის ურთიერსაწინააღმდეგო თამაშს. ამ ლინგვისტური პროცესების წყალობით ჟარგონული სიტყვები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ენაში არსებული სიტყვების გამეორება, რომლის მიზანია მათი ექსპრესიულობის და საწყისი სიმკვეთრის შენიღბვა, რაც დღევანდელი ენის ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ დიფერენციაციას ქმნის (აჯენო 1957: 403).

ჟარგონის, კლასიკური გაგებით, საიდუმლო ფუნქცია სავალდებულო პირობაა, რომელიც ასევე ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფის ერთიანობას. არსებობს ასევე სიტყვა ჟარგონის არასწორად გამოყენების შემთხვევები, ესაა ტექნიკური თუ რომელიმე სფეროს ენა, რომლებსაც სპეციალურ ენებს უწოდებენ. ვგულისხმობთ სპორტულ, კინოს, სამედიცინო ჟარგონებს. სპეციალურ ენებში გვხვდება ტერმინები, რომლებიც ბუნდოვანია მათთვის, ვისთვისაც ის უცხოა, თუმცა ტექნიკური ლექსიკა, თუკი მას ყველა ვერ ხვდება, იმით უნდა ავხსნათ, რომ მასში ისეთ რაღაცეებზეა საუბარი, რაც ყველასთვის ნაცნობი როდია (ბეკარია 1973:34).

ჟარგონი განზრახ ქმნის სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ მოცემული ჯგუფისთვისაა გასაგები. ტექნიკური ტერმინი კი გამოიყენება რაიმე კონცეპტის გამოსახატავად. ჟარგონი ვერსადროს ვერ შეცვლის მშობლიურ ენას ან დიალექტს, თუმცა, მას აქვს ფსიქოლოგიური და სოციალური ფუნქცია. ჟარგონის დამახასიათებელი ნიშნებია: სხვებისაგან გამოყოფა, კოჰეზიის სურვილი, მარგინალიზაცია არსებული საზოგადოების მიმართ. სწორედ, ეს ნიშნები უნდა გავითვალისწინოთ, როცა ჟარგონზე პირდაპირი გაგებით ვსაუბრობთ.

1.2. ჟარგონების წარმოშობის ისტორია

ჟარგონი საიდუმლო ენის მნიშვნელობით არსებობდა ყველა დროს, ყველა ქვეყანაში. იმ კლასებმა, რომლებიც საზოგადოების მიღმა ცხოვრობდნენ, იგრძნეს ის აუცილებლობა, რომ შეექმნათ სპეციალური, საიდუმლო და პირობითი ენა, რომელიც მისახვედრი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მასზე მოლაპარაკეთათვის.

ეგვიპტეში მღვდლებს საიდუმლო ენა ჰქონდათ. რომში პლებებს, მონებს თავიანთი ჟარგონი ჰქონდათ, რომლებმაც ხალხურ ლათინურსა და შუა საუკუნეების იტალიურს დასაბამი მისცა. *Sordida verba* - დაწყველილი სიტყვა, ვხვდებით ლათინელ გრამატიკოსებთან. ეჭვგარეშეა, რომ ეს ჟარგონული სიტყვებია.

ევროპის და აზიის ხალხებს, მომთაბარე ტომებიდან დაწყებული, ბომებითა და ინდოეთის ტომებით დამთავრებული, თავიანთი ჟარგონი ჰქონდათ. ინგლისში იგი არსებობს სლენგის სახელწოდებით, საფრანგეთში არგოს უწოდებენ, გერმანიაში როტველშს, ესპანეთში ქსერიგონს, პორტუგალიელები კალაოს, ჰოლანდიელები ბარგოენს, ბომები ჰანტირკას, ინდოელები ბალაიბალანს, ჩინელები კი ჰიანჩიანს. ამერიკაში იგი ბომებმა შეიტანეს და ზინგარის სახელწოდებითაა ცნობილი (ჯაში 2002:163).

საფრანგეთში იგი გვხვდება XV საუკუნის ტექსტებში. ამიტომ XV საუკუნე ითვლება მისი წარმოშობის თარიღად. ფრანგი მეცნიერი ფ.ვიტუ ხაზს უსვამს, რომ ორგანიზებული ბანდები არ არსებობდნენ წინა საუკუნეებში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათხოვრები, ქურდები და მკველელები არ არსებობდნენ XV საუკუნემდე საფრანგეთში. ისინი ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მათ არც რაიმე ენა ჰქონდათ, რომელზეც ისინი შეძლებდნენ საუბარს. ასეთი ენა, ჟარგონი, მოგვიანებით გაჩნდა. სწორედ, ასწლიანი ომის დროს, ისტორიკოს ვიტუს თქმით გაჩნდა სახიფათო კლასები. ინგლისის წინააღმდეგ ასწლიანმა ომმა ქვეყანა მთლიანად დააქცია და საზოგადოება დაშალა. გლეხები აღმოჩნდნენ უკიდურეს გაჭირვებაში და გადაიქცნენ ქურდებად და ბანდიტებად. მათ შეუერთდნენ მაროდორი

ჯარისკაცები და დეზერტირები, დამნაშავენი, თაღლითები, მენესტრელები, ჟონგლიორები, დეკლასირებულნი, მოსწავლეები და კლერკები, რომლებიც უნივერსიტეტიდან და ეკლესიიდან იქნენ გაძევებულნი. ერთი სიტყვით გაჩნდა მთელი ბანდა. მათ შექმნეს ორგანიზაცია თავისი მეთაურით და საკუთარი ენით, რომელსაც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობის დროს იყენებდნენ. ენა, რომელიც სხვებისთვის გაუგებარი რჩებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჟარგონის სახესხვაობები სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, ჯერჯერობით შუა საუკუნეების ბოლოს გამოჩნდა. შუა საუკუნე ის პერიოდი იყო, როდესაც ხეტიალი (როგორც ამას პ. კამპორეზი წერს 1973 წელს IX) შესანიშნავი შესაძლებლობა გახდა დანაშაულის ჩასადენად, როდესაც ქრისტიანული ეტიკა მათხოვრობის უფლებას აძლევდა დარიბებს, როდესაც მიუსაფართა გარყვნა ზნეობრივი მოთხოვნილება იყო სულის გადარჩენის მიზნით. სწორედ, ასე გაჩნდა „მოხეტიალეთა ხელობა“, რომელიც წარმოშობით ძირითადად ცხოვრების მძიმე პირობების გამო წარმოიქმნა, რომელიც შემდეგ უამრავი თაღლითისათვის, შარლატანისათვის, ყველა ტიპის მათხოვრისათვის ცხოვრების წესი გახდა. ისინი ბოროტად სარგებლობდნენ სოფელსა და ქალაქებში მცხოვრები უბრალო ხალხის უსაზღვრო „კეთილსინდისიერებით“ (კამპორეზი 1973:XII).

მოხეტიალეთა ლიტერატურიდან აღსანიშნავია 1400 წლის ბოლოს შექმნილი ხელნაწერი *Il Liber vagatorum* 1484-1486, და ვიკარის ურბინატე ტეზეო პინის *Le speculum cerretanorum*-ი, რომელშიც საუბარია ჩერეტოს სამმოს შესახებ. რაც შეეხება სამმოს ჩერეტოდან, ეს ადგილი სპოლეტოს მახლობლად მდებარეობს, საიდანაც ნაწარმოებია სიტყვა *შარლატანი* და კავშირშია სიტყვასთან *ciarlare*, რაც *საუბარს* ნიშნავს. სამმო დახელოვნებული იყო მათხოვრობაში. ამ ნაწარმოების შექმნით, პინის განზრახული ჰქონდა, რომ გაეფრთხილებინა უბრალო ხალხი ცრუ მათხოვრებისაგან, მოხეტიალეებისაგან და შარლატანების არმიისაგან და თავი დაეცვათ. ისინი ყველაზე საოცარ ხრიკებს იყენებდნენ, ხოლო უბრალო ხალხი კი მათ უჯერებდა. „ემშაკობის“ მეტ-ნაკლები გამოცდილება თაღლითობის

ხელოვნებაში მოხეტიალეებს ჰქონდათ. ხეტიალი მეტ-ნაკლებად სახიფათო იყო და ის შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ იმ დროს მომლოცველობა არ იკრძალებოდა და თავს იჩენდა „ემმაკურ მზაკვრობაში“ (ასეთი განმარტება გააკეთა ბიონდელიმ 1846:16). პინის ნაშრომში მოცემულია ჯერგოს გლოსარიუმი, საიდანაც ჯერგოს უდიდესი ნაწილი დღესაც გამოიყენება. მაგალითები: *brancose-ხელები*; *ciurlo-მღვდელი*; *calcosa-გზა*; *bascire-მოკვლა*; *morfire-ჭამა* და ა.შ. ჯერგოს სიტყვათა ნუსხა, შეიძლება ასევე შეგვხდეს ფლორენციის ნაციონალური ბიბლიოთეკის კოდექსში, რომელიც ლუიჯი პულცის მიერაა შექმნილი. იმავე კოდექსში მოცემულია *frottola-ხალხური სიმღერა*, რომელიც ჯერგოზე დაწერილი 7 საიდუმლო სტროფისაგან შედგება. ლ. პულციმ ასევე დაწერა ჯერგოზე წერილი, რომელზეც არაა მითითებული არც თარიღი, არც წარმომავლობა, მხოლოდ ადრესატის შემოკლებული სახელია, *შესანიშნავი ლორენცო*. ჯერგოს შესახებ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ზერგას ენის გაგების ახალ ხერხს ეხება. სავარაუდოდ, ის შედგენილია 1531 წელს, როგორც ამას ფ. აჯენო 1958 წლის ნაშრომში ვარაუდობს: *Nuovo Modo de intendere la lingua zerga⁵-ქურდული ენის გაგების ახალი მეთოდი*. ეს ნაშრომი შეიცავს იტალიურ-ქურდული და პირიქით, ჟარგონის გლოსარიუმს (მასში ტერმინი *furbesco* გამოიყენება როგორც ჯერგოს სინონიმი, რომელიც ძირითადად, ქურდების ფარულ მეტყველებას გულისხმობს). მოცემულია გართიმული ერთი თავი, ერთი სტროფი და ქურდულ ენაზე დაწერილი ოთხი სონეტი. ის წარმოადგენს XVI საუკუნის იტალიური ჯერგოს ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს. ფ. აჯენოს ჰყავდა მიმბაძველები და გამგრძელებლები, რომელთა შორისაა ე. ბენტივოლიო, გ. ბ. გუარინი და ბ. ბოკინი.

ჯერგომ, რომლის გამოყენება იტალიაში XV და XVI საუკუნეებს შორის დაიწყო, გამოავლინა განსხვავებული ლექსიკური ელემენტები, ყველა მათგანი მეცნიერული წარმოშობის იყო, იმ დროის ლიტერატურული წრეები ზეგავლენას ახდენდნენ ქურდული ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. ეს სიტყვები ჯერგოს

⁵ La lingua zerga -furbesca-ქურდული ენა.

გარემოსთვის ტიპური გახდა, რომლებიც მათ ინტერესებს უნივერსიტეტების მიღმა პასუხოდნენ.

ამ დროს, საზოგადოების ევოლუციამ მოხეტიალეთა მახასიათებელი ნიშნები გარდაქმნა, რამაც თავად ჯერგოს ცვლილება გამოიწვია. თუმცა, ცვლილების პროცესი ნელი იყო. მარგინალიზაციის ახალი მახასიათებლის განმასხვავებელი ნიშნების ზუსტად დადგენა შესაძლებელი გახდა XIX საუკუნეში, როდესაც ადგილი ჰქონდა ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის პროცესს, რამაც ხელი შეუწყო ღარიბი ხალხის მასების ქალაქებში კონცენტრაციას. ამან კი ახალი ბანდების ჩამოყალიბება გამოიწვია.

ამ პერიოდში, სამრეწველო პროლეტარიატი, როგორც ამაზე 1984 წელს წერს გ.სანგა, მოხეტიალეთა მასად გარდაიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მუშებს ასაქმებდნენ, ინდუსტრიალიზაციის პროცესი ვერ შეძლებდა მოხეტიალეთა მთელი მასის პროლეტარების მასად გარდაქმნას. გამოჩნდა ქვეკლასი, რომელიც ქალაქში არ გადასახლდა იმის გამო, რომ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და საზოგადოებიდან გარიყვას შორის არსებობდა. XIX საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც ორგანიზებული დანაშაული და მასთან ერთად ჯერგო გაჩნდა, ის შესამჩნევი მოვლენა გახდა.

მარგინალიზაციის ამ ახალი ფორმის პარალელურად, სოციალური დინამიკის პროდუქტი აგრძელებს არსებობას შუა საუკუნეებში ხეტიალის მოყვარულთა სახით. სწორედ ბ.ბიონდელის 1846 წლისა და ჯ. ასკოლის 1861 წლის კვლევებით მოხდა ჯერგოს ლინგვისტური აღწერა. ის წარმოიქმნა სასაუბრო ენიდან და გაანალიზებული იყო როგორც დამოუკიდებელი წარმონაქმნი. ფაქტობრივად, ასკოლის მეშვეობით, განსხვავებული მნიშვნელობა მიენიჭა ჯერგოს კვლევას. ის მისი ისტორიული ასპექტის კვლევაზე კი აღარ იყო კონცენტრირებული, არამედ ტიპოლოგიურ ასპექტზე. მიუთითებდა, რომ ზოგიერთი მარგინალური ჯგუფის და კრიმინალთა საიდუმლო ენების მოტივაცია იმდენად ბუნებრივი იყო, რომ არ ჩანდა, რომ ის ამა თუ იმ ისტორიულმა მოვლენამ განაპირობა. XV და XVII საუკუნეებში, მთაში კრიზისის შედეგად, სეზონური ემიგრაცია გაჩნდა, რამაც

გარკვეული როლი ითამაშა ჯერგოს შექმნაში. ამ დროს, ადამიანები ხელობას დაეუფლნენ, ხოლო მათი ხელობის რეალიზებას ვაჭრები ახორციელებდნენ სოფლებსა და ქალაქებში. მათი მოგზაურობა რამდენიმე თვით იწყებოდა და შეიძლებოდა რამდენიმე წელიწადი გაგრძელებულიყო. მოხეტიალე ცხოვრება მათ სხვა მოხეტიალებთან აკავშირებდა და ვაჭრები კი მათი ცხოვრების წესის ზოგიერთ მახასიათებელს ითავისებდნენ, თვით ჯერგოს გამოყენების ჩათვლით, რომელიც აუცილებელი მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა ერთმანეთის ამოცნობის, ერთიანობის, სოლიდარობის, განსაკუთრებით კი თავდაცვის თვალსაზრისით. სწორედ, ამ ასპექტების მეშვეობით, ჯერგოს ფსიქოლოგიური და დამცავი ფუნქცია იჩენს თავს, რომელიც დროის გასვლასთან ერთად, გამოირჩევა როგორც ფუნდამენტური ელემენტი.

ჯერგოს საიდუმლო ფუნქციას ჯერგოზე მოსაუბრეები იაზრებდნენ, მაგრამ სისტემატურად არ იყენებდნენ, მარტივი მიზეზის გამო, რომ არ გამოეწვიათ ეჭვი და არ დაეკარგათ იმათი ნდობა, ვისთანაც, საკუთარი სახლიდან შორს, სამუშაოს გამო კონტაქტში შედიოდნენ. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დროთა განმავლობაში ჯერგოს ფუნქცია სწორედ, ისტორიულ-სოციალური ცვლილებების წყალობით გამოიყო და განისაზღვრა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს, რომ ჯგუფის დახვეწილი ენა გამხდარიყო, თავისი საიდუმლოებით და განსაკუთრებულობით, რათა დაეკმაყოფილებინა ამ ჯგუფის წევრების ამბიცია და აუცილებლობის შემთხვევაში გაემარტივებინა კიდევ ამ ჯგუფის საქმიანობა (მენარინი 1959:458).

აუცილებელია აღვნიშნოთ მომთაბარე ტომები, ცნობილი ბოშებისა და ეგვიპტელების სახელწოდებით, რომლებიც საფრანგეთში მათხოვართა სამძმოს ჩამოყალიბების პროცესში გაჩნდნენ. ბოშები ინდოელების ჩამომავლები არიან. V საუკუნეში სპარსეთის გონიერმა პრინცმა 12 000 ადამიანი ჩამოაყვანიან ინდოეთიდან გართობისა და დასვენების მიზნით. ისინი პროფესიით ჟონგლიორები, მუსიკოსები და მომღერლები იყვნენ. მათ უამრავი სურსათ-სანოვაგე მისცეს, მაგრამ ყოველივე სწრაფად გაფლანგეს. განრისხებულმა პრინცმა ისინი სასახლიდან გააგდო და აიძულა, რომ სოფლიდან სოფელში ხეტიალით ეშოვათ ფული. ევროპაში მცხოვრები ყველა ბოშა 12 ჯგუფად იყოფა. ისტორიაში

მიგრაციის პროცესი არ არის მოხსენიებული XIV საუკუნემდე. მხოლოდ XIV საუკუნის შუა წლებიდან დააფიქსირეს ბოშები ევროპაში. XV საუკუნეში, მაჰმადიანელთა მიერ ქვედა დუნაის მიდამოების დაპყრობამ, სადაც ასინგარები დიდი რაოდენობით სახლობდნენ, მიგრაციის ახალი ტალღა გააჩინა. ათასობით ბანდა გაჩნდა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. სწორედ მაშინ ეწოდათ მათ ბოშები (ბოჰემელები), რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ბოჰემიდან იყვნენ ჩამოსულები. ინგლისელები მოგვიანებით მათ გიტებს უწოდებდნენ, რადგანაც მათ სამშობლოდ ეგვიპტეს მიიჩნევდნენ. მათი პროფესია ჟონგლიორობა, სიმღერა და ცეკვა იყო. ისინი მხოლოდ ნაძარცვით ცხოვრობდნენ. მალე ყველაზე საშიში ბოროტმოქმედნი ბოშები გახდნენ. ისინი ძარცვავდნენ, იტაცებდნენ და კლავდნენ ბავშვებს. ამის გამო ბევრი მათგანი დაიჭირეს და ჩამოარხჩვეს. XVI საუკუნეში პარლამენტის დადგენილებით ბოშები საფრანგეთიდან განდევნეს უკან დაბრუნების აკრძალვით, თუმცა მათ მაინც მოახერხეს უკან დაბრუნება. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ბოშებს ეძახდნენ, უფრო სწორად რომანიშელს, რომანიგოს, თვითონ საკუთარ თავს კი რომს (ანუ ადამიანი) უწოდებენ. მათი ცხოვრების წესი იგივე დარჩა როგორც უწინ ჰქონდათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დანაშაულის ჩადენაზე თავს იკავებდნენ, რადგანაც პოლიცია მათ ადევნებდა თვალ-ყურს და ქალაქებში მხოლოდ ცოტა ხნით შეჩერების უფლებას აძლევდა (ჯაში 2002:51-52).

დღეს, ბოშები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ. ბოშები ლაპარაკობდნენ და დღესაც ლაპარაკობენ ჟარგონზე, რომელსაც რომანი ეწოდება. იგი დიდ ანალოგიას ავლენს ჰიმალაის სამხრეთის დიალექტებთან. მასში შერეულია სპარსული, ბერძნული, რუმინული ენების მეტ-ნაკლებად დამახინჯებული სიტყვები, აგრეთვე იმ ხალხის ენებიდან ნასესხები ფორმები, ვის გვერდითაც ბოშებს უწევდათ ცხოვრება. ბოშების ხშირ კავშირს მათხოვრებთან გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა მათ მეტყველებაზე, ჟარგონზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მათხოვართა მეტყველებაში შემოვიდა სიტყვები სანსკრიტიდან, სპარსულიდან, ჰინდიდან, სლავურიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი ძალზე მცირეა. ყველაფერი ზემოთქმული საკმარისია იმისათვის,

რომ მეცნიერულად დავასაბუთოთ ამ ხალხებს შორის კავშირი, რათა მათმა ისტორიამ სათანადო ადგილი დაიკავოს იმ კლასთა ისტორიის გვერდით, ვინც ჟარგონზე ლაპარაკობს.

ჟარგონული ტერმინოლოგიის გამდიდრების კიდევ ერთი წყარო, რომელმაც გაუძლო დროის ცვლას, ცირკია. ადრე, ცირკის მსახიობობა, ძალიან პოპულარული საქმიანობა იყო. იგი ასოცირდება, როგორც ამას მენარინი (1993, 94)⁶ ამტკიცებს, მოხეტიალე პროფესიონალებთან, რომლებიც გამოდიოდნენ ბაზრობებზე, ატრაქციონებსა და პარკებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხეტიალე აკრობატები. მათი ჟარგონული სიტყვების ენის ნაწილი აღმოცენდა ტრადიციული ისტორიული ჟარგონიდან, მეორე ნაწილი კი ბოშების ენიდან. ისინი მოხეტიალე ცხოვრებით ცხოვრობენ, რაც ქორწინებას თუ არ ჩავთვლით, ხელს უწყობს კონტაქტების დამყარებას და ურთიერთობას. ცირკის ჟარგონს იკვლევდა ანდრეა სკალა. ის უამრავ ნარკვევში შეეხო ამ ენობრივ ნარევს. ცირკის ჟარგონის სიცოცხლისუნარიანობა და მისი გამოყენება ჩანს ამ ჟარგონზე მოსაუბრეთა წერილობით ჩვენებებში. უძველესი ისტორიული ჟარგონული სიტყვა, როგორცაა *loffio-მახინჯი, ცუდი, ღარიბი*, შეიძლება ისევ იქნეს გამოყენებული "ფარული" სუფიქსით *-ago* და, პრეფიქსით *san-*, ფრაზებში, როგორცაა: *San loffiago, neca...*-რაც ნიშნავს *მეგობარო, თავი დაანებე, ნუ იყიდი უხარისხო საქონელს*. ეს ახალი ფორმა ფორმალურად ექვემდებარება ტოპონიმების ტიპოლოგიას. ახალი ფორმა *San loffiago*, გარდა იმისა, რომ ბუნდოვანი ჟარგონული სიტყვაა, ახლა ხშირად გამოიყენება, განსაკუთრებით იმათ მიერ, ვინც კომერციულ საქმიანობას ეწევა. თუ ჟარგონი გოგოსთან მიმართებით გამოიყენება, მაშინ წინადადება: *scusi, lei è di San loffiago?-უკაცრავად, სან ლოფიაგოდან ხარ?* რაც სინამდვილეში გულისხმობს: *sa che lei è proprio bruttina- იცი, რომ მართლა მახინჯი ხარ?* თანამოსაუბრემ შესაძლოა ვერ გაიგოს მინიშნება და უპასუხოს: *no, sono di Sacile-არა, მე სიცილიიდან ვარ*, რაც დამსწრეთა მხიარულებას გამოიწვევს. ტერმინმა *loffio*-მ სემანტიკის გაფართოების

⁶ Scala, A. (2004). L'elemento lessicale zingaro nei gerghi italiani della malavita: nuove acquisizioni. In Quaderni di Semantica, 25, pp. 103-127.

შედეგად შეიძინა ახალი მნიშვნელობა: *საშინელი, დაუნდობელი კაცი*. მდებარეობით სქესში ეს სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს „მახინჯს“ ქალზე მითითებისას.

კიარა ჯუდიჩი⁷ იკვლევდა ცირკის ჟარგონს და მან დაასკვნა, რომ ეს ჟარგონი ერთგვარ ბარიერს ქმნიდა და მისი სიტყვების შეღწევა საერთო ენაში ძნელად ხდებოდა. კიარა ჯუდიჩიმ ჩაატარა ჩრდილოეთ იტალიის რეგიონებში არსებულ მცირე, საშუალო და დიდი ცირკების ჟარგონის ანალიზი ძირითადად, ლომბარდიაში, პიემონტესა და ვენეტოში. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლება ცალსახად უარს ამბობს ჟარგონზე და დარწმუნებულნი არიან, რომ ოდესღაც ჟარგონის ლექსიკა უფრო მდიდარი და სტრუქტურირებული იყო. ცირკის ჟარგონში ყველაზე ხშირად გამოყენებულ ტერმინებს შორისაა შემდეგი სიტყვები:

- *mestieri -giostre-კარუსელი*

-*mevisi, tovisi, sovisi- io, tu, lui-მე, შენ, ის, პირის ნაცვალსახელები თავისებური სუფიქსებით*

- *che cova - che vergogna-რა სირცხვილია*

- *fai niberta - non dire niente-არაფერი თქვა*

- *lui poleggia troppo - lui dorme troppo-მას ძალიან დიდხანს სძინავს*

- *galuppo -inserviente-დამლაგებელი*

- *urto -pane- campino -camper, roulette-ავტოფურგონი*

- *caucciù -contorsionista-ადამიანი გველი, რომელიც ძალიან მოქნილია*

⁷ Chiara Giudici, Il gergo dei Circensi, Tesi de laurea, (2011-2012), <https://123dok.org/article/gergo-circensi-termini-ragazzotto-ricerca-omofono-montone-sfrutta.yngpi6x0>: (09.05.20), ციტირებულია ჯოვანა მენეგინის მიერ, 2014-2015, გვ 43-48.

- *dritto* -ადამიანი, რომელსაც ცირკთან კავშირი არა აქვს

- *balengo, narvalo -pazzo, matto*-გიჟი

- *bigonge - mutande*-ტრიკო, კალსონები

- *carnente- madre*-დედა

- *loffio- brutto, cattivo*-უხეში, უშნო

- *pradelin - fratellino*-ძმა

- *lovi -soldi*-ფული

როგორც ზემოაღნიშნული სიტყვებიდან ჩანს, ცირკის ჟარგონს საიდუმლო ფუნქცია აქვს. მოცემული ენა საიდენტიფიკაციო საშუალებად იქცევა: „ვისაც შეუძლია ჯგუფის ენის გაგება და საუბარი, მაშინვე აღიარებულია ჯგუფის წევრად“⁸. თუმცა, ცირკის ჟარგონი არ ნიშნავს არასრულფასოვნების მდგომარეობას, პირიქით, ის გამოხატავს დიდ თვითშეგნებას, ჭკუას, გამომგონებლობას და ეშმაკობას. ჟარგონი ფაქტობრივად უპირატესობის სიმბოლოდ იქცევა. კიარა ჯუდიჩის მიერ ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, რომ ცირკში გამოყენებული რამდენიმე ტერმინი ბოშური წარმოშობისაა, თუმცა, დღეს დომინირებს ტენდენციურად ნეგატიური დამოკიდებულება ბოშური ენის მიმართ, რომელიც მიჩნეულია უხეშად, ტრივიალურად, დაკავშირებულია თაღლითობასა და ქურდობასთან.

საცირკო ჟარგონის ფორმირების შესწავლასთან დაკავშირებით, კიარა ჯუდიჩი ამტკიცებს, რომ საცირკო ჟარგონში უხვად გვხვდება ნასესხები ბოშური ენიდან. ასეთ ნასესხებებში ვხვდებით სიტყვებს, რომელთა კლასიფიკაცია დღეს შეუძლებელია. უფროსი წევრებისთვის ჟარგონი უარყოფითად აღიქმება, რადგან ისინი მას იმ ენად თვლიან, რომელიც ასოცირდება უმეცრებასთან და უხეშობასთან. ცირკის შემსრულებლები ასევე დარწმუნებულნი არიან, რომ

⁸ Chiara Giudici, იქვე.

დღევანდელი ჟარგონი შეესაბამება კოდის გალატაკებულ ვერსიას. ძველ დროში, უფრო რთული ფორმები არსებობდა. ზოგიერთი ჟარგონი იქამდეც კი მიდის, რომ ჟარგონში შემორჩენილია რაღაც ძველი ფორმის ნარჩენი, თავდაპირველად უშუალოდ გადაცემული და ნაწილობრივ მიტოვებული, სიტყვის გადაცემის შეფერხების გამო. ცირკის ჟარგონს ნაკლებად გადასცემენ ახალგაზრდებს და ამიტომ მისი გამოყენება სწრაფად იკლებს. თუმცა, როგორც ჩანს, ამ რწმენას ეწინააღმდეგება გამოკითხულ მსახიობ გოგონათა განცხადებები იმიტომ, რომ მათ ჟარგონი მშობლებისა და ნათესავების საუბრების მოსმენის შედეგად ისწავლეს. აქედან გამომდინარეობს, რომ ჟარგონის გადაცემა მაინც ხდება. კიარა ჯუდიჩი ამთავრებს თავის კვლევას იმით, რომ 100 წლის წინათაც ცირკის ოჯახებში არსებობდნენ ორენოვანი წევრები, რომელთათვისაც ბოშური ენა მშობლიური ენა იყო. შემდგომში, ბოშებმა დაკარგეს ენობრივი საზოგადოების და ღირებულებითი სისტემის გამოხატვის ფუნქცია, თანდათან გადავიდნენ ყოველდღიური კოდიდან სტიგმატიზებულ კოდში. ცირკის მსახიობთა ოჯახებში, მშობლები განზრახ ამბობენ უარს, რომ თავიანთი ენა შვილებს გადასცენ, რადგან ის ითვლება არახელსაყრელად გაბატონებულ ენასთან შედარებით. ბოშური ენა ცირკში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე იყო ის ლექსიკური შესაძლებლობა, რომლითაც ჟარგონის შენარჩუნება ან გამდიდრება ხდებოდა. თუმცა, შეგროვებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ 90-იან წლებში დაბადებულ გამოკითხულ გოგონებს შორის ჟარგონის ლექსიკა ინარჩუნებს უფროსებისთვის ცნობილი ტერმინების უმეტესობას, როდესაც იგი არ არის გამდიდრებული ბოშური ენიდან ახალი ნასესხობებით. გარდა ამისა, ახალგაზრდა წევრები აცხადებენ, რომ ყოველდღიურად იყენებენ მას მეგობრებთან და თანატოლებთან საუბრის დროს. ცირკის ჟარგონი ხდება საცირკო ოჯახების ბიჭებისათვის სტანდარტული ენიდან გადახრის საშუალება, რომელიც ახდენს მათ იდენტიფიცირებას და აშორებს მათ არა მხოლოდ უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების მიერ გამოყენებული ენისგან, არამედ მათი თანატოლების მიერ გამოყენებული ენისაგანაც და ასევე ახალგაზრდა ცირკის მსახიობების მიერ გამოყენებული ენისაგანაც.

1.3. დიალექტების ზეგავლენა ჟარგონზე. ჟარგონის სახესხვაობა სარდინიაში

რემო ბრაკი, ცნობილი იტალიელი ლინგვისტი და დიალექტოლოგი იყო, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი იტალიაში არსებული ჯერგოს შესწავლას და კვლევას მიუძღვნა. განსაკუთრებით, შეისწავლა და გაანალიზა ადას ზედა ხეობის მაცხოვრებლებისათვის დამახასიათებელი დისკურსი, რამაც პროფესიონალი მეწაღეების მეტყველებაში იჩინა თავი. ეს დისკურსი, ბრაკის თქმით, სრულიად განსხვავდება დღევანდელი არსებული რეალობისაგან. როდესაც ოჯახში ბევრი წევრი იყო, მთაში, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, მამაკაცები ტოვებდნენ თავიანთ მხარეს და საშოვარზე მიდიოდნენ ერთი წლით. ზოგჯერ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ოჯახში გამოსაკვებ პირთა რაოდენობა შემცირებულიყო. სხვადასხვა ტიპის ჯგუფები, სოფლიდან სოფელში, ფეხსაცმელების შესაკერად ან კიდევ უფრო ხშირად შესაკეთებლად დადიოდნენ. ზოგადად, ირჩევდნენ იმავე ხეობას, რომელიც მოცემული ჯგუფის მიერ საკუთარი საქმიანობის დასაწყისში ან კიდევ მათი წინაპრების მიერ იყო შერჩეული, სადაც თითოეული მეწაღე პატივცემული და ცნობილი იყო როგორც პატიოსანი ადამიანი. მოგვიანებით, მათ შექმნეს მეწაღეთა მოძრავი ჯგუფები. მათ სურდათ დაეცვათ საკუთარი საქმიანობა და მიმოსვლა. ამიტომაც შექმნეს ჟარგონი, რომელიც იმ მოთხოვნას პასუხობდა, რაც გულისხმობს ჯგუფის დაცვას უცხო პირებისაგან. მეწაღეებს საკუთარი ენა ჰქონდა და სხვას არავის ესმოდა მათი საუბარი. თვით საეჭვო სიტუაციაშიც, ხელოსნებს შეეძლოთ ერთმანეთში ესაუბრათ ისე, რომ უცხო პირები ვერ მიმხვდარიყვნენ მათ განზრახვას.

რ. ბრაკის აზრით, არსებობდნენ ოჯახური ჯგუფები, რომლებიც ბავშვების, არასწრულწლოვნების ჩათვლით, შეგირდების და კურიერებისაგან შედგებოდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ჯგუფებს მიმდებარე ხეობებში უნდა ემოძრავათ, ესაუბრათ იმ ენაზე, რომელიც მათთვის ნაცნობი და სხვებისთვის უცნობი იყო. იგრძნობოდა მათი ერთიანობა, შინ დაბრუნების შემდეგ შეეძლოთ გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება და მოეყოლათ საკუთარი თავგადასავალი (ბრაკი 1987:181-182).

სხვა ინფორმაცია ამ ენის შესახებ მოცემულია ჯუზეპე პულჩის ანონიმურ დღიურებში, რომლებიც მან ასკოლის გადასცა, რათა ლადიურ ენაზე საკუთარი ესეები შეედგინა. უცნობი ავტორის კოლექციამ ახალი ინფორმაცია დაგვიტოვა იმის შესახებ, რომ ადგილობრივად შეიქმნა საიდუმლო ენა და ის სწრაფად გავრცელდა. ეს მეტყველება იყო ადას ხეობის მეწაღეთა დიალექტის საწყისი ფორმა, რომელიც შემოტანილ იქნა იმავე ხელოსნების მიერ იმ მიზნით, რომ მათი მეტყველება გაუგებარი ყოფილიყო იმ მხარის მაცხოვრებელთათვის, სადაც ისინი საქმიანობას ეწეოდნენ. თუმცა, დროთა განმავლობაში ენა იცვლებოდა და ეს ცვლილება იმ მაცხოვრებლებს შეჰქონდათ, რომლებიც მათთან კონტაქტში იყვნენ. მოგვიანებით მეწაღეებმა სხვა სიტყვები გამოიგონეს, რომ მაცხოვრებლებს, ვისაც უკვე მათი ენა ესმოდა, ვერ გაეგოთ მათი საუბარი.

ამ ჟარგონის გამოყენებაზე ინფორმაცია 1700 წლის დასაწყისით თარიღდება და პირველი ავტორები, ვინც დაზუსტებით აღნიშნა მისი არსებობა იყვნენ პიეტრო ალბერტი, დომენიკო კომპანიონი და ალბერტო მერალდი. ეს მეცნიერები პირველები გავიდნენ ქვეყნიდან და შვეიცარიაში დაიწყეს საქმიანობა. ეს ინფორმაცია მეოცე საუკუნეში დამოუკიდებელი ფორმით გავრცელდა, ხოლო შემდგომში გლიჩერიო ლონგამ მათ თავისი ლექსიკონის *Bormio*-ს დანართში მოუყარა თავი⁹ ამ ინფორმაციით, რომელიც ლონგადან მოდის და ეხება ისევ მეწაღეთა ჟარგონს, თითქოს შეიცვალა საერთო წარმოდგენა, რამაც ასკოლის მასალიდან ჩვენამდე მოაღწია.

ჯ.ლონგა აცხადებს, რომ „ეს მეწაღეები, საუბრისას იყენებენ საკუთარ სიტყვებს და გამოთქმებს, რომლებსაც უწოდებენ *plat de Sciòbar*“¹⁰. ასეთი ჟარგონი შედგება გერმანიკული და რომანული წარმოშობის სიტყვებისაგან. ჯერგოს ზოგიერთი ტერმინი დიალექტში გადავიდა. მათი გარჩევა საერთო ენის სიტყვებისაგან რთულია, ვინაიდან მას ყველა იყენებს. ამ ენაზე დღესაც საუბრობენ, კერძოდ, მადონა დეი მონტის მხარეში. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჟარგონული ტერმინები

⁹ რომანული კვლევები, 1912, ტ.9. მომდევნო წელს ხელმეორედ დამოუკიდებლად გამოიცა პერუჯაში.

¹⁰ მეწაღეთა ენას ნიშნავს.

ხშირად გადაჯაჭვული იყო დიალექტურ სიტყვებთან, რის შედეგაც უცნაური ნარევი მივიღეთ, სრულიად გაუგებარი მათთვის, ვინც არც ჟარგონი იცოდა და არც დიალექტი“ (ლონგა 1913: 320). მას შემდეგ, რაც ჯ.ლონგამ გაანალიზა და შეადარა ორივე ენა, სრულიად განსხვავებული გარემო შექმნა. ერთი პერიოდი ის აგრძელებდა ამ საკითხის კვლევას, ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალი სიტყვების წარმოქმნას, თუმცა დროთა განმავლობაში მეწაღეთა ჟარგონი მივიწყებას მიეცა, მიგრაციული პროცესების შეჩერებისა და დიალექტებთან ნაკლები ურთიერთობის გამო.

ამ ენაში ახალია მარტივი სიტყვების და ლექსიკური სინტაგმების დამკვიდრება. როგორც ყველა ჯერგო, ეს ლექსიკაც პარაზიტულია და აღმოცენებულია ეროვნულ ენაზე. ლინგვისტური თვალსაზრისით, მდებრობითი და მამრობითი სქესის ფორმების წარმოება, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი, ზმნის უღლება, სიტყვათა წარმოება, მათი წინადადებაში განლაგება იდენტურია იმის, რაც ეროვნულ ენაში ხდება. თუმცა, რაც შეეხება ზმნურ ფორმებს, თითქმის ყველა შემთხვევაში, პირველი ჯგუფის უღლებას იყენებენ, რომელიც ყველაზე მარტივია მაშინ, როდესაც *-ire* დაბოლოება იშვიათად გვხვდება. განვიხილოთ რამდენიმე ზმნური წარმონაქმნის მაგალითი, რომლებიც მეწაღეთა ჯერგოს განეკუთვნება:

- *truch* (*bastone*)>ჯობი, *truch-èr*(*bastonare*)-ჯობით ცემა>*truch-èda/truch-éda* (*bastonata*)-ჯობით დარტყმა;

- *sciùà* (გერმანიკ. *scarpa*) >ფეხსაცმელი, *sciu-èr* (*cucire le scarpe*)-ფეხსაცმლის კერვა;

-*sciua-mént* (*il lavoro cucito*)-შრომა, კერვა, ზმნის ფუძეს ემატება სუფიქსი *-ment* და განსაზღვრავს ქმედების შედეგს;

- *fias* (*ted. piede*)>ფეხი- *fiasc-éda* (*pedata*)-ფეხის ნაკვალევი, პანდური;

-*urzin-èr*(*rubare-მოპარვა, ჯერგოზე uncinare*) ნაწარმოებია სიტყვისაგან ნულოვანი სუფიქსით *ùrzan* (*ladro*)-ქურდი.

სიტყვათა ასეთი წარმოება დამახასიათებელია მეწაღეთა ჟარგონისათვის, როგორც ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ისე უმახვილო სუფიქსით *-an*, რომელიც ძალზე გავრცელებულია მის ლექსიკაში. ბევრი ლექსიკური ერთეული, რომელიც ჯერგოზე მოსაუბრეთა მიერ იყო ათვისებული, სინამდვილეში ძველი სიტყვები და გამოთქმებია, თუმცა დრომ, იმ ტერმინების დამკვიდრებას შეუწყობ ხელი, რომლებიც ქალაქელების მიერ იგნორირებული იყო. მათ შორის იყო ბრაკი, რომელიც იშველიებდა ბონვეზინ დე რივას კვლევებს. ის მაგალითისათვის გვთავაზობს ბნელი ძალების ორ სახელდებას:

- *la zuzaròba (diavolo, demonio, spauracchio)-ემშაკი*

- *al senzaànch (diavolo-ემშაკი, სიტყვასიტყვით -სისხლის გარეშე)*

ამ ორი სახელდების კვლევით, მან დაადგინა, რომ ამ ტერმინებს ბებიები და ბაბუები შვილიშვილების შესაშინებლად იყენებდნენ, რომ არ გაეღოთ ღურგლის ხელსაწყობით სავსე კარადა. ბებიები და ბაბუები იმეორებდნენ, რომ კედელში იმალებოდა ორი არსება, რომელიც საშინელი და ამოუცნობი იყო. პირველის მნიშვნელობა გასაგები იყო, მაგრამ ძნელი იყო წარმოგვედგინა ისეთი არსება, სხვა სულიერებთან შედარებით, ვისაც ვენებში სისხლი არ ექნებოდა. მეორე ტერმინიც ასევე არ ჯდებოდა საერთო ლექსიკაში. თუმცა, თუკი ავიღებთ ერთ ვარიანტს *ciuciasànch (წყლის ურჩხული)*, რომლითაც აშინებდნენ პატარებს, რომ წყალთან ახლოს არ მისულიყვნენ, მისი სიტყვასიტყვით თარგმნისას მივიღებთ სიტყვას *succhiasangue-სისხლისმსმელი*. კვლევა გვიჩვენებს, რომ ადამიანები მათი ინტერპრეტაციით ცვლიდნენ შედგენილი სიტყვის პირველ წევრს (*Ciucia>senza-გარეშე*), შთაგონებული თანახმოვნებით უფრო გასაგები მოტივაციის ძიებაში, რომელიც მომდინარეობდა უკვე გამქრალი არქაული ფორმიდან. ტერმინი *zozacòsa (diavolo)-ემშაკი* იყო აშკარა კომპოზიტი, თუმცა ადვილად გასაგები არ იყო. ის მოტივირებულია *la sozza cosa-ჭუჭყიანი ნივთი*. ორივე მათგანი იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც ჟარგონი გაჩნდა.

ზემო ადას ხეობის ხელოსანთა ენაში შეიმჩნეოდა გერმანიკული ტერმინების არსებობა. ამას ბრაკი იმ ფაქტით ხსნის, რომ ეს ხელოსნები ბევრს დადიოდნენ

განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სასაუბრო ენა გერმანული იყო. ნასესხობების გაანალიზების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ღრმა და ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად ის წარმოდგენილი იყო მეწაღეთა ცხოვრების ყველა სფეროში. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც მათ ხელობას უკავშირდება:

- *blidro* (*cuoio*, გერმანიკ. *leder cuoio*) > *blédro*-ტყავი

- *sciùà* (*scarpa, scarpe*) > *sciua-mént* (*il lavoro cucito*) > *sciùèr* (კერვა)

- *schnur* (*spago, cordicella*) > *žnù(e)r* (*spago*)-თოკი

- *strick* (*corda, laccio*) > *štrich* (*spago*) > *štrichèr* (*spalmare di pece, impeciare*)- *štrica* (*pece*)-ფისი, გუდრონი

- *sciòbar/sciòber* (*calzolaio*)-მეწაღეს ნიშნავს.

რაც შეეხება ოჯახის წევრებს, ისინი გერმანიკული სიტყვებით აღინიშნება:

- *muéta* (*madre*) < *mutter*-დედა (*madre*), რომლისგანაც შექმნილია სიტყვა *muét* (*padre*)-მამა

- *scèšta* (*sorella*) < *schwester*-და (*sorella*)

- *fràula* (*donna*) < *frauli* ბავარ., *fräulein* გერმ. (*signorina*)-ქალიშვილი

საინტერესოა ასევე სასურსათო ტერმინები. მხედრები, რომელთაც ღვინო მთებში გადაჰქონდათ, მარილი მოჰქონდათ ჰალესა და მისი მიდამოების კარიერებიდან, მოსამსახურეები, რომლებიც ტიროლის ბორმიოში იკრიბებოდნენ, გადადიოდნენ საბაჟოზე, სხვადასხვა სახით, გერმანიკული წარმოშობის სიტყვებს იყენებდნენ. ამ პერიოდის ჯერგოს სიტყვებიდან აღსანიშნავია:

- *das wasser* (*acqua*) > *bòsar/žbòsar* (*acqua*)-წყალი

- *schnaps* (*acquavite*) > *žgnàpa* (*acquavite, grappa*)-არაყი

- *schluck* (*sorso*) > *žluch* (*sorso*)-ყლოუპი

რ. ბრაკიმ, მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, დაადგინა, რომ ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით წარმოდგენილ მასალას, შეუძლია ახალი ფორმების შექმნა.

ჯერგოს სხვა სიტყვები წარმოიქმნა გრიზონის და ტეჩინოს ხეობის დიალექტებიდან ნასესხები ფორმებით. მოხდა მათი დამძობილება პოსკიავოსთან, სადაც ერთი და იმავე ხელობას მისდევდნენ და რომელშიც ალპური ლომბარდიის დიალექტი შესამჩნევად ჰგავს პიატას და ვალფურას დიალექტებს. ზემო ვალტელინაში კონცენტრირებული იყო სეზონურ მეწაღეთა კომპაქტური ჯგუფები, რომლებიც უფრო დიდხანს შემორჩნენ იქ, ვიდრე სადმე სხვაგან. ამ თვალსაზრისით შეკრებილი სიტყვები კარგად იქნა ათვისებული მოხეტიალეთა მიერ. დროდადრო, გვხვდება ლადინისა და ლომბარდიის დიალექტიდან ნასესხები სახესხვაობები, სადაც გაჩნდა არტიკლი. განვიხილოთ ჯერგოს რამდენიმე ტერმინი, რომლებიც სურსათის სფეროდან მომდინარეობს და მათ იყენებენ მეწაღეები:

- *fròst* (*fròst pezzo di pane* < *lat. frùstum pezzo*)-პურის ნაჭერი

- *snattà* (*mangiare*) > *žgnatàr/ žnatàr* (*mangiare*)-ჭამა

- *manere* (*restare nel letto*) > *manì* (*dormire*) > *manìr* (*dormire*)-ძილი

- *nuil* (*ovile*) > *nuil* (*stalla*)-საჯიბიბო

- *stüz* (*fieno*, ავერეზა სიტყვის *festüz*) > *štuz* (*fieno*)-თივა

„ქარგონმა წარმოქმნა ზმნა, რომელიც პირველი ჯგუფის ზმნებში მოაქცია და მსგავსი სინონიმების საფუძველზე გარდაქმნა“ (ბრაკი 1987: 284-5).

თუკი მივყვებით ანალიზს, რ. ბრაკი ამტკიცებს, რომ უფრო მეტად ფრაგმენტული და მორფოლოგიურად ნაკლებად შერწყმულია სხვა დიალექტებიდან ნასესხები ფორმები, რომლებიც გარს ახვევია ადას ზედა ხეობის მეწაღეთა ლექსიკას. ეს, ძირითადად, აღმოსავლეთ სექტორს ეხება, რომელიც ადრე ვენეციის რესპუბლიკას ეკავა იმ ტერიტორიებზე, სადაც მომთაბარე

ადამიანები ზამთარს მოხეტიალეთა საცხოვრებელ ადგილებში ატარებდნენ. ამ საზღვრების გასწვრივ, ჟარგონზე მოსაუბრეთა მიერ შემოტანილი ნასესხობები დამოკიდებული იყო ალბათ იმ ფაქტზე, რომ მათ ისეთი ელემენტები მოძებნეს, რომ სიტყვების მნიშვნელოვანი მსგავსების გამო თავიანთ საიდუმლო ენაში შემოიტანეს. მეწაღეთა ჟარგონში არსებობს ნასესხობები ლომბარდიული და ვენეციური დიალექტებიდან. ესენია:

-ლომბარდიის დიალექტიდან შემოსული *ghic' (denari) < ghicc /sghicc (mezzo soldo, bagattino)-ფული*. სალვიონის მაცხოვრებლები ნაწარმოებ ფორმას გოთურიდან *skalja (scaglia)* გვთავაზობენ. მეტაფორას, რომელიც გავრცელებულია მეტალის მონეტების აღსანიშნავად, ემატება სუფიქსი *-ic'eu* გარადამავალი ფორმულების *scaisc>(s)ghisc* მეშვეობით.

-ბერგამოს ან ბრემას აღმოსავლეთ საზღვრიდან შემოვიდა *perù (forchetta)-ჩანგალი<pirón-ის ვარიანტი*, რომელიც შემოსულია პირდაპირ ვენეციიდან < თავისი მხრივ, ბერძნულიდან ნასესხებია *peíron (succhiello, perno, cavicchio)-სატყუარა, შტიფტი, საქანელა*.

- ვენეციის დიალექტიდან *c(h)ìona (fandonia-ტყუილი, frottola-მოგონილი ამბავი)* < ვენეციური, ვერონული დიალექტიდან *s'cìona (panzana-ტყუილი, fola-ჭორი)*, რომელმაც ვენეციური დიალექტის მკაცრი სემანტიკური სტრუქტურის ზეგავლენით მოგვცა *s'cìona (cerchietto-ზარი, რომელიც სიცარიელეში რეკს)*, სანამ არ წარმოქმნა სიტყვა *s'ciavona (anello di catena-ჯაჭვის რგოლი)*.

დიალექტის ამ სახეობაში მაღალფარდოვანი სიტყვები გვხვდება. როგორც ამას რ. ბრაკი ხსნის, ისინი შემთხვევით, ინტელექტუალური, სამოქალაქო თუ რელიგიური წრეებიდან შემოვიდა. ასეთები, მაგალითად, ჯერგოს ფორმებია:

- *šcartabèl (წიგნი)* < ძველი იტალიური ფორმა *scartabello < cartabello (ღირებულების წიგნი) < chartabŭlum* სუფიქსის ცვლილებით < *šcartabèla (წერილი)*

- *tafanàri (ჯდომა)* < ალბათ მეტაფორიდანაა მიღებული *antiphonarium*

- *tidulèr* (გაგონება, მოსმენა) <*titulāre* (რომ მიიპყროს ყურადღება)

- *péndul* <საშუალო ლათინური *pēndūlum* (ჩამოკიდებული ნივთი)

ქორწინების აღსანიშნავად გამოიყენებოდა გამოთქმა *sacramento dello zucchero*, რომელიც გვახსენებდა „თაფლობის თვეს“.

2010 წელს, ა.ნოჩენტინის მიერ შედგენილ იტალიური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის 1203-ე გვერდზე, მოცემულია სიტყვა *tafanàrio*. აღმოჩნდა, რომ ის რომანული წარმოშობის, გასართობი სიტყვაა, რომელიც ნაწარმოებია სიტყვისაგან *tafano*-ბორა, აბეზარი ადამიანი. იტალიურში შემოვიდა ოქსიტანურიდან და კატალონიურიდან. სარდული *tafanariu*, რომელიც ხმაბაძვითი სიტყვისგან იქნა მიღებული *taf*, ნიშნავს მეტეორიზმის შედეგად მიღებულ ხმაურს და ჯერგოს სიტყვიდან „უკანალი“. ამ მოსაზრებას ა. პრატიც იზიარებს. მაგალითად:

- *plicia* (*pelle* და *vita*-კანი და ტანი)>*far la plicia* (*fare la pelle, uccidere*-მოკვლა), სიტყვასიტყვით ცხოველის ბეწვი, ნაწარმოებია *pēllicēa* (*pelle*-კანი).

- *bròch cavallo*-უმწო და ბებერი ცხენი, შემდეგ მივიღეთ *cavallo*, ლათინურიდან *brocc(h)*-წინგამოწეული კბილები.

- *cerlèr* (*parlare*-ლაპარაკი), ხმაბაძვითი წარმოშობის სიტყვა.

- *barbaglièr su/žbarbaglièr* (*recitare le orazioni, pregare*-ლოცვა) შეიძლება იყოს მიღებული სიტყვიდან *balbūlāre* (*balbettare*-ბუტბუტი), წვერის ქვემოდან საუბარი და ომოფონური დიალექტური სიტყვიდან *barbagliàr* (*abbagliare, abbarbagliare*), *stupire*-გაოცება (ბრაკი 1987: 45-46).

-მეორე ვერსია *sciór* (*maiale, ossia signore*-ლორი; ბატონი), ვინაიდან მას კვებავენ და უვლიან, ყოველგვარი აქტიურობის და სხვა ტიპის უკუგების გარეშე, <*sēniōr, -ōre* (*anziano*-უფროსი), როგორც დიდგვაროვნების ტიტული.

ამ მეორე ტიპის ეტიმოლოგიით, გამოიყოფა განსხვავებული ქუჩური თუ სექსუალური ევფემიზმები. ისინი აკრძალული ტერმინების შესაცვლელად გაჩნდა, რომელთაგან შეიძლება გავიხსენოთ *mónca/moncòrdia* (*sterco*-განავალი)

პირდაპირი მნიშვნელობით *troncata, monca, mutila*-მაგარი და მრგვალი განავალი, ლათინურიდან *mancus+trūncus*, რომლის კომპოზიტია (უვარგისი), ეტიმოლოგიური ახსნაა *móca (spuntata, ottusa)*-დღარეას საპირისპირო.

ტერმინი *bar(ragazzotto)* მისდევს სიტყვას ომოფონს *bar(montone-მონოტონური)*, რომელიც იყენებს არსებულ მეტაფორას ცხოველური გარეგნობით (უბრუნდება სიტყვას *baro, -ōnis-უხეში* და *სულელი კაცი*). მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობა აქვს სიტყვას *chizel (ragazzo-ბიჭი, figlioletto-ვაჟიშვილი)*, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეკვეცილი ფორმით *cais(ერთი წლის ცხვარი)*. შესაძლებელია, რომ ისინი მინიშნებას აკეთებენ ცხოველებზე *mocenèr (il riposare-დასვენება)*, ნაწარმოები სიტყვიდან *<mócen (asino-ვირი)*, ან დიალექტური *móc (vitello-ხბო)*, როგორც თანამედროვე ფორმის *vitelloni*. ეჭვგარეშეა, რომ მეორე მნიშვნელობა სადავოა. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ის ხმაბაძვითი ფორმისაგანაა წარმოქმნილი.

ი. კრამერის (1989) ლექსიკონში სათაურით: *Etymologisches Wörterbuch des Dolomitenladinischen*, Hambourg, pp. 109, 110, Chíza-ს რუბრიკაში. შეიძლება დავასახელოთ სხვა მაგალითებიც:

- *far la porca-წმინდანად თავის მოჩვენება (stare in ozio-უმოქმედოდ ყოფნა)*

- *fer del gatto (rubare qualche cosa di poco valore-რაიმეს მოპარვა, რომელსაც დიდი ღირებულება არა აქვს).*

ზოომორფული შედარებები იქნა გამოყენებული შემდეგ სიტყვებში *la cionella<cióna(scrofa-დედა ღორი)*, ეტიმოლოგია მომდინარეობს მისი გაბერილი ფორმისაგან.

-*bartèla (lingua-ენა) <bèrta, (lingua lunga, facilità di parola, parlantina, scilinguagnolo-ხანგრძლივი ლაპარაკი, საუბრის სიმარტივე, კარგად მოსაუბრე)<ლომბარდიულიდან bèrta (taccola, gazza, pica-კაჭკაჭი), uccello ciarliero-მოლაყბე ჩიტო, გამოიყენება ქალის მიმართ.*

- *camèl* (*fame-შიმშილი*)<ნაწარმოებია უდაბნოს ცხოველისაგან ანუ აქლემისაგან, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს დიუნებს, ისეთი ტიპის გამონათქვამის ფორმით, როგორცაა: *fame da cammello-აქლემის შიმშილი*.

ბევრი მეტაფორა გამოიყენება სიტყვების ფორმირებისას:

- *mèla* (ბებერი და ღირებულების არმქონე ძროხა) და ნაწარმოები ფორმიდან *lama*< *lāmèlla*, ასოცირდება ქალთან.

- *balèc* (*patata-კარტოფილი*, *palla-ბურთულა*, მრგვალი ფორმის გამო).

მარგინალების მიერ გამოყენებული ერთ-ერთი სტრატეგიაა საიდუმლო ლექსიკის შექმნისას მინიშნება რაღაცაზე, რომელიც არსებულ მნიშვნელობას მალავს. ყველა შემთხვევაში ეს გადასვლა გადატანითი ხასიათისაა იმ რეფერენტის მიმართ, რომლის ნაწილს ასახელებენ მთელის ნაცვლად, ან კიდევ ის მასალაა მინიშნებული, რისგანაც საგანია დამზადებული. იგულისხმება მეტონიმია. გთავაზობთ ამ ტროპების რამდენიმე მაგალითს:

- *pùnc(h)ia* (*ciabattino-მეწაღე*)< ნაწარმოებია *punc(hi)èr-დან* (*operare da ciabattino-მეწაღესავით მოქმედება*), ანუ *lavorare con una punta-წვეტიანი საგნით მუშაობა* <*punctulāre*.

- *lāšta* (*scarpe-ფეხსაცმლის ფორმა*)<შესაძლებელია წარმოიქმნა ლათინური ფორმიდან (*ramo-წარმოება*, *pezzo di legno-შემის ნაჭერი*) არტიკლის აგლუტინაციით.

- *muš* (*padre-მამა*), *mùža* (*madre-დედა*), *musc-édro* (*ინდივიდი*, რომელზეც ლაპარაკობენ), რომელიც სავარაუდოდ ნაწარმოებია ლომბარდიულიდან *musc* (ნაცრისფერი, შავის და თეთრის ნარევი), *musèt* (*canuto-ჭაღარა*)<ლათ. *mūscūlus* (ვიროხის ფერიდან).

- *tòca* (*giovane nubile-ქალიშვილი*) <სიტყვიდან *tòch* (*pezzo-ნაჭერი*) გამოთქმის *un bèl tòch de na màrcia მსგავსი un bel pezzo di ragazza-ლამაზი ქალიშვილი*.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სარდინიის ჯერგო. მას რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდა ანტონიეტა დეტორი, რომელიც კალიარის უნივერსიტეტის დოცენტი გახლავთ. მისი სტუდენტების ერთი ნაწილი ინიშნავდა და სწავლობდა ჟარგონს და მისგან ნაწარმოებ სახეობებს სარდინიაში. ამ ნაშრომის წყალობით, რომელსაც „კოლექტიური“ დაერქვა, შესაძლებელი გახდა სარდინიული ჟარგონის კლასიფიცირება იმ სფეროების მიხედვით, რომელშიც ის გამოიყენებოდა. ა. დეტორიმ ხელი შეუწყო კვლევას, გაითვალისწინა ჟარგონის მთელი გამა შიდა ფორმების ჩათვლით. ამას გარდა, ჭეშმარიტი ჟარგონის სახეობებიც, წარმოქმნილი ფორმებიც, რომლებიც ჟარგონების მსგავსია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტრადიციულად არსებობს სხვადასხვა სფეროს ჟარგონები იქნება ეს ვაჭრობა, თაღლითთა თუ ქურდების ჟარგონი. ის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც დაყოფისას შეიმჩნევა არის სოფლის და ქალაქის ჯერგო. ეს დაყოფა გააკეთა პელისმა (1929, 544; 1933, 9-10) იმისათვის, რომ შესაბამისად ერთმანეთისაგან გაემიჯნა მოძრავ ხელოსანთა ჯერგო და დამნაშავეთა ჯერგო. ვაჭართა ჯერგო, ზოგადად, დაკავშირებული იყო მოძრავ საქმიანობასთან, რაც შეეხება სარდინიულ ვარიანტს, ხელოსანთა ერთადერთი ჯერგო, რომელიც კუნძულზე გამოიყენებოდა იზილის რომანისკული ან არაბესკული იყო. ა. დეტორის აზრით, ორი მკვლევარი ა. ჩევიდალი და პ. ატენი (1913:523-524) სწავლობდა მათ. ისინი წარმოადგენენ კრიმინოლოგიის სკოლას. თუმცა, მათ მიერ მოწოდებული მასალა საკმაოდ მწირი და შეზღუდული იყო. ეს მასალა პირდაპირ აიღო ვაგნერმა (1928: 93-94) ზედმეტი დამატების გარეშე. უფო პელისმა პირველი მნიშვნელოვანი მასალა 1934 წლის ივნისში სოფელ იზილიში მიიღო. თავის კვლევებში, ის წარმოგვიდგენს ამ ჯერგოს კორპუსს როგორც *gergo dei ramai del paese del Sarcidano-მეკვამბეთა ჟარგონი სარჩიდანოს მხარიდან*, მაშინ როდესაც, სინამდვილეში ეს იყო ვაჭართა ჟარგონი, ვისაც ხელოსნები ანდობდნენ საკუთარი ნაკეთობების გაყიდვას (დეტორი 1988:102).

სპილენძის წარმოება იზილიში ორი განსხვავებული მიმართულებით ვითარდებოდა. ერთნი, სპილენძის ხელოსნები, რომლებიც თავიანთ სახელოსნოებში მეტალს ამუშავებდნენ, მეორენი კი ვაჭრები, რომლებიც

დაკავებული იყვნენ არსებული საქონლის გაყიდვით, რომელთა რეალიზება მოგზაურობის დროს ხდებოდა. ზოგჯერ, ეს მოგზაურობა თვეები გრძელდებოდა სტაბილური სეზონური ვადების მიხედვით. მექვაბეები აღწერილია როგორც ინდივიდები, რომლებიც ნაკლებად მდიდარ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან, რომელთაც არ გააჩნიათ ხელოსნების ქონება და კომპეტენცია. მათ ბევრი სირთულის გადალახვა უწევდათ მოგზაურობის დროს, რაც გაყიდვის პროცესთანაა დაკავშირებული.

იზილის ჟარგონის სახეობა უდიდეს წილად ადგილობრივ დიალექტს ეფუძნება, განსაკუთრებით, ფონეტიკური და მორფო-სინტაქსური ასპექტის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს მისი ლექსიკა, რომელიც განსხვავებული კომპონენტებისაგან შედგება. ის ქმნის ურთიერთობის მყარ ქსელს, ამ კატეგორიის ჯერგოსთან, ასევე ქურდული სამყაროს ისტორიასთან. ამგვარად, მოხდა სარდინიის დიალექტის უამრავი სიტყვის იდენტიფიცირება ან კიდევ მათთვის ხელახალი მნიშვნელობის მინიჭება. ეს ჩ. სანამ (1978) და კორტელაცომ (1984) გამოამკარავეს. მაგალითად:

-*affroggiat-parlare* <სარდულიდან *affroddiare, affroddiai* (*chiacchierare vanamente, pasticciare*-ამაოდ ტლიკინს ნიშნავს;

-*fruffuru-crusca* <ლუგოდორის დიალექტიდან *fruffere, fuffure* (*crusca*)-ჭორფლი.

-*mruxitta-sterco*-ფუნა<კამპიდანეს დიალექტიდან *mruxa* (*morchia, feccia dell'olio*)-ნალეჯი;

-*muccosa-candela*-სანთელი<სარდულიდან *mucco(moccio)* და *muccosu* (*moccioso*), პროდუქტიული სემანტიკური ასოციაციის საფუძველზე ასევე ჯერგოს სხვა კატეგორიაში (*cf. muccusa- luce*)-სინათლე;

-*eddu-egli*< ნაცვალსახელოვანი ფორმა გალურეს დიალექტიდან ის, რასაც ასევე მიეკუთვნება *dadda-madre*-დედა, *dadaddu-padre*-მამა.

რაც შეეხება ქურდულ კომპონენტთან კავშირს, მხოლოდ რამდენიმე ელემენტს აქვს შესატყვისი კალიარის მნიშვნელობასთან, რომლებიც ადგილობრივი ურბანული ქურდული სამყაროს გამოთქმებია. რომანისკას სიტყვებია:

- *santosa -chiesa-ეკლესია;*
- *follosa-carta moneta, foglio-ქაღალდის ფული;*
- *fangosa-scarpa-ფეხსაცმელი;*
- *coffa- fortuna-ბედი, იღბალი;*
- *coffau- fortunato-იღბლიანი;*
- *improsai- rubare, ingannare-მოპარვა, მოტყუება.*

რაც შეეხება ქურდულ ლექსიკას, ის ადასტურებს რომანისკას ურთიერთობის მნიშვნელოვანი ქსელის არსებობას იტალიურ ქურდულ სამყაროსთან. მაგალითად:

- *trionfa - carne-ხორცი;*
- *alluscai -guardare-ყურება;*
- *dossu - maiale-ღორი;*
- *impruna- notte-ღამე;*
- *sgranari -mangiare-ჭამა;*
- *allenta- acqua-წყალი.*

ქურდული ელემენტები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ხარისხით ყველა იტალიურ ჯერგოში, თვით იზილის შემთხვევაშიც, ქურდული სამყაროს ისტორიულ ჟარგონთან კავშირს ადასტურებს. ის დამოუკიდებელია კალიარის ჯერგოზე და უკავშირდება ვაჭრობას. რომანისკაში შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვების მნიშვნელოვანი ბირთვი, რომელიც სხვა იტალიურ ჯერგოზე მიუთითებს, მაგალითად, მოხეტიალე მექვაბეების ჯერგოზე. მაგალითად:

- *affinari-aguzzare, ridurre sottile*-გალესვა;
- *alluscari - guardare*-ყურება;
- *calliu და scalliu*-ახალი ბერძნულიდან 'καλος' (*bello/a-ლამაზი*), სუფიქსით *s-> scalliu (brutto/a-უხეში)*;
- *giauteddu - ragazzo, figlio*-ბიჭი;
- *cramoccia-testa*-თავი;
- *guria- bottega, negozio*-საქმე, გარიგება, ვაჭრობა;
- *arbaresca*-მექვაბეთა ჯერგო (< *erbaru, arvaru calderaio*)-მექვაბე
- *millanu -soldi, denaro*-ფული;
- *minega-donna, moglie*-ქალი, ცოლი;
- *strangedda- mano, manico*-ხელი;
- *tempera- pane*-პური;
- *straviari- stagnare*-მოკალვა;
- *scoppulari-pulire la stagnatura*-კალის გაპრიალება.

ლექსიკური თანხვედრა, რომელიც მოხეტიალე მექვაბეების ჯერგოს ახასიათებს, მრავალ სხვა კვლევაში იქნა ახსნილი, იმ ჰიპოთეზით, რომ ბოშათა ჯგუფები თავიანთი გადაადგილებით საკუთარ ჟარგონს სხვადასხვა სფეროში ავრცელებდნენ, რომელთანაც ისინი კონტაქტში შედიოდნენ. თუმცა, სუფთა ბოშური ელემენტების პატარა რაოდენობის არსებობამ ვაჭრობის ჯერგოში, ჯ. ტრამპერი (1996:61) იქამდე მიიყვანა, რომ ზოგადად გამორიცხა ბოშური წარმომავლობა მექვაბეთა ჟარგონის სახეობაში. მან მოახდინა რამდენიმე ნიშნის იდენტიფიცირება მათ ლექსიკაში, თუმცა ისინი იტალიური ჯერგოს ყველა სახეობას ახასიათებს. ჯ. ტრამპერის თეორია ეფუძნება იმ ჰიპოთეზას, რომ შიდა ურთიერთობის და

კონტაქტების შექმნას პროფესიონალთა კატეგორიის შიგნით, შეიძლებოდა ფართოდ გაზიარებული ლინგვისტური ბაზა განემტკიცებინა (ტრამპერი 1996: 59-63).

1.4 იტალიური ჟარგონი და მისი ტიპები

ენათმეცნიერებს ჯერაც ვერ განუსაზღვრავთ, თუ რამდენ ფუნქციას ასრულებს იგი. ზოგადად, ცნობილია ენის ორი ძირითადი ფუნქცია: ექსპრესიული და საკომუნიკაციო. ყველა მეცნიერი აღიარებს ენის როგორც საკომუნიკაციო საშუალების უდიდეს მნიშვნელობას მის სხვადასხვა ფუნქციას შორის. ინგლისელი მეცნიერი ჯ.ლაიონსი (1981:3) გამოყოფს ენის სამ ძირითად ფუნქციას: დესკრიფციულს, სოციალურს და ექსპრესიულს. ჯეფრი ლიჩის მიხედვით (1983:134) გამოიყოფა შემდეგი ფუნქციები: ინფორმაციის გადაცემის, აზრის გამოხატვის, დირექტიული, ესთეტიკური (პოეტური) და ფატიკური. ლინგვისტურ ენციკლოპედიაში მითითებულია ენის შემდეგი ფუნქციები: საკომუნიკაციო, კოგნიტიური (შემეცნებითი ანუ ექსპრესიული), ემოციური და მეტაენობრივი. რ.ჰადსონის (1980:45) აზრით, შეუძლებელია ენის შესწავლა ენობრივი კოლექტივისაგან დამოუკიდებლად, რადგანაც ენის ფუნქციონირების შესასწავლად, მუდმივად საჭიროა მისი სოციალურ-კულტურულ კონტექსტში განხილვა. მ. დარდანოც (2005:67) იზიარებს იმ აზრს, რომ ენის შესწავლის მიზნით, საჭიროა სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინება და იმ პირთა ჩართვაც, რომლებიც ლაპარაკობენ იმ კონტექსტში, რომელშიც ენა გამოიყენება. სწორედ, აქედან გამომდინარე XX საუკუნის დასაწყისში ფეხს იკიდებს სოციოლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება ენობრივი მრავალფეროვნების ხასიათისა და გამოვლინების კვლევის შესახებ. იგი იკვლევს ენასა და სოციალურ სტრატეგიკაციას შორის ურთიერთკავშირს, კოვარიანტულობას ენასა და სოციალურ ცვლილებებს შორის. გ. ბერუტოს (1987:12) აზრით, ერთ-ერთი მიმართულება სოციოლინგვისტიკაში, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არის ენის ის ნაწილი, რომელიც დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე, მოლაპარაკის სოციალურ სტატუსზე, ე.წ.

ვარიაციულობის ლინგვისტიკა ანუ ენობრივი მრავალფეროვნების ან ენის სხვადასხვა თავისებურებებისა და მისი არქიტექტურის შესწავლა. აქ ასევე შედის ლინგვისტური ასპექტები (ფონეტიკური, გრამატიკული, სინტაქსური და ა.შ.), რომლებიც დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე და აქვს სოციალური მნიშვნელობა. გ. ბერუტო¹¹ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სოციოლინგვისტიკის მიზანია განისაზღვროს, თუ ვინ და ენის რომელ სახესხვაობაზე ლაპარაკობს, როდის, რომელ კონტექსტში და რომელ პარტნიორთან. ის მიუთითებს მნიშვნელოვან ფაქტებზე, რომლებიც სოციალური რესურსების განაწილების თვალსაზრისით შეიძლება დემოგრაფიული და ასაკობრივი იყოს.

მრავალფეროვნებაში იგულისხმება ენების მრავალფეროვნება, რომლებიც დღესაც სახესხვაობებს ქმნიან და ერთ-ერთი ასეთი სახესხვაობაა ახალგაზრდული ჟარგონი. სოციოლინგვისტიკა, სოციალური კონტექსტებისა და ენის სახესხვაობების წარმოშობის მიზეზების ასპექტით ახდენს სოციოლოგიურ კვლევას. ზოგადად ის იკვლევს ჟარგონებს, კერძოდ, ახალგაზრდულ ჟარგონს. ის, ჟარგონს ანუ ჯერგოს განსაზღვრავს როგორც სტანდარტული ენის სახესხვაობას და ახდენს დარგობრივი ენებისაგან მათ დიფერენციაციას. ახალგაზრდულ ჟარგონში (ჯერგოში), რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ენასთან, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსიკური და სინტაქსური ჟარგონების ანალიზი.

ამ ტერმინს იყენებენ ენის სახესხვაობის განსაზღვრისათვის, რომელიც ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებაში გამოიყენება და რომლებიც მნიშვნელოვნად დაშორებულია საერთო სალიტერატურო ენისაგან ან დიალექტისგან, რომელზეც ამა თუ იმ რეგიონში ლაპარაკობენ. საერთო სახალხო ენისაგან ჟარგონი განსხვავდება სპეციფიკური ლექსიკით და ფრაზეოლოგიით, სიტყვაწარმოებითი საშუალებების თავისებური გამოყენებით. ჟარგონის წარმოშობის შესახებ, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა გვსურს ზოგი რამ გავიმეოროთ და დავაზუსტოთ. თანამედროვე იტალიური ენის ლექსიკონებში მოცემულია ჯერგოს შემდეგი განსაზღვრება: 1. განსაზღვრული სოციალური ჯგუფის ენობრივი ფორმა, რომელსაც იმ მიზნით იყენებენ, რომ

¹¹ იქვე.

გაუგებარი იყოს ამ სოციალური ჯგუფის მიღმა მყოფი ადამიანთა ჯგუფებისათვის. 2. გარკვეული პირობებისათვის ტიპური ენა: ბიუროკრატიული, პოლიტიკური, სტუდენტური სლენგი. ეს გახლავთ მინიშნებები, ირიბი, გასაიდუმლოებული საუბრები. ჟარგონი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ენის სახესხვაობა, რომელიც მომხმარებელთა განსაზღვრულ კატეგორიაზეა ორიენტირებული და წარმოადგენს ამა თუ იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფის აღიარებისა და აგრეთვე ალტერნატიული საზოგადოების გამოხატულების ნიშანს, რომელიც განსაზღვრული საზოგადოების შიგნით ყალიბდება.

ამასთან საჭიროა, რომ დავაზუსტოთ ერთი რამ: ხშირად ტერმინს *ჟარგონი*, არასწორად იყენებენ და მასში დარგობრივ ენებს გულისხმობენ, როგორებიცაა: ჟურნალისტების ჟარგონი, ექიმების ჟარგონი, სპორტის ჟარგონი და ა.შ. კ.სანას (1978:155) აზრით, სამეცნიერო, ტექნიკური, ფინანსური და ა.შ. ენები არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ჟარგონები, რადგან სპეციალური სიტყვების არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს იმ შეტყობინებასთან, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრულ კონცეფციას მიეკუთვნება. იგი არაა დაკავშირებული მოლაპარაკის სოციალურ მახასიათებლებთან. ამიტომ, სამეცნიერო ჟარგონების ნაცვლად უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი „დარგობრივი ენა“. ამ მოსაზრებას იზიარებენ იტალიელი ლინგვისტები, მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ენებს (ანუ დარგობრივ ენებს) აქვს გარკვეული ასპექტები, რომლებიც აახლოებს მათ ჟარგონთან. მნიშვნელოვანია სპეციალური ლექსიკონების არსებობა, რაც აუცილებელია იმათთვის, ვისთვისაც ეს ენა გაუგებარია და ვინც ამ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს არ განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, კ. მარკატოს და ფ. ფუსკოს (1994:30) აზრით, საჭიროა მკვეთრად გაიმიჯნოს ეს ორი ენობრივი სახესხვაობა ორი ფაქტორის მიხედვით: 1) დარგობრივი ენა არ გამოირჩევა სპეციალური ფუნქციით, იმ თავისებურებებით, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ჟარგონისათვის და ტიპურია. აქ იგულისხმება სოციალურ-ფსიქოლოგიური კონოტაცია, რომლის მიზეზითაც წარმოიშვება ჟარგონი როგორც «ბრძოლა საერთო ენის წინააღმდეგ» ან როგორც ანტიენა; 2) სპეციალური (დარგობრივი) ენები უშუალოდ დაკავშირებულია

ადამიანის მოღვაწეობის ამ თუ იმ სფეროსთან და გამოიყენება ის ლექსიკა, რომელიც ერთი პროფესიის ადამიანებისათვისაა მისაღები და გასაგები.

მ.დარდანო (2005:19) გვიჩვენებს, რომ ყურადღება მივაქციოთ სოციალურ დინამიკასა და იმ ენას, რომელიც იმ ადამიანთა ჯგუფის შიგნით აღმოცენდება, რომლებიც ერთმანეთთან ცხოვრების საერთო პირობებით არიან დაკავშირებული და ერთი და იმავე გარემოში ცხოვრობენ. ხშირად სიტყვების იშვიათ და უცნაურ კონტექსტში გამოყენების წინასწარ გათვლა ამა თუ იმ ჯგუფის შიგნით შეუძლებელია, რამდენადაც ის ფაქტობრივად იმ სიტუაციას შეესაბამება, რომელშიც ჯგუფის ყველა წევრი მონაწილეობს. ესაა ახალი მოგონილი ლექსიკა, თუმცა ხელოვნურია და საიდუმლოა საქმეში ჩაუხედავთათვის. კ. სანას(1978:156) აზრით, ჟარგონი, უპირველეს ყოვლისა, «ხელოვნური» და «გასაიდუმლოებული» ენაა. თუმცა, ეს მთლად მართებული არაა, რადგან ხელოვნური ენა უმეტესად ფონეტიკური და ლექსიკურის ნიშნების მექანიკური დეფორმაციის შედეგად მიიღება. მისი საიდუმლო ბუნების მიზანი კი ისაა, რომ გაუგებარია მხოლოდ «უცხოთათვის», ანუ იმათთვის, ვინც განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს არ მიეკუთვნება. მ.დარდანოს (2005:18) აზრით, ჟარგონი არა მარტო იმ მიზნით იქმნება, რომ დაფაროს საკომუნიკაციო ინტენცია, არამედ მეგობრების გასაოცებლად და მტრების მოსატყუებლად. კ.სანა (1978:156) კი აღნიშნავს, რომ რეალობაში ჟარგონი თითქმის არ გამოიყენება უცხოების თანდასწრებით. მას გარკვეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარი ჯგუფის წევრების იდენტიფიკაციისათვისაც კი იყენებენ, ან ამოწმებენ სტანდარტულ ენაზე მოლაპარაკე პირებს, თუ რამდენად ესმით მათ ჟარგონული სიტყვების მნიშვნელობა.

ო.ლურატი (1990:221) ამტკიცებს, რომ იტალია მდიდარია ტერიტორიული დიალექტებით და ხშირად ლაპარაკობენ რომელიმე დიალექტზე, რომ სხვამ არ გაიგოს მათი საუბარი, მაგრამ ჟარგონი სხვა რამეა, რადგან იგი წარმოადგენს «ენას და ერთგვარ ხრიკს». ჟარგონი დიალექტისაგან განსხვავებით არ არის საერთო ეროვნული ენისაგან სრულიად დამოუკიდებელი, რადგანაც სისტემატურად იყენებს მის ლექსიკურ მარაგს, გრამატიკულ სტრუქტურებს და ა.შ. ჟარგონში გვაქვს

ინტენცია, რომ მოცემული სოციალური ჯგუფისათვის შეფერხდეს უცხო ადამიანებთან ურთიერთგაგების პროცესი. ამ თავისებურებას გასაიდუმლოება ეწოდება. სტუდენტთა ჯგუფის ზოგიერთ სიტყვას შეიძლება არ ჰქონდეს საიდუმლო ენის ეფექტი. ამიტომ, ჟარგონი ზუსტი მნიშვნელობით არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას.

ხშირად, ჟარგონი სწრაფად კარგავს თავის «დამოუკიდებლობას» ან გამოდის ხმარებიდან, ზოგიერთი სიტყვა კი, რომელიც ჟარგონში წარმოიშვა, შეიძლება სტანდარტულ ენაში გადავიდეს. მაგალითად, ცნობილი ტერმინი *cosa nostra*, წარმოიქმნა მაფიის ჟარგონიდან. ჯერგოს ვიწრო მნიშვნელობით გამოყენებასთან ერთად არსებობს ამ ტერმინის ფართო მნიშვნელობით გამოყენება. საქმე ეხება იმას, რომ მას იყენებენ გარკვეული თვალსაზრისით და განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფში, მაგრამ მას აკლია იდუმალების ელემენტი. ჯერგო ფართო მნიშვნელობით შეიძლება გულისხმობდეს ახალგაზრდების და პროფესიონალების ჟარგონებს. დარგობრივი ენისათვის დამახასიათებელია ის, რომ ადამიანური მოღვაწეობის განსაზღვრული სექტორი, რომელიც სპეციალიზირებული ლექსიკით, ანუ კონკრეტული ტერმინოლოგიით ხასიათდება, იყენებს პროფესიულ ლექსიკას, რომელიც დილექტანტებისათვის უცხოა. ამ ლექსიკის გამოყენებას ხანგრძლივი დროით ერთ სფეროში მოღვაწეობა განაპირობებს. ჟარგონი არ შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სამეცნიერო ჟარგონი, ტექნიკური თუ ფინანსური. სპეციალური ტერმინების შექმნა გაპირობებულია კომუნიკაციით. ჟარგონები არაა დაკავშირებული მოსაუბრის სოციალურ მახასიათებლებთან. ადამიანები იმყოფებიან გარკვეულ პირობებში, მუშაობენ ერთად და საერთო ცნებებს იღებენ, რომლებიც ვრცელდება წიგნების და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გზით. ცხოვრებაში შეიძლება ყოველდღიურად გავიგონოთ სამეცნიერო ან სპეციალიზირებული ჯერგო (მაგალითად: *სამედიცინო ჯერგო-medichese*, *იურიდიული ჟარგონი-legalese*, ინფორმატიკასთან დაკავშირებული ჟარგონი და ა.შ.) ლინგვისტიკას ურჩევნია ასეთ შემთხვევაში მათ პროფესიული მეტყველება უწოდოს.

ასეთი განსაზღვრება აღიარებულია იტალიურ ენაში, თუმცა ის არაა უნივერსალური. საუბრისას ახალგაზრდები იყენებენ გარკვეულ სიტყვებს, რომელთა გაგებაც არ არის შეუძლებელი, ზოგჯერ კი იყენებენ ენაში არსებულ სიტყვებს სხვა მნიშვნელობით. ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ მინიშნებებით, ანუ იყენებენ ჩვეულებრივ სიტყვებს, რომელთა საიდუმლო მნიშვნელობა ზედაპირზე არ ჩანს. ხშირად იყენებენ მეტაფორებს ან მეტაფორულ სიმბოლოებს. მაგალითად: *paglia* ნიშნავს *სიგარეტს*, *darsi una punta* - *პაემანის დანიშვნას*, *Che Bongata* ნიშნავს *ბედი ძწყალობს*.

ახალგაზრდები ხშირად იყენებენ ტერმინებს, რომლებიც ტაბუდადებულია საზოგადოებაში. ეს ტერმინები დაკავშირებულია სექსთან, ნარკოტიკებთან, რომელსაც «მაგარი» ბიჭები და კრიმინალები იყენებენ. ის ახალგაზრდები, რომლებიც საუბრისას ჟარგონებს მიმართავენ, ცდილობენ «კარგად მოსაუბრე და კარგად მწერ» *benparlanti e benscriventi* გავლენიან წრეებს ჩამოსცილდნენ. საერთო ენას თავისი წვლილი შეაქვს ამგვარი ჯგუფების ფორმირებაში. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების ჯგუფების ჯერგოს, სტილისტური შეფერილობა ახასიათებს და ხშირად გამოიყენება რეგიონალური ხასიათის სიტყვები და გამოთქმები. მაგალითად, რომის ახალგაზრდების მეტყველება განსხვავდება მილანის ახალგაზრდების მეტყველებისაგან. ისინი ხშირად იყენებენ ფრანგულში გამოყენებული ვერლანის მსგავსს ფორმებს. მაგალითად: სიტყვა *sbirro* ნიშნავს *პოლიციელს*, მისი ვერლანიზებული ფორმა იქნება *rosbi*. სიტყვები, რომლებიც იწყება თანხმოვნებით *c*, *ch*, ჩანაცვლებულია ასოთი *K*. სიტყვაში *perché* - *რატომ*, კოდის სახით *per* ჩანაცვლებულია *x*-ით და ვიღებთ *xché*, *xké*. ხდება მთელი წინადადების აკრონიმიზაცია. მაგალითად: *TVB-ti voglio bene*, ნიშნავს *ძიყვარხარ*. ენები გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის განსაზღვრულ სფეროებში, თუმცა, განსხვავდება დარგობრივი ენებისაგან. ისინი უფრო ჯერგოს ჰგავს და ამიტომ ძირითადად, მხოლოდ ამ სოციალურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის დროს გამოიყენება. იტალიურ ენაში გამოიყოფა ასეთი ჯერგოს რამდენიმე ჯგუფი:

-სტუდენტური ჯერგო (*bocciatura-გამოცდაზე ჩაჭრა; marinare la scuola-გაკვეთილების გაცდენა; secchione-მზუთხავი*);

-ყაზარმის ჯერგო (*nonno-ბაბუა, ჯარისკაცი, რომელიც დიდი ხანია სამხედრო სამსახურშია ახალწვეულებთან შედარებით; sbobba-სალაფავი; marmittone-ღორმუცელა ჯარისკაცი*);

-თეატრალური ჯერგო (*cavalla-far forno-ცარიელ დარბაზში თამაში; fiasco-ფიასკო*);

-კინოს ჯერგო (*cameo-peplum-მითოლოგიური შინაარსის მქონე ფილმი*);

-ტელევიზიის ჯერგო (*bucare lo schermo, promo, traino*);

-ჟურნალისტური ჯერგო (*bucare la notizia, essere sul pezzo, chiudere il numero*);

-სპორტული ჯერგო (*Melina, torello, andare in bambola*);

-ტიპოგრაფიული ჯერგო (*refuso, quadratone, grazia*) და სხვა.

ჯერგოს წინააღმდეგ ბრძოლა XVII საუკუნეშიც გრძელდებოდა, და ასევე შემდეგ პერიოდებშიც. მათ განიხილავდნენ კრიმინოლოგიური მნიშვნელობით, საზოგადოების წინააღმდეგ შექმნილი მტრული საზოგადოების ანუ *controsocietà nemica*-ს თვალსაზრისით. XIX საუკუნეში განსაზღვრული ინტერესი გაჩნდა ანთროპოლოგიური ტრაქტატების მიმართ. განსაკუთრებით კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ხასიათის ტრაქტატების მიმართ.

XX საუკუნეში სახელმწიფოში დამნაშავეთა ჯგუფების თანდათანობითი ინტეგრაციის მოწმენი გავხდით. ეს ეხება მაფიის ფენომენს, რომელმაც დასაბამი მისცა ჟარგონულ მეტყველებას. ე.ფერერო (1991:4) გვახსენებს ტერმინს *mafiese*, რაც სიტყვის *mafiosa*-ს ენობრივი სახეობა იყო, რომელიც მთელ მსოფლიოში სახელმწიფო დონეზე გამოიყენებოდა და ახლა არ ითვლება ჟარგონად, რადგანაც აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას.

მაფიის ჟარგონიზმების ერთადერთი მიზანია მნიშვნელობის გასაიდუმლოება. ამ ჯერგოში შემავალი სიტყვები ჰერმეტიული, კომპაქტური და სტაბილურია. მაგალითად, სიტყვას *uccidere-მოკვლა* აქვს უამრავი სინონიმი. ესენია: *astutàri*-სალიტერატურო ენაში ნიშნავს «ჩახშობას, ჩაქრობას»; *attumulài-დამარხვას*; *ncasciàri-კუბოში ჩაკეტვა*; *addumniisciri- მიძინება*; *aggiuccàri-გალუნვა*; *asciucàri-გამშრალება*.

კრიმინალურ ჯერგოს მიაკუთვნეს რეგიონალური წარმოშობის ბევრი სიტყვა. მაგალითად: *caramba-კარაბინერი*; *pula-პოლიცია*; *buiosa-საკანი*; *scapuzzador-მკვლეელი*; *ruffante-ჯიბის ქურდი*; *casché-წვრილი ქურდობა*; *cravattaro-მევახშე*; *berta-პისტოლეტი*. ჩვეულებრივ არაკრიმინალური სამყაროს ჯერგო ხმარებიდან გამოსვლის შემდეგ დავიწყებას ეძლევა და ხდება მათი ჩანაცვლება ახალი ტერმინებით. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ამ ჯგუფისათვის ტიპურია უწყვეტი ევოლუცია, თაობათა ჯერგო და მათ გააჩნიათ შეზღუდული გავრცელება, ძირითადად, ერთ რომელიმე რეგიონში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბევრი ჟარგონული სიტყვა ან გამოთქმა საერთო ეროვნულ ენაში კინო-ფილმებით, სიმღერებით, გაზეთებით ვრცელდება და ამგვარად, თავის მუდმივ ადგილს იმკვიდრებს საერთო იტალიურ ლექსიკაში. მაგალითად: *pivello-ყმაწვილი*; *strizza-შიში*; *grana-ფული*; *frana-მოუქნელი*.

იტალიის ტიჩინოს კანტონის ხეობაში ადრეც და ახლაც ნაწილობრივ ჯერგოზე ლაპარაკობენ, განსაკუთრებით მოხეტიალე ხელოსნების საზოგადოების შიგნით. როგორც წესი, ამ ჯერგოდან რამდენიმე ასეული სიტყვა გამქრალია, ამა თუ იმ პროფესიის გაქრობასთან ერთად, რომელთა შორისაც გავრცელებული იყო ჯერგო. ისინი უმეტესწილად იყენებდნენ იტალიური ენის რომელიმე დიალექტს. გეოგრაფიულად დაშორებული რეგიონებისათვის ჟარგონების გამოყენების თვალსაზრისით საერთოა ის, რომ ისინი იყენებენ ალბანური და ახალბერძნული წარმოშობის სიტყვებს. ეს სიტყვები მოხეტიალე ხელოსნებს შემოჰქონდათ. ხელოსნების მეტყველების ანალოგიურად, იტალიაში არსებობდა ჟარგონები, რომელიც ნასესხები იყოს ბოშური მეტყველებიდან. ამას ძალიან შეუწყვეს ხელი

სიცილიელმა მოგზაურებმა, რომლებიც მისდევდნენ დანების ლესვას, მექვაბეობას, მეჯინიბეობას. ტიჩინოს კანტონის იტალიურ ჯერგოში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფები: პატიმრებისა და არალეგალურ დამნაშავეთა ენა; მათ ლექსიკაში ბევრი სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს ციხეს და ფულს. მწყემსების ჯერგო, ვაჭართა ჯერგო, რომლებიც იყენებენ ლომბარდიულ ჯერგოს, გამყიდველთა, კალატოზების, ქუჩის მოვაჭრეების, მოგზაურთა, მეთუნუქეთა, ღვინის გადამზიდველების, ძეხვეულის გამყიდველების, მეკასრეების, ბეწვეულის გამომყვანების, მოხეტიალე მუსიკოსების, სიცილიელ ბოროტმოქმედთა, დღიური მუშების, კარუსელის მუშებისა და ცირკის მსახიობების ჟარგონები.

ენის ისტორია აგრეთვე ჯერგოს ისტორიაც არის, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება, იგი შეიძლება გადავიდეს წერილობით ფორმაში, შედის ზოგიერთ ლიტერატურულ ჟანრში. ასე მაგალითად, ახალგაზრდული ჟარგონის სიტყვებია: *lecchino-ლაქუცა: tosto-მაგარი; imbranato-მოუქნელი; sputtanare-სახელის გატეხვა: sfiga - მარცხი: arrappare - აღზნება: guffare - გათვალვა და სხვა.*

ჟარგონები, რომლითაც იტალიური ენა მდიდარია, როგორც ესპანური და ფრანგული ენები, ძალიან გამომხატველობითია ზეპირი ფორმით კომუნიკაციის დროს. ხშირად მათგან ვითარდება პოპულარული ანდაზები და ფორმულები, რომლებიც მარგინალური ჯგუფების ცხოვრების მახვილგონიერებას გამოხატავს. ჯერგო ემსახურება ყველაფერს, ბგერის გამდიდრებას, რადგანაც კოდების ენას ყოველთვის არ შეუძლია დააკმაყოფილოს საკომუნიკაციო ინტენციის ყველა ნიუანსი, გამოხატოს ზოგჯერ ეფემერულ კოდში დამუშავებული და დაბინძურებული ფორმები, რასაც ხშირად სალიტერატურო საერთო სახალხო ენა აწყდება. ჯერგო ყოველთვის წარმოადგენს სპეციალურ მკვეთრად გამოხატულ მეტყველებას, რომელსაც ორი ძირითადი მახასიათებელი აქვს: 1) ჰქონდეს ისეთი თვისება, რომლითაც ის ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება; 2) არ უნდა იყოს ადვილად გასაგები იმათთვის, ვინც ამ ჯგუფის მიღმაა.

ჯერგოს გამოყენებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდები, პოლიტიკოსები, სამხედროები და განსაკუთრებით კრიმინალური ჯგუფები,

რომელთა კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს შეტყობინების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა. მაშასადამე გამოიყენოს მეტაფორული გამოთქმები. მაგალითად: *palo* -თანამზრახველი; *cantare*-აღსარება; *dritta*-ზუსტი ინფორმაცია.

იტალიაში ახალგაზრდების ტიპურ გარემოს წარმოადგენს ყაზარმული ცხოვრება, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას ბევრი ახალგაზრდა სხვადასხვა რეგიონიდანაა ჩამოსული და მათ ერთმანეთთან ურთიერთობა უწევთ. სიტყვები *imbranato*-მოუქნელი და *pezzo grosso*-დიდი ნაჭერი, სწორედ ასეთი გამოყენების შედეგად დამკვიდრდა ენაში.

ახალგაზრდული ჟარგონიზმების სახეობაა სხვა ისტორიული ტენდენცია, რომელსაც *parlare snob*-სნობური მეტყველება ეწოდება. იგი დამახასიათებელი იყო 50-იანი წლების მილანელებისათვის. XX საუკუნის 60-იან წლებში ჯერგო ფართოდ იკიდებს ფეხს პოლიტიკურ, მუსიკალურ და გასართობ წრეებში. მაგალითად: *i sessantottini*; *gli indiani metropolitani*; *il movimento della pantera*; *punk*; *metallari*; *i paninari*.

იტალიაში გაჩნდა «ფარული» ჟარგონული ლიტერატურის ფენომენი. ამ მხრივ აღსანიშნავია 70-იანი წლების სექსუალური ჯერგო მარკო ლომბარდოსა და ლიდია რავერას წიგნში *Porci con le ali*-ფრთიანი ღორები. ასევე აღნიშვნის ღირსია ჯანი სერასა და ტომზო შემანის ფილმი, რომელშიც პანკის ჟარგონებია შესული *La ragazza di via Millelire* -მილეირეს ქუჩის გოგო.

ჟარგონების მიზანია დატვირთოს ენის გამომსახველობითი ძალა, რის გამოც ხშირად ხდება სიტყვების მეტაფორიზაცია. მაგალითად: *pinguino*-გულგრილი; *vescicone*-მსუქანი; *trip*-ნარკოტიკული საშუალება; *inzurlida*-სულელი; *poser*-თვალთმაქცი.

ახალგაზრდულ ჯერგოში გამოიყენება ისეთი სიტყვები, რომლებიც ნაცნობია უფროსებისათვის, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობით იყენებენ. ეს სიტყვები სწრაფად იცვლება, მაგრამ თაობებში ტოვებს სახასიათო ნიშანს. ბევრი სიტყვა შემოდის

რეკლამებიდან, ფილმებიდან, როკის, რეპის მეშვეობით, დიდია ამერიკანიზმების ზეგავლენა. იტალიურში ხშირად გვხვდება ტერმინები და გამოთქმები, რომლებიც პირდაპირ ქუჩიდან, ბარებიდან, სხვადასხვა წრეებიდან, დისკოთეკებიდანაა აღებული. ბევრი ჟარგონი თვით სკოლებშიც კი აღწევს. ზოგიერთი სიტყვა წინა თაობების დიალექტებიდან ნასესხები სიტყვებია. საოცარია ის ფაქტი, თუ როგორ ამახინჯებენ ახალგაზრდები იტალიურ ენას. ისინი ერთმანეთში უმოწყალოდ ურევენ ყველაფერს და შედეგად ვიღებთ საბოლოო პროდუქტს, რომელიც ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება იტალიელი პურისტების შეხედულებას.

დასკვნები

პირველი თავის დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჟარგონი არა მარტო ფარული ენის სიმბოლოა, არამედ ის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ენაა, რომლის მეშვეობითაც ამ ჯგუფის წევრები ურთიერთობენ და თანაც ის უცხოა სხვებისთვის. ყოველი თაობა ან სოციალური ჯგუფი რაღაც ენას შეიმუშავებს ერთმანეთთან სასაუბროდ ისე, რომ გაუგებარი იყოს სხვებისათვის. ენობრივი სლენგის ერთ-ერთი მაგალითი ახალგაზრდული ენაა. ამ ფენომენში საინტერესოა ის ფაქტი, რომ უფროსი თაობა ვერ იგებს ახალგაზრდების ენას. ზოგიერთი ჟარგონული სიტყვა, ადრე თუ გვიან ენის ნაწილი ხდება. ჟარგონის წარმოქმნა შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდს უკავშირდება. სწორედ, შუა საუკუნეები ყველაზე ნაყოფიერი იყო მოხეტიალე ადამიანების არსებობისათვის, რომლებიც ცხოვრების მძიმე პირობებმა წარმოქმნა. XIX საუკუნის შუა პერიოდში, დანაშაულებრივი ჯგუფები შეიქმნა, იმატა დანაშაულმა. ამასთან ერთად, ჟარგონით იტალიელი მეცნიერები დაინტერესდნენ და ენობრივი მოვლენები აღწერეს. დიდი ზეგავლენა იქონია ჟარგონზე დიალექტებმა. ჟარგონის, კლასიკური გაგებით, საიდუმლო ფუნქცია სავალდებულო პირობაა, რომელიც ასევე ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფის ერთიანობას. ჟარგონის წარმოშობას თავისი ისტორია აქვს. მის წარმოშობას და საფრანგეთიდან

იტალიაში გავრცელებას ბოშებმა შეუწყვეს ხელი, რადგანაც პირველი ჟარგონული სიტყვები სწორედ საფრანგეთში გაჩნდა. დღეს ბოშები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ. ბოშები ლაპარაკობდნენ და დღესაც ლაპარაკობენ ჟარგონზე, რომელსაც რომანი ეწოდება. იგი დიდ ანალოგიას ავლენს ჰიმალაის სამხრეთის დიალექტებთან. მასში შერეულია სპარსული, ბერძნული, რუმინული ენების მეტნაკლებად დამახინჯებული სიტყვები, აგრეთვე იმ ხალხის ენებიდან ნასესხები ფორმები, ვის გვერდითაც ბოშებს უწევდათ ცხოვრება. ბოშების ხშირ კავშირს მათხოვრებთან გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა მათ მეტყველებაზე, ჟარგონზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მათხოვართა მეტყველებაში შემოვიდა სიტყვები სანსკრიტიდან, სპარსულიდან, ჰინდიდან, სლავურიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი ძალზე მცირეა. ყველაფერი ზემოთქმული საკმარისია იმისათვის, რომ მეცნიერულად დავასაბუთოთ ამ ხალხებს შორის კავშირი, რათა მათმა ისტორიამ სათანადო ადგილი დაიკავოს იმ კლასთა ისტორიის გვერდით, ვინც ჟარგონზე ლაპარაკობს. ქურდული ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით ყველა იტალიურ ჯერგოშია წარმოდგენილი, ადასტურებს ქურდული სამყაროს კავშირს ისტორიულ ჟარგონთან. იტალია მდიდარია ტერიტორიული დიალექტებით და ხშირად ლაპარაკობენ რომელიმე დიალექტზე, რომ სხვამ არ გაიგოს მათი საუბარი, მაგრამ ჟარგონი სხვა რამეა, რადგან იგი წარმოადგენს «ენას და ერთგვარ ხრიკს». ჟარგონი დიალექტისაგან განსხვავებით არ არის საერთო ეროვნული ენისაგან სრულიად დამოუკიდებელი, რადგანაც სისტემატურად იყენებს მის ლექსიკურ მარაგს, გრამატიკულ სტრუქტურებს და ა.შ. ჟარგონში გვაქვს ინტენცია, რომ მოცემული სოციალური ჯგუფისათვის უცხო ადამიანებთან შეფერხდეს ურთიერთგაგების პროცესი. ამ თავისებურებას ეწოდება გასაიდუმლოება. სტუდენტთა ჯგუფის ზოგიერთ სიტყვას შეიძლება არ ჰქონდეს საიდუმლო ენის ეფექტი. ამიტომ, ჟარგონი ზუსტი მნიშვნელობით არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას. ჯერგოს გამოყენება დაკავშირებულია ახალგაზრდების მეტყველებასთან. საუბრისას ახალგაზრდები გარკვეულ სიტყვებს იყენებენ, რომელთა გაგებაც შეუძლებელი არაა, ზოგჯერ კი იყენებენ ენაში არსებულ სიტყვებს სხვა მნიშვნელობით. ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ მინიშნებებით, ანუ იყენებენ

ჩვეულებრივ სიტყვებს, რომელთა საიდუმლო მნიშვნელობა ზედაპირზე არ ჩანს. ხშირად აქვს ადგილი მეტაფორების ან მეტაფორული სიმბოლოების გამოყენებას. იტალიურ ენაში არსებობს სხვადასხვა ტიპის ჯერგო: სტუდენტური ჯერგო; ყაზარმის; თეატრალური; კინოს; ტელევიზიის; ჟურნალისტური; სპორტული; ტიპოგრაფიული; ფაბრიკა-ქარხნის ჯერგო; ვაჭრობასთან დაკავშირებული ჯერგო.

XX საუკუნეში, სახელმწიფოში დამნაშავეთა ჯგუფების თანდათანობითი ინტეგრაციის მოწმენი გავხდით. ეს ეხება მაფის ფენომენს, რომელმაც დასაბამი მისცა ჟარგონულ მეტყველებას. ახალგარდული ჯერგო თავისებურია და მასში ისეთი სიტყვები გამოიყენება, რომლებიც ნაცნობია უფროსებისათვის, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობით იყენებენ. ეს სიტყვები სწრაფად იცვლება, მაგრამ თაობებში ტოვებს სახასიათო ნიშანს. ბევრი სიტყვა შემოდის რეკლამებიდან, ფილმებიდან, როკის, რეპის მეშვეობით, დიდია ამერიკანიზმების ზეგავლენა. იტალიურში ხშირად გვხვდება ტერმინები და გამოთქმები, რომლებიც პირდაპირ ქუჩიდან, ბარებიდან, სხვადასხვა წრეებიდან, დისკოთეკებიდანაა აღებული. ბევრი ჟარგონი თვით სკოლებშიც კი აღწევს. ზოგიერთი სიტყვა წინა თაობების დიალექტებიდან ნასესხები სიტყვებია. საოცარია ის ფაქტი, თუ როგორ ამახინჯებენ ახალგაზრდები იტალიურ ენას. ისინი ერთმანეთში უმოწყალოდ ურევენ ყველაფერს და შედეგად ვიღებთ საბოლოო პროდუქტს, რომელიც ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება იტალიელი პურისტების შეხედულებას.

თავი 2. თანამედროვე ახალგაზრდული ჟარგონი როგორც ლექსიკური მოვლენა და მისი სტილისტურ-საკომუნიკაციო ტიპები

2.1. ჟარგონები იტალიურ ლინგვოკულტურულ არეალში

იტალიური სოციოლინგვისტიკა ფართოდ იხილავს ახალგაზრდების ენას იტალიური ენის სახესხვაობების კვლევის ძირითად კორპუსში. სანამ კომუნიკაციის პირდაპირ და უშუალო ხერხების ფუნქციებზე ვისაუბრებთ, საჭიროა გავიხსენოთ თუ ვინ არიან ამ კვლევის ძირითადი სუბიექტები. იტალიური ენა ხასიათდება ერთიანობით, შედარებით გვიანდელი ლინგვისტიკით. 150 წელზე ნაკლები პერიოდიდან იტალია შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ენობრივადც გაერთიანებულად. იტალიურ ენას სოციოლინგვისტური გამოყენება არ ჰქონდა, არც ზეპირად და არც წერილობით, განსაკუთრებით ნაკლებად შეძლებულ ადამიანებში. ეს სიტუაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ არსებობდა დიალექტური სისტემები, რომლებიც პოლარიზაციის პირობებში შესანიშნავ დისგლოსიის პირობას ქმნიდა. მოსახლეობის უმეტესობა სხვადასხვა დიალექტზე საუბრობდა, რომელიც პრივილეგირებულ ენობრივ სისტემას წარმოადგენდა, წერითი ფორმის გარდა, ყველა სიტუაციასა და სოციოლინგვისტურ დაშრევაში, რომელიც ტიპურად დამახასიათებელი იყო პრივილეგირებული მოსაუბრე უმცირესობისათვის. იტალიური ენის სისტემური გავრცელება XX საუკუნეში, ძირითადად სკოლის და მოგვიანებით მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დამსახურება იყო, კერძოდ, მისი დაშრევებით დიალექტის ფენაზე, რომელიც საფუძვლად დაედო ენის სხვადასხვა სახეობის გავრცელებას და წარმოქმნას, ანუ იტალიური ენის მკვეთრად განსხვავებული ფორმების არსებობას, რომლებიც ენობრივი სიტუაციიდან გამომდინარეობდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს იტალიის რეგიონების ენების სახესხვაობები, რომლებსაც ძირითადად როგორც ფონეტიკური, ისე ლექსიკური თავისებურებები ახასიათებთ. ამ მხრივ უნდა ვახსენოთ, ტიჩინოს კანტონის დიალექტი, ხალხური იტალიური, რომელიც მოსაუბრის მიერ ცუდად იქნა ათვისებული, რეგისტრების მიხედვით განსხვავებული იტალიური, ქვეკოდები (ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ტიპური სახეობები, განსაკუთრებით

პროფესიული, მარკირებულ იქნა ზოგადად ლექსიკურ დონეზე), ჟარგონები (ჯერგო) (მარგინალური ენობრივი გაერთიანებების სახეობა საიდუმლო დანიშნულებით, რომელიც უკვე გავრცელებული იყო დიალექტურ სისტემაში, მჭედელთა, მეავეჯეთა ჟარგონები და სხვა). ამ სოციოლინგვისტურ სისტემას ემატება სხვა ენები, რომლებიც წარმოდგენილია იტალიის ტერიტორიაზე (ისტორიულად უმცირესობათა ენები, იმიგრანტთა ენები, ასევე დიალექტები), სხვადასხვა „შრეები“, რომლებიც იტალიური ენის ნორმით რეგულირდება, ზოგადად განსაზღვრულია საშუალო იტალიურით, ნეოსტანდარტული იტალიურით, ნეო-იტალიურით, ახალი იტალიური ნორმით და ა. შ.

იტალიელი ახალგაზრდობა თავის ენაზე, ანუ ჯერგოზე საუბრობს. აღსანიშნავია, რომ მისი გაანალიზება შეიძლება რეგიონალური ცვალებადობის პერსპექტივაში. ალესიო პეტრალი თავის ნაშრომში საუბრობს ტეჩინის რეგიონალური იტალიურის ლექსიკურ თავისებურებებზე. ასეთებია „ახალგაზრდული ტეჩინიზმები“ (*Bigiare, Bigione, Limonare, Flippare, Cagno, inzigare, tipo sano* და სხვა), რომელიც არ განსაზღვრავს ნამდვილად რეგიონალურ წყაროს, თუმცა, აპრიორი ჩნდება ეჭვი ამ ტიპის კულტურული მოვლენის ჩარჩოს შესახებ. რაც შეეხება ახალგაზრდულ ჟარგონს, იმისათვის, რომ მოხდეს ამ ენის ათვისება, მას აკლია საიდუმლო ფუნქცია (შეტყობინების შინაარსი გაუგებარი უნდა იყოს უცხოთათვის), ასევე მოსაუბრეთა გაერთიანების სოციალური იზოლაცია და ასევე სხვა მახასიათებლები, რომლებიც ხაზს უსვამენ ჯერგოზე მოსაუბრეთა იდენტობის სოციალურ კატეგორიას, რათა გამოეყონ სხვა ჯგუფებს. ამგვარად, თუკი, ერთი მხრივ, პრობლემატურია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდების ენა იტალიური სოციოლინგვისტური სისტემის ერთ-ერთ სახეობას მივაკუთვნოთ, მეორე მხრივ, საკმაოდ მარტივია, რომ მივუთითოთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც აშკარას ხდის სოციოლინგვისტურ დიფერენციაციას. ის ტიპურია იტალიის გაერთიანების შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც იტალიურად საუბრის თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის მოსაუბრეთა მიერ, მნიშვნელოვანი აღმავლობით ხასიათდება განსხვავებულ სიტუაციაში და განსხვავებული მიზნებისათვის. ის, ვინც სწავლობს ახალგაზრდების ენას, ზოგადად, გამოყოფს სამ მახასიათებელს: დინამიკურ მუდმივ

განვითარებას, მის არსებობას სხვა ლექსიკოგრაფიულ ისტორიულ კონსოლიდირებულ საფუძველზე (ახალგაზრდების ენა ხანგრძლივი ვადით), პერიოდიზაციის არსებობას, რომლის გამიჯვნაც მთლიანობაში ადვილად შესაძლებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდული ენა დროში დიდ ცვლილებას განიცდის, თუმცა, იმავე დროში ზოგიერთ ფუნქციას ინარჩუნებს, შეგვიძლია განვსაზღვროთ წელი, როდესაც ცვლილება განხორციელდა. ცვლილებები ძირითადად ლექსიკური ხასიათისაა. თუმცა, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით, ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა: ინტონაცია და ენობრივი კოდი გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭათ.

ახალგაზრდული ენა თავისი განვითარების 3 ან 4 ეტაპს გადის. ყველაზე ადრინდელი პერიოდიდან მოყოლებული 1968 წლამდე (68 წლის ჩათვლით, არა როგორც თავისი ქრონოლოგიური ასპექტით, არამედ, როგორც ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური მოვლენა). ამ დროს, ახალგაზრდული ენა მთლიანად დაკავშირებულია პრივილეგირებულ სტუდენტებთან და სკოლასთან. სწორედ ამ დროს, ისტორიკოსების თქმით, ახალგაზრდულ ენაში ისეთი სიტყვების ფორმირება მოხდა, როგორებიცაა: *secchione-ზუთხია*, *bigiare-marinare la scuola-სკოლის გაცდენა*. (ზოგიერთი წყაროს მიხედვით ის უკვე არსებობდა XIX საუკუნეში). აღნიშვნის ღირსია, განხეთქილება 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სექსუალური ემანსიპაციის და ნარკოტიკების გამოყენების გამო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, 70-იანი წლების და 80-იანი წლების დასასრულით შეიძლება აღვნიშნოთ ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი. იდენტურობის აღმნიშვნელი კომპონენტების ექსპლიციტური შემოსვლა და ასევე ჯგუფების ამოცნობა. დაბოლოს, მესამე (მეოთხე) პერიოდი უკავშირდება მასობრივი კომუნიკაციის ახალი საშუალებების შემოსვლას და მათ გავრცელებას, რომლებიც ჯერ კიდევ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, რომელიც უფრო შინაარსიანი 90-იან წლებში გახდა (ვასერე 2021: 21-23).

ეს ის პერიოდია, როდესაც სხვა დამკვირვებლები (კერძოდ, რ. ამბროჯიო და ჯ.კაზალენიო 2004) უკავშირებენ „გემოვნების და ტენდენციების გავრცელებას“, სადაც როგორც ჩანს რელევანტურია სოციალური ცენტრების დაფუძნება, რომლებიც

ალტერნატიული მნიშვნელოვანი კულტურული ორიენტაციის გადამტანები გახდა და რაც ერთგვარად, პოლიტიკური აქტივობისკენ მიბრუნებას ნიშნავდა, პაციფისტურ და არა გლობარულ კონტექსტში.

მთლიანობაში, ახალგაზრდული ენა, თავისი სტრუქტურული და ლექსიკური მახასიათებლებით, კულტურული და სოციალური კონტექსტებით, განსხვავებული მოთხოვნების შესაბამისად ხასიათდება. უნდა ითქვას, რომ ზოგადად, თვით ეს სახეობაც კი იტალიური ენის საერთო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც განსაკუთრებული ქმედება XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. აღსანიშნავია, სხვა ენებიდან (ინგლისურიდან, ესპანურიდან და ა.შ.) სიტყვების სესხება, აბრევიაციების, აკრონიმების, სხვადასხვა ტიპის შეკვეცილი ფორმების გამოყენება. ერთი შეხედვით, ლექსიკური სიტყვების უმეტესობა დიალექტური წარმოშობისაა. ტერინოს კანტონის ენაში, მაგალითად, გვაქვს სიტყვა *rescio-vomito* და *bòcia-ragazzino*-*ბიჭუნას* ნიშნავს. *Il Lessico dialettale della Svizzera italiana-შვეიცარული იტალიურის დიალექტური ლექსიკა*, ამტკიცებს, რომ *resc* გამოიყენება ზმნისთვის *vomitare-გულის რევა*, *bòcia-ragazzo, garzone-ბიჭისთვის*. ასეთი ფორმის არსებობა დამოუკიდებელ მოვლენად გვეჩვენება რეგიონალურ სახესხვაობასთან შედარებით, რომელიც იტალიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული. სავარაუდოდ, ის მოტივირებულია სტილისტური მარკირების და ახალგაზრდული ენის, ძირითადად, გასართობი ფუნქციის არსებობის აუცილებლობით. ამ მნიშვნელობით, დიალექტი მეტად ეგზოტიკური სტილისტური არჩევანია. ახალგაზრდების თანამედროვე ენა თავისი წინარე ეტაპებით საზრდოობს. ასეთი ტიპის სისტემა მუდმივ განვითარებას განიცდის.

ენის მოცულობა, რომელიც განვითარებას განიცდის, დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან და ახალი ტექნოლოგიების ენასთან, რომელიც მუდმივად მონაწილეობს ახალ საშუალებებს შორის ურთიერთქმედების პროცესში.

ჩვენ ვსაუბრობთ ახალგაზრდების ენაზე, როდესაც საქმე ეხება სპორტს, მუსიკას, ახალ ტექნოლოგიებს და ინტერნეტს, ტელევიზიას, რადიოს, სკოლას, ასევე იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სიყვარულსა და ეროტიკასთან,

ნარკოტიკებსა და სტიმულატორებთან (ალკოჰოლი და სხვა). ამ სფეროებში შეიძლება შეგვხვდეს თანამედროვე იტალიელი ახალგაზრდების რეგიონალური სახეობები, განსაკუთრებული განსხვავებების გარეშე ურბანულ, ნაკლებად ურბანიზებულ ზონებსა და ასევე განსხვავებულ სოციალურ გარემოში. თუკი მთელი იტალიის ახალგაზრდები საუბრობენ გარკვეული ფორმით, გარკვეული არგუმენტების გათვალისწინებით, ეს საშუალებას გვაძლევს, რომ მოვახდინოთ რეგიონალური თავისებურებების იდენტიფიცირება. ჯერგოზე მოსაუბრის მიზანია თავისი შეტყობინების შინაარსის გასაიდუმლოება იმათთვის, ვისთვისაც ის უშუალოდ არაა განკუთვნილი. ახალგაზრდულ ენაში დომინირებს მაიდენტიფიცირებელი ფუნქცია. ამკარაა, რომ მისი გამოყენების არეალი ამ თვალსაზრისით ძალზე შეზღუდულია. ახალგაზრდების ენა არ გამოიყენება უფროსებთან ურთიერთობისას. ფაქტობრივად, ისინი ჯერგოს იმისათვის იყენებენ, რომ უფროსების ენისაგან განსხვავებული იყოს. ამას ისინი შესანიშნავად ახორციელებენ¹².

ლინგვისტებისათვის ახალგაზრდული ენის სიტყვების შექმნის ხერხების იდენტიფიკაცია ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი ტიპური მოვლენის იდენტიფიცირება. ყველაზე ტიპურ ლექსიკურ წარმონაქმნებს შორის შეიძლება დავასახელოთ მნიშვნელობის ცვლილება სხვადასხვა ხერხით და სხვადასხვა ზომით. როგორც ამას ადგილი აქვს სიტყვაში *additivo-დანამატი* (ნივთიერება)-*sostanza stupefacente-ნარკოტიკული ნივთიერება* ან კიდევ უკვე ნახსენები მაგალითი *bòcia ragazzino inesperto-გამოუცდელი ბიჭი*. ხშირად, ლექსემის სესხება ხდება ფუნქციურად მარკირებული სხვა სახეობიდან. ორივე შემთხვევაში, მოცემული მაგალითები ასაზრდოვებენ სამეცნიერო-ტექნიკურ ენას და დიალექტებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდულ ენას გასართობი ფუნქციაც აქვს. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ჩვეულებრივი პროცესია და ეს ისე ხდება, რომ ზოგჯერ მსგავს მნიშვნელობას ვღებულობთ, ზოგჯერ კი ძალზე დამორებულს. სემანტიკური სესხება ამკარად ხდება

¹² ვერდნობით ისევ სტეფანო ვასერეს მოსაზრებას, გვ.23.

არა მარტო ენის სხვა ვარიანტებში, არამედ დამოუკიდებელ ლინგვისტურ სისტემებშიც. სესხება არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა. სესხება ხდება ინგლისურიდან, ესპანურიდან და ა. შ. ადგილი აქვს სიტყვების ჩანაცვლების პროცესს, რომელიც ძველი ენებიდან ან იტალიური ენის ძველი ფორმებიდან ხორციელდება, იქნება ეს არქაიზმები, მოძველებული სიტყვები, დიალექტები, ლათინური ტერმინები და სხვა. განსაკუთრებით, უნდა იქნეს შესწავლილი პრეფიქსის *mega* – ევოლუციის პროცესი. თავიდან ის შემოვიდა ბერძნულიდან და ეს მორფემა ნიშნავდა *ძალიან დიდს*, მაგრამ უფრო პროდუქტიული და უფრო გავრცელებულია ვიდრე ის, რომელიც გამოიყენებოდა სტანდარტულ იტალიურში (*megagalattico, megaconcerto, megabello, megainteressante*). შემდეგ, მოვლენა გავრცელდა თავისუფალი მორფემის ფუნქციით, ზმნიზედის ფუნქციით, რომელიც გამოიყენება როგორც წინადადების სინტაქსური სტრუქტურა ან წინადადების ნაწყვეტი, დეფორმირებული და დაშორებული სიტყვათა რიგით, *mega era bello ieri sera*, ამან შეცვალა არა მარტო ზედსართავი, არამედ, მთელი წინადადება, თვით მთელი გამონათქვამი. ახალგაზრდულ ენაში გვხვდება სიტყვების წარმოქმნის სხვადასხვა ხერხი: სიტყვათა თამაში, სიტყვების შეკვეცა, ისე როგორც ეს ხდება სიტყვაში *mate-matematica*-მათემატიკა, *espe-esercitazione*-სავარჯიშო. ეს გახლავთ ზოგადად პროდუქტიული ხერხი, აპოკოპა, რომელზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ: *ita-იტალიური, tede-გერმანული, ginna-ფიზკულტურა, geo-გეოგრაფია* და სხვა. ეს ფორმები სასკოლო ჯერგოში გვხვდება უფრო მეტად.

ახალგაზრდულ ენაში გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო შეტყობინებები, სმს-ები სიცილაკებით, სახეები, სიცილი, უკმაყოფილი სახე და სხვა. გრაფემები, როგორებიცაა: ფრჩხილები, მძიმეები, ორწერტილი და ა.შ. ენის დონე კიდევ უფრო შორსაა ენის სიტემისაგან. ახალგაზრდული ენა ამას ყველაფერს იყენებს. არხის გახსნით თუ კომენტარებში, ჩათში კომუნიკაციის დროს სამი წერტილის გაგზავნით და სხვა. თუკი ერთი მხრივ, ახალგაზრდული ენის სტრუქტურა და განსაკუთრებით ლექსიკური მარაგი შესწავლილია თითქმის ყველა მხრივ, მეორე მხრივ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაკუთრებით უფროსები კრიტიკას და გაოცებას გამოხატავენ ისეთი ფორმების მიმართ როგორებიცაა:

ვულგარული ენობრივი საშუალებები, სტილისტური და ლექსიკური საშუალებების გამოყენება, რომელთა სტრუქტურა ღარიბი, ეკონომიური, ბუნდოვანი, ნაკლებად გადამოწმებულია და რომელიც არ იცავს სტანდარტული კოდირებული სისტემის ფორმებს. განსაკუთრებით, ბოლო დროს ჩატარებული კვლევები ავალდებულებს სკოლას წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ ენობრივ რეალობას და შესაძლებელია, რომ ჩაერიოს კიდევ იმ მიზნით, რომ მან მოსწავლეთა ენობრივ კომპეტენციას ზიანი არ მიაყენოს. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ახალგაზრდულ ენას, რომელიც არსებობს და რომლის კვლევაც შესაძლებელია ადგილობრივ რეალობაში აქვს მახასიათებლები, რომლებიც არ შეიძლება მივიჩნიოთ მარტივ კოდად, რომელსაც დაბალი სტატუსი აქვს. ახალგაზრდების ენა ავითარებს შემოქმედებითობას, გულისხმობს ფამილარულობას და გააჩნია ლინგვისტური, ტექსტუალური და კომუნიკაციური ურთიერთობის უნარი. ამას გარდა, უბრალოდ კოდს არავინ შექმნის, თუკი არ იქნება რომელიმე ჯგუფის მიერ ის გამოყენებული.

ახალგაზრდების დღევანდელი ენა ძალზე ძვირფასია მისი XX საუკუნის სოციოლინგვისტური მიღწევებით. იმის გარდა, რომ ახალგაზრდულ ენაში იდენტობა მნიშვნელოვანია და დავას არ იწვევს პრაგმატისტული კვლევის სფეროების განსაზღვრისას და ასევე იმ პრიორიტეტის გათვალისწინებით, რასაც ეს სფერო ქმნის ენასა და კონტექსტს შორის, კლაუდია ბიანკიმ მთელი თავები მიუძღვნა თავის წიგნში *Fare cose con le parole-შექმენით საგნები სიტყვებით* და *Fare parole con le cose-შექმენით სიტყვები საგნებით*. დღევანდელმა ახალგაზრდობამ იცის, თუ როგორ გამოიმუშავოს ეფექტური ილოკუციური ძალა და მოახდინოს სასარგებლო კონტექსტუალური დეიქსისის იდენტიფიკაცია უფრო ადეკვატური კომუნიკაციისათვის, ანუ მათ შეუძლიათ იმოქმედონ ენით და მიიღონ მათი სამყაროსათვის დამახასიათებელი ლინგვისტური სისტემა. სამწუხაროდ, ახალ საკომუნიკაციო კომპეტენციას ხშირად უფროსები ვერ ფლობენ, რაც მათი ბრალი არაა (ვასერე 2021:25).

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს ახალგაზრდული მეტყველება ანუ ჯერგო წარმოადგენს. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ახალი

ტექნოლოგიებით განპირობებული კომუნიკაციის დროს ახალგაზრდების მიერ გამოყენებულ თანამედროვე ჟარგონიზმებზე, რომლებსაც ვაწყდებით ხოლმე სმს-ებში, მეილებსა და ჩათში. იტალიელი ახალგაზრდები, სმს-ებისა თუ მეილების წერისას უმეტესწილად მიმართავენ ჟარგონებსა თუ ჟარგონულ შემოკლებებს, ინგლისური ენიდან ნასესხებ სიტყვებსა და სხვადასხვა რეგიონებში დამკვიდრებულ დიალექტებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჟარგონებისა და ინგლისურენოვანი სიტყვების გამოყენება მრავლად შეიმჩნევა არა მხოლოდ სმს-ების საშუალებით დამყარებულ კომუნიკაციაში, არამედ ყოველდღიურ დისკურსშიც. მათ შეიძლება წავაწყდეთ პრესის გვერდებზე, ოფიციალურ წერილებსა, თუ სარეკლამო რგოლებში. იტალიელი ახალგაზრდები ზოგჯერ, ენაში უკვე არსებულ სიტყვას, სხვა მნიშვნელობით იყენებენ. მაგალითად, ახალგაზრდები სიტყვა *pizzicare*-ს ხმარობენ *rubare*-ს (მოპარვის) მნიშვნელობით, *gonzo*-ს, *scioco*-ს-*სულელის* მნიშვნელობით და ა.შ.

იტალიურ ენაში ჟარგონები ძირითადად ზეპირმეტყველებაში გამოიყენება, თუ რა თქმა უნდა არ ჩავთვლით მათი გამოყენების სიხშირეს სმს-ებისა და ელექტრონული ფოსტით დამყარებულ წერით კომუნიკაციაში. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათში გამოყენებული ტექსტის ენა ზეპირმეტყველების სრული ანალოგიაა. ჟარგონები მუდმივად განიცდის ცვლილებას დროსა და სივრცეში. ადვილი მოსალოდნელია, რომ დღეს ხმარებაში მყოფი ზოგიერთი ჟარგონი, რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად გაქრეს მის მომხმარებელთა ლექსიკიდან. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ენის ისტორია მასში არსებული ჟარგონის ისტორიის ამსახველიც გახლავთ. არ არის გამორიცხული, რომ ჟარგონი ზეპირმეტყველებაში ყოველდღიური ხმარების შედეგად ახალ სიტყვად იქცეს და მოცემული ენის ლექსიკაში სრულყოფილი ადგილი დაიკავოს. მაგალითისთვის მოვიყვანთ იტალიურ სიტყვას *casino*, რომელიც ქართულად *აურზაურს*, *ხმაურს* ნიშნავს-ან მისგან ნაწარმოებ სიტყვას: *casinari*-*ხმაურიანი ადამიანები*. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ერთ დროს ჟარგონებს განეკუთვნებოდა, დღეისათვის იტალიური ენის ლექსიკაში დამკვიდრდა და შესაბამისად მათი მნიშვნელობა ნებისმიერი იტალიელისათვის ნაცნობი და გასაგებია.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამა თუ იმ ჟარგონმა შეიძლება ცვლილება განიცადოს დროსა და სივრცეში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ვისაუბროთ ერთი კონკრეტული ჟარგონის ტიპზე, რომელსაც ყველა იყენებს. იტალიაში, მაგალითად, სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელმა ახალგაზრდამ შესაძლებელია სხვადასხვა, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ჟარგონი გამოიყენოს ერთი და იმავე სიტყვის აღსანიშნავად. ზემოთქმულის დასადასტურებლად საინტერესოა თვით ქართულ ენაშიც საკმაოდ ცნობილი «მატალოზე წასვლის» იტალიურის ეკვივალენტი *marinare la scuola* რომელსაც იტალიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი სტუდენტები თუ ახალგაზრდები სხვადასხვა ქალაქსა თუ რეგიონში შემდეგი ვარიანტებით იყენებენ :

Marinare la Scuola –მატალოზე წასვლა

-ტურინში – *taje da scuola*

-რომში - *fare sega*

-მილანში-*bigiare la scuola*

-ბოლონიაში - *fare fughino*

-რეჯიო ემილიაში- *fare focaccia*

-ფლორენციაში – *bucare*

-ნეაპოლსა და ბარიში – *fare filone*

-პალერმოში – *na iccamo*

-კალიარიში – *fare vela*

-ბოლცანოში – *fare Blau*

-ვენეციაში – *bruciare*

თუმცა, დღესდღეობით იტალიელი ახალგაზრდები *შატალოს* მნიშვნელობით სხვა ზმნებსაც იყენებენ, მაგალითად როგორცაა *scavallare, tagliare, impiccare* და ა.შ. ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ენა «მდიდარია» უწმაწური და ვულგარული სიტყვებით. ისინი, ხშირ შემთხვევაში, თავად ქმნიან ახალ ჟარგონებს, რაც მათ მიერ გამოგონილ და შეთხზულ სამყაროში გაერთიანების საშუალებას იძლევა. ენა, რომელსაც ისინი იყენებენ მრავალი შრისგან შედგება, როგორცაა, მაგალითად, სასაუბრო იტალიური, სხვადასხვა რეგიონის დიალექტი, ტრადიციული და თანამედროვე ჟარგონი.

იტალიელი ახალგაზრდები ჟარგონთა წარმოებისას შემდეგ ხერხებს მიმართავენ:

ა) მეტაფორები: *una cifra, un sacco, un mondo-molto, parecchio, assai*-ს მნიშვნელობით, რაც ქართულად ნიშნავს: *ბევრი, ძალიან*.

ბ) სიტყვების შემოკლებები: *mega-grande-დიდი; prof-მასწავლებელი; punta-appuntamento-შეხვედრა; raga-ragazza-გოგონა; vaitra-vai tranquillo-მშვიდად წადი; bona-buonaserà (სალამო მშვიდობისა).* ამგვარი სახის შემოკლებები სმს-ების საშუალებით დამყარებული წერითი კომუნიკაციისთვისაც დამახასიათებელია, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ასეთი კომუნიკაციის ზეპირმეტყველებასთან კავშირზე.

გ) ნასესხობები, განსაკუთრებით კი ინგლისურიდან: *flescicare-andare fuori di testa-გაგიჟება; gym-ginnastica-ტანვარჯიში; cucador-uno che ha successo con le ragazze- ბიჭი, რომელიც ძალიან მოსწონთ გოგონებს; fly down-calmati-დაწყნარდი; turnare- მოხვევა, ინგლისური სიტყვიდან to turn.*

დ) ტელევიზიის, მუსიკის და ლიტერატურის მეშვეობით დამკვიდრებული პოპულარული პერსონაჟების ან ტერმინების გამოყენება. იტალიაში მაგალითად, ახალგაზრდებში ძალზე გავრცელებულია გამოთქმა *fare homer*-რომელსაც «სიტყვის გამტეხი» კაცის მნიშვნელობით იყენებენ. ეს უკანასკნელი უკავშირდება ერთ-ერთი პოპულარული მულტფილმის პერსონაჟის ომერ სიმსონის სახელს, რომელმაც საკუთარ შვილებს შეპირებული პირობა არ შეუსრულა. *Romboso-ათლეტური*

აღნაგობის, რომელიც იტალიურ ენაში სილვესტერ სტალონეს პერსონაჟის რემბოს სახელს უკავშირდება.

ე) ტექნიკური სიტყვების გამოყენება: *amorfo-una persona insignificante-უმნიშვნელო ადამიანი; arteries-წინაპრები, მშობლების აღსანიშნავად; turbina-სრული გაუგებრობა; fuso-stanco, distrutto-განადგურებული, დაღლილი, და ა.შ. იგრძნობა ახალი ტექნოლოგიების, ინფორმატიკის ენის ტერმინების გამოყენება: giga-დიდი; resettare-cominciare daccapo-თავიდან დაწყება; chattare-chiacchierare-ჭორაობა; disconesso-distratto-დაბნეული; nick-nome-სახელი.*

ვ) დიალექტების გამოყენება: *nzallanuto-confuso-არეული; დაბნეული, zirbiune/a-სულელი.*

ზ) რომელიმე კონკრეტულ დენოტანტთან დაკავშირებული ჟარგონების გამოყენება, მაგალითად, ნარკოტიკის დენოტატი: *cannato-bociato-კლასში ჩარჩენილი, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაც არის პლანი; stare in canna-essere antipatico-არასასიამოვნო პიროვნება; cannare- შეშლა და აგრეთვე სმა.*

თ) გამოგონილი სიტყვების გამოყენება: *pallista-uno che racconta bugie-მატყუარა; spagogna-persona di carattere un po difficile-რთული ხასიათის მქონე ადამიანი; tacchinare-corteggiare-არშიყოფა და ა.შ.*

იტალიურ ენაში არსებობს ჟარგონების ისეთი სახეობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს თავიანთ მნიშვნელობას და შესაბამისად მრავალი თაობის ახალგაზრდა მათი მომხმარებელია. მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილი ჟარგონები დიდი ხანია რაც შეიქმნა და დროთა სვლასთან ერთად საერთო იტალიური ენის ნორმატიულ ლექსიკაში დაიმკვიდრა თავი. ესენია:

Beccare – შეხვედრა

Fottuti-დამთავრებული, გაფუჭებული

Fregare- დაინტერესება

Gaggio – ბოშური წარმოშობის სიტყვაა და იტალიურ ჟარგონზე ნიშნავს სულელს

Pigliare – აღება

Attirare - მიზიდვა

Rugare – თავის მობეზრება, შეწუხება

დღეისათვის თანამედროვე ჟარგონების რიცხვს მიეკუთვნება ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ჩამოყალიბებული ჟარგონი, როგორცაა მაგალითად: *bit-ბაიტი*; *giga-გიგა*; *nick-ნიკი*; *chattare-ჩათაობა*; *sconesso-ინტერნეტის ქსელში არყოფნა*, და ა. შ.

ჟარგონი, რომელსაც ახალგაზრდები იყენებენ ინტერნეტში, ბევრს აიძულებს გაყოყლოჩინებას. ინტერნეტი ხომ ნეოლოგიზმებისა და მცირე ენობრივი ცვლილებების მუდმივი და შემოქმედებითი სამჭედლოა. მოზარდთა გონება, განსაკუთრებით ამბოხის ფაზაში, ნაკლებადაა შეზღუდული თითოეული კულტურის სოციალური ცრურწმენებითა და ჩვევებით და საკუთარ თავს უფლებას ამღევს საკუთარი ენა და სიტყვები გამოიგონონ. როგორ ურთიერთობენ მოზარდები ინტერნეტში? რა სიტყვებს, აბრევიატურებს, კოდებს იყენებენ ისინი სოციალურ მედიაში, ჩათში ან YouTube-ში? იტალიელი მოზარდი ბევრ სიტყვას და აკრონიმს სესხულობს ამერიკული ინგლისურიდან, რომელიც ინტერნეტ ჟარგონის ნამდვილი აკვანია, იყენებს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა *lol-მხიარულების გამოხატვა* და *btw-მოკლედ*. შემდეგ ის მას ურევს იტალიურ ფორმებთან, აჯანსაღებს ან აერთიანებს მათ თავისი რეგიონის დიალექტთან, რათა სიცოცხლისუნარიანობა მიეცეს გამონათქვამებს, რომლებიც ზოგჯერ ძალზე სპეციფიკურია. ბევრი ასეთი სიტყვა და ფრაზა ხანმოკლეა და ქრება მანამ, სანამ მათი დაფიქსირება მოხდება. ზოგ სიტყვას კი შეიძლება გაუმართლოს და იქნებ რომელიმე ცნობილი ადამიანის ლექსიკონში შევიდეს და იმის ნაცვლად, რომ მეტეორივით გაუჩინარდეს, რჩება და ახალ ადგილს იკავებს იტალიურ ენაში. რატომ იყენებენ ახალგაზრდები ონლაინ ჟარგონს?

ახალგაზრდული ჟარგონის, განსაკუთრებით ონლაინ ჟარგონის, მთავარი მიზანი ის კი არ არის, რომ ნორმა გახდეს, გავრცელდეს მოსახლეობაში, არამედ, პირიქით, მოხდეს მისი გამოყენება ვიწრო ჯგუფის მიერ. ახალგაზრდების ჟარგონი

და ნეოლოგიზმები ჩნდება უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რათა უპასუხონ მათ მოთხოვნილებას იდენტიფიკაციის, მასებისგან გამოყოფის მიზნით და იმავედროულად იმისათვის, რომ ისინი მიაკუთვნონ ვიწრო ჯგუფს, საიდანაც ძირითადად უფროსები არიან გამორიცხული.

სწორედ უფროსები ხანდახან ხდებიან უმცროსების ბულინგის ობიექტი ისეთი გამონათქვამებით, როგორებიცაა *Ok, boomer*. ეს ისინი არიან, ვისაც არ მოსწონს ჟარგონი და სურს დაამტკიცოს, რომ ონლაინ ჟარგონი, აბრევიატურები და ენობრივი ნარევები, ახდენენ სტანდარტული იტალიური ენის უდიერად გამოყენებას. ამ დროს კი მათ ავიწყდებათ, რომ ისინიც ახალგაზრდები იყვნენ და ქმნიდნენ და იყენებდნენ საკუთარ დევიზებს და გამონათქვამებს კოდებში. ამ გამოთქმებიდან ზოგიერთი რჩება, ისინი ჯერ კიდევ იყენებენ მათ, თუმცა, ვერ ხვდებიან, რომ ისინი ჟარგონული წარსულიდან მომდინარეობს, როგორც ეს დღევანდელი ახალგაზრდების შემთხვევაში ხდება. მაგრამ საიდან მომდინარეობს ახალგაზრდების ონლაინ ლექსიკა? როგორც ჩანს, ამ სიტყვების უმეტესი ნაწილი აღებულია ვიდეო თამაშებიდან და სოციალური ქსელებიდან.

ჩვენ განვიხილავთ მოზარდებისა და ახალგაზრდების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებულ გამონათქვამებს ინტერნეტში, თუმცა, მნიშვნელოვანი წინაპირობით: ეს სიტყვები ამომწურავად არ გადმოსცემენ ახალგაზრდების მიერ გამოყენებულ ყველა სიტყვას. ის პირველი ნაბიჯია იმისაკენ, რომ გავიგოთ რომელია ყველაზე მეტად გამოყენებული ტერმინი, რითაც შეიძლება წავახალისოთ ის მკითხველები, ვისაც ჰყავთ მოზარდი შვილები ან შვილიშვილები, რომ მიუახლოვდნენ ამ უცნაურ ენას, რომელიც შედგება აკრონიმებისგან, ენობრივი ნარევებისგან და მახვილგონივრული რიტორიკული ფიგურებისგან.

არსებობს რამდენიმე აუცილებელი ტერმინი, რათა შესაძლებელი გახდეს მინიმუმ 18 წლამდე ორ ბავშვს შორის ონლაინ საუბრის ზოგადი მნიშვნელობის გაგება.

ვნახოთ რა არის:

- OMG-აბრევიატურაა, ნიშნავს *Oh my Good-ღმერთო ჩემო* და გამოიყენება გაოცების გამოსახატავად.

- TBH-მეორე ინგლისური აბრევიატურაა, ნიშნავს *To Be Honest* –*გულახდილად რომ ვთქვა*.
- AFK-ნიშნავს *Away From Keyboard*, შორს კლავიატურისაგან, როცა სურთ იმის თქმა, რომ კომპიუტერთან არ არიან.
- XOXO-თბილი გამონათქვამი სიტყვასა და სიცილაკს შორის, რომლის მნიშვნელობა ვლინდება კოცნასა და ხვევნაში, რათა გამოხატონ მეორე ადამიანისადმი სიყვარული.
- FAIL- რაიმეს ჩაფლავება. სიტყვასიტყვით უიღბლო. ამ სიტყვას იყენებენ იმ დროს, როდესაც რაღაც ისე არ წავა. მისი გამოყენება ხდება ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც შედეგი ცუდია და იწვევს დიდ აღშფოთებას, შეიძლება ვისაუბროთ ეპიკურ ჩავარდნაზე (შემოკლებით EF), ან კიდევ ეპოქალური მასშტაბის ჩაფლავებაზე.
- BLASTARE- ნაწარმოებია ინგლისური ზმნისაგან *blast*, რაც *აფეთქებას* ნიშნავს. ეს სიტყვა გამოიყენება იმ დროს, როდესაც ერთი ახალგაზრდა მეორეს რაღაცას ეუბნება და ამ უკანასკნელს ამუნჯებს (ცოტა ამცირებს კიდევ). ახალგაზრდულ ონლაინ ჟარგონს აქვს აგრესიული და დისკრიმინაციული მხარეც. მშობლები განსაკუთრებულად ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ გაარჩიონ ონლაინ აბუჩად აგდების ნებისმიერი შემთხვევა.
- BRO-ინგლისური სიტყვის *brother* შემოკლებული ფორმაა. იტალიურად ბიჭები ერთმანეთს უწოდებენ *vecchio, fratello, frate, socio* (რეგიონის მიხედვით) თარგმანში ნიშნავს *ძმას*.
- GUCCI- ეს სიტყვა გამოიყენება, როდესაც ყველაფერი *cool* ანუ მაგრადაა.
- FOMO-იშიფრება როგორც *Fear of missing out*, შიში იმისა, რომ რამე არ გამორჩეთ, არ იყვნენ რაიმეს მოწყვეტილნი, ერთ-ერთი გამონათქვამი, რომელიც საუკეთესოდ აჩვენებს მოზარდის მოთხოვნილებას თავის დასამკვიდრებლად, იყოს თავის ჯგუფთან და ჰქონდეს აღიარება.

- BAE-გამონათქვამის *Before anything else* შემოკლებაა. ეს გამონათქვამი პირველ რიგში გამოხატავს გულის სწორის, მეგობრის ან პარტნიორის პიროვნების განსაზღვრის საშუალებას.

საშიში კოდური სიტყვები. არსებობს აკრონიმები და ტერმინები, რომლებსაც ახალგაზრდები სპეციალურად იყენებენ, რომ მშობლებმა ვერ გაიგონ მათი საუბარი. ეს ეხება ინტიმურ ან უკანონო სფეროებს, როგორებიცაა სექსი და ნარკოტიკები. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა იცოდნენ ეს აკრონიმები, რომ თავიდან აიცილონ ცხოვრების გაუთვალისწინებელი პრობლემები ანუ როდის უნდა ინერვიულონ მათ და როდის უნდა სცენ პატივი შვილების პირად ცხოვრებას.

- POS-*Parents Over Shoulders*, ნიშნავს, რომ მშობლები უკან დგანან და მათ შეიძლება დაინახონ მოზარდების მიწერ-მოწერა.
- 99-ეს რიცხვი ნიშნავს, რომ მშობლები სახლში არ არიან.
- PAH-*Parents At Home*, მშობლები შინ არიან. მრავალი აბრევიატურა მიუთითებს იმაზე, რომ მშობლები შინ არიან, მოზარდები სად იმყოფებიან და რას აკეთებენ მათი მშობლები საუბრის დროს.
- KPC- *Keep Parents Clueless*, ნიშნავს მშობლებს არაფერი უთხრათ.
- GNOC- *Get Naked On Cam*, ეს გამოთქმა ნიშნავს შიშველი ყოფნა კამერის წინ.
- GYPO- *Get Your Pants Off*, ნიშნავს შარვალი გაიხადე, ანუ ქვედა საცვალი გაიხადე.
- NEK- უკავშირდება ინგლისურ სიტყვას *neck*, რაც ბოთლის ყელს ნიშნავს. ის გამოიყენება იმ დროს, როდესაც კამერასთან ახალგაზრდა იწვევს მეორეს დიდი რაოდენობით ალკოჰოლის სმაში შეჯიბრების თვალსაზრისით.
- RU/18- *Sta per Are you 18*, ნიშნავს, ხარ თუ არა 18 წლის, ანუ კითხულობენ ხარ თუ არა სრულწლოვანი. ერთდეთ ასეთ საუბრებს, რადგანაც ეკრანის მეორე მხარეს შეიძლება სექსუალური მანიაკი იმყოფებოდეს.

- TWD-*Texting While Driving*, ეს გამოთქმა ნიშნავს ტექსტურ შეტყობინებას საჭესთან, ანუ ამ ტექსტს გწერთ მანქანის მართვის დროს. არსებობს ასევე ამ გამოთქმის საშიში ვერსია TOT, *Texting On Toilet*-გწერთ, სანამ ტუალეტში ვარ.

კონტროლსა და ბავშვების კონფიდენციალურობას შორის ზღვარი თითოეული მშობლის გადასაწყვეტია, მაგრამ ყოველთვის კარგია იცოდეთ პოტენციურად მავნე გამონათქვამების მნიშვნელობა. როგორც აღვნიშნეთ, პრობლემა ის არის, რომ ბევრი საუბრის მიღმა იმალება სახიფათო ქცევები და ურთიერთობები, რაც ტიპურია თანატოლების ბულინგისა ან თუნდაც ონლაინ სექსუალური შევიწროების თვალსაზრისით. მშობლებს უნდა შეეძლოთ ასეთი მოვლენების ნიშნებისა და სიმპტომების ამოცნობა. თავიდან, კარგი იქნება მშობლის კონტროლის აპლიკაციის გამოყენება, როგორცაა *Panda Dome Family*.

ონლაინ ჟარგონი, რომელიც ვიდეოთამაშებიდანაა აღებული. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა მოთამაშეების მშობლებმა გაიგონ, რას ყვირიან მათი შვილები კომპიუტერთან ან რისი თქმა უნდათ ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა *shottar*, როდესაც ისინი ცდილობენ აგიხსნათ, როგორ გაატარეს დღე. ქვემოთ გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ გამონათქვამებს:

- Bannare-აკრძალვა. ნიშნავს იმას, რომ პირს აუკრძალეს რაიმე ქმედებაში ხელახლა მონაწილეობის მიღება.
- Laggare- *lagga*, ნაწარმოებია ზმნისაგან *lag*, შეფერხება. ეს ფრაზა გამოიყენება მაშინ, როდესაც კავშირი ნელია და არსებობს შეფერხება მოთამაშის ხმასა და თამაშში მის გამეორებას შორის.
- Killare- ნაწარმოებია ინგლისური ზმნისაგან *kill* ნიშნავს *მოკვლას*.
- Grindare-დაფქვა, განმეორებადი მოქმედებების შესრულება კრედიტებისა ან რესურსების გამოსამუშავებლად. ზმნა ჰგავს *farmare*, რომელიც ნაწარმოებია ინგლისური ზმნისაგან *farm*, სადაც რესურსების მიღება ხდება ბუნებრივი საშუალებებიდან, ისეთებისაგან როგორებიცაა ტყეები, დამუშავებული მინდვრები და ა.შ.

- Spawn-შედეგი, გარეგნული მხარე, რომელიც გამოიყენება იმასთან მიმართებით, როდესაც ახლახან დაღუპული მოთამაშის პერსონაჟი კვლავ ჩნდება სხვა ვიდეოთამაშის სამყაროში.
- Shoppone-ასე ეძახიან მოთამაშეს, რომელიც დიდ რეალურ ფულს ხარჯავს შიდა სათამაშო მაღაზიაში, როგორცაა *fortnite* ბონუსების, იარაღის და ა.შ. შესაძენად.
- Droppare-მიიღება ინგლისური ზმნისაგან *drop*. გამოიყენება მონსტრების მიმართ, რომლებიც სიკვდილის დროს, თავის შემდეგ მცირე ნადავლს ტოვებენ.
- Nabbo-იტალიური ტრანსპოზიცია ხდება ინგლისური ზმნის *newbie*, რაც *ახალბედას* ნიშნავს. როგორ მივიღეთ ამ უკანაკნელიდან *nabbo*, არავინ იცის და სწორედ ამაშია ენის ხიბლი: ის ყოველთვის ერთნაირი გვეჩვენება, სინამდვილეში ის ვითარდება უწყვეტად და გაცილებით სწრაფად, ვიდრე გვგონია ან გვსურს.

სოციალური მედიის ჟარგონი. სოციალური მედია ინტერნეტული ინოვაციის შესანიშნავი მამოძრავებელი ძალაა. ასეთ გარემოში შეგვიძლია გავიგოთ და წარმოვიდგინოთ კიდევ თუ როგორ ფუნქციონირებს ენობრივი ევოლუცია. რამდენიმე წლის წინ სოციალური მედია არ არსებობდა; როდესაც ის გამოიგონეს, მან თან მოიტანა ბევრი ახალი აქტივობა, ფუნქცია, ქცევა.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ სიტყვები ახლა მხოლოდ ინგლისურად იქმნება, ხოლო სხვა ენები ნასესხობებით არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა უდავოა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ახლად შექმნილი სიტყვის კონკრეტული მიზნისთვის ადაპტაცია უფრო იაფია, ვიდრე სხვა რამის შექმნა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

- Hater-მოძულე. ეს არის ადამიანი, რომელიც მეორეს უგზავნის სიძულვილის შეტყობინებას YouTube-ზე ან Facebook-ზე.

- Troll-ესაა ადამიანი, რომელიც მონაწილეობს ონლაინ დისკუსიებში, მაგალითად ფორუმებში, უბრალოდ, რომ განხეთქილება ჩამოაგდოს მონაწილეებს შორის.
- Flame-ალი, გამოიყენება დისკუსიასთან მიმართებით, რომელიც კამათში გადაიზარდა. აქედანაა ნაწარმოები ზმნა *flammar*, რაც ვინმესთან მწვავე კამათს ნიშნავს.
- Leone da tastiera-ლომის კლავიატურა. ამ სრულიად იტალიური გამონათქვამით იგულისხმება ამპარტავანი ადამიანი, რომელიც დაცულია ონლაინ გარემოთი, თუმცა, ეჭვი ჩნდება, რომ ის რეალურად არ არის მამაცი.
- Off topic e in topic-ეს გამოთქმა ინგლისურად ნიშნავს off-topic თემას არ ეხება და აქტუალურია. ეს გამოთქმა ხშირად გამოიყენება პოსტების კომენტარებში.

ცხადია, ეს და ზემოჩამოთვლილი სია არ არის ამომწურავი და შეიცავს იმ ჟარგონის მცირე ნაწილს, რომელსაც ამჟამად ინტერნეტში იყენებენ ახალგაზრდები და მოზარდები. მათთვის, ვისაც სურს ჩაუღრმავდეს ამ საინტერესო და ვრცელ თემას, შეუძლიათ გამოიყენონ *Slengo.it* ჟარგონის ლექსიკონი, რომელიც რედაქტირებულია პროგრამისტების მიერ. ასევე, არსებობს პოსტი *Preply* ბლოგში ინტერნეტ აკრონიმებზე.

ვერა გენო თავის ნაშრომში „სოციოლინგვისტიკა“ წერს: ციფრული იტალიური ენა, ენის ენობრივი და კულტურული გამდიდრების საშუალებაა. ის წარმოადგენს ენის კონკრეტულ გარემოსთან ადაპტაციას. აქედან გამომდინარე, სწორი მიდგომა იქნება არა ონლაინ ჟარგონის უარყოფა, არამედ მისი გაგება და ინტეგრირება თქვენს ენობრივ არსენალში, როგორც დამატებითი რესურსისა, რომელიც არა მხოლოდ გვაახლოებს ბავშვებთან, არამედ გვეხმარება კიდევ ერთ მნიშვნელოვან და ზოგჯერ რთულ მისიაში: ფეხი ავუწყოთ დროს¹³.

¹³ Vera Gheno, (2017). Social-linguistica: <https://www.pandasecurity.com/it/mediacenter/mobile-news/gergo-di-internet/> (შემოწმებულია 08.04.22).

ინფორმატიკასთან დაკავშირებული მაგალითებია:

Chattiamo su Facebook.

Poi *clicca* su “cerca”.

Sto *cliccando* su tutto.

Poco dopo *clicca* su quelle icone.

Abituato a *bluffare*.

Stoppa il CD e lo tira fuori.

O sai già *surfare* ?

სმს-ებისა და იმეილების წერისას კი შემდეგ ჟარგონებს ვაწყდებით:

1.+→più-*მიმატება*, მათემატიკაში *პლუსი*, *უფრო*, *mi piace di + la matematica – მე მათემატიკა უფრო მომწონს*. მოცემულ შემთხვევაში, ნაცვლად სიტყვისა *più*, მესიჯის ავტორმა გამოიყენა ნიშანი + და შესაბამისად ორი ასოს ეკონომია გააკეთა მის მიერ შექმნილ ტექსტში.

2.- → meno- რაც იტალიურად *გამოკლებას*, *ნაკლებად* ნიშნავს. *Il Francese mi piace di – ფრანგული ნაკლებად მომწონს*. ნაცვლად სიტყვისა *meno*.

3.6→sei, როგორც ზმნა *ყოფნა-essere* მხ. რიცხვის მეორე პირის ფორმა, გამოიყენება როგორც მათემატიკური ნიშნის 6-აკუსტიკური ფორმა. *DDi dove 6?*-გამოიყენება აღნიშნული აკუსტიკური ლექსიკური ერთეულის გრაფიკული ნიშანი ნაცვლად: *di dove sei? -საიდან ხარ? Chi 6? chi sei?- ვინ ხარ; Dove 6-dove sei?- სად ხარ?* და ა.შ.

4. Asp → *Aspettare*-*დალოდება*. *-Mi asp un minuto?-დამელოდები ერთი წუთი?*, ნაცვლად: *mi aspetti un minuto?*

5. C6? → *Ci sei?*-*ყოფნა-essere* მხ. რიცხვის მეორე პირის ფორმა. არაპირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს: *აქ ხარ? - C6 o no?-ci sei o no? – აქ ხარ თუ არა?*

6. Cell → *Cellulare* –მობილური ტელეფონი. *Chiamami sul cell + tardi* (*chiamami sul cellulare più tardi* – მოგვიანებით გადმოძირეკე მობილურზე).
7. Cm → *Come* –როგორ. *Cm va a Scuola? Come va a scuola?* – როგორ მიდის სკოლაში საქმეები?
8. CMQ → *Comunque*-ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერ შემთხვევაში. – *Cmq, chiamami comunque chiamami* – ნებისმიერ შემთხვევაში დამძირეკე.
9. Cn → *Con* – ვისთან. *Cn chi ci vai? Con chi ci vai?* – ვისთან ერთად მიდიხარ?.
10. CS –*Cosa* – რაზე, რაღაც – *è una cs che mi piace-E un cosa che mi piace*-ეს ძალიან მომწონს.
11. DP → *Dopo* – მერე, მოგვიანებით. – *Vengo dp-vengo dopo* – მოგვიანებით მოვალ.
12. Fid → *Fidanzato* – *6 fid? sei fidanzato?*- შეყვარებული გყავს?
13. Gg → *giorno*- დღე. *E – un gg di questi vado al cinema-un giorno di questi vado al cinema* - ამ დღეებში კინოში მივდივარ.
14. TVB → *Ti voglio bene*- მე შენ მიყვარხარ.
15. TA → *Ti Amo* –მიყვარხარ.
16. VVB → *Vi voglio bene*- მიყვარხართ.
17. Risp → *Rispondi* – პასუხის გაცემა. – *Mi risp? mi rispondi?* მიპასუხებ?
18. MSG → *Messaggio*–მესიჯი, შეტყობინება– *Mandami un MSG*–მესიჯი გამომიგზავნე.
19. Y → *yes* → დიახ.
20. T.V.T.B. → *Ti voglio tanto bene!* → ძალიან მიყვარხარ!
21. 3 mendo → *tremendo* → საშინელება. *Tre*-როგორც მათემატიკური ნიშნის 3 აკუსტიკური ფორმა.
22. Prof → *professoressa* → მასწავლებელი.

23. *Raga* → *ragazza* → გოგო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილ ჟარგონთა უმრავლესობა ახალი წარმოქმნილია, რომლის შექმნაც განაპირობა სმს-ების «ტექსტის» აკრეფვისას სიტყვების ეკონომიის გათვალისწინების აუცილებლობამ.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მაგალითისათვის მოგვეყვანა სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელი იტალიელი ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ჟარგონების რამდენიმე მაგალითი:

1. *Accannare- smettere di disturbare-მორჩი შეწყუბებას.* მაგალითად: *ooh! e accanna.... ooh! e smettita...* – გეყოფა, ნუ მაწყუბებ! - რომი;
2. *Afoso - Noioso- მოწყენილი, მოსაწყენი).* მაგალითად: *Ale, oggi sei un po' afoso!* – ალე, დღეს რაღაც მოწყენილი ჩანხარ! - ფლორენცია;
3. *All'incovercio - al contrario –პირიქით.* მაგალითად: *le cose sono andate all'incovercio – ყველაფერი პირიქით დასრულდა-* რომი;
4. *Ami - amici molto stretti – ახლო მეგობრები.* მაგალითად: *stasera si va a cena dagli ami-* დღეს მეგობრებთან მივდივართ ვახშამზე.
5. *Ave - ciao – გამარჯობა.* მაგალითად: *ave tizio – გამარჯობა ბიჭო.* – ტურინი;
6. *Attoparsi-vestirsi in modo elegante –ელეგანტურად ჩაცმა.* მაგალითად: *come sei attopato/a!!!* – რა ელეგანტური ხარ!- ლივორნო;
7. *Azzottare-rubare, fregare-მოპარვა.* მაგალითად: *Aoh, ieri m'hanno azzottato er motorino!* – გუშინ კვადროციკლი მომპარეს!- რომი;
8. *Da paura/spazio-cosa bellissima–ულამაზესი.* მაგალითად: *ma sei da paura!*– ულამაზესი ხარ-მილანი;
9. *Di bestia – molto-ძალიან.* მაგალითად : *Oh...sabato sera ci siamo divertite di bestia!* – შაბათ საღამოს ძალიან მაგრა გავერთეთ- შარონო;

10. *Vapora - sigaretta* – (სიგარეტი). მაგალითად: *dammi una vapora-მომეცი სიგარეტი*-მილანი;

11. *Braghetta*-ბიჭის მნიშვნელობით-მილანი;

12. *Gaggio/a Ragazzo/a* – გოგო, ბიჭი-რომი

როგორც ვხედავთ, იტალიურ ენაში ჟარგონები საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელი ახალგაზრდა მათ სხვადასხვაგვარად იყენებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ტექნოლოგიებით გაპირობებული ჟარგონები თითქმის ყველა იტალიელი ახალგაზრდისათვის საერთო და გასაგებია.

2.2. კრიმინალური სამყაროს ჟარგონი (ჯერგო). ნდრანგეტა, მაფია, კამორა

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ქურდული სამყაროს სპეციფიკურ ჟარგონზე, რომელსაც *gergo della mafia*-მაფიის ჯერგოს უწოდებენ. ეს ტერმინი გამოხატავს იმ ენას, რომელზეც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები საუბრობდნენ. ესენია: მაფია, კამორა, ნდრანგეტა. თუკი ჟარგონი უპირატესად „საიდუმლო“ ენაა, ისიც მართალია, რომ მაფიოზების ჟარგონი მაქსიმალურად საიდუმლოა და სწორედ ამის გამო, ბევრი განათლებული ადამიანი, რომელიც გატაცებული იყო ამ ენით, დიდ დროს ატარებდა იმ ენობრივი კოდების გაშიფვრაში, რომელიც ორგანიზებულ დამნაშავეებს ეკუთვნოდა. თავად მაფიის მოვლენა იმათთვის, ვინც მის იდენტიფიცირებას ახდენს, იკვლევს მის ენას მისი დამარცხების მიზნით.

რა ენობრივი საიდუმლო კოდი აქვთ ამ ორგანიზაციებს? ამის ახსნა შეძლეს ჯ.ბ. ტრამპერმა, ა. ნიკაზომ, მ.მადალონმა და ნ.გრატერიმ, თავიანთ ნაშრომში „მამაკაცთა ენა“. მათ კრიმინალური კოდის კონცეპტის ილუსტრირება მოახდინეს:

კოდი შეიძლება წესების სინონიმი გახდეს კატეხიზმოს¹⁴ მსგავსად. მან შეიძლება ორგანიზაციის სქემა შეადგინოს და ასევე შეიცავდეს ინსტრუქციებს ამ ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის ან ჩარჩოში მოაქციოს სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსის კანონები (ტრამპერი & სხვ. 2014:8).

ამ თვალსაზრისით იტალია არაჩვეულებრივ ენობრივ ლაბორატორიას წარმოადგენს საიდუმლო კოდების შესასწავლად, რადგანაც არსებობს უამრავი დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც იტალიაში მოქმედებს და ცნობილია მაფიის, კამორასა და დრანგეტას სახელით.

ზემოხსენებული ჟარგონი, ერთგვარად დაკავშირებულია ტრადიციულ მედიასთან *pizzini* და *papelli*¹⁵. ზოგისთვის ის განვითარდა და უფრო სრულყოფილ მეთოდებს იყენებს, ეროვნული თუ საერთაშორისო ბაზრებიდან უკანონო შემოსავლის მისაღებად. ესაა: ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ფულის გათეთრება, ტოქსიკური ნარჩენებით ვაჭრობა და სხვა. ახლა უნდა გავიგოთ, როდიდან იღებს სათავეს ეს ტრადიცია და როდის გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ კომუნიკაციისთვის აუცილებელი წესები და ნორმები შეემუშავებინათ. კოდის ნიმუშები იმ ადამიანებმა შექმნეს, ვინც წერა იცოდა, თუმცა არც ისე კარგად. კალიგრაფია მეტყველებს ადამიანებზე, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დადიოდნენ სავალდებულო სკოლაში იმ ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვის უცოდინარობის მაჩვენებელი 70-90% იყო. ეს ის ადამიანებია, ვინც იცის წერა, მაგრამ კარგად არ იცის იტალიური. შეცდომები აისახებოდა ყოველდღიურ ენაში. ერთმანეთში ურევდნენ იტალიურს და დიალექტს მთელი თავისი ნიუანსებით. კოდებში საუბრობენ რაინდებზე, გრაფებზე, ჰერცოგებზე, ფოლკლორულ გმირებზე, რომლებიც სიმამაცით გამოირჩევიან, თუმცა, სიტყვებს, რომლებსაც ისინი იყენებენ,

¹⁴ კატეხიზმო- ეკლესიაში ახალმოსულთა (ნეოფიტთა) სასწავლად გამიზნული წიგნი, ქრისტეს მოძღვრების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით:

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%9D> (შემოწმებულია 28.04.22).

¹⁵ ეს სიტყვები არაა დაფიქსირებული ლექსიკონში, თუმცა მაფიის ენაზე პირველი სიტყვა *pizzino* ნიშნავს მოკლე წერილს, რომელსაც ციხეში უგზავნიდნენ მაფიოზები თავიანთ წევრებს და დავალებას ამღებდნენ, *papelo* -ც წერილია, მხოლოდ უფრო გრძელი და დეტალური ინსტრუქციით.

აზრი არა აქვთ. დრო გადიოდა, პირობები იცვლებოდა. წესებიც ამასთან ერთად იცვლებოდა.

აღნიშნულმა ჯერგომ გადალახა ოკეანე და მიაღწია ამერიკის, კანადის და ავსტრალიის ფილიალებს. სხვები ჩრდილოეთ იტალიაში გადავიდნენ. დღეს, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იმათი პროცენტული რაოდენობა, ვინც სკოლაში დადის უფრო დიდია, იმასთან შედარებით, ვინც ლეზულობს და ახდენს კოდების გადაწერას. მათ, წინამორბედებისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ გათავისებული არა აქვთ წერის ფორმა. ტექსტები ფორმის მიხედვით უფრო ხარვეზებითაა წარმოდგენილი და შინაარსის მიხედვით ხშირად დამახინჯებული, რომ გაუგებარი იყოს სხვებისათვის. თუმცა ეს წესები გადაეცემა თაობიდან თაობას, ხდება მათი კოდირება პირობითი ნიშნებით, რომლებიც გადმოღებულია მასონებისაგან ან კიდევ ინტერნეტში არსებული კრიპტოგრაფიული სისტემებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ის კავშირი, რაც მათ შორის არსებობს.

გ.ზიმელი,¹⁶ სოციოლოგი, ხსნის თუ როგორ ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ ორნამენტის და რიტუალის გასაიდუმლოება, რომლებსაც მაფიოზური ორგანიზაციები იყენებენ. მაფიის კოდი ხდება ერთიანობის, რიტუალების ერთგვაროვნების სიმბოლო, რომელიც არ ძველდება. ამავე დროს, იგივე ორგანიზაცია ცდილობს ყოველ ცვლილებას მოერგოს, მისი კავშირების განმტკიცების მიზნით.

ნდრანგეტას კოდი, ერთ-ერთი კოდია, რომელმაც ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია. ამ კრიმინალურმა ორგანიზაციამ სხვებთან შედარებით უფრო დიდი კვალი დატოვა წერილობითი სახით მის ნორმატიულ სტრუქტურასა და ძირეულ წარმონაქმნებზე. ნდრანგეტა ნიკოლა გრატერისა და ანტონიო ნიკაზოს უცილობელი სასაუბრო ენა გახდა, რომლებთაგანაც პირველი მოსამართლე იყო, ხოლო მეორე ჟურნალისტი, ორგანიზებული დანაშაულის ექსპერტი, შექმნეს ტანდემი, რათა ყველასთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ნდრანგეტას შესახებ. სანამ გავცნობით მათ

¹⁶ გეორგ ზიმელი, გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი.

საიდუმლო კოდს, საჭიროა გავიგოთ, თუ საიდან მომდინარეობს ამ ცნობილი კრიმინალური ორგანიზაციის სახელი. კალაბრიულ დიალექტზე ნდრანგეტა ნიშნავს „საპატიო საზოგადოების წევრს“. უფრო ზოგადად, ის აღნიშნავდა ყოველ „მამაც“ ადამიანს, რომელსაც შეეძლო საკუთარი ღირსების დაცვა და სხვების იძულება, რომ მისთვის პატივი ეცათ. მეორე მსოფლიო ომის დროს, ტერმინის გამოყენება თანამედროვე მნიშვნელობით დაიწყო. კალაბრიის მაფიოზური ოჯახი (ნდრინა) სისხლით ნათესავეები მის ბირთვის წარმოადგენდა, რომელიც ვრცელდებოდა ბუნებრივი და ხელოვნური ნათესაობის ხარჯზე. ბანდის ციფრობრივი განზომილება ცვალებადი იყო, რითაც ხდებოდა მეთაურის ძალაუფლების განსაზღვრა. ეს დამოკიდებული იყო მის ძალაზე, თუ რამდენად იქნებოდა მზად შეიარაღებული შეტაკებისთვის. ასევე იქნებოდა თუ არა უნარი გაეკონტროლებინა ტერიტორია და ზეგავლენა მოეხდინა თემის ცხოვრებაზე. ჯგუფის ერთიანობა და სტაბილურობა განმტკიცებული იყო რიტუალის, სიმბოლიკის და წესების ფართოდ გამოყენებით. შიდა ერთიანობის განმტკიცება მუდმივად ხდებოდა ურთიერთდამოკიდებული ქორწინების პრაქტიკით და ნათესავეების უკანონო საქმიანობაში ჩართვით, რითაც ნდრინა დაცული იყო დაბეზლებისა და ღალატისაგან. ნდრანგეტას საორგანიზაციო პრინციპის ტიპური შედეგი დავების შენარჩუნება, ოჯახებს შორის კონფლიქტები იყო, რომლებიც გამოირჩეოდა სისასტიკითა და ურთიერთგანადგურებით. კალაბრიის კლანები კალაბრიის მიღმა ინარჩუნებდნენ მჭიდრო კავშირებს მშობლიურ მიწასთან, ინარჩუნებდნენ ბანდების იმავე სტრუქტურას, მოქმედებდნენ ქცევის მსგავსი სქემებით.

დავუბრუნდეთ ახლა ანიკაზოს და ნ.გრატერის კვლევებს. მანამ, სანამ განვსაზღვრავთ ნდრანგეტას კოდის მახასიათებლებს, მათი წერის ძირითადი თემაა: “თქმა და ართქმა“. ნდრანგეტას 10 მცნება წარმოადგენს მის საფუძველს, ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ადგენს კავშირს ენასა და კულტურას შორის (ის გამოხატავს კოლექტიური მოქმედების ერთიანობას და ერთი საზოგადოების ან სოციალური ჯგუფის ცოდნას). ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მეტყველება თითქოს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ კავშირებს, რომლებიც არსებობს სიტყვებს შორის, იმპლიციტი იქნება ეს თუ სიჩუმე. ამ თვალსაზრისით

გრატერი და ნიკაზო წერენ, რომ ნდრანგეტაში, ღირსება და პატივისცემა ერთმანეთს ავსებს, ერთი და იმავე მედლის ორი მხარეა და ის სიტყვებია, რომლებსაც ნდრანგეტას წევრები ხშირად იყენებდნენ საუბრისას, ბუნდოვანი გამონათქვამებით, ხელოვნური შემაშფოთებელი პაუზებით, რითაც, როგორც ჩანს, გარეგნულად უწყინარი ფორმით, არც თუ იშვიათად, სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ (ნიკაზო & სხვ. 2014).

ნდრანგეტას წევრები შეპყრობილი იყვნენ წესებით, მცნებებით, შეგონებებით (რომლებიც დუმილს და მორჩილებას ეფუძნებოდა). რიტუალი და კოდები შემთხვევითი როდი იყო. ყველაფერს თავისი ახსნა და ყოველ მოვლენას თავისი ცერემონიალი ჰქონდა. მაგრამ როგორ შეექმნათ კოდი? ქურდული სამყაროს ენისათვის არსებობდა როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური ხერხები. ესენია: სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება, სიტყვების დაშლა და ხელახალი წარმოქმნა. ისინი მოქმედებენ ერთდროულად სიტყვების მნიშვნელობასა და ფორმაზე. პირველ რიგში, ხდება ერთ-ერთი მახასიათებლის ინდენტიფიცირება, რომელიც სიტყვას ქმნის, იქნება ეს ფერი, ხმაური, რაიმე ფუნქცია თუ სხვა რამ, რომელიც მთლიანობაში მისი მნიშვნელობის ნაწილია. მაგალითად: *ferro* ნიშნავს *პისტოლეტს*, წარმოიქმნა იმ მასალისაგან, რისგანაც ისაა დამზადებული (მეტონიმია); მაშინ, როდესაც მეორე ხერხით, მნიშვნელობა შეცვლილია *pistoletto*-ხდება *სულელის, გულუბრყვილოს* სინონიმი (მეტაფორა).

ამას გარდა, სიტყვები შეიძლება დაიშალოს, შენობის აგურების მსგავსად, შემდეგ კი კვლავ შეერთდეს, მხოლოდ განსხვავებული თანმიმდევრობით, ანუ მოხდეს მარცვლების გადაადგილება, რასაც ვერლანს უწოდებენ. მხოლოდ რამდენიმე ხერხია იმათგან, რომლებიც ერთი ენის ლექსიკის შექმნაში მონაწილეობენ. საჭიროა ვთქვათ, რომ ჯერგოს ნუსხა, რომელიც არსებობს ევროპასა და მთელ მსოფლიოში საკმაოდ გრძელია და გვთავაზობს სიტყვებისა და წინადადებების მოდიფიკაციის უამრავ მაგალითს.

მნიშვნელოვანია მეტ-ნაკლებად რთული სტრუქტურის მქონე, საიდუმლო კოდების არსებობა. მათი მიზანია სიტყვის მნიშვნელობის შენიღბვა, ახალი

მნიშვნელობის წარმოქმნა, რომელიც გაუგებარი იქნება სხვებისთვის. კოდის არსი მის საიდუმლოებაშია. რა თქმა უნდა ორგანიზაციის წევრების საუბრისას თავს იჩენდა მრავალი ლინგვისტური და არალინგვისტური მოვლენა. მართალია, რომ მთელი ინფორმაცია, რაც არსებობს ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების შესახებ, ლინგვისტური გზით გავრცელდა. ნ.გრატერის და ა.ნიკაზოს აზრით, მართლმსაჯულების თანამშრომლების მიერ განხორციელებული მოსმენები ყოველთვის იყო ძირითადი წყარო იმისა, რომ გაეგოთ ამა თუ იმ ორგანიზაციის წესები, რიტუალები, რასაც ქურდული სამყარო ეყრდნობოდა. ამ მოსმენების დროს, ნდრანგეტას წევრები ყველაფერზე საუბრობდნენ ისე, რომ არ იცოდნენ, რომ მათ უსმენდნენ. თუმცა, სრულიად შეგნებული ჰქონდათ ის, თუ რასაც ამბობდნენ, ისინი იყენებდნენ მინიშნებებს. გრატერიმ და ნიკაზომ, იკვლევდნენ რა მოსმენების ენას, შეამჩნიეს, რომ მათი ენა ალეგორიით, მინიშნებებით მდიდარი ენა იყო. სწორედ მათ დიდი დახმარება გაწიეს დანაშაულებრივი ჯგუფების ლექსიკის აღდგენაში, ასევე ჯერგოს ტერმინების მეტ-ნაკლებად სრულყოფილ შეგროვებაში. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ იმ სიტყვების შეგროვებით და განმარტებით, რომლებსაც ორგანიზაციის წევრები იყენებდნენ ერთმანეთთან კონტაქტის დროს. ისინი, ვინც ეს ლექსიკა შექმნა, დანაშაულებს ჩადიოდა. ძირითად წყაროს ქურდული სამყაროს ლინგვისტური ჩარჩოს აღწერა წარმოადგენდა. 1897 წელს, ოლივია ლაბატემ, მეძავმა, მოსამართლეებს *baccagghju*-ს, ძველი სიცილიური ჟარგონის მნიშვნელობა აუხსნა. თავად სიტყვა *baccagghju* არის სიცილიაში დანაშაულებრივი ჟარგონის აღმნიშვნელი სიტყვა, ისევე როგორც კალაბრიაში. ასე გავრცელდა ეს სიტყვა და მიაღწია ვენეციამდე (*Bacagiar, Bacajare*, ეტიმოლოგიურად მომდინარეობს მდინარის იმავე სახელწოდებიდან *Bacchiglione*). უამრავი ტერმინის ახსნა შეიძლება ნახოთ 1929 წელს გამოცემულ ბაკალიუ დე კალვარუზოს ლექსიკონში, რომელიც აკვირდებოდა პალერმოს ბანდიტების და ქურდების საიდუმლო მეტყველებას, რომლებიც იქ ტრიალებდნენ. ლექსიკონში მოცემულია ასევე სიტყვის სავარაუდო ეტიმოლოგია და მითითებულია ასევე იტალიის ის ადგილები და წრეები, სადაც მას იყენებენ, მათ შორის იყვნენ ბოშებიც. ფაქტობრივად, ზმნა, საიდანაც მომდინარეობს სიტყვა ჯერგო-*gergo*, ნაწარმოებია სინკოპირებული ფორმისაგან *bacchaliare <bacchanaliare>*

bacchanalia ექსპლიციტური მინიშნებით კლასიკური ლათინურიდან მიღებულ სიტყვაზე *baccanal*, რომლისაგანაც მივიღეთ მნიშვნელობა *fare baccano-ხმაური*, რომელიც ძალიან გავრცელებულია იტალიის სხვადასხვა რეგიონში და ზოგჯერ მას მიიჩნევენ როგორც ახალგაზრდული ენიდან ნაწარმოებს.

სიტყვები, რომელსაც ზემოხსენებული მეძავი ხსნის, შეიძლება დაჯგუფდეს. ყველა მათგანი განეკუთვნება ყველაზე საერთო და ტიპურ ზონებს. იმ ადგილს, სადაც მეძავეები დგანან, რომელსაც მართავს *maggiorigna-მეპატრონე ქალი*. ტერმინი ვაჭრობასთან დაკავშირებულ ხუმრობას უკავშირდება, როგორცაა *ammascante*, სადაც *maggiorignu* ნიშნავს *სამჭედლოს მეპატრონეს*. მაგალითები:

Sciacche-prostitute-donna innamorata-შეყვარებული ქალი;

Strambola, la sera-საღამო;

Putrimento, il letto-ლოგინი;

Mutria, la faccia-სახე;

Sopracielo, il cappello-თმა;

Sferra, sperra, pugnale-ხანჯალი;

Cerino, coltello-დანა;

Lampanti, gli occhi-თვალები;

Fangose ან caminanti, le scarpe-ფეხსაცმელები;

Putea, questura-პოლიციის განყოფილება;

Zaffi, guardie-ყარაული;

Carrubbi, carabinieri-კარაბინერები;

Muffa, fazzoletto-თავსაფარი;

Ntinnu, orologio-საათი;

Grasciume, oro-ოქრო;

Sfogliose, banconote-ფულის კუპიურა;

Maniglie, vecchie lire-ძველი ლირა.

ამ სიტყვების დიდი ნაწილი პირდაპირ შეესაბამება ხელოსნების მიერ გამოყენებულ ჟარგონს, ვინაიდან მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქურდულ სამყაროსთან, ნაწილობრივ, მუნიციპალიტეტებში, შეხვედრების დროს. სხვა ტერმინები, როგორებიცაა პოლიცია, კარაბინერები, იარაღი, ქრთამი, საერთო გამოყენების სიტყვები დარჩა თვით რეალური სამყაროს მიღმა. კრიმინალი დოლდოს აღიარებაში, რომელიც ასევე შეიცავს გლოსარიუმს, შეგროვებული სიტყვების რაოდენობა უფრო შინაარსობრივია და შედგება ტერმინებისაგან, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული კრიმინალურ ორგანიზაციასთან. არსებობს ასევე მნიშვნელოვანი მინიშნება დრანგეტასთან დაკავშირებით, რომელიც როგორც ორგანიზაცია საიდუმლოა და შეიქმნა ანალოგიით. ის სიტყვები, რომლებიც მომდინარეობს საერთო ბირთვიდან, რომლებიც ხელოსანთა და ქურდული სამყაროს ჯერგოს ურთიერთკავშირის დროს შეიქმნა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ის ფორმა, რითაც გამოხატულია დოლდოს ტექსტი, იწოდება *parlare a mascolo-მამაკაცური საუბარი*, რომელიც ასევე თავად სიტყვის *ammascante-გაგება*, საწყისია. ის მრავალჯერ იქნა ნახსენები და ამასთან, თავისი ფორმებიც შექმნა, ვინაიდან ხელოსნები მამაკაცები იყვნენ. ამ ენის არსი თავისუფლება იყო. მეორე მთავარი ასპექტია დაპირისპირება ჯგუფის წევრებს შორის, რომელიც თავს იჩენდა კონფლიქტური სიტუაციისა და იდენტიფიკაციის დროს.

ყველა ჯგუფი თავისთვის ქმნიდა სიტყვებს განსხვავებული ინდივიდუალისათვის. ამ შემთხვევაში, მინიშნება კეთდებოდა „ქურდულ“ ჟარგონზე. სიტყვებს, რომლებსაც ბოშები იყენებდნენ, გამოირჩეოდა იმ ჯგუფის სიტყვებისაგან, რომლებიც მუდმივად ერთ ადგილზე ცხოვრობდნენ. მათი იდენტიფიცირება ადვილი იყო. *Rom* ნიშნავდა ბოშას, ხოლო *gaggè* არაბოშას. *Gaggiu* ასევე ერთ-ერთი სახელწოდებაა იმათი, ვინც ჯერგოზე საუბრობდა და გლეხებს ნიშნავდა, რომლებიც მიწასთან იყვნენ დაკავშირებული. მათ მიიჩნევდნენ უფრო დაბალ საფეხურზე

მდგომ ადამიანებად. კრიმინალები და ნდრანგეტის წევრები იყენებდნენ კონტრასტულ სახელწოდებებს, რომ განესაზღვრათ მათი ორგანიზაციისათვის უცხო პირები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნდრანგეტას კოდი ციხეში გაჩნდა, რადგანაც ეს ის ადგილი იყო, რომელიც ყველაზე პროდუქტიული იყო კრიმინალური კოდების გასავრცელებლად. იქ იყვნენ კრიმინალები, რომელთაც დიდი ხნის პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი, ხოლო თავად ეს უკანასკნელნი სხვადასხვა კრიმინალურ ასოციაციებს მიეკუთვნებოდნენ. პატიმრობის ადგილი ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა ახალი წევრების მისაღებად, რომლებსაც გადასცემდნენ ასოციაციაში არსებულ წესებს და კრიმინალურ ქცევებს, ასევე იმ წესებს, რომლებიც კოდებში იყო ჩადებული. ამ თვალსაზრისით, დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთობის ადგილი, სხვადასხვა წარმოშობის კრიმინალებს შორის ფავინიანას კუნძული იყო, რომელიც განეკუთვნებოდა ეგადის კუნძულების არქიპელაგს.

სიცილია დროთა განმავლობაში კრიმინალური ორგანიზაციების გავრცელების ნაყოფიერი ნიადაგი გახდა. ის, რაც დღეს ცნობილია *coatti*-გადასახლებულთა ჩვევების შესახებ, ასევე პატიმრების შესახებ, რომლებიც გამწესებულები იყვნენ პენიტენციურ დაწესებულებაში კუნძულ ფავინიანაზე, აღწერილია პენიტენციალური კოლონიის ექიმის ემანუელე მირაბელას ნაშრომში, რომელიც 1910 წელს გამოიცა. მან 8 წლის განმავლობაში (XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში) შეკრიბა და შეისწავლა პატიმართა წეს-ჩვეულებები. ტექსტი ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კოლექციაა ჟარგონების შესახებ, ვინაიდან მასში თავმოყრილია 4500 სიტყვა და ასევე კამორას ყველაზე ექსპრესიული კოდის ტრანსკრიფცია, რომლის გადაწერის უფლება მას ერთმა პატიმარმა მისცა. უნდა ითქვას, რომ მირაბელას ნაშრომი მწირ ინფორმაციას გვაწვდის ენობრივი კონტექსტის შესახებ, თუმცა იმ შენიშვნებმა, რომლებიც გაკეთებული აქვს ავტორს განსაკუთრებით რთულად გასაგებ ფორმებთან დაკავშირებით, თარგმანებმა და შედარებებმა, ყველაფერმა ამან, ხელი შეუწყო ზოგიერთი ფორმულის გაგებას, რადგანაც სხვანაირად უამრავ საწყისს კოდებში ისინი გაუგებარი იქნებოდა. საინტერესოა ასევე ის, თუ როგორ აღწერს

ავტორი ციხის საკნებში მყოფ პატიმართა ყოველდღიურ ცხოვრებას. კერძოდ, საუბარია იმ დავალებებზე, რომლის შესრულებაც ევალებოდა “იმ დღის კამორის“ წევრს, რომელსაც უწოდებდნენ *tamburo-მედოლეს*, ვინაიდან მისი მისია მთელი დღე და ღამე გრძელდებოდა. ის ასრულებდა ბანდის დავალებას. ფაქტობრივად, მირაბელა წერს:

ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტები, თუ ისინი საუკეთესო წერილობითი ნიმუშები არაა, მაინც, თვალნათლივ გვიჩვენებს იმათ განათლების დონეს, ვინც ისინი შეადგინა. ამას გარდა, ეს ახალი როდია, რადგანაც თვით ქალაქ ბარის ცნობილ ბანდაში, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო შექმნილი, არსებობდა წესები და კანონები, რომლებშიც ფორმულები და მოთხოვნები ზოგადად, ნათლად იყო ჩამოყალიბებული (მირაბელა 1910:57).

საინტერესოა, მირაბელას ტექსტების კვლევა, რომლებიც მსჯავრდებულთათვის არგოს კოდების სწავლებას ეხება. ჯერგოს შესასწავლად მათ ჰყავდათ *mastro, masto-მასწავლებელი*, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო კარგი ანაზღაურება ქრთამის სახით. თავისი მისიის შესასრულებლად ის იყენებდა ნამდვილ სახელმძღვანელოს ჯერგოს ტერმინებით და ფრაზებით, შესაბამისი ახსნა-განმარტებებით. მისი მიზანი იყო ახალმოსულთა ენობრივი ცოდნის გაღრმავება. ამას გარდა, კოდების კვლევა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორი ნათესაური კავშირი აქვს ადრინდელ და ახლანდელ გამოთქმებს ხალხური წარმოშობის ტექსტებთან, როგორებიცაა: ომის ტყვეთა ან იმიგრანტთა წერილები.

კოდების ლინგვისტური ანალიზიდან გამომდინარეობს ასევე განათლების ძალიან დაბალი დონე. ეს აშკარა ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ არის სიტყვები დაყოფილი ან ფორმაშეცვლილი, რაც გაუგებარს ხდის აზრს იმათთვის, ვინც ასოციაციას არ განეკუთვნება. მაგალითად, ტექსტებში ჩვეულებად იყო ქცეული განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების შერწყმა იმ სიტყვასთან, რომელსაც ის ერთვოდა. სხვა შემთხვევებში აკლდა პუნქტუაციის ნიშნები, დიაკრიტიული ნიშნები, აპოსტროფები, სამაგიეროდ, უხვად იყო სხვადასხვა სახის შეცდომები.

ყველაფერი ეს უნდა დავუმატოთ ტექსტის სტრუქტურის ხარვეზს და ასევე იმ ხერხს, რის მიხედვითაც სიტყვები იქნა შეკრებილი. შედეგი აუცილებლად გაუგებარი იქნება. მაგალითი აღებულია პილიგრიმის (ბანიარას) კოდის ფრაგმენტიდან:

Giusto apunto custo bongiorno iovelopasso per novità avvoi e tutta lasocieta che arrivato unpicciotto franco libero e fermitivo si sa chiamare la sua diritta a bene emmale eccome mi aspetta secomandi mi dovete sare sono pronto per servirr avvoi e tutta la società. R. la societia pregna mano comanda.

კოდების ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მახასიათებელია სხვადასხვა რეგისტრების კომბინაცია, კულტურული და სიმბოლური მონაცემები. მამაკაცები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ შუა საუკუნეების რომაელთა მითოლოგიური ისტორიით, ზღაპრებით, მეომართა ლაშქრობებით, ქმნიდნენ ტერმინებს. თვალში საცემია მისალმების ფორმულების ხშირი გამეორება, პატივისცემის კავშირების გავრცელება. ამ განმეორებადი ტერმინების არსებობა მამაკაცთა გარემოში ითვალისწინებდა ქცევის მკაცრ წესებს, რომ თავიდან აეცილებინათ უთანხმოება და დისციპლინარული პრობლემები.

იერარქია, რომელსაც ციხეებში განსაზღვრული წესები ჰქონდათ, უნდა ყოფილიყო მკაცრი და განსაზღვრული. ამას გარდა ყველა ინიციატივას მაღალი ემელონებისაგან წინასწარი ნებართვა სჭირდებოდა, რომელსაც ასევე ჰქონდა პრივილეგია საკნის ყველაზე სასურველ ნაწილში მოხვედრილიყო, ანუ ყველაზე ახლოს ყოფილიყო გასასვლელთან. ამგვარად, სხვადასხვა კვლევებით დგინდება, რომ ციხე ზოგჯერ საფუძველი იყო ქცევის წესების და კოდების შესამუშავებლად. საინტერესოა ასევე კოდებში ჩადებული შინაარსი. ჩვეულებისამებრ, კოდი იქმნებოდა ტიპური მოდელის მიხედვით. ერთი მხრივ, იმ ანგარიშის მიხედვით, რომელსაც აკეთებდნენ კამორას დამაარსებლებთან შეხვედრის შემდეგ და ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, სადაც ის ხდებოდა. მეორე მხრივ, წერილობით მითითებული იყო ის მიზეზები, რომლებმაც ორგანიზაციაში გაწევრიანება უბიძგათ, პირველ რიგში ღირსებისა და სოლიდარობის ღირებულებები. შინაარსი

გადმოიცემოდა სიმბოლოებით. მოცემული იყო ასევე გაწევრიანებულთა წესები, თუ როგორ უნდა მოიხსენიონ მეგობრები და უფროსობა. ყველაფერი ეს იყო ნამდვილი რიტუალი, რასაც ახალ წევრებს ასწავლიდნენ.

არგუმენტები ხშირად მეორდება, ვინაიდან სიტყვების გამოყენება შეზღუდულია. ამ მახასიათებელმა ნიშნებმა მკვლევარები იმ ჰიპოთეზამდე მიიყვანა, რომ არსებობს ორიგინალი ნიმუში, ერთადერთი, შემდეგ იგი გადაეცემა წევრებს და საბოლოოდ ხდება ორგანიზაციის საკუთრება. ტრანსკრიფციები წარმოადგენდა თანმიმდევრულ გადასვლას საერთო წარმონაქმნიდან, სადაც წესებია დადგენილი და დაწერილი. რა თქმა უნდა, ტრანსკრიფციები, წერდნენ ტრამპერი, მადალონი, გრატერი და ნიკაზო (2014), არ თავისუფლდება ვარიაციებისაგან, როგორც ტერმინების შინაარსის თვალსაზრისით, ასევე ენის თვალსაზრისით. ეს გამომდინარეობდა სიტყვების გადაცემის ხარვეზის და სიტყვების კოდებში აღმოჩენილი უამრავი შეცდომის გამო. ლინგვისტური თვალსაზრისით არსებობს ნიშნები, მაგალითად, გამეორება მეორე ტერმინის აბსოლუტურ აღმატებით ხარისხში გამოყენებით: *fino, finissimo; conforme, conformissimo; comodo, comodissimo* და სხვა. ჩნდება სიტყვები მოდიფიკაციით, რომლებიც წარმოადგენს არსებული ტერმინის ზუსტ საწინააღმდეგო ტერმინს ან კიდევ მის გამაძლიერებელს: *formu, mi trasformu; formata, sformata; combattono, ricombattono; sbaglio, strasbaglio; fallisce, strafallisce* და სხვა. ხშირად, ტექსტები რითმით მთავრდება. აშკარაა, რომ ისინი არ ითვალისწინებენ სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, მთავარი ისაა, რომ მიზანი სიმბოლური და მაიდენტიფიცირებელია, როგორც ესაა მოცემული შემდეგი ტიპის გამოთქმებში:

-*Mangiare la prima foglia*, სიტყვასიტყვით ნიშნავს *პირველი ფოთლის ჭამას*, სინამდვილეში გულისხმობს *commettere il primo omicidio/uccidere un infame-პირველი მკვლელობის ჩადენა*. ბანდიტების ენაში მეტაფორულად „დაცვენილი ფოთლები“ შეესაბამება *ზნედაცემულს, ნაძირალას*.

-*Un giardino di rose e fiori-ვარდების და ყვავილების ბაღი*, გამოთქმას, რომელიც უკავშირდება იმ ადგილს, სადაც მაფიის წევრობის კანდიდატი ხდება ორგანიზაციის წევრებს და ხდება მისი მონათვლა.

-*Con ferri alle braccia e piedi alla tomba-რკინებით ხელებზე და ფეხებით საფლავზე* და სხვა.

კოდების შესწავლით აღმოჩნდა, რომ ამ ელემენტების სიმბოლური გამოყენება ინფორმაციულ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ის გამოიყენება ინფორმაციის დასამალად, რომელიც შეიძლება გასაგები იყოს ორგანიზაციის ფილიალებისათვის.

კოდების შესწავლისას მეორე თავისებურება პაროლის გამოყენებაში მდგომარეობდა, რომელთაგან ერთ-ერთი ემთხვეოდა გამოთქმას *Buon Vespero-საღამო მშვიდობისა*. ეს სიტყვა გაჩნდა ასევე სხვა ფორმებსა და მის ვარიანტებში, როგორცაა *bumpessaro*, მას შეკრების დროს იყენებდნენ ორგანიზაციის წევრები. მისი თარგმანი შეესაბამება *buon giorno*-ს და მის მსგავსს ფორმებს, როგორებიცაა *buon vespero-buona sera*, თუმცა, მას იშვიათად იყენებდნენ. ამ შემთხვევაშიც, ლექსიკა სახეცვლილია, რომ დაეკარგოს ძირითადი მნიშვნელობის სახე, ვინაიდან, როდესაც კარნახიდან გადავდივართ წერაზე, ის ორიგინალიდან არ მომდინარეობს, არამედ სხვა გადაწერილი ფორმებიდან, რომლითაც ბუნდოვანებას ბუნდოვანება ემატება. სიტყვები დეფორმირებული იმიტომაცაა, რომ შეცდომებით დაწერილი ფორმიდანაა აღებული ან ნაკარნახევია ნაწერიდან. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ კარნახში საწყისი თანხოვანი მეორდება, ტექნიკური ტერმინით რომ გამოვხატოთ, მას უწოდებენ ფონოსინტაქტურ გამეორებას, რაც ლინგვისტური მოვლენაა, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში: *a ccasa; e vvai; essotto i nomi; camorrista ddi sagne; effatimi grazie* და სხვა.

როდესაც ვხვდებით ასეთი ტიპის პრობლემატურ ტექსტებს ენის დონეზე, ასევე უნდა ვიფიქროთ მოსაუბრეთა ცოდნის დონეზე, გრამატიკულ შეცდომებსა და წერაში არსებულ სირთულეებზე. ხშირად კოდებში აზრი ბუნდოვანია ენობრივი სირთულეების გამო, რომლებიც სუსტი სამუალო კულტურული დონიდან გამომდინარეობს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წარმოსათქმელი სიტყვები და

ქესტები მეხსიერებით გადაიცემოდა ისეთი ფორმით, რომელიც უსადენო ტელეფონით დარეკვას ჰგავს. საწყისი წინადადება თუ სიტყვა, რომელიც ერთიდან მეორეში გადადიოდა მრავალჯერ ისე იცვლებოდა, რომ როდესაც აღწევდა ჯაჭვის ბოლოს, თითქმის გაუგებარი იყო.

დროს თავისი მნიშვნელობა და როლი გააჩნია კოდების ჩაწერაში, ისევე როგორც ტექსტებს, რომლებიც აფიქსირებენ ორგანიზაციის გამოგონებებს და წესებს. სიტყვის გადაცემის დროს მასში ერეოდა სხვა წყაროდან აღებული ელემენტები. ამას გარდა, რიტუალის ადრესატები ახალი წევრები იყვნენ, რომლებიც საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას განეკუთვნებოდნენ. ცვლილებების მნიშვნელობამ გარკვეული როლი ითამაშა მათ კულტურულ დონეზე.

დოლდოს აღსარების მიხედვით, ზოგიერთ კოდში, როგორც ცნობილია, ორგანიზაციის შიდა სტრუქტურას ადარებენ ხეს თავისი შემადგენელი ნაწილებით, სადაც განაწილებულია დავალებები. ის წერს:

როგორც ხის ტოტები, ფოთლები და ყვავილები თავად ხის სიცოცხლეს განაპირობებენ და მართავენ, ასევე კამორის წევრები ორგანიზაციის ვარჯი და ტოტებია. ახალგაზრდა წევრები წარმოადგენენ პატარა ტოტებს, რომლებიც სიცოცხლეს იღებენ დიდი ტოტებისაგან, ანუ კამორასაგან. ისინი ბრმად უნდა დაემორჩილონ თავიანთ ბრძენ მასწავლებლებს (დოლდო 2014)¹⁷.

ის რაც აშკარაა, ხე გამოიყენება როგორც კამორას ემბლემა, მისი ტანით, ტოტებით, ფოთლებით და ა.შ. ტრამპერი და მისი კოლეგები წერენ, რომ არ უნდა შევჩერდეთ მხოლოდ იმ მონაცემებზე, რომლებიც ყველაზე აშკარაა, როგორც ის ხე, საიდანაც ევამ აკრძალული ნაყოფი მოწყვიტა. მეტაფორის ძიება, რომელიც უკავშირდება ბუნებრივ ელემენტებს, არის ხალხური კულტურის საფუძველი. მაგალითად, ანთრომორფული ხედვა ასევე მიღებულია და გავრცელებული, სადაც ხეს, ადამიანს და მისი სხეულის ნაწილებს ადარებენ, თუმცა, შენარჩუნებულია ასევე ინტერპრეტაციაში ბუნდოვანების ნაწილი. ტრადიციულ აღწერებში სხეული დანაწევრებულია და

¹⁷ ციტატა აღებულია ზემოხსენებული ტრამპერის, გრატერის, ნიკაზოს წიგნიდან “ზოროტმოქმედთა ენა”(2014).

თითოეული ნაწილს თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც ის მოცემულია მამაკაცების ენაში: *I miei piedi sono una fibbia, la mia pancia e una tomba il mio petto e una onore in fronte e bocca sigillata* - ჩემი ფეხები საკეტია, მუცელი საფლავი, გულმკერდი ღირსებაა ჩემი შუბლით და დამუწული პირით.

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, კამორის კოდი მდიდარი იყო სიმბოლოებითა და რიტუალებით. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ რელიგიური სიმბოლოებით. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

-*Battizzu*-ნიშნავს ფილიალის ახალი წევრის მონათვლას, რომელიც *Battizzu, Vattiju*-ს რიტუალთა ერთგული ხდება, საპატიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას. ნათლობა, ორგანიზაციაში განიხილება როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი, რომელიც კარს უხსნის მას ყველა შემდეგ დონეზე. რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობს ის და ვგულისხმობთ ზიარებაში ქრისტეს მსხვერპლშეწირვას.

არსებობს ასევე პირდაპირი მინიშნებები საგნებსა და სიმბოლოებზე, მაგალითად: ხელის გული, სანთლები, ჯვარი, მტრედი, მთავარი საკურთხეველი. ბანდის წევრების სამი განმასხვავებელი ნიშანია: ოქროს ვარსკვლავი წინ და ხანჯალი ხელის გულზე, ისეა განლაგებული რომ ჯვრის ფორმა მიიღოს. ამ სამი სიმბოლოს ახსნას მხოლოდ რელიგიური დატვირთვა როდი აქვს, არამედ ფუნქციურიც, ორგანიზაციის შიდა მოთხოვნების შესაბამისად. ოქროს ვარსკვლავი წინ ხელის გულთან უპირატესად ქრისტიანობის სიმბოლოა. ყველა მონათხრობში ის განასახიერებს სიკეთეს და შესრულებულ სწორ საქციელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბანდიტების ენაში გვხვდება ისეთი პირის ნაცვალსახელები, რომლებსაც თავისებური ფორმები აქვთ კუთვნილებითი ფორმების მეშვეობით. მაგალითად: *vostrodine-(voi)- თქვენ; maisine (io)-მე*.

ცნობილია, რომ არსებობს ორი სხვა კრიმინალური ორგანიზაცია, რომელიც ნდრანგეტასთან ერთად იტალიის ტერიტორიაზე მოქმედ ძირითად ბანდებს წარმოადგენს. მეორე, თავისი მნიშვნელობით, კამორას ბანდაა. კრიმინალური ორგანიზაციების სიტყვების ეტიმოლოგიის მაქსიმალურად დაახლოების

მცდელობის მიზნით, მეცნიერებმა, მათ შორის ტრამპერმა და მისმა კოლეგებმა აუცილებელი მეთოდოლოგიური ხერხები გამოიყენეს მათი ენობრივი ისტორიის შესასწავლად. ეს ადგილები ორ ფუნდამენტურ პოსტულატს ეყრდნობა:

-მოცემული გასაანალიზებელი ტერმინები წარმოადგენს მოვლენას, რომელიც იმდენადაა ფესვებგადგმული საზოგადოების ღრმა ფენებში, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ ერთადერთ ეტიმოლოგიურ წყაროზე. მათში მრავალი წყაროა აღრეული და შერეული. ყურადღება უნდა მივაქციოთ ჟარგონის ისტორიას, რომელიც დიდი ხნისაა და არ შეიძლება თვითნებურად იქნეს დაკნინებული და უგულვებელყოფილი.

-ასევე უნდა გავითვალისწინოთ ხალხური ეტიმოლოგია, ანუ რა სარწმუნოება არსებობდა ორატორებს შორის სიტყვისა და მისი წარმომავლობის თვალსაზრისით, ვინაიდან ამას შეეძლო ამ უკანასკნელის ევოლუციის და გამოყენების წარმართვა. მეცნიერთა მიერ ფორმულირებული ჰიპოთეზები ძალზე განსხვავებულია.

საინტერესოა ტერმინების მაფია, კამორა და ნდრანგეტა ეტიმოლოგიები. ტერმინის *mafia* ეტიმოლოგია, უფრო სწორად *maffia*, სიცილიური ჟარგონის ნაწილი მხოლოდ 1863 წლის შემდეგ გახდა. მანამდე არცერთ სიცილიურ ლექსიკურ მარაგში ის მოხსენიებული არ იყო. გაერთიანებამდე გამოიყენებოდა ტერმინი *picciotteria*. გარიბალდისეულ ლიტერატურაში მოხსენიებულია ვინმე ჯუზეპე ჩეზარე აბა, განათლებული მამაკაცი, რომელიც მილეს მოთხრობებში, რომლებსაც ქალიშვილებს უყვებოდნენ, აღწერილია ბანდიტი. ის რევოლუციის დასაწყისში ზოგიერთ თაღლითთან ერთად გვხვდება. ისინი მარცვავენ, კლავენ მანამ, სანამ არ გადაწვავენ ერთ სოფელს. ის დაკავებულ იქნა ბარონ სანტ ანას მაფიის ახალგაზრდა წევრების მიერ. ქვემოთ მოცემულია აბას ტექსტის ნაწყვეტი, სადაც პირველად ჩნდება სიტყვა *maffioso*. სიცილიელებმა, რომლებიც კუნძულზე დაბრუნდნენ გარიბალდისთან ერთად, თქვეს, რომ უნდა შექმნან საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც ეწოდება *maffioso*. მან აუხსნა თავის თანამებრძოლებს ამ საზოგადოების არსი და გააერთიანა თავის რიგებში ადამიანები მთელ კუნძულზე, ქალაქში, სოფელში, ყველგან. შემდგომ 1865 წელს, სიტყვას *mafia* იყენებს პალერმოს პრეფექტი, ფილიპო ანტონიო გუალტერიო, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს უგზავნის ინფორმაციას

ბანდიტური ორგანიზაციის შესახებ. ეს ორგანიზაცია საკუთარი მიზნების განსახორციელებლად იყენებს პოლიტიკოსებს, მდიდრებს, რომლებიც თავად შეიძლებოდა გამხდარიყვნენ ამ ორგანიზაციის მსხვერპლნი. 1875 წელს საიევას ბანდის და ბარონ კალაუროს ბანდის მრავალი წევრი, ასევე ჩეზარესა და ინოჩენცო ტრანიტის წევრები დაკავებულ იქნენ როგორც ეგრეთწოდებული „ქალაქ ჯირჯენტის ყვითელი ხელთათმანის მაფიის მეთაურები“. მაფიის წევრებს საუკეთესო შემთხვევაში სამუდამო პატიმრობას, ხოლო მეთაურებს მხოლოდ 5-6 წელს უსჯიდნენ.

პ. ფანფანი და ჩ. არლია-ს ლექსიკონის 99-ე გვერდზე მოცემულია ტერმინის *მაფია* შემდეგი ტიპის განმარტებანი: *consorteria: mafia = ბანდა*, მაგრამ უფრო ძლიერი მნიშვნელობით *maffia* : *ბუა, პირქუში ადამიანი, სოციალური საფრთხობელა*. მანჯამელის ლექსიკონში 1879 და ტროლინას ლექსიკონში 1868: *mafia*, ნიშნავს *თავხედობას*. მანჯამელის, ტროლინას და ავოლიოს 1885-ის ლექსიკონში: *mafia: საიდუმლო, კონსპირაციული ასოციაცია*.

1900-დან 1950-მდე, სიცილიასთან მიმართებაში გვხვდება ცნობები (იტალიურ ლინგვისტურ საზოგადოებაში N3, 1903 წელი), მაფია აღნიშნავს *თავხედობას*; *ბანდიტურ საზოგადოებას*. კალაბრიაში, სიტყვა *maffiusu (bravaccio-თავხედი, მოძალადე, მოჩხუბარი)* ფორმით გვხვდება მალარას ლექსიკონში, 1909 წლის გამოცემაში, მაშინ როდესაც ტერმინი *maffia*, როგორც კრიმინალური გაერთიანება, პირველად ჩნდება მარცანოს 1928 წლის ლექსიკონში. თუკი სურვილი არსებობს, რომ გაირკვეს სიტყვის ეტიმოლოგიის საკითხი, უნდა გავაანალიზოთ ზედსართავი *maffiusu*, სიცილიური ზმნა *mafiarisi* და კალაბრიული *ammaffijari*, „ვინმეს გაქურდვის“ მნიშვნელობით. შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ არსებობს შესაძლო კავშირი კალაბრიულ ზედსართავთან *mafrune, -i /mafrunu (furbo)* <რომელიც ლათინური *vafer-* ისგანაა ნაწარმოები და ნიშნავს *ემშაკს, გაიძვერას*, ასევე სიცილიურ ფორმასთან *mafrusu, marfusu-mafruni*, თუმცა ეს საკითხი სადავოა. რაც შეეხება სიტყვის ისტორიას, ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ მას არაბული წარმოშობა აქვს.

-*Mafia* < არაბულად *mahfal* ნიშნავს *concilio*-საბჭოს.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას ემხრობოდა ასევე ენათმეცნიერი ჯ.ბ. პელეგრინი. არსებობდა სხვა რელევანტური წინადადებები, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქ პალერმოსთან, ტერმინები, რომლებიც ისევ არაბულს უკავშირდება:

-*mahalla* და *mahallja* (ნიშნავს ქალაქის უბანს, ბინას), ელინიზერებული ფორმა როგორც *mach(a)llas*, რომელიც შეესაბამება გავრცელებულ ბერძნულ ფორმას *amphodon*.

ლინგვისტურად რომ ავხსნათ ეს საკითხი, რომელსაც მივყავართ სიტყვის *maffia* ახალი ფორმის წარმოქმნისაკენ, ჩვენი ყურადღების კონცენტრირება უნდა მოხდეს *h*-დან *mahallja*-ში > *f*-ზე *maffia*-ში. როგორც ამას ლინგვისტები ხსნიან, ასეთი გადასვლა ხშირია და ჩვეულებრივი, როდესაც ვახდენთ არაბული ტერმინების იტალიურ ენაზე მორგებას. უფრო სწორედ, ეს ხდება ორი არაბული სიტყვის გადაკვეთისას, როგორც ეს ჩანს ქვემოთმოყვანილ მაგალითებში:

-*mahfal-assemblea*, *sinodo-კრება*, *სინოდი*, გავლენას განიცდის სიტყვის *mahalla* > *makhallas* ბერძნ. *კვარტალი*, *უბანი* > რასაც მივყავართ *mahhla*-მდე (*h* > *f*) > ამგვარად, ვღებულობთ *maffia*-ს.

ფორმა ყველაზე მეტად სავარაუდოა და მინიშნება მსგავსს კონცეპტზე უდავოდ გვევლინება ყველაზე მეტად შესაბამის მნიშვნელობად. საჭიროა გავიხსენოთ და ნათელი მოვფინოთ, რომ სიტყვა *მაფია* სპეციალურად გამოიყენება სიცილიასთან მიმართებაში, თუმცა, დროთა განმავლობაში ის ზოგადი ტერმინი გახდა ორგანიზებული დანაშაულის გამოსახატავად. დღესაც კი ტერმინი *მაფია* ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენება. ხშირად მიმართავდნენ სხვა სახელდებებსაც კრიმინალური ორგანიზაციების აღსანიშნავად, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიაზე მოქმედებენ. თუმცა, სხვა ავტორებმა სულ ახლახან კვლავ განიხილეს ტერმინის *მაფია* ეტიმოლოგია, რომელიც სრულიად განსხვავდება ტრამპერის და მისი მომხრეების თვალსაზრისისაგან. ესენი იყვნენ ა.ნოჩენტინი და ვარვარო დ. ბალიონი. ეს სიტყვა წარმოდგენილია სხვა დიალექტებში *spocchia-ტრაბახი*, *baldanza-გამბედაობა* მნიშვნელობით, შემდეგ გაჩნდა ვარიანტი *maffia*, ხოლო XIX საუკუნის

მეორე ნახევარში კი აღნიშნავდა კრიმინალურ ასოციაციას. შესაძლოა ეს სიტყვა მიესადაგება საკუთარი სახელის *Matteo* ხალხურ სახესხვაობას *Maf(f)io*, საწყისი სიტყვიდან *mahyàs smargiasso-ტრაბახა*, რომლითაც მტკიცდება, რომ ის არაბულიდანაა ნასესხები. ერთი ბერი, შეეცადა დაემლია ეს სირთულე და საწყისად სიცილური სიტყვა აიღო *marfusu impostore scaltrito-გამოცდილი მატყუარა*, არაბულიდან *marfūd rinnegato-რენეგატი*, რომელიც დაფიქსირებულია XV საუკუნიდან, შემდეგ კი გარდაიქმნა *maf(f)iusu* სიტყვად, საიდანაც მივიღეთ სიტყვა *მაფია*. ამ დროს, გაჩნდა სემანტიკური ხასიათის სირთულეები. საჭირო იყო, ყველანაირი მტკიცებულებების მიუხედავად, დერივაციის ინვერსირება მაფიასა და მაფიოზოს *mafia* და *mafioso*-ს შორის. ო.ლურატის არგუმენტებზე დაყრდნობით, ის გამორიცხავდა ამ სიტყვის არაბულ და სიცილიურ წარმომავლობას. აღნიშნავდა, რომ პიემონტური *maffio tanghero-უხეში*, *grossolano-ვულგარული*, რეგისტრირებულ იქნა XIX საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც სიცილიურ ლექსიკონებში 1865 წლამდე არაფერია ნათქვამი. ეს ის წელია, როდესაც *მაფია* დაკავშირებული იყო პალერმოს დანაშაულთან. ნაკლებად სარწმუნოა ასევე ის არგუმენტებიც, რომლებიც უკუგდებულ იქნა სხვა ხმამიბამვითი სიტყვით *maff-*, *gonfio-ქედმაღალი*. პრატის აზრით, სიტყვის ჟარგონული წარმომავლობა *màfio* ან *maffio*, ნიშნავდა *თავისუფალ ადამიანს*, სადაც ხდებოდა ინტერვოკალური *fra -f* და *-ff*-ს ვიზრაცია.

ბალიონი, ნოჩენტინის მსგავსად ამბობს, რომ სიტყვა *მაფია* არ არის არაბული წარმოშობის. არაბული დიალექტისაგან ამ ტერმინის წარმოშობა, XIX საუკუნის ბოლოს კორადო ავოლიომ შემოგვთავაზა და ის დასაშვები გახდა, ზოგიერთი ბუნდოვანების მიუხედავად. ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ძალა მისი სემანტიკაა, ვინაიდან მაფიის მნიშვნელობა, რომელიც დღემდე მიღებულია ცალკეულ დიალექტებში და „ელეგანტურობით ტრაბახს“ და „თავხედურ ქცევას“ ნიშნავს, შედარებით ახალია. ის ტერმინის „დანაშაულებრივი ქმედება“ სპეციფიკაში ვლინდება, შემდეგ კი უკვე „დანაშაულებრივი ასოციაცია“ (ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გვხვდება) გახდა. საინტერესოა კ.ავოლიოს მოსაზრება. ის იმ ჰიპოთეზას ეფუძნება, რომელიც არასდროს დავის საგანი არ გამხდარა და რომ სიტყვა *მაფია*, წარმომავლობით

სიცილიურია, სადაც არაბული წარმოშობის სიტყვების გამოყენება ძალზე ხშირია. თუმცა, ვარვარომ¹⁸ დაგვანახა, რომ მაფია თავისი მნიშვნელობებით: „წარმოდგენილი ელევანტურობა“, „ქედმაღლობა და თავხედობა“, გავრცელებული იყო იტალიის ტერიტორიაზე არსებულ უმეტეს დიალექტებში. ამას გარდა, სიტყვა წარმოდგენილი იყო იტალიის ცენტრალურ და სამხრეთის დიალექტებში ფორმით *maffia*, მხოლოდ ჩრდილოეთის დიალექტებში გვხვდება ფორმა *mafia*. ეს იმას ამტკიცებს, რომ საწყისი ფორმა იყო *maffia*, ხოლო ერთი *f*-ით წარმოდგენილი ვარიანტი აიხსნება ორმაგი თანხმოვნის გამარტივებით, რაც სავსებით დამახასიათებელია ჩრდილოეთ იტალიისათვის. ვარვაროს პარადოქსული დასკვნაა, რომ სიტყვა მაფია, რომელიც მთელს მსოფლიოშია გავრცელებული, ტიპური სიცილიური კრიმინალური მოვლენის აღსანიშნავად, შესაძლოა სიცილიაში ჩრდილოეთიდან იყოს ნასესხები, კერძოდ, გერმანიკულიდან, რომელიც ლომბარდიულ ყალიბში შეიქმნა.

ნდრანგეტას შემდეგ, მეორე კრიმინალური ორგანიზაცია იყო კამორა. სიტყვა კამორა სხვადასხვანაირად გამოიყენებოდა ნდრანგეტასთან ერთად. მოგვიანებით, ამ ტერმინმა კრიმინალური ორგანიზაციის მნიშვნელობა მიიღო და ოფიციალური გახდა. XX საუკუნის დასაწყისში, კამორის მომხრე შუამავალი იყო ნდრანგეტას იერარქიაში და ამ პოზიციის მიკუთვნება გაანალიზებული და შესწავლილია კოდებში: «როგორ მონათლავდით კამორის ჯგუფის წევრს? ამ დღიდან, გვსურდა ის გვეღიარებინა როგორც კამორის ჯგუფის წევრი, რომელიც ერთგული იქნებოდა თავისი სისხლით მისი სამი წინაპრის, ვინც კამორა დაარსა...»(სან ჯორჯო მორჯეტოს კოდექსი)¹⁹.

სიტყვა კამორას ეტიმოლოგიის შესახებ მრავალი ჰიპოთეზა არსებობს, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერმა წამოაყენა. თუ ვიხელმძღვანელებთ 2010 წელს ნოჩენტინის მიერ წარმოყენებული თვალსაზრისით, მაშინ ტერმინი *camorra*, ა.პრატის კვლევის შედეგად, წარმოიქმნა ნეაპოლური *mmorra*-დან, რაც ბანდას ნიშნავს, პრეფიქსი *ca-*, შეკვეცილი ფორმაა *cata*-სი. ჰიპოთეზა, რომელიც

¹⁸ ბალიონის წიგნში, 2016, გვ.103-104.

¹⁹ ნოჩენტინის წიგნში, 2010, გვ.262.

ეწინააღმდეგება პრაქტის მიერ მითითებულ თარიღებს. პირველად ტერმინი კამორა, როგორც კრიმინალური ორგანიზაცია, თარიღდება 1830 წლით და მისი ოფიციალურად მონათვლა 1861 წელს მოხდა, მაშინ, როდესაც უფრო ადრინდელი მნიშვნელობა *frode al gioco-თამაშში თაღლითობა*, ადასტურებს კამორას სათამაშო სახლის სახელწოდებას, *Palazzo*-მდე (1735 წელი) და რომელიც შემდეგ გავრცელდა სხვა დიალექტებში. ო.ლურატის მიერ 1998 წელს წამოყენებული აზრი მისი წარმოშობის შესახებ ასეთია: სიტყვა წარმოიქმნა გამოთქმისაგან *far camorra-far pagare la coperta-საცხოვრებლის თანხის გადახდევინება*. იძულება, რომელსაც ციხეში, ძველი პატიმრები ახალ მოსულებს აიძულებდნენ, რადგანაც *camorra* ნაწარმოებია *gamòrra* ან *gamurra*-დან, რაც ნიშნავს *ერთგვარ წინსაფარს, ქალის კაბას* და არ აღნიშნავს *coperta-შირმას*.

ყველაზე დამაჯერებელი მნიშვნელობა ტრამპერისა და მისი კოლეგებისათვის იყო ბოლო მნიშვნელობა ანუ *კაბა*, ტერმინი, რომელიც დაფიქსირდა 1260 წელს, შემდეგ მან განმასხვავებელი ნიშანი შეიძინა როგორც ეს ხშირად ტანსაცმლების შემთხვევაში ხდება. სხვა დასაშვები მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება კამორას მნიშვნელობის ასახსნელად გამოვიყენოთ არის *khamos-დანაკარგი*, სადაც *k*-ს არსებობამ შეიძლება გაამართლოს სიტყვაში *camorra*, *c*-ს არსებობა. ფორმა *khamos* 1480 წელს გვხვდება ნაწარმოებ ფორმაში, რაც აღნიშნავს *tassare-დაბეგვრა* და *fare il pizzo-ქრთამის აღება*, მაშინ, როდესაც 1580 წლიდან კრიმინალურობაზე მინიშნება ოფიციალური გახდა. რაც შეეხება სიტყვას *mafia*, შემოთავაზებულ იქნა ფორმა, რამაც ტერმინი კამორას ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა:

- 1400 წელს *gamurra*-ძველი კაბა, *camorra de broccato* ან *gamurrina*-ქალის ფარჩის მოკლე კაბა.

-1200 წლიდან 1500 წლამდე არაბული სიტყვა *humur*, მრავლობითი *himar*, ზმნიდან *hamara* ნაწარმოები< მოკლე კაბა, რომელიც შეხსნილია-*hamara* > ითავსებს ფორმებს, როგორებიცაა *gamurra*, *camorra*, *gamerria*.

ტანსაცმლის კონცეპტი გადავიდა ადამიანზე, შემდეგ კი „კრიმინალურ ორგანიზაციაზე“. მისი ახსნა ასე შეიძლება, რომ ტანსაცმელი თავად მომხრეებს

ახასიათებდა. თუკი გავითვალისწინებთ მნიშვნელობებს *maltolto-ს-ნაქურდალი* და *pizzo-ქრთამი*, უნდა ვივარაუდოთ კონტამინაცია:

-*khamos* გვიანდელი ბერძნული სიტყვა-დანაკარგი>შესწორებებით ფორმაში, რომელსაც ვღებულობთ ახალბერძნულში *khamùrra*> საიდანაც კავშირი *დაკარგვის* კონცეპტს, *დანაკარგს* და *არალეგალურ თამაშს* შორის სავარაუდო ხდება.

-1580 წლიდან ზმნა *camorrare* მნიშვნელობით *fare soverchierie-ძალადობა, ბოროტად გამოყენების* მნიშვნელობით ჩნდება ვიჩერეალეს ტექსტში დანაშაულის შესახებ.

- 1700 წლიდან 1800 წლამდე, *camorra* გაგებულ იქნა, როგორც “სამორინე“, როგორც ოპერაში *La Camorra*, 1785 წლიდან *il camorrista*, -*i*<*camurra*-დან, გამოიყენება არალეგალური თამაშების ადგილის დარაჯი.

შესაბამისად, თუკი დავუშვებთ ტანსაცმლის და ნაქურდალის მნიშვნელობების სემანტიკურ გადაკვეთას, შეიძლება გავიგოთ, თუ რატომ თანაარსებობს ორივე თავად კამორას დეფინიციაში.

- 1800 წლიდან, პოლიციის მოხსენებაში, ტერმინი *camorristi* მოხსენიებულია როგორც პროფესიული მოთამაშეები, რომლებიც კრიმინალურ ასოციაციას მიეკუთვნებიან.

-1838 წელს მორტილიაროს ლექსიკონის პირველ გამოცემაში ტერმინი *camurra* ახსნილია როგორც *ნაქურდალი, ქრთამი, უკანონო შემოსავალი*, რომელსაც სათამაშო ადგილებიდან იღებენ. აქედან წარმოიქმნა სიტყვა *camurrista*.

-1850 წლიდან 1900 წლამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მემუარებში, ტერმინი *camorra* ნიშნავს *ბოროტმოქმედთა საზოგადოებას*²⁰.

მნიშვნელობა *ნაქურდალი, ნადავლი*, ასოცირდება ტერმინთან კამორა, ეს დოლდოს აღსარებაშიც კარგად ჩანს. ტრამპერმა არ იცოდა თუ რომელი ეტიმოლოგია შეერჩია და ამიტომ მნიშვნელობათა ამ გადაკვეთის მომხრეა.

²⁰ ინფორმაცია აღებულია ტრამპერისა და მისი კოლეგების ზემოხსენებული წიგნიდან.

თუკი მოვიშველიებთ დოლდოს აღსარებას, რომელიც მაფიის გარემოს შესახებ ბრწყინვალე საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს, დავინახავთ, თუ როგორ ჩნდება ტერმინი *Dranghita* კრიმინალური ორგანიზაციის მნიშვნელობით გლოსარიუმში, რომელიც მოქმედებდა კალაბრიის ყველა პროვინციაში. იგივე ტერმინი ჩნდება კარაბინერთა მოხსენებაში, სადაც მიუთითებდნენ კრიმინალურ ორგანიზაცია *Ndranghiti*-ზე, რომელიც რეგიონში მოქმედებდა.

ამ დროს გამოიყენება ტერმინები *tufa-rivoltella-რევოლვერი; settesoldi-coltello-დანა; zazzi-carabinieri-კარაბინერი; azzagnari-rubare-ქურდობა* და ა.შ. 1932 წელს კალაბრიულ გაზეთში გამოიყენეს სიტყვა *ndrangata*, ხოლო 1948 წელს მას უწოდეს *ndranghita*. ორივე მიუთითებდა კრიმინალურ ორგანიზაციაზე, რომელიც მოქმედებდა ლოკრიდში. იგივე დეფინიცია ჩნდება 1955 წელს ერთ სტატიაში, რომლის ავტორია კლარა გრიფონი, სადაც ჟურნალისტი აღწერს კალაბრიული მაფიის წესებს. სიტყვა და კონცეპტი *ndrangheta* პრობლემატურია, როგორც ფორმის თვალსაზრისით, ისე წარმოშობით. ლინგვისტურ ფორმას თავისი საკუთარი ეტიმოლოგია აქვს, უფრო მოშორებული, რომლის აღდგენა შესაძლებელია. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ცდილობენ ამ ტერმინის მნიშვნელობის სოციალური და ანთროპოლოგიური ისტორიის სურათის დახატვას სხვადასხვა დროში. ამის დამტკიცება შეძლეს დამნაშავეთა ენის ავტორებმა:

-მალარას დიალექტისადმი მიძღვნილ ლექსიკონში სიტყვა *Ndranàli, Ndranghiti* ახსნილია როგორც *სულელი, მოშვებული ადამიანი*.

-როლფსში, სიცილიური და კალაბრიულ ლექსიკონებში მითითებულია სიტყვა *messinese dràngada- მესინას ბანდიტური ასოციაცია*.

-ა.ჯ. კრუპი 1981 წლის წიგნში *La glossa di Bova-ბოვას კანონები* წარმოგვიდგენს სიტყვას *andragati*, რაც დიალექტზე ნიშნავს საზოგადოებას *società deill'omini bboni*.

სიტყვის მნიშვნელობის ევოლუციის და წარმომავლობის გასაგებად, მოვიშველიებთ პ.მარტინოს 1988 წელს გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც ეყრდნობა *andragathia*-ს კლასიკურ და პოსტკლასიკურ კონცეპტს. სხვა მცედლობებში,

მარტინოს მიერ შემოთავაზებული აზრის განხილვა უნდა მოხდეს სიტყვა *andragathia*-სთან დაკავშირებული ბერძნული ზმნებიდან, სადაც *andragatho* და *andragathizomai* კალაბრიულ დიალექტში გვადლევს ზმნას *andranghitiari*, რაც ნიშნავს *essere, comportarsi, anche nella postura, da malavitoso-ბანდიტურად მოქცევა*. თუ ამ აზრს გავყვებით *andrangata* ზმნისგან ნაწარმოები ფორმაა, იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზმნა *fare una cosa- რაღაცის კეთება*, გადადის სახელში და აღნიშნავს მოქმედების შემსრულებელს. რა თქმა უნდა ზმნას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ასევე დროთა განმავლობაში აზრი ხელოვნურად იცვლებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ურთიერთობა სიტყვებსა და საგნებს შორის და ის ყოველთვის სწორხაზოვანი როდია. ფაქტობრივად, დროთა განმავლობაში სიტყვები დაზუსტდა, განიცადა ნაწილობრივი ცვლილება, დაშრევა და ა.შ., რაც ლინგვისტის ამოცანას ართულებს ლექსემის ეტიმოლოგიის აღდგენის თვალსაზრისით.

ნდრანგეტას ისტორია და მისი მნიშვნელობა, როგორც ამას ჯ.ბ. ტრამპერი და მისი კოლეგები აღნიშნავდნენ ყველაზე კომპლექსური ნიმუშია ამ მოვლენებში. ტერმინი *andragathia* თითქოს დაკავშირებულია სიტყვასთან *andreia-სიმამაცე coraggio>სიმამაცის აქტი>სამხედრო ქმედება*, მოგვიანებით გამოყენებულ იქნა სიტყვის *andragathema* შესაქმენლად *fare prodezze-სიმამაცის გამოვლენა*. ამავე დროს, გაჩნდა ახალი ზმნა *andragathizomai*, რაც ნიშნავს *სამხედრო ქმედების წარმატებით შესრულებას*. ეს ის ტერმინები და მნიშვნელობებია, რომლებიც ბიზანტიურ პერიოდში გვხვდება და სიტყვა ვრცელდება სამხედრო გამოყენების სფეროზეც, რაც შეეხება კონცეპტს *სიმამაცე*, მხოლოდ *andreia*-ა მისგან ნაწარმოები. სხვა პრობლემა იჩენს თავს მისი გამოყენებით ორ დონეზე:

-ოფიციალური დონე, ახალ საყოველთაო, სტატისტიკურ-ისტორიულ-სავაჭრო ნომენკლატურაში 1826 წელს, ვსაუბრობთ ტოპონომასტიკაში *andragathia*-ზე.

-ხალხური დიალექტური დონე, რომელიც გულიხმობს *andrangatijari, andrangata*, დაფიქსირებულია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბევრ ლექსიკონში. აუხსნელი ფორმაა სამხრეთ კალაბრიული (რეჯინოს) *andrangatijari, n-*

ის ჩართვა დამახასიათებელია კალაბრიის რეჯიოს დიალექტისათვის, სადაც თანხმოვნები *g* და *v* განიცდის თანდათანობით შესუსტებას, მათ საბოლოო გაქრობამდე, ამ ენობრივი პროცესის თავიდან აცილების მხოლოდ ერთი საშუალებაა *n*-ით პრეფიქსაცია, რაც უშლის მის ამოვარდნას.

სხვა მოსაზრება ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით 2010 წელს ალ. ნოჩენტინიმ შემოგვთავაზა. მან აღნიშნა, რომ ნდრანგეტა კალაბრიულად *პატივცემული საზოგადოებაა*, რომელიც სიცილიურ მაფიას შეესაბამება, ხოლო მისგან ნაწარმოები *Ndranghitiari* ნიშნავს *ღირსეულ და პატივცემულ კაცს*, რომელიც ნაწარმოებია ბიზანტიური ბერძნულიდან *andragathia-მამაკაცური სიმამაცე*, რომელიც გამოარჩევს პატივცემულ მამაკაცს. ის შიშს გვრის გარშემო მყოფთ და გადაწყვეტილი აქვს მისდამი პატივისცემა თავს მოახვიოს ყველას.

2.3. ბანდიტების ენა. კრიმინალურ ორგანიზაციებში ხშირად გამოიყენებული სიტყვები

ჩვენს მიერ განხილული იქნა სამი დიდი ბანდიტური ორგანიზაცია. ახლა, შევეცდებით მიმოვიხილოთ ის სიტყვები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქურდულ ჟარგონში. ერთ-ერთი ყველაზე პირველი სიტყვა, რომელიც წარმოიქმნა არის *circolo-წრე*. ბოროტმოქმედთა ენით შედგენილ კოდექსებში ეს სიტყვა ტექნიკური მნიშვნელობით გამოიყენება. მას რიტუალის მნიშვნელობით იყენებენ, თუმცა, ეს სიტყვა კოდირებულია, როდესაც სურთ ორგანიზაციის სტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც ორი წრისგან შედგება, მთავარი და ნაკლებად მნიშვნელოვანი წრისაგან. მეორე სიტყვა, ბოროტმოქმედთა ზეპირ ჯერგოში, ისევე როგორც წერითში არის *fibbia*. სიცილიურ XVII-XVIII საუკუნის ლექსიკონებში მისი მნიშვნელობა რჩება *fibbia della cintura-ქამრის ბალოა*.

თუმცა ბაკალიუ დე კალვარუზოს ლექსიკონში:

-პალერმოში ტერმინი *fibbia-ბალთა* იმიტომაცა შექმნილი, რომ მისი ასოცირება მოხდეს შანტაჟისა და მუქარის წერილთან.

-ფერეროში ზემოხსენებული სიტყვა ნიშნავს ხელმოწერას. მას პულიეზეს და ასევე ნეაპოლის კრიმინალები იყენებდნენ. ის ტერიტორიალური ზონაა, სადაც ისინი თავინთ ძალაუფლებას ახორციელებდნენ. 1988 წელს, ზოგიერთმა ავტორმა, მათ შორის ლ.კრუჩიტომ, ტერმინს *scibba* დაურთო მისგან ნაწარმოები *Scibbijari* „მოტყუების“ მნიშვნელობით. აღნიშნული სიტყვა მიეკუთვნება *fibbia*-ს და გულისხმობს ნდრანგეტას ჯგუფის წევრს.

ლინგვისტებისათვის, ყველაზე რთული გასაგები იყო ის სემანტიკური გზა, რომელიც ამ ტერმინმა განვლო. მნიშვნელობიდან „ქამრის ბალთა“, მიიღო „ბოროტმოქმედთა ასოციაციის“ მნიშვნელობა. უნდა დავეყრდნოთ ხალხურ მოტივაციას და იმას, რაც ქამარს და ბალთას ერთმანეთთან აკავშირებს. ეს კი ქმნის წრეს, რომლის ბოლოები შეკრულია. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ლათინურად *fibbia* ნიშნავს ჯაჭვისათვის მეტალის საკეტს. ამ შემთხვევაში კავშირი რეალურია და ზემოხსენებული ახსნა დასაშვები ხდება. თუმცა ჯერ კიდევ არ აგვიხსნია, თუ როგორ იყენებდნენ ხელმოწერებს, მუქარის წერილებს და სხვას ბოროტმოქმედთა გარემოში. კლასიკური რიტორიკისათვის საინტერესო იყო ტექსტის დასასრული ან ეპიგრამა საკეტის სახით. რაც შეეხება ტერმინს *fiore*, ის ჰგავს სიტყვას, რომელიც ყველგან გამოიყენება, მრავალჯერ და მრავალ კონტექსტში. ერთადერთი მახასიათებელი, რომელიც ამ სიტყვას ლინგვისტური თვალსაზრისით გააჩნია, კოდექსებში ჩნდება იტალიური ენის ფორმის მიცემა. მნიშვნელობის პლანში, სემანტიკური კავშირი გალანტურადაა მოცემული, სადაც ყვავილი წარმოადგენს ყველაზე წმინდან და მნიშვნელოვან სიმბოლოს. თვით ნდრანგეტაში, ყვავილი და საჩუქარი სიმბოლურია იერარქიულ დონეზე. თვითოეული ყვავილი შეესაბამება ორგანიზაციის შიგნით არსებულ რანგს. არსებობენ *picciotto, camorrista, sgarrista, santista, vangelista, quartino, trequartino, associazione, stella, cavaliere, templare, infinito* და ა.შ. მეორე ხშირად გამოყენებული სიტყვაა, *locali*, მაფიოზურ ჟარგონში ნიშნავს ადგილს, ზოგიერთ ტექსტში, ადრე იყო ადგილი, სამარცხვინო ადგილი, დღეს კი ეს ადგილი წმინდა და

ხელშეუხებელია. შემდეგ სიტყვამ *locali* მიიღო ასოციაციის მნიშვნელობა ზოგადი მნიშვნელობით. რეჯიოს მაცხოვრებლები მას იყენებდნენ კრიმინალური ორგანიზაციის ნდრანგეტას აღსანიშნავად. სიტყვა *ndranghetista* ნაწარმოებია *ndrina*-გან ანუ კალაბრიის განყოფილება და *lucale*. ტერმინი *ndrina* ნაწარმოებია კლასიკური ახსნის მიხედვით *malandrino*-გან, შემდეგ დაყვანილი *landrinu*-მდე, რომელიც შემდეგ გახდა *ndrinu*.

-ეს ახსნაა მოცემული ყველა ლექსიკონში, რომელიც რეჯიოს ქალაქში გამოიცა XX საუკუნიდან დღემდე. მხოლოდ მარტინოს აქვს ოდნავ განსხვავებული ახსნა:

-ისინი სპეკულირებენ იმით, რომ კამპანის მაცხოვრებლები წავიდნენ კალაბრიაში. ნეაპოლური ფორმიდან *andrino'i stanza*, რომელიც აღნიშნავს კამორისტების საზოგადოების მეთაურს და *ndrino* კი ციხის საკნის მეთაურს, ნასესხობაა, რომელიც ლინგვისტური თვალსაზრისით აღიარებულია კამპანის მაცხოვრებლების მიერ, ვინაიდან *malandrino* ნაწარმოებია გერმანიკული სიტყვიდან *landern-vagabondare-ხეტიალი*. ჩანს, რომ იტალიაში ამ სიტყვამ ლანგობარდული ენიდან შეაღწია, ვინაიდან ამ ეტიმოლოგიის სიტყვები კალაბრიაში ძალზე იშვიათია და რომ ის ნასესხებია. დოლდოს აღსარებაში, *ndrina*-ს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. სხვა ვარაუდიც იყო გამოთქმული ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, ცნების „ხე“ და მისი მსგავსების მნიშვნელობიდან გამომდინარე მაგალითად მუხა, ან ხეების ერთობლიობა, ჭალა, მივედით ბერძნულ ფორმამდე *drina (bosco)-ტყე*. ამ ფორმების არსებობამ შეიძლება მოახდინოს ენობრივი მოტივაცია და შემოგვთავაზოს *drina*-ს საწყისი ფორმა. ფაქტობრივად, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მინიშნება კეთდება ხეზე, თავისი შემადგენელი ნაწილებით, რითაც ხაზს უსვამენ წევრთა იერარქიას, როგორც ორგანიზებული საზოგადოების წარმომადგენლობით სიმბოლოს. ლინგვისტური წყაროები გვთავაზობენ ასევე დამატებით ახსნას, *ndrina*-ს დერივაციისათვის, ამჯერად მინიშნება კეთდება იბერიული წარმოშობის სიტყვაზე *endrina* ბნელის მნიშვნელობით, რომელიც იკვეთება ბერძნულ ტერმინთან *antro-გამოქვაბული(covo-ავაზაკთა ბუნავი)* რაც გვამღებს *antrino*-ს ბერძნული წარმოთქმით, რათა გამართლდეს თანხმონიანი ფორმის *andrino*-ს არსებობა. ამ

შემთხვევაშიც აზრი და ფორმა საწყისი ფორმისაგან არაა დაშორებული, გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა კონოტაციის კავშირი, რამაც მოგვცა საბოლოო შედეგი: *ხე-dendrina*, *ტყე-drina*-ს, რომელიც გადაიკვეთა სიტყვებში *antro-* *გამოქვაბული* და *endrina-ბნელი*. თუმცა ავტორები ხსნიან, რომ სხვა ზუსტი და დეტალური ინფორმაციის არქონის გამო ძნელია გამორიცხო ან დაეთანხმო ერთ ჰიპოთეზას. ის, რაც ცნობილია დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, *ნდრანგეტა* ეს ოჯახია, რომელიც სისხლით ნათესაობას გულისხმობს, რომელიც სხვა წევრებთან ერთადერთ ტერიტორიაზე მოქმედებს. გამოთქმებით *mastro-mastu* მინიშნება კეთდება კამორისტის მასწავლებელზე. ეს ნაწარმოები სიტყვა მიღებულია ტერმინიდან *mastrossu*, რაც ნიშნავს *თავის ძვალს*, *თეძოს ძვალს* (მორიზანი 1886). უფრო დეტალურად კალვარუზო (1929) ხსნის ამ ტერმინს შემდეგნაირად:

-*Mastru = Camorrista-კამორას წევრი*;

-*Mastru Caminatu -კამორას ექსპერტი*;

-*Mastru'i bon'Urdini-კამორას არჩეული წევრი* მაფიოზური ჯგუფის *Cosca*-ს თანხმობის გარეშე.

გვხვდება ასევე სიტყვა *capobastone-კრიმინალური ორგანიზაციის მეთაური*, მის ქვემოთ არის კამორისტების ორი რიგი და მაფიის წევრი, რომელიც ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება. ეს იერარქიული განსხვავება ცნობილია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ის ჩნდება 1897 წელს, როდესაც კალაბრიის რეგიონში მოქმედი კრიმინალური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. მას ჰყავდა ხელმძღვანელები და იერარქია. მეთაურს ერქვა *bastone*, რომელიც არჩეული იყო ხმების უმრავლესობით. *Andrino* ერქვა ხაზინადარს. ახალგაზრდები პატივს სცემდნენ ახალ წევრებს, ახალგაზრდებს აწინაურებდნენ, ვისაც გამოცდილება ჰქონდა კამორაში. ის, რაც თვალში საცემი იყო ამ კრიმინალურ ორგანიზაციაში, მეთაურს მოიხსენიებენ არა როგორც *ჯოხის თავს* ანუ *მეთაურს capo del bastone* არამედ, მეთაურს ჯოხით *capo col bastone*. თავად *bastone* შეიძლება იყოს მეთაურის აღმნიშვნელი, რომელიც შორეული კლასიკური ტრადიციიდან მოდის, როგორც ამას ტრამპერი და მისი კოლეგები ხსნიან, როდესაც *skeptron > rhabdos (bastone)-სკიპტრა ანუ სამეფო კვერთხი*, როდესაც

ხალხის მეთაურს ან კიდევ მოსამართლეს ხელში უკავია სასჯელის დაწესების დროს. ბანდის მეთაურის მიერ ჯოხის გამოყენების დოკუმენტირება მოცემულია როკო ფაკინერის დაპატიმრებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2010 წელს. ფაკინერი იყო ბოსი, რომელიც შედიოდა 500 ყველაზე საშიშ დამნაშავეთა ნუსხაში. როდესაც კარაბინერებმა მისი სახლი გაჩხრიკეს, იპოვეს ჯოხი, რომელზეც ინკრუსტირებული იყო არწივის თავი. კარმინე ალვაროს ბუნაგში, რომელიც სინოპოლის ბოსი იყო, პოლიციამ იპოვა ხის ნაჭერი, რომელზეც დახვეწილად იყოს ამოტვიფრული ნიშნები, რომელიც მიუთითებდა მაფიის წევრობას. *Capo Abbrunzu* უფრო ჟარგონული სიტყვაა, რომელიც მიუთითებს პირს, რომლის ვალდებულება და პასუხისმგებლობა ფულის განკარგვა, სიტყვა ფული აღნიშნებოდა სიტყვით *brunzu*. სხვა სიტყვა, რომელიც ხშირად გვხვდება კოდექსებში არის *camuffu* და აღნიშნავს *ავილირებულს, წევრს*. მსგავსი მნიშვნელობები აქვთ სიტყვებს *pampina sana*, *bruffu*, *matrise*, *camurrista*. პირველად სიტყვა *camuffu* გვხვდება XV საუკუნის ბოლოს და ნიშნავდა: *კაპიუმონს*, რომელიც სახეს ფარავდა. ის ზოგადად დრაპირებული აბრეშუმით ან მისი მსგავსი ნაჭრისგან მზადდებოდა. ეს სიტყვა, ამ მნიშვნელობით, გამოჩენილმა მწერლებმა აიტაცეს, როგორც პულჩი იყო XV საუკუნეში. რაც შეეხება სიტყვის ეტიმოლოგიას, სავარაუდოდ ის გაჩნდა კვლავ საშუალო ბერძნულში არსებული სიტყვისაგან *camùcho* < თავის მხრივ ბიზანტიური წარმოშობის სიტყვის ვარიანტი *camuchàs* < რომელიც ნაწარმოები იყო სპარსული სიტყვისაგან *kam(u)ha*, რომელიც არსებობდა უკვე ჩინურში *kin-sr-ოქრო, აბრეშუმი*. ავტორები ხსნიან, თუ როგორ შემლო ამ ეგზოტიკურმა სიტყვამ ბიზანტიიდან გავრცელებულიყო იტალიის დასავლეთში, სამხრეთსა და ვენეციაში და განესაზღვრა *h* და *f*-ს ცვლილება როგორც ეს მოხდა მაფიის შემთხვევაში.

ამ ლინგვისტური გზით მეცნიერები იქამდე მივიდნენ, რომ ვენეციაში პირველად იქნა დადასტურებული ზმნა *camuffare* მნიშვნელობით *დაფარვა, დამალვა*. თუმცა სამხრეთში ამ სიტყვის მნიშვნელობები იცვლება, როგორც აბრეშუმის ტანსაცმელი. ის მიუთითებს მაღალ სოციალურ როლზე, განმასხვავებელ ნიშანზე. ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ბოროტმოქმედთა კანონის მიხედვით, ზოგიერთი ტანსაცმელი, აქსესუარი, ერთი მხრივ ხდება ამოცნობის ელემენტი და

მეორე მხრივ, სხვისი სტატუსის მიმანიშნებელი. რაც შეეხება გამონათქვამს, რომელიც ზემოთ იყო ხსენებული *picciottu di giornata* ხშირად მისი მნიშვნელობა კარგად არის ახსნილი კოდექსებში მეტ-ნაკლებად ექსპლიციტურად და დეტალურად. დღეს ასეთი მინიშნებით ხორციელდება მაფიოზური ჯგუფების შიგნით კომუნიკაციის და ზედამხედველობის პროცესი. არსებითად *picciottu di giornata* ხელს უწყობს მაფიის წევრებსა და იმათ შორის კომუნიკაციას, ვინც ამ ორგანიზაციის იერარქიულ სათავეშია. მისი ამოცანაა, მოახდინოს ახალი წევრების ინფორმირება სიახლეებთან დაკავშირებით, გაანაწილოს დავალებები და შეატყობინოს მათ შეკრების შესახებ. *Tirone* კიდევ ერთი სიტყვაა, რომელიც ბოროტმოქმედთა ჟარგონში გვხვდება. ტრამპერი და მისი კოლეგები მას ხსნიან შემდეგნაირად: ეს არის ლათინური წარმოშობის სიტყვა, რაც *novizio, principiante-ახალბედას, დამწყებს* ნიშნავს. ინტუიციურია ის, რომ ის კარგადაა მორგებული, რომ აღნიშნოს იერარქიის ერთ-ერთი რიგი. უფრო სიღრმისეული კვლევა იქნა ჩატარებული კონცეპტისათვის *umiltà-მორჩილება*. მიუხედავად იმისა, რომ არის საერთო ენის სიტყვა, ამ კრიმინალურ ორგანიზაციებში ამ სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ, რომლებიც ერთად ქმნის დახურულ ერთობლიობას: *umiltà* -როგორც *კამორის წევრის ღირსება, punto d'umiltà-ღირსების ზღვარი, regole d'umiltà-ღირსების წესები, sentinella d'umiltà-ღირსების დარაჯი, catena d'umiltà-ღირსების ჯაჭვი, tribunale d'umiltà-ღირსების სასამართლო, avvocato d'umiltà-ღირსების დამცველი, servo d'umiltà-ღირსების მსახური, compagno d'umiltà-ღირსების ამხანაგი* და სხვა. სიტყვის ახსნისას პრობლემა იჩენდა თავს მანამდე, სანამ ფიქრობდნენ, რომ არსებობს სიტყვების *umiltà-omertà* (ურთიერთთავდებობა) შესაძლო კავშირი.

ბოროტმოქმედთა ლექსიკის კვლევამ ორგანიზაციის წევრები წაახალისა, რათა შეეგროვებინათ და კომენტარები გაეკეთებინათ კრიმინალურ სიტყვებზე, რომლებსაც ისინი იყენებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სიტყვა ჯერგოდან შემოვიდა. ეს ელემენტები დაჯგუფებული და კლასიფიცირებულია ბოროტ-მოქმედთა სამყაროს მიერ. ჩვენ განვიხილავთ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავს „იარაღს და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს“.

მაგალითად:

-*Rasoio*-სამართებელი

-*Cinquesoldi*-დანა, სავარაუდოდ მისი ფასიდან გამომდინარე.

-*Settesoldi*-რეგოლვერი ზოგადად მოცემულია ფერეროს ლექსიკონში დანის მნიშვნელობით, რასაც პალერმოში იყენებდნენ. ახსნა, რომელსაც ის იძლევა შეესაბამება მის ფასს.

-*Sperra*-რკინის სამართებელი. ის ნაწარმოებია ზმნიდან *sperrare-sferrare colpire*-უცაბედად დარტყმა, *s-ferrare* >დიალექტში *sperrare* > *sperra* (ზმნისგანაა ნაწარმოები).

-*Sticco-bastone*-ჯობი, რომელიც დაკავშირებულია გერმანიკულ ფორმასთან *stich* (*stecco, legno-bის ტოტი, ხე*); *stecco* ხის ტოტს უწოდებენ *bastone-ჯობს*, თავად ჯობს კი სხვა სიტყვით აღნიშნავენ, ჯერგო ცვლის რეალობას. პატარა დიდია და დიდი პატარა.

ჯერგოს სიტყვებია: *azioni, punizioni, caratteristiche-მოქმედება; დასჯა*.

- *Cascitta: infamità*-სახელის გატება, შერცხვენა. არსებობს ასევე ფორმები *cascittuni* და სიცილიურში *cascittari, (fare la spia-ჯაშუშობა)*. შემოკლებული ფორმით *cascetta, cascitta*, მას აქვს მნიშვნელობა *comode-კომოდი*, ან *gabinetto portatile-პორტატიული ტუალეტი*.

-*Castagnole-manette*-ხელბორკილები, რომელიც დაკავშირებულია ზმნასთან *incastagnare*. თავის მხრივ, სიტყვიდან *castagna*. ამ სიტყვის მრავალ მნიშვნელობაში გვხვდება „რაზა, რომელიც აკავებს ჯალამბარს, რომ ის უკან არ გადავარდეს“. (საწარმოსთან დაკავშირებული); თუმცა ინსტრუმენტის მნიშვნელობით გვხვდება ნაწარმოები სიტყვა *castagnola-რკინის ან ხის შვერილი*, რომელსაც იყენებენ გემის ანძის დასამაგრებლად (საზღვაო საქმე). მოცემულია მეტონიმების სერია, რომელიც იწყება წაბლის ხის მასალით და ხდება ინსტრუმენტი ან დანადგარი, რომელიც ამ მასალისგანაა დამზადებული. ის აღნიშნავს ყველა ტიპის ინსტრუმენტს.

გამონათქვამში, რომელსაც დოლდო გვათავაზობს *do castagna-არ ილაპარაკო-საიდუმლოდ შეინახე; fare castagna-non parlare- essere segreto;*

- *Incastagnare-ammanettare, catturare-ხელბორკილის დადება, დაკავება;*

- *Foraggiare- fuggire-გაქცევა, მსგავსება fora (fuori)-თან ყველაზე უფრო დამაჯერებელი ჰიპოთეზაა: stare fuori, lontano-შორს თავის დაჭერა;*

- *Sballare-uccidere-მოკვლა* მაფიის შემთხვევაში, ხოლო ხელოსანთა ჯერგოში გამოიყენება გაყიდვის მნიშვნელობით;

- *Stellire-tradire-ღალატი.* ის შეიძლება ასევე აღნიშნავდეს „მოკვლას“. მისი ეტიმოლოგია სავარაუდოდ შეიძლება მოიძებნოს გერმანულში *bei Still Beich*, საიდანაც გვაქვს *sta' zitto*, ზედსართავიდან *Still-სიჩუმე, azzittire-დადუმება (სამუდამოდ)* და შემდეგ *uccidere-მოკვლა;*

- *Tignare-estorcere moneta-ფულის გამოძალვა;*

- *Traggiro*-ასევე კოდექსებში გვხვდება ის ფორმით *traggiratori infame-საძაგელის* მნიშვნელობით, რაც საზოგადოების ნაკლს წარმოადგენს;

- *Trucchiare-truffare-მოტყუება.* იმავე ძირით, საიდანაც მიღებულია *trucco*, ძველი ფრანგულიდან, კალაბრიულ დიალექტში გვაქვს *truccari, trucchiari, ingannare-მოტყუება;*

რაც შეეხება ჟარგონულ სიტყვებს, რომლებიც „ადამიანთა ტიპოლოგიას“ გადმოსცემს, გვხვდება შემდეგი სახის ნაწარმოები ფორმები:

- *Carduni- non affiliato-არააფილირებული;*

- *Contrasto-ადამიანი*, რომელიც ჩვენს საზოგადოებას უპირისპირდება, წერს დოლდო. ეს სიტყვა გავრცელებულია ჯერგოზე მოლაპარაკე ადამიანებს შორის, მათ შორის ბოშებს შორისაც. ეს არის ერთ-ერთი სახელდება, რომლითაც აღნიშნავენ იმათ, ვინც ამ ჯგუფს არ მიეკუთვნება. მისი ეტიმოლოგია მომდინარეობს სიტყვიდან *contrasto*, ანუ *განსხვავებული;*

- *Giambello*- არააფილირებული;

- *Rifardo-ingannatore, imbroglione*-მატყუარა, თაღლითი, ასევე ნადავლი, რომელსაც იღებენ თაღლითობის ან ქურდობის შედეგად;

- *Spanzumato*-სახეზე ან სხვა ადგილზე ნაიარევით, იკითხება დოლდოს ტექსტში, რომელიც ასევე ახსენებს გამოთქმას *spanzumare la mutria con lo specchio (sfregiare la faccia col rasoio*-სამართლებლით სახის დამახინჯება). ზოგადად ეს ნიშნავს დაღიანს და რა თქმა უნდა დაკავშირებულია ჯერგოს ტერმინთან *campano spanzusu (coltello*-დანა) და უფრო ნათლად კიდევ კალაბრიულ სიტყვასთან *spanzari (sventrare)*-მუცლის გამოფატვრა;

ჯერგოს სიტყვები „კანონის გამოყენებისას და დაკავებისას“. მაგალითად:

- *Buttuni-poliziotto*-პოლიცია; *guardia*-ყარაული. ეს სიტყვა გამოიყენება უნიფორმასთან მიმართებით, რომელსაც აქვს *une bottoniera*-ღილების რიგი, ეს მაგალითი მეტონიმის მიეკუთვნება;

- *Buffa-muffa, carabinieri*-კარაბინერები. ამ შემთხვევაში ფერერო მას განიხილავს როგორც აფერეზას, როდესაც თავსართი *ca*- ჩამოშორდება სიტყვაში *camuffo*, ალბათ, „წესრიგის დამცველი ძალების მნიშვნელობით-*potenti-ძალაუფლების მქონე*. *Buffa* ნავარაუდევია *rospo*-ზე მინიშნება ანუ *გომბეშო*, კალაბრიულად *rana buffa*-სასაცილო ბაყაყი, რომელიც იბერება და ეზოპეს ზღაპრებში *თავხედი, ამპარტავანი* პიროვნების სიმბოლოა;

- *Casanza*-ციხე. ეს სიტყვა მიეკუთვნება საერთო არგოს.

სავარაუდოდ, საქმე ეხება დეფორმაციის მაგალითს, რომელსაც უკვე ბევრჯერ შევხვდით სიტყვიდან *casa* მოყოლებული. არსებობს მჭიდრო და ხშირი კავშირი სიტყვასთან *gattabuia*-ციხე, რომელიც ბოროტმოქმედთათვის სახლი გახდა.

- *Giusta-polizia*-პოლიცია. ეს სიტყვა გვხვდება კოდექსებში 1897 წლიდან. აქაც დეფორმაციასთან გვაქვს საქმე;

- *Mignu-poliziotto, carabinieri*-პოლიციელი, კარაბინერი;

- *Zaffu-sbirro, poliziotto-პოლიციელი*. ჯერგოს სიტყვა ნაწარმოებია ვენეტური სიტყვისაგან *zafò*, იმავე მნიშვნელობით. საწყისი არის ზმნა *zafar-fafar, acchiappare-დაჭერა*.

ა. დეტორისა და მისი კოლეგების მიერ წარმოებულ კვლევებში აღინიშნა, რომ ქალაქურ ქურდულ ფორმებთან ერთად შეიძლება შეგვხდეს კალიარის ჟარგონის ფორმები, რომლებიც გამოიყენებოდა ადგილობრივი ქურდული სამყაროს მიერ და ასევე იმ წრეების მიერ, რომლებიც მათთან ახლოს ცხოვრობდნენ, რომელთა საქმიანობა წარსულში კონცენტრირებული იყო პორტის მიმდებარე რაიონებში. ამ საკითხით კიდევ ერთხელ დაინტერესდნენ ა.შევიდალი და პ.ატცენი (1913), მოგვიანებით მ.ლ. ვაგნერი 1928, რომელმაც გაზარდა სიტყვების რაოდენობა, დაბოლოს 1932 წელს უ.პელისმა, რომელიც დაინტერესებული იყო კალიარის დიალექტით, მოახდინა ადგილობრივი ქურდული სამყაროს სიტყვების რეგისტრაცია. ვაგნერმა და პელისმა დააფიქსირეს ეროვნული სიტყვების ფართო გავრცელება:

- *(Ab)bacaii-ს* მნიშვნელობით *parlare-ლაპარაკი*, შეიძლება ნიშნავდეს *combinare, accordarsi-გაერთიანება, დათანხმება*.

ჰ. დ'არიენცოს ნაშრომში (1972:438) სიტყვა წარმოდგენილია *abbacagliare-ს* ფორმით და დებულობს მნიშვნელობას „ჟარგონზე საუბარი“. ა.დეტორი (2002) აღნიშნავს ამ სახეობაში ორ ძირითად ლინგვისტურ ელემენტს: ადგილობრივ დიალექტს და იტალიური ქურდული სამყაროს ჟარგონს. გვხვდება დიალექტის სიტყვების ადაპტაციის მაგალითები, როგორებიცაა:

-*Arratapignatai/arratapignai-rubare* <ნაწარმოები კატალონიურიდან *arrapignata (pipistrello-ღამურა)*, რომელშიც სიტყვის ხელახალი სემანტიზაცია მოხდა, ღამურებთან შედარება, საუბარია ქურდებზე, რომლებიც ღამის საათებში მუშაობენ;

- *Baulai - chiacchierare, confessare-აღსარება*;

- *Bolài-scappare-სარდულად ნიშნავს ფრენას*;

- *Cannaca- sgozzare-მოკვლა;*

- *Chicchineddu- ragazzo di strada-უსახლკარო.*

დიალექტური წარმოშობა აქვთ ასევე შემდეგ სიტყვებს: *cagau, tottu- მშიშარა;*
sesi-rivoltella-რევოლვერი, რომელშიც 6 ტყვიას; *mermu-ბიჭი*, რომელიც დიდი
ღირებულების მქონე არაა და ცუდი ჯანმრთელობა აქვს; *ogu de boi- torcia elettrica-*
ჯიბის ელექტროფანარი. რაც შეეხება იტალიურ ჯერგოს, ჩვენ გვაქვს შემდეგი
სიტყვები:

(ag)granciri - rubare-მოპარვა ;

(ag)grancirolo-ladro-ქურდი;

(ba)lossu-stupido-სულელი;

berta e sbertai-tasca e borseggiare-ჯიბიდან მოპარვა;

bolla e bolla grandi-città e Cagliari-ქალაქი და კალიარი;

bruna-notte-ღამე;

buliggiu e buliggiai-letto e dormire-ლოგინი და ძილი;

casanza-carcere-ციხე;

fangosas-scarpe-ფეხსაცმელი;

giusta-polizia-პოლიცია;

coffa- fortuna-ბედი, იღბალი;

pilla, pillanza, pillanzosu-denaro, danaroso-ფული;

pischella- ragazza-გოგო;

loffiu- bruto, losco-უხეში.

დეტორი ხსნის, რომ ზოგიერთი ფორმა სოციოლინგვისტურ ცვლილებებს უკავშირდება, რომელიც მოსაუბრეთა სოციოკულტურული წარმომავლობით, ასაკით, სქესით და განათლების დონით არის განსაზღვრული, რომლებიც საერთო დიალექტში და იმ სახეობებში აღწევენ, რომლებიც როგორც იტალიურზე, ასევე ახალგაზრდულ ენაზე ახდენენ ინტერფერენციას. მაგალითად: *coffa-fortuna*-ილბალი, ზოგადად დიალექტური გამოყენებისაა, ასევე კალიარის მიღმა ტერიტორიაზეც გვხვდება; *scarpinare-რადაცის გასწვრივ სიარული*; *quattrocchi*-მინიშნებაა ადამიანზე, ვინც სათვალეს ატარებს, დღეს ძალზე გავრცელებული რეგიონალიზმია.

დასკვნებს, რომლებიც შეიძლება გამოვიტანოთ ამ მოკლე ანალიზიდან, კრიმინალური ჯერგოს შესახებ, მივყავართ იმის მტკიცებამდე, რომ კოდექსი ათავისუფლებს ორგანიზებული დანაშაულის ფარგლებში ორი ამოცანისაგან: ერთი მხრივ, ზოგიერთი წესის შექმნის აუცილებლობისაგან, რათა მოხდეს მართვის საორგანიზაციო სქემის განსაზღვრა და სანქციების დადგენა. მეორე მხრივ, აუცილებელია წესდებებისა და კოდექსების გამოყენება პარტნიორებთან თანამშრომლობისათვის და მათ გამოსავლენად. რაც შეეხება მათ ლექსიკას, იმ საერთო ჟარგონის ბირთვის იყენებენ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა სიტყვების შესაქმნელად მსგავსი ხერხებით, მნიშვნელობები კი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ხშირი კონტაქტების შედეგად და შეიცვალა ოფიციალურ მნიშვნელობასთან შედარებით. არსებობდა ასევე რიტუალების და წესების ფორმა, თავისი მახასიათებლებით. მათი განმტკიცება და შენარჩუნება მოხდა თავდაპირველ ტერიტორიაზე და ასევე ახალ კოლონიებში. მაფიამ, რომლის რიტუალებმაც კულტურული ლეგიტიმაცია მიიღო, დროთა განმავლობაში მოახერხა ალიანსში შესულიყო პოლიტიკოსებთან და სახელმწიფო ადმინისტრაციასთან, ტერიტორიისა და ფინანსური სახსრების მოძრაობის გასაკონტროლებლად იმ ეკონომიკიდან, რომელსაც თავად უცხადებდა მხარდაჭერას (ბოროტმოქმედთა ენა გვ. 140).

2.4. იტალიური ჟარგონის (ჯერგოს) წარმოქმნის ძირითადი მექანიზმები

იტალიურ ენაში ჟარგონები მუდმივ განახლებას განიცდის. ამან წარმოქმნა უამრავი სინონიმი, რაც ლექსიკური წარმოქმნის მეთოდების შეუზღუდავი გამოყენების პირდაპირი შედეგია. ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად იგი იყენებს სხვადასხვა ხერხებს, რომლებიც ორ ჯგუფად დავყავით. ესენია: სემანტიკური და ფორმალური ხერხები. სემანტიკური ხერხები გაცილებით უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ფორმალური. სემანტიკური ხერხებიდან აღსანიშნავია მეტაფორა, მეტონიმი, ახალი სიტყვების წარმოქმნა, ნასესხობები. ფორმალური ხერხებიდან-სიტყვების დეფორმაცია, ტრონკაცია, რესუფიქსაცია, კნინობითი გაორმაგება, მარცვლების გადაადგილება ანუ ვერლანი.

ჯერგოს კვლევამ, ლინგვისტური თვალსაზრისით, აშკარა გახადა თუ როგორი რეალურია ჯერგოს ჩამოყალიბების ენობრივი ექსპერიმენტი. მრავალი ენობრივი ხერხი იქნა გამოყენებული იტალიური ჯერგოს ახალი ფორმების შესაქმნელად. მათი შესწავლა და გაანალიზება მოხდა 1957 წელს აჯენოს მიერ სხვადასხვა მაგალითებით.

ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც იყენებენ ახალი ფორმების მისაღებად, გულისხმობს ლექსიკურ „დაშლას“, რომელსაც მოყვება „რეკონსტრუქცია“ იმ ხერხებით, რომლებიც სიტყვის ფონურ თუ მორფოლოგიურ ჯაჭვზე ზემოქმედებს. ყველა ეს ხერხი ჯერგოში „ჩაკეტილია“ მოსაუბრის მიერ, რომელიც მორგებულია მოდელზე და მას სისტემატურად იყენებენ სასაუბრო ენაში.

ზოგ შემთხვევაში ახალი ფორმები მიიღება ელემენტარული ხერხების გამოყენებით, როგორებიცაა სიტყვაში ბგერებისა და მარცვლების ჩამატება. ეს ხერხები მექანიკურია და ზემოქმედებს სწორედ იმ ლექსიკაზე, რომლის შეცვლაც სურთ. სხვა შემთხვევაში, „შენიღვის“ პროცესი, არა მარტო კომპლექსურია, არამედ ერთი შეხედვით უფრო მოწესრიგებული. შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვების გაყოფის ხერხი მისი შემადგენელი მარცვლების მეშვეობით.

ენაში ჯერგოს ყველა ამ ფორმების არსებობა, თითქოს ბუნებრივი შედეგია, რომლითაც გაჯერებულია ენობრივი რეალობა. ამან გამოიწვია ყველა მეცნიერისა და

იტალიური ენის მცოდნის ცნობისმოყვარეობა. მათ სურთ გაიგონ და შეისწავლონ ენობრივი მექანიზმების სპეციფიკა, რომელსაც მეტ-ნაკლები პერიოდულობით ჯერგოში იყენებენ.

ჯერგოს სახეობების შესწავლა ადვილი არაა, თუმცა კავშირი, რომელიც არსებობს ენას თუ დიალექტს და ჟარგონს შორის ისეთი მჭიდროა, რომ ზოგჯერ ძნელია დაზუსტებით თქვა, რომ ესა თუ ის ტერმინი ჯერგოა, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ბევრი სიტყვა ჯერგოს განეკუთვნება, თუმცა ეს სიტყვები გვხვდება ასევე სხვაგანაც. ზოგიერთი სიტყვა ჯერგოს მიღმა რეგულარულად გამოიყენება საერთო გამოყენების ენაში. თუმცა, ჯერგოზე მოსაუბრენი ყოველთვის როდი ახდენენ ამ სიცარიელის ამოვსებას ახალი წარმონაქმნებით, ისევე როგორც საერთო გამოყენების სიტყვები ყოველთვის არ გამოიყენება ჯერგოს შესავსებად.

არსებობს იტალიური სიტყვები, რომლებიც ადრე ჯერგოს განეკუთვნებოდა. ასეთებია: *monello-თაღლითი* (ფოლენა 1956; 1957) და *bidone-უვარგისი კაცი* (მენარინი 1947). მაშინ, როდესაც პატარა რეგიონებში, რომლის შიგნით ჯერგოზე მოსაუბრენი იმავე ხერხებით არ მოქმედებენ, ურთიერთობა დიალექტსა და ჟარგონს შორის ადვილად ხდება. როდესაც ვამოწმებთ ჯერგოს ლექსიკონებს, მასში ვხვდებით საბაზისო სიტყვების ენობრივ სახესხვაობებს, რომლებიც შექმნილია განსხვავებული პროცესების გამოყენებით, გავრცელებულია ძალიან ფართო ზონებში, მაშინ როდესაც ზოგიერთი მათგანი გვხვდება იმ ჟარგონში, რომელთანაც მას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ზოგადად, ყველაზე მეტად ასეთი პროცესები ვაჭართა ჟარგონში გვხვდება. ყველაზე თვალში საცემია ის, რომ ეს ტერმინები ძალზე დაშორებულია ერთმანეთისაგან. პელისი (1934, 202) ამ სივრცეს განმარტავს როგორც: „ჯერგოს კატეგორიის ზონას“. არსებობს კავშირი ტრამონტის (ფრიულის) ჟარგონსა და სარდინიის კუნძულის ჟარგონს შორის. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია პირდაპირი კონტაქტი არსებობდეს მათ შორის, თუმცა ეს მსგავსება შეიძლება ავხსნათ სხვა მოვლენებით, როგორებიცაა ბოშების, მომთაბარეთა მონაწილეობა მათ მსგავსებაზე. ისინი ხშირად მისდევდნენ მექვაბეთა ხელობას (პელისი 1934, კორტელაცო 1977, ფრანკინი 1979/1980, მარკატო 1981/1982). თუმცა ბოშათა ენის

ელემენტები ამ ჟარგონში არ აღმოჩნდა. უფრო დასაშვები გახდა ის ჰიპოთეზა, რომლითაც გავრცელების ცენტრი დაფიქსირდა, ეს იყო კალაბრიაში არსებული ადგილი დიპინიანო, სადაც მექვაბეთა ჟარგონი სარდინიისა და ფრიულის დასახლებული პუნქტების ჟარგონს დაემსგავსა (კორტელაცო 1977).

კონკრეტული ენობრივი ტრანსფორმაციები გასაგები რომ გახდეს, მოვიყვანო ჯერგოს მთელ რიგ მაგალითებს, რომლებმაც ცვლილება განიცადა და კლასიფიცირებულია გამოყენებული ენობრივი ხერხების მიხედვით. ყველაზე გავრცელებული ხერხია მარცვლების გადადგილება, რასაც ვერლანი ჰქვია ფრანგულ არგოში და რაც „უკულმა საუბარს“ ნიშნავს. ეს ფორმები გავრცელებულია ტიჩინოს კანტონში. მაგალითად: *fradèl > dèlfra (fratello)-ძმა; cantina > ntinaca-სარდაფი*.

ჩრდილოეთ ვენეციის ჯერგოში მეტათეზის გამოყენება ტიპურია ანუ მარცვლების გადადგილება ბუნდოვნების შექმნის მიზნით, რასაც ჯერგოზე მოსაუბრენი იყენებენ. მაგალითად:

Negro-grone-შავი;

Presto-stopre-ჩქარა;

Piena - napie-წყალდიდობა;

Freddo-dòfre-ცივი;

Paron-ronpa (padrone)-მეპატრონე;

ეს ხერხი ნაცნობია ჯერგოზე მოსაუბრეთათვის, რომლებიც მეტყველებით თამაშობენ. მაგალითად:

- *Mode us tati* (ლამონის დიალექტზე) *sta per (n)demo su (da) Tita, cioè - andiamo a casa di Battista-წავიდეთ ბატისტას სახლში*.

- *Làbe sta zàto'*, დიალექტზე: *bèla sta tòza-cioè bella questa signorina-ლამაზია ეს ქალიშვილი*.

-Scaluma sta zàto-guarda questa signorina-შეხედე ამ ქალიშვილს (ბელუნოს პროვინციის ჯერგო).

მეორე ხერხით, ინვერსიის მისაღებად მხოლოდ მარცვლების მექანიკური გადაადგილება როდია საკმარისი. ეს ის პროცესია, რომელიც მახვილიანი ხმოვნის რესტრუქტურიზაციას ახდენს, რომელიც გოზალდის ჟარგონში ფართოდ გამოიყენება, სადაც დიალექტური ერთი მარცვალი ჯერგოს ორი მარცვალი ხდება. ამის განხორციელება შესაძლებელია დიალექტის ერთი მარცვლის მეშვეობით, როდესაც სიტყვის საწყისს გადავიტანთ ბოლოში და დავუმატებთ ხმოვანს, რომელიც საწყისი ხმოვნის ასლია. მაგალითად:

Dèt-dito- ètde -თითი;

Fer-ferro- èrfe -რკინა;

Pel-pelo- èlpe -თმა;

Per-pera-èrpe-მხხალი;

Ver-vero- èrve-ნამდვილი;

Verd-verde- erdve-მწვანე.

ჯერგოს ამ ახალ ფორმებში უნდა აღინიშნოს, რომ თანმიმდევრობა /-td/ და /-rdv-/დაუშვებელია ვენეციური დიალექტის მარცვლების წარმოქმნაში. ეს არის რელექსიკალიზაცია, რომელიც სიტყვების წარმოქმნის წესებს არღვევს. შეიძლება შეგვხვდეს ასევე სუფიქსები *-oso,-osa (-osso,-ossa)*, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა ძველი ქურდული მნიშვნელობით, მაშინ როდესაც ლოკანა დი პიემონტეში ხშირი იყო სუფიქსების *-arro, -ogni-*ის გამოყენება. მაგალითად:

Amico- amisàrro-მეგობარი;

Contento-cuntentarro-კმაყოფილი;

Caffè-cafògni-ყავა;

Carta-cartogni-ქალაქი.

ტრონიკაციის გამოყენება ხშირია. ეს ლინგვისტური ხერხია, რომელიც უკეთესად ვლინდება აპოკოპის სახით, რომელიც ხასიათდება ხმოვნის ან მარცვლის მოკვეთით სიტყვის ბოლოს და გვხდება სხვადასხვა ჟარგონში. მაგალითად:

Bernada მილანური ჯერგო>berna (notte)-ღამე;

Baiafum> baiàfa –pistola-პისტოლეტი;

Tassilli > tassi-ტაქსა;

Corènta > cora-strada-გზა.

გვაქვს ასევე აფერეზას მაგალითები, რომელიც ვლინდება სიტყვის დასაწყისში ხმოვნის ან მარცვლის მოკვეთით. მაგალითად: *lumin > min -ღამა.*

ენობრივი ტრანსფორმაციების სემანტიკური ხერხებია: მეტაფორები, მეტონიმია მისი სახესხვაობით, სინეკდოხით, პერსონიფიკაციით, ონომატოპეით ანუ ხმაბაძვითი სიტყვების არსებობით. მეტაფორები საკმაოდ ბევრია. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მათგანი. მაგალითად:

Bianchina-neve-თოვლი;

Bruna-notte-ღამე;

Cerchio, cerchioso anello-ბეჭედი;

Duròso-ferro-რკინა;

Pesante-piombo-ტყვია;

Polverosa-farina-ფქვილი;

Nigroso-carbone-ნახშირი.

ყველა ჯერგოში გვხვდება აღწერითი ხასიათის სურათები, რომლებსაც აჯენო (1957, 421) არ განიხილავს სრულ მეტაფორებად, ვინაიდან არ ხდება მათი გარდაქმნა

სინთეზური და შეკვეცილი შედარებების ფორმით. რაც შეეხება მეტონიმისა და სინეკდოხის მაგალითებს, შეიძლება მოვიყვანოთ ჯერგოს შემდეგი სახესხვაობები:
Bacchètto-coltello-დან;

Spavènto-leone-ლომი;

Brac-cane-ძაღლი;

რაც შეეხება სინონიმურ ფორმას, გვხვდება: *cotto (ubriaco) მთვრალი>bollito-მობარშული ხორცი; bianca >საწერი ქაღალდი.*

ამავე ჯგუფში გვხვდება ასევე სხვა ხერხები. ფაქტობრივად აჯენო ხაზს უსვამს იმას, თუ წარმოსახვას როგორ იყენებდა ჟარგონი, რომლითაც ჩანს თუ რამდენადაა ის დამოკიდებული ენაზე და შეზღუდული კომუნიკაციურ შესაძლებლობებში. ყოველ შემთხვევაში ჟარგონში უნდა იქნეს აღიარებული ერთგვარი ორიგინალურობა თავის წარმოსახვაში, კერძოდ, მეტაფორებში. მეტაფორიზაციის ხერხი უნივერსალურია, რომელსაც ექვემდებარება ყველა სხვა ენობრივი წარმონაქმნი.

იტალიური ჯერგოს შექმნაში უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვებიც მონაწილეობს. ესენია: გერმანული, ფრანგული, ასევე ბოშათა ენა. უცხოური ნასესხობებიდან უნდა აღვნიშნოთ: *schwarz გერმანულიდან, nero-შავი> sborz-vino-ღვინო; fleisch გერმანულიდან>fraissà-carne-ხორცი (ტრენტინოს დიალექტი).* ბოშური ნასესხობებიდან უნდა აღვნიშნოთ: *ciao, ciavo-ragazzo-ბიჭი; figlio-ვაჟი> ciai contadino (ბოლონიის, პადუას, ვერონას, ტრევიზოს ჯერგო) ან ciovatèl ragazzo, giovane - ახალგაზრდა (ტრამონტის, ფრიულის ჯერგო). Cior-rubare>ciórdo ladro-ქურდი, ciordàr rubare-ქურდობა (გამოიყენება პასუასა და ვერონაში), cior-ladro, ciorèl-furto-ძარცვა; carepen-sparare-სროლა>càrape-rivoltella-pistola-პისტოლეტი (ვერონას და ტრევიზოს ჯერგო).*

უცხოური სიტყვების ათვისება ხშირი მოვლენაა ხშირი კონტაქტის გამო, განსაკუთრებით მოხეტიალეთა ჯერგოში. ხშირია პერიფრაზირების გამოყენების შემთხვევები გადატანითი მნიშვნელობით, ჯერგოს სიტყვებისა და გამოთქმების

გამოყენებით, ან დიალექტური სიტყვებით ან კიდევ ორივესი ერთად. ქვემოთმოყვანილი მაგალითები შეიცავს სხვადასხვა გამოთქმას. მაგალითად:

Acqua di mucca-mis de mònica per latte-acqua di mucca-ძროხის რძე, იყენებდნენ გოზალდოს, რივამონტეს, ლემონის ავეჯის მწარმოებლები (ვენეტოს რეგიონი);

Lustro ridente-giorno di festa-დღესასწაული;

Andar in giardin-morire-სიკვდილი-ჰადუას ჯერგო.

Comprare de belo-comprare onestamente-კეთილსინდისიერად ყიდვა და ა.შ.

დაბოლოს, ჟარგონის რამდენიმე მორფოსინტაქსურმა თავისებურებამ შეიძლება თავი იჩინოს ნაცვალსახელების ფორმირებაში. ზოგ შემთხვევაში ისინი ისეა ნაწარმოები, რომ აღნიშნავენ „ინდივიდებს“, „ადამიანს“, მათ წინ დაისმის ჩვეულებრივი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ან დიალექტის კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ასეთია ტრენტინოს რეგიონის უფრო სწორედ, ვალ რენდენას მაგალითები, რომლებშიც ისეთი გამოთქმები გვხვდება, როგორებიცაა: *el me giùn, el to giùn-il mio Gianni, il tuo Gianni-ჩემი ჯანი, შენი ჯანი*; ან კიდევ ვალ დე სოლეს იმავე ტრენტინოს რეგიონში: *el me òden; el to òden*, წინადადებები, სადაც *òden* სრულიად ბუნდოვანია, სარდინიული ჯერგოს დიალექტებში ფართო გავრცელების მიუხედავად, ასევე ისტორიულ რეპერტუარში, რომლის კომენტარი აჯენომ გააკეთა. სხვანაირად იყენებენ რივამონტეს (ვენეტოს რეგიონი) ავეჯით მოვაჭრენი: *imi, io, iti, tu*-აქცენტი კეთდება დიალექტურ *mi, ti*-ზე, როგორც პირის ნაცვალსახელებზე.

დასკვნები

მოცემულ თავში პირველად იქნა განხილული ტერმინი „ჯერგო“. განვიხილეთ ჯერგოს სხვადასხვა რეალიები, რომლებსაც ადრე მხოლოდ ლინგვისტური კონოტაცია ჰქონდათ. ამგვარად, მოვიყვანეთ მთელი რიგი მაგალითები ჩრდილოეთ იტალიიდან სამხრეთამდე, ისეთი ჟარგონები, როგორებიცაა ლომბარდიელ მეწაღეთა ჯერგო, სარდინიის ჟარგონის სახესხვაობები, რომლებიც განვიხილეთ და დავყავით. განვიხილეთ ასევე მაფიის, კამორის და ნდრანგეტას ენები, რომლებიც სამხრეთის ენას ახასიათებს.

ამ სახესხვაობების ანალიზის დროს თავი იჩინა უამრავმა ენობრივმა და ექსტრალინგვისტურმა თავისებურებებმა, რომლებიც არ გვამღევს საშუალებას ისინი გავაერთიანოთ ისტორიის, განვითარებისა და ლინგვისტური ფორმირების თვალსაზრისით, თუმცა არსებობს საერთო მნიშვნელი: ამ ჯერგოების ძალა და უნარი, რომ გაუძლოს დროს, ისტორიულ და კულტურულ ცვლილებებს და თაობათა ცვლას. მოცემულ თავში ვამახვილებთ ყურადღებას ამ სახესხვაობათა ლინგვისტურ ასპექტზე, კერძოდ, შემოთავაზებული ლექსიკის სპეციფიკურ განვითარებაზე. კვლევისას გამოვლინდა, რომ ადგილი ჰქონდა დაშლის და კვლავწარმოქმნის სხვადასხვა ლინგვისტური პროცესების მონაწილეობას ახალი სიტყვების წარმოქმნაში, რომლებიც ხელახალ ლექსიკალიზაციას და სემანტიზაციას განიცდიან. ყველაფერი ეს კი განხორციელდა მორფოფონოლოგიური და სემანტიკური პროცესების მეშვეობით, რომლებიც იყენებს მეტათეზას, აპოკოპას, სინკოპას, სუფიქსაციას და პრეფიქსაციას, ასევე რიტორიკულ ფიგურებს ანუ ტროპებს, როგორებიცაა მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოხა, სინონიმია და სხვა. მოცემული ნაშრომი ვითარდება ზემოხსენებული ჯერგოს ლინგვისტური და ლექსიკური კვლევის გარშემო იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ამ სახესხვაობების ქვენორმების ცოდნას და ინტერესს, რომლებიც იტალიური ენის ლინგვისტური მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია.

თავი 3. იტალიური ახალგაზრდული ჟარგონის დახასიათება ლექსიკურ-სემანტიკური და სიტყვაწარმოების თვალსაზრისით

3.1. ჟარგონების როლი კომუნიკაციის პროცესში

ახალგაზრდულ ენაში გამოიყოფა სიტყვაწარმოების მექანიზმები. ეს ენა აერთიანებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ზოგჯერ გამოგონებულია, ზოგჯერ გარდაქმნილი, სემანტიკურად დამახინჯებულიც კი. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდების ენა შემოქმედებითი, გასართობი ენაა, რომელიც შედგება მეტაფორებისა და აბრევიატურისაგან. ახალგაზრდული ენა სემანტიკურ დონეზე ხასიათდება მნიშვნელობების გაფართოებით მეტაფორებისა და ევფემიზმების გამოყენებით, ხოლო ლექსიკურ დონეზე ხშირად გამოიყენება შემოკლებები, გაორმაგება, მაღალფარდოვანი სიტყვები, იშვიათი სუფიქსები, ჰიპერბოლები, მეტათეზები. ეგრეთწოდებული ახალი ტერმინები შეიძლება ორი ტიპის იყოს: ერთი მხრივ, ახალი ტერმინები გვხვდება იმ სიტყვებთან მიმართებით, რომლებიც წინა თაობების მიერ გამოიყენებოდა, მეორე მხრივ, ისინი იყენებენ სიტყვებს, რომლებიც მნიშვნელობას არსებული ტერმინების მოდიფიკაციის შედეგად იძენენ.

ახალგაზრდები იყენებენ სიტყვებს, რომლებიც ნასესხებია სხვადასხვა უცხო ენიდან, რაც გულისხმობს უცხო ტერმინის მიღებასა და გავრცელებას, რომელიც ინოვაციურად შეიძლება ჩავთვალოთ. ანგლიციზმები ითვლება უფრო გავრცელებულად ინტერნაციონალიზმებს შორის ახალგაზრდულ დისკურსსა და ადაპტირებულ ანგლიციზმებს შორის. ახალგაზრდული ენის ლექსიკის გამდიდრება ხდება სხვადასხვა ინტერნაციონალიზმით, ანუ სხვა ენებიდან ნასესხობებით.

ი.პაკანიელას აზრით, ნასესხები უცხოური სიტყვებით გამდიდრება წარმოადგენს ერთ-ერთ ხერხს ენის ლექსიკური მარაგის გაზრდის თვალსაზრისით და იმის ისტორიულ ნიშანს, რომ არსებობს ერთი ენის ურთიერთობა სხვა ენების კულტურებთან წარსულსა და აწმყოში²¹. უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო მჭიდრო

²¹ Paccagnella I., *Avviamento alla Storia della lingua italiana*, <https://www.yumpu.com/it/document/view/16003572/ivano-paccagnella-avviamento-alla-storia-della-lingua-italiana>, (შემოწმებულია 09.03.2022).

ნათესაური კავშირი არსებობს ენებს შორის, მით უფრო ადვილია ერთი ენიდან მეორე ენაში ტერმინის გადატანა. სიტყვათა უმეტესობა ნასესხებია ინგლისური ენიდან. არსებობს ადაპტირებული ანგლიციზმები. ასეთი ანგლიციზმები შეიძლება ნასესხები იყოს არა მარტო მათი პირვანდელი სახით, არამედ შეიძლება შეცვლილი იყოს იტალიური ენის ფონოლოგიისა და მორფოლოგიის შესაბამისად. ეს ნასესხობა შემდეგ ადაპტაციას განიცდის იტალიური ენის წესების მიხედვით. მაგალითად, სიტყვა *clickare*, ნასესხებია ინგლისურიდან *to click*-დაწკაპუნება. მსგავსი ადაპტირებული ანგლიციზმები თავიდან ლექსიკური ცვლილებების პროცესებს ექვემდებარებიან, რომლებიც იტალიურ ენაში მოქმედებს. ნასესხები სიტყვა დღეს უცხოდ აღარ ჟღერს, ვინაიდან მან გაირა დერივაციის პროცესი იტალიური ენის სიტყვაწარმოების წესების მიხედვით. ყველაზე ხშირად გამოიყენება არსებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები *-ata; -ista; -aggio*. მაგალითად:

Si fingono surfisti e in pose statuarie si passano salutisti, una birra.

Ma perché, una bella surfata non te la faresti?

ასევე *ზმნების* მაწარმოებელი *-are*. მაგალითად:

Una finta preparata bluffa vistosamente, quasi offrendosi.

ზედსართავების მაწარმოებელი სუფიქსებია: *-ato; -istico; -ante*. მაგალითად:

Un CD ben mixato.

Quel primo bottone dorato esce dall'asola con un rumore leggero jeansato.

Sei così stressato.

A volte Pallina è proprio stressante.

ახალგაზრდულ ენაში გვხვდება ვულგარიზმები. ამ ჯგუფს განეკუთვნება დაბალი დონის სასაუბრო მეტყველება. ამიტომ არა მარტო სიტყვები, არამედ სასაუბრო ტერმინებიც ახალგაზრდული მეტყველების შემადგენელი ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდული ენა გამოირჩევა ექსპრესიული ინტენსიფიკაციით, ის ზღუდავს ვულგარულ ტერმინს და ზრდის მისი გამოყენების სიხშირეს სასაუბრო იტალიურთან შედარებით. სიტყვა, რომელიც მეორდება სხვადასხვა სიტუაციაში, ხშირად კარგავს თავის საწყისს აგრესიულ მუხტს. ამიტომ, არსებობს გამოთქმები, რომლებიც თავისთავად უცენზუროა, თუმცა, ხშირი

გამოყენებით მათ დაკარგეს საკუთარი მნიშვნელობა და გადაიქცნენ შორისდებულებად. მაგალითად სიტყვებმა *figa*, *fighetta*-სადაგელი, *სასიზღარი ქალი*, დაკარგა სექსუალური კონოტაცია. ყოველი თაობა თავად ქმნის გინებებსა და სასაუბრო ტერმინებს. ის ტერმინები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ გამოიყენებოდა, შეიძლება დღეს ახალგაზრდებს სასაცილოდ მოეჩვენოს, რაც ადასტურებს ლექსიკური ცვლილებების არსებობას. ასეთ გამოთქმებს, მოჭარბებულად იყენებენ ახალგაზრდები სხვადასხვა მიზნისათვის, რომლებიც როგორც წესი მიმართულია იქითკენ, რომ ხაზი გაუსვან დისკურსში მოსაუბრის სულიერ მდგომარეობას. ვულგარული სიტყვის გამოყენება ჩვეულებრივ მოსაუბრის სიხალისეს, გაოცებას, შიშს ან განრისხებას იწვევს. ამიტომ, ვულგარული ტერმინები გამოიყენება მაშინ, როდესაც სურთ უფრო გამომხატველობითები იყვნენ. მაგალითად:

Ammazza, t'è piaciuto, eh?

Ammazza, certo che lavori tanto, eh?

Il boro ha anche un altro punto a suo favore.

Un gruppo di bori che rischia inutilmente la vita.

Ci manca solo la boretta di turno.

ყველაზე მეტად გავრცელებული ვულგარული სიტყვებიდან შეიძლება აღვნიშნოთ: *cazzo*, *coglione*, *merda*, *puttana*, *vaffanculo*, *stronzo*, *fica* და ა.შ. მაგალითად:

Continuare a non fare un cazzo.

Di noi, non ve ne frega un cazzo.

Che coglione!

Dove correrai mai, coglione!

Di merda: malissimo, pessimamente.

Begli amici di merda.

Porca puttana! Sussura tra sé.

È proprio una stronza.

Quello stronzo mi ha rovinato i Levi's.

Vaffanculo a Pollo!

ახალგაზრდებს მიდრეკილება აქვთ სიტყვები შეკვეცონ, პირველ რიგში კომფორტის ან სიზარმაცის გამო, ვინაიდან სიტყვის ტრონკაცია ანუ შეკვეცა დროის ეკონომიაა მათთვის. ამ ტენდენციაზე გავლენას ახდენს დიალექტები, რომლებიც საკმაოდ ძლიერად ზემოქმედებენ ახალგაზრდულ ენაზე. გამოიყოფა აფერეზა და აპოკოპა, რომელიც ძირითადად რომის დიალექტს ახასიათებს. აფერეზა ანუ სიტყვის პირველი ნაწილის მოკვეცა, გამოიყენება როგორც უფროსების, ისე ახალგაზრდების მიერ. ახალგაზრდულ ენაში ის დომინირებს და ადასტურებს ერთგვარ „ლექსიკურ სიზარმაცეს“. მაგალითად: *sto ragazzo è molto bello-ეს ყმაწვილი ძალიან ლამაზია*. საწყისი მარცვლის ამოვარდნის გარდა, შეიძლება შეიკვეცოს მეტყველების სხვა ნაწილები, განსაკუთრებით განუსაზღვრელი არტიკლი. მაგალითად: *-Na scicchieral-რა ელეგანტურია! Mmazza, ma che vuoi fare una strage? -მოკალით, მაგრამ რისი გაკეთება გსურთ ამ ხოცვა-ჟლეტით*. აპოკოპა, ანუ სიტყვის მეორე ნაწილის მოკვეცა, ხშირად გვხვდება მოზარდთა მეტყველებაში, როდესაც ზმნები და არსებითი სახელებია ძირითადად შეკვეცილი. მაგალითად: *-Adesso non voglio parlà, mamma!!! -ახლა, არ მსურს საუბარი დედა!!! Grazie, prof! -გმადლობთ მასწ!* იტალიურში გვაქვს ოჯახის წევრებთან დაკავშირებული არსებითი სახელები, რომლებიც მსგავს მოდდიფიკაციას განიცდიან. ესენია: *mamma, papà, fratello*. მაგალითად:

Ciao, ma. Ne vuoi tu, ma?

Bella fratè.

Ciao, pà.

ახალგაზრდულ ენაში ისეთი სიტყვების შეკვეცაც ხდება, რომლებიც ახალ ტექნოლოგიასთანაა კავშირში და ინგლისური წარმოშობისაა. ეს სიტყვებია: *cellulare; messaggio; vibramento*. მაგალითად:

Ho lasciato il cell.

Ma perché non me la racconti in un mess?

Ehi, a chi hai mandato quel mess?

სმს-ბის კითხვისას ხშირად ვაწყდებით აბრევიატურებს. ასეთი ფორმები ხშირად გვხვდება ახალგაზრდების წერით მეტყველებაში. მათი წარმოქმნა ხდება ინფორმაციის სიტყვების პირველი ასოებისაგან. ამ მოვლენაზე უკვე ვისაუბრეთ

მეორე თავში, თუმცა აქაც გვსურს ზოგიერთი მათგანი გავიხსენოთ. ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი აბრევიატურები: *TVB – ti voglio bene; TAT – ti amo tanto; VB – va bene.*

ახალგაზრდული ენა ზეპირი მოხმარებისაა ძირითადად. თუმცა, არსებობს ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ახალგაზრდულ ენაში ხშირად გამოიყენება სიტყვები, რომელთა ჩანაცვლება ხდება სიმბოლოებით ან აბრევიატურით. ეს სიტყვებია: *per ან perché*, სადაც წინდებულის ჩანაცვლება ხდება *x* სიმბოლოთი, რომელიც გამოხატავს გამრავლების მათემატიკურ ნიშანს. ამას გარდა, ახალგაზრდულ ენაში გამოიყენება ასო *k*, რომელიც არაა დამახასიათებელი იტალიური ენისათვის, მაგრამ გამოიყენება სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში. ეს ასო, რომელიც ფონეტიკურად არსებობს იტალიურ ენაში, ახალგაზრდულ ენაში ჩანაცვლებულია თანხმოვნით *c*. მაგალითად:

Ho una sorpresa x te. Dici sempre ke non sono romantiko.

Che è, una delle domande di Sai Xké?

ახალგაზრდულ ენაში სიტყვების შეკვეცის პარალელურად არსებობს ასევე სიტყვათა საწინააღმდეგო მოდიფიკაცია, კერძოდ, ბოლო ხმოვნების და მარკერების, ისეთების, როგორებიცაა *no, ma, sì*, დაგრძელება. ხმოვნების დაგრძელება ხშირად გამოიყენება მოსაუბრეთა ამ კატეგორიის მიერ სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგალითად, რომ ხაზი გაუსვან წინადადებას, გამოხატონ საკუთარი ემოცია. მაგალითად: *A teee che non fai parte dell'immensooo, ma l'immenso che fa parte solo di teeee...Mi butooo!-შენ, რომელიც უკიდევანოს ნაწილი არ ხარ, მაგრამ უსასრულო, რომელიც მხოლოდ შენი ნაწილია...ვხტები!* სხვა მაგალითებია:

See, lui una rosa, semmai un cardo secco!

See, 'sta storia mi pare.

See, amore, chiamalo col suo nome, sesso.

Siii! Le Onde alzano entrambe le braccia al cielo e gridano felici.

Nooo! Ti odio!

Nooo, Nooo, non se ne parla, eh...

Nooo, non mi ha aspettato...

Nooo...non ci credo!

ახალგაზრდების გამომხატველობითი მოთხოვნილებები ვარირებს სიტუაციის მიხედვით. ერთი მხრივ, მათ სურთ დროის ეკონომია, რომ ტერმინების შეკვეცის ხარჯზე მოხდეს, მეორე მხრივ, მათ აქვთ მიდრეკილება შეცვალონ არსებული სიტყვების მნიშვნელობები. ამიტომ, ახალგაზრდული ლექსიკა აერთიანებს სხვადასხვა რიტორიკულ ტროპს ახალი მნიშვნელობებით, რომლებიც ახალგაზრდებმა შექმნეს. ესენია: მეტაფორა, მეტონიმია, ჰიპერბოლა, ონომატოპეა. ახალგაზრდული ენის ერთ-ერთი მახასიათებელია მეტაფორების სიუხვე. ეს ქმნის ლექსიკურ მარაგს, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი ენის ლექსიკური მარაგისაგან, სადაც ძალიან ხშირად გამოიყენება ისეთი სიტყვები, რომლებიც უშუალოდ პირდაპირ ან მინიშნებით მიუთითებენ სასქესო ორგანოებზე. ის მეტაფორები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ როგორც ნეგატიური, ისე დადებითი კონოტაცია ირონიული შეფერილობით, ხშირად განეკუთვნება ადამიანის ცხოვრების შემდეგ სფეროებს: სკოლა: *შატალოზე წასვლა-fare sega; scuola-museo-მუზეუმი*. სიყვარული, სექსი, მეგობრები და თავისუფალი დრო. მაგალითად: *surfare con qualcuno-სექსი ვინმესთან*; ნარკოტიკული საშუალება და ეიფორია: *erba-მარიხუანა*; ოჯახი: *fossile-მშობლები*; ფიზიკური გარეგნობა: *tamarro-გოიმი, cozza-ძალიან უხეში გოგო*; მოხერხებულობა, ხასიათი და ჭკუა: *sei un drago-ძალზე ნიჭიერი*.

ჰიპერბოლის არსებობა ახალგაზრდულ ენაში ენობრივი ექსპრესიის კიდევ ერთი ნიშანია. ახალგაზრდები გაზვიადებულად საუბრობენ, რათა მათი მეტყველება უფრო გამომხატველობითი და ინტენსიური იყოს. ჰიპერბოლურ ტერმინებს შორის, რომლებსაც ახალგაზრდები იყენებენ როგორც სიტყვის *molto-ს ძალიან*, სინონიმებს, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფორმები: *da matti, un sacco, da morire, un casino, una follia*.

ახალგაზრდული ენა ხმაბამპითი ბგერების გამოყენებით მდიდრდება ლექსიკური კომპონენტებით, რომლებიც ბგერებს წარმოქმნიან და დაკავშირებულია მოქმედებასთან. შემდეგ ამ კომპონენტების ფონეტიკურად მარკირება ხდება ფონემების მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება იტალიურ ენობრივ სისტემას.

ამგვარად, ეს ის ლექსიკური ელემენტებია, რომლებსაც სურთ შემოგვთავაზონ აკუსტიკურად, ფონეტიკური იმიტაციით ობიექტი ან აღსანიშნი მოქმედება. ამ რიტორიკულ ტროპს ხშირად ახალგაზრდები იყენებენ. ისინი მას კომიქსების წყალობით იცნობენ. კომიქსებში ტექსტის გარდა ცალკეული ბგერები გვხვდება, რომლებიც ილუსტრირებული მოქმედების გამოსაყოფად გამოიყენება. მაგალითად: *Mmm!*-როცა ფიქრობ; *Zzz!* -როცა გძინავს, *Etcuuu!* -როცა აცემინებ. ეს ასევე შეიძლება იყოს გაოგნების გარკვეული ტიპი, რომელთა გამოხატვა ხდება არალექსიკური ვოკალიზმით, როგორცაა *mm*, *ee*, *aaah*, და სხვა.

3.2. იტალიური ახალგაზრდული ჯერგოს კლასიფიკაცია

ჟარგონი ანუ ჯერგო სასაუბრო სტილს განეკუთვნება. ახალგაზრდული ჟარგონის სიტყვების უმეტესი ნაწილი მეტაფორული გადააზრებითაა მიღებული. ხატოვან გამონათქვამთა ჰიპერტროფია ჟარგონის (ჯერგოს) მახასიათებელი ნიშანია. ჟარგონების შექმნაში ორი ნიშანი მონაწილეობს: 1.სურვილი, მოხდეს საგანთა, მოლენათა ნომინაცია მეტაფორული სიტყვით, რომელიც საზოგადოებისათვის გაუგებარია; 2.სურვილი, შესძინონ ამ სიტყვას ირონიული ელფერი. საიდუმლო ხასიათი თანდათან ქრება, ხოლო ირონია, რომელიც მიმართული იყო პოლიციისა თუ მმართველი კლასების წინააღმდეგ დარჩა. ჟარგონები ყველამ იცის, მაგრამ მასზე ყველა როდი საუბრობს.

ჟარგონები გამოირჩევა არა მარტო სტილისტური შეფერილობით, არამედ განსაკუთრებული ექსპრესიული ნიშნებით, რომელიც დაკავშირებულია მის ცოცხალ, წარუშლელ ხელოვნებასთან. ჟარგონები მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება, ვინაიდან ისინი გავრცელებულია გარკვეულ პროფესიულ და საზოგადოებრივ წრეებში. ისინი შეიძლება მოგვევლინოს როგორც განსაზღვრული პროფესიული თუ სოციალური წრის ან მისი წარმომადგენლის აზრის გამოხატვის საშუალება.

ჯერგო დღეს კარგად აღზრდილ ხალხს სხვადასხვა სახის გამოთქმას აწვდის. მათ შესწევთ უნარი მეტი ემოციური დატვირთვით გამოხატონ საკუთარი აზრები. ჟარგონები შუამავალი გახდა კილოკავსა და ხალხურ მეტყველებას შორის ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ამ უკანასკნელსა და ლიტერატურულ ენას შორის. ჯერგო შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომანებში, თეატრებში, სხვადასხვა მიზანსცენებში, გაზეთებში, მონოლოგებსა და პოეზიაში.

ჯერგო ხიბლავდა რომანტიკოსებს, მწერლებს, რომლებიც ხალხური მეტყველებისაგან, დიალექტებისაგან იღებენ სიტყვებს, რათა ენერგია და შეფერილობა შესძინონ სამწერლობო ენას, რომელიც გამოფიტული და უგემოვნებო გახდა. ჯერგო ფულივით არასტაბილურია. ის სწრაფად იცვლება, გარდაიქმნება, კვდება, კვლავ ჩნდება, ამოტივტივდება, მირბის, გაურბის დაფიქსირებას. ბევრი სიტყვა გადადის ხალხურ მეტყველებაში, მაგრამ ზოგიერთი შემორჩენილია აქტიურად ჯერგოში.

დღეს ჯერგოს გასართობი ფუნქცია აქვს. სწორედ სიტყვათა თამაში მონაწილეობს ხშირად ჯერგოს ლექსიკის შექმნაში. ჯერგო არის საიდუმლო, გასართობი და პიროვნების ან რომელიმე სოციალური ჯგუფის საიდენტიფიკაციო ენა. ჯერგოს კომუნიკაციური ფუნქცია გააჩნია. ჯერგო მეორადი კომუნიკაციის ხერხია, პარაზიტული, რომელიც საერთო ენის გამოყენებას გულისხმობს. ჯერგოს ლექსიკის კვლევა პირველ რიგში ლექსიკური წარმონაქმნების შესწავლაა. ის არ ექვემდებარება ნორმატიულ წესებს, რომლებიც მისგან გამომდინარეობს.

ჯერგო მეტ-ნაკლებად შეკავშირებული ჯგუფის შიგნით კომუნიკაციის სოციალური ქმედებაა. ჟარგონები მხოლოდ საიდუმლო კომუნიკაციისათვის როდი გამოიყენება. მათ აგრეთვე დამნაშავენი ერთმანეთთან საუბრის დროს იყენებენ.

ჯერგო პირობითი ხასიათის კომუნიკაციის საშუალებაა და ამავე დროს საიდუმლო მეტყველება, რომელსაც ბოროტმოქმედნი იყენებენ საჭიროებისამებრ, რათა დამალონ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედება. ჯერგო ვიწრო გამოყენების სფეროს განეკუთვნება და იგი ყოველთვის რომელიმე ჯგუფის წევრთა კომუნიკაციის

საშუალებათა. იგი ასახავს სუბიექტის პირადულ დამოკიდებულებას ადრესატისა და მეტყველების ობიექტისადმი.

დღეს ჟარგონს ანუ ჯერგოს გასართობი ფუნქცია აქვს. სწორედ სიტყვათა თამაში მონაწილეობს ხშირად ჯერგოს ლექსიკის შექმნაში. ჩვენ განვიხილეთ იტალიური ახალგაზრდული ჯერგო, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა თემატიკას. ჩვენს მიერ განხილული მასალა 2090 ერთეულია, რომელთაგან 513 ფრაზეოლოგიური ერთეულია, ხოლო 1577-სიტყვა. მასალა აღებულია ლექსიკონებიდან და ინტერნეტიდან. შეკრებილი მასალა ორ თემატურ ჯგუფად დავყავით. 1)ყოველდღიურობა; 2)ცხოვრების მანკიერი მხარეები. პირველი ჯგუფი აერთიანებს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ფული, სამუშაო, პოლიცია, ახალგაზრდული დისკურსი. მეორე ჯგუფში შედის ქურდობა, ნარკოტიკები, სექსუალური ცხოვრება, ალკოჰოლი. განვიხილოთ თითოეული ჯგუფი და ქვეჯგუფი.

ფული. ეს ჯგუფი აერთიანებს 48 ლექსიკურ ერთეულს, აქედან 16 ფრაზეოლოგიური ერთეულია და 32 სიტყვა. აღსანიშნავია სიტყვები: *baiochi, carte, grana, lovi, pilla, fresca, ghello-ფული; euretti, eurini, neuri-ევრო-ფული; mezza fella, mezza gamba-ორმოცდაათათასიანი ლირა; mezzo palo-ხუთას ათასიანი ლირა; millino, piotta-ასევროიანი; palo-მილიონი ლირა; polenta-ოქრო; riciclaggio-ფულის გათეთრება; sacco-ერთ ევროიანი მონეტა; sbancomattare-ბანკომატიდან ფულის მოხსნა; soldoni-დიდი ფული; sponsorizzare-ფულის სესხება; testone-ათას ევროიანი; zerella-ნული; sbolognare-ყალბი ფულის შეპარება.* აღსანიშნავია ჟარგონული გამოთქმები: *andare dal culo-გაკოტრება; essere al verde- უფულოდ დარჩენა; essere in pilla-ფულით სავსე ჯიბის ქონა; non avere freddo al culo -ფულიანი; pagare alla genovese-ყველა იხდის თავისას; pagare alla romana-თანაბრად გადახდა და სხვა.* მაგალითები: *Federico ha sempre un sacco di grana da spendere-ფედერიკოს ყოველთვის ბევრი ფული აქვს თან. -Ormai è finita, sono al verde!-ახლა ყველაფერი დამთავრდა, საერთოდ უფულოდ დავრჩი! -Questo tizio li ha pisciati via-ამ ტიპმა მთელი ფული დახარჯა; -Mi ha sbolognato cento euro falsi-ყალბი 100 ევროიანი შემომპარეს; -Quanti soldi ti sono rimasti? -Zerella! ფული, რამდენი დავრჩა? -ნული! -Non ho più niente da sbancomattare!-მე არაფერი აღარ მაქვს*

ბარათიდან მოსახსნელი! მოცემულ ჯგუფში ჯერგოს საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია სემანტიკური ხერხი, კერძოდ, მეტაფორა. საინტერესო სიტყვებია *euretti, eurini, neuri*, ის ფულს ნიშნავს. პირველ ორ შემთხვევაში მის საწარმოებლად გამოყენებულია ფორმალური ხერხი ტრონიკაცია ანუ აპოკოპა, რომლებსაც ემატებათ სუფიქსები *-etti; -ini*; მესამე შემთხვევაში ემატება აფიქსები, თავსართი *n-*; ბოლოსართი *-i*.

ქალი და მამაკაცი. ეს ჯგუფი აერთიანებს 70 ლექსიკურ ერთეულს, ამათგან 19-ფე, სიტყვა-51. მაგალითად: *agricolo, babbuino, baccano, barotto, boaro, burino, buzzurro, cazzone, cozzaro, gardano, grebano, napoli, sabadone, tamocco, terrone, zagno-გაგრია, ხეპრე, სოფლელი; bamboccione, bebé-დედიკოს ბიჭი; bonazzo/-ლამაზი ბიჭი/გოგო; bonza -მსუქანი, უშნო გოგო; burzona, buzzicon- cammello/a, cancello/ a, cessa cesso, ciospo/a -უშნო ბიჭი, გოგო; cozza, cozzeca, cofano, racchia, trabogano, ciccia, troncia(მსუქანი) -უშნო გოგო; legno- უკარება, უშნო გოგო. ამავე ჯგუფში გვხვდება სინტაგმები ისეთები, როგორებიცაა: *figa di legno-უკარება გოგო, ძირითადად უშნო; figa di polistirolo-ძალიან მგრძნობიარე გოგო; figa lessa-ძალიან ჭირვეული გოგო; figa secca-ფრიგიდული ქალი; proffia, soressa-მასწავლებელი ქალი; proffio, sore-მასწავლებელი კაცი; cazzuto, mito, sborone, sgaligino, sgaligino, spacchiuso-მაგარი ტიპი, მაჩო; pompato, palestrato-დაკუნთული ბიჭი; მაგალითები: -Amo, cosa facciamo stasera? -საყვარელო, ამ საღამოს რას გავაკეთებთ? -Questa nuova ragazza di Enrico è una gran bonazza!-ენრიკოს ახალი გოგო ულამაზესია! - Il tuo amico è proprio un cazzuto! -შენი მეგობარი ნამდვილი მაჩოა!-Giovanna sembrava facile invece è un gran legno-ჯიოვანა ჩანს ადვილად დასაკერია, მაგრამ სინამდვილეში უკარებაა. -Sei un attassatore per natura-შენ ხარ ადამიანი, რომელსაც მხოლოდ უბედურება მოაქვს. La domenica tutti i baccani a fare le vasche in via Mazzini-კვირაობით ყველა სოფლელი გამოდის გასასეირნებლად მაზინის ქუჩაზე. -Mangi come un baghino! -ღორივით ჭამ! -Minchia ma sei un bomber! -ჯანდაბა! შენ ძალიან მაგარი ბიჭი ხარ როგორც ჩანს! -Guarda quanto è bonza quella! -შეხედე როგორი მსუქანი გოგოა! -Per me la Stefy è una gran bella cinna! ჩემთვის სტეფი- დიდი საყვარელი ბავშვია! -Io odio i figli di papà!-ვერ ვიტან მამიკოს ბიჭებს! -A voi non danno fastidio i finti**

alternativi? -და თქვენ არ გალიზიანებთ ეს ყალბი ტიპები? -*Stasera vado al cinema con la mia morosa* - დღეს საღამოს კინოში მივდივარ ჩემ გოგოსთან ერთად. -*Quello li ha saltato la fila, è proprio un napolì*-ის ტიპი ყველგან ძვრება ურიგოდ, მართლა სოფლელია! -*Basta fare lo sborrone!* -გეყოს საკუთარი თავის მარიაჟობა! -*Come te la passi zio?*-როგორ გაქვს საქმე, მეგობარო? მოცემული ჯგუფი საინტერესოა. მასში წარმოდგენილია იტალიური ჟარგონული სიტყვების სინონიმები. მოცემულია ფრაზეოლოგიური ერთეულები. ჟარგონების წარმოქმნის ძირითადი ხერხია მეტაფორა, თუმცა, გვაქვს მეტონიმის ფორმა. მაგალითად, *pompato-კუნთიანი* და მიღებულია ზმნა *pompare*-დან ნიშნავს *დგუშით დაბერვას*. მეტონიმის, უფრო სწორად სინეკდოხის ფორმებიდანაა ნაწარმოები შემდეგი სინტაგმები: *figa di legno; figa di polistirolo; figa lessa; figa secca*. სიტყვა *figa* ნიშნავს *ქალის სასქესო ორგანოს* და გამოიყენება *გოგოს* მნიშვნელობით. გვხვდება ინგლისური ნასესხობაც: *papaboy*, ფორმით ჰგავს *figlio di papà-ს*, ხოლო მნიშვნელობა კი სხვა აქვს და ნიშნავს *კათოლიკური ორგანიზაციის წევრს*.

პოლიცია. ამ ჯგუფში თავმოყრილია 49 ერთეული. ფე-11, ხოლო სიტყვა-38. მაგალითად: *allacciare, attaccare, bersi, impacchettare*-დაპატიმრება; სინონიმური რიგითაა წარმოდგენილი სიტყვა კარაბინერი და პოლიციელი: *cagabicchiere, capeo, caramba; aquila nera, corvo, mastino, piedipiatti, puffo, pulotto, questurino, sbirro, penna bianca*-პოლიციელი, *sbirraglia*-პოლიციელები; *bagna, madama, pula, zia poli*-პოლიცია; *smucinapalle* -მუნიციპალური პოლიცია; *blindare, boccheggiare, catare, tanare* - დანაშაულზე წასწრება; *braccialetti, branda, schiavettoni*-ბორკილები; *spegnere*-მოკვლა, ლიკვიდირება; *perquisa*-ჩხრეკა. მაგალითები: -*Piantala di smazzare che prima o poi la madama t'allaccia!*-შეწყვიტეთ ნარკოტიკებით ვაჭრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიციელები ადრე თუ გვიან დაგიჭერენ; *E dopo 5 minuti sono arrivati i carramba*-5 წუთის შემდეგ კარაბინერები მოვიდნენ. *Qualche infame se l'è cantata e c'hanno attaccati* -რამდენიმე ინფორმატორმა „სიმღერა დაიწყო“ და ჩვენ გამოავგამკარავეს. -*Mario è stato blindato*-მარიო დააკავეს. *Il ladro è stato preso e messo al fresco*- ქურდი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. -*Oh raga, arrivano i pulotti!*-ეი, ბიჭებო, პოლიციელები მოვიდნენ! -*Hanno fermato Davide e gli hanno fatto la perquisa!* -მათ დავითი გააჩერეს

და გაჩხრიკეს! -*Qualcuno ha fatto una soffiata alla polizia su quello spacciatore*-ვიღაცამ დაასმინა ეს ნარკომოვაჭრე. -*Gli sbirri sono tutti bastardi*- ყველა პოლიციელი ნაბიჭვარია. მოცემული ჯგუფი დიდი არ არის, მაგრამ საინტერესოა ჟარგონული სიტყვების ფორმირების ხერხებით. პირველი და უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ როგორც სხვა ჯგუფებში, აქაც უმეტესი სიტყვა მეტაფორიზაციითაა მიღებული. გვხვდება მეტონიმიური სინტაგმა *aquila nera*, რაც სიტყვასიტყვით *შავ არწივს* ნიშნავს. იტალიელ პოლიციელებს შავი უნიფორმა აცვიათ და ქუდზე და მხარზე მიკრულ ნიშანზე არწივია გამოხატული. გვხვდება *perquisa*, რაც სიტყვის *perquisizione*-ჩხრეკა, შეკვეცილი ფორმაა ანუ აპოკოპა. გვხვდება ვერლანის მაგალითი *zia poli* ანუ პოლიცია, რაც მარცვლების გადაადგილებით გამოიხატება. მოცემულ ჯგუფში ნასესხობები არ გვაქვს.

ახალგაზრდების დისკურსი. მოცემული ჯგუფი აერთიანებს 1061 ჟარგონულ ერთეულს, რომელთაგან ფე-316, ხოლო სიტყვა 745-ია. იგი ყველაზე დიდია და მოცულობითი, რადგანაც მასში თავმოყრილია ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ინტერნეტთან დაკავშირებული სიტყვები: *addare*-მეგობრებში დამატება; *chattare*-ჩატში კონტაქტი; *chattomane*-ჩატის ადამიანი; *checkare*-ელექტრონული ფოსტის შემოწმება; *forwardare*-ელექტრონული წერილის ან სმს გაგზავნა; *googlare*-დაგუგლვა (ინტერნეტში მოძიება); *meilare*-შეტყობინების გაგზავნა მეილით; *mela*-ელექტრონული მისამართი; *piemmare* -ელექტრონული ფოსტით მიმოწერა; *skypare*-სკაიპით ურთიერთობა; გვაქვს საინტერესო სიტყვები: *alfista* -ძვირად ღირებული მანქანის მფლობელი „ალფა-რომეო“; *ami*-ახლო მეგობრები; *benza*-ბენზინი; *berlusconare*-ტყუილის თქმა, სისულელეების ლაპარაკი. ამავე სიტყვისგან ნაწარმოებია *berlusconizzazione*-ბერლუსკონიზაცია; *bigino*-შპარგალკა; *bionda*-სივარეტი; *bossa*, *bruciare*, *buttarsela*, *fare berna*, *fare bollo*, *fare brucia*, *fare buco*, *fare chiodo*, *fare filone*, *fare fogone*, *fare forca*, *fare fuga*, *fare lippe*, *fare plao*, *fare puffi*, *fare salina*, *fare sega*, *fare spago*, *fare vela*, *fogonare*, *forcare*, *iccarsela*, *impiccare*, *jumpare*, *salare*, *zumpare* -სკოლის გაცდენა, შატალოზე წასვლა; *breccare* -ბრეიკ-დანსის ცეკვა; *caucciù*, *cicca*, *cicles*, *cincisbiascia*, *masticone*-საღეჭი რეზინა; *cinquale* -ხელი; *doma*

ხვალ; *flippare*-რალაცის გამო თავის დაკარგვა; *guido*-იტალიური წარმოშობის ამერიკელი; სიტყვათა ოჯახითაა წარმოდგენილი შემდეგი ერთეულები: *inciuciare*-ჭორაობა; *inciucio*-ჭორაობა არსებითი სახელი; *inciucista*-ჭორიკანა; *kebabbaro*-შუა აღმოსავლეთიდან ჩამოსული; *muso giallo*-აზიელი, ყვითელკანიანი; *nigga*-ზანგი; *para*-პარანოია, ნევროზული მდგომარეობა; *pradaio*-მოდური, პრადას მარკის მიმდევარი; *punkabbestia*, *punkettuso*, *punkafashion*- პანკი; სიტყვათა ოჯახია: *rappare*-რეპის მუსიკა; *rappare* -რეპის კითხვა; *rappuso* -რეპერი; *sleppare* -ძილი; *sorema* -ჩემი და; *soreta* -შენი და. მაგალითები: -*No! Le bionde non sono le ragazze bionde ma le sigarette*-არა! ქერათმიანებს ეძახიან არა მხოლოდ გოგოებს, არამედ სიგარეტსაც. -*Boia bella quella macchina!*- ვაი!რა მაგარი მანქანაა! -*La matematica è la mia bestia nera*-მათემატიკა, ეს ჩემი წყევლაა. -*Quello stronzo mi ha bidonata!*-ამ ნაბიჭვარმა მომატყუა! -*Ieri allo stadio è stato bulo*- გუშინ სტადიონზე ძალიან მაგარი იყო. -*Gli è venuta la cacarella!* -შიშისგან შარვალში ჩაისვარა. -*Quel film è una gran cacata!*-ეს ფილმი სრული ნაგავია! -*Il prof mi ha calato il palo!*-მასწავლებელმა გამოცდაზე ჩამჭრა. -*Come va? - Cazzi e mazzi!* -როგორ მიდის საქმეები? ხან როგორ ხან როგორ! -*Puoi chattare con gli amici gratuitamente senza registrarti*-შენ შეგიძლია ურთიერთობა მეგობრებთან ჩატში უფასოდ და რეგისტრაციის გარეშე; -*Pino, dammi il cinquale!*- პინო, ჩაარტყი ხელი! -*Che culone che sei!*-როგორი იღბლიანი ხარ! -*Ci si doma*-ხვალ შევხვდებით. -*Non capisco na mazza!* -არაფერი მესმის! *È da due ore che aspetto l'orange!* -აი უკვე ორი საათია ველოდები ავტობუსს! -*Mi accompagni in papero alla stazione?* -ვერ დამტოვებ მოჰედით სადგურამდე? -*Ho pasturato quella tipa tutta la sera*- მთელი საღამო ვკერავდი ამ გოგოს. *Mi ha pisciato* - მან გადამავდო. *Mi ruga questo!* -მე ეს უკვე ყელში ამომივიდა! მოცემული ჯგუფი ძალიან მდიდარია ჟარგონული ერთეულების ფორმირების ხერხების თვალსაზრისით. სემანტიკური ხერხებიდან გვხვდება მეტაფორა და მეტონიმია. მეტონიმის მაგალითებია: *alfista*; *berlusconare*, *berlusconizzazione*, *guido*, *cinquale*, მეტონიმის მაგალითია *bionda* ფერი გამოყენებულია სიტყვის სახელდებისათვის, ხოლო სიტყვაში *cinquale* ციფრია მოცემული ჟარგონული სუფიქსით -*ale* ხელის მნიშვნელობით. სემანტიკური ხერხებიდან გვხვდება ასევე ნასესხობები, ძირითადად, ინგლისური ენიდან.

განსაკუთრებით ეს ეხება ინფორმატიკასთან დაკავშირებულ სიტყვებს. ესენია: *addare; chattare; chattomane; checkare; forwardare;; googlare; meilare; mela; skypeare;* დაბოლოება იტალიური სუფიქსებითაა ნაწარმოები, რომ წარმოდგენილი ერთეულები შეერწყას იტალიურ ჯერგოს. ფორმალური ხერხებიდან გვხვდება ტრონკაცია, კერძოდ, აპოკოპა. მაგალითად: *ami; doma; para; nigga; benza;* სიტყვა *kebabbaro* საინტერესოა გასაანალიზებლად. მოცემულია აღმოსავლური საჭმელი შაურმა, რომელსაც ერთვის სუფიქსი *-baro*, რომლითაც გადმოცემულია თვით შაურმის გამყიდველიც და იმ რეგიონის წარმომადგენელიც, რომლისთვისაც ტიპურია ეს საჭმელი. ესეც ერთგვარი მეტონიმია. ეროვნების გამომხატველი ერთეულებიდან უნდა აღვნიშნოთ *nigga; muso giallo;* ბოლო მაგალითში გამოყენებულია როგორც მეტაფორა, ისე მეტონიმია. მეტონიმია და ნასესხობაა გამოყენებული, როდესაც ავტობუსს ფრანგული სიტყვით *orange* მოიხსენიებენ, რადგანაც ის ნარინჯისფერია. გრძელი სინონიმური რიგითაა წარმოდგენილი გამოთქმა *სკოლის გაცდენა, შატალოზე წასვლა.* განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ სიტყვები *sorema; soreta;* ორივე სიტყვა *sorella*-სგანაა ნაწარმოები აპოკოპის გზით, რომლებსაც ემატებათ *-ma-ჩემი, -ta-შენი*, სუფიქსების მსგავსად, რაც ფრანგული კუთვნილებითი ზედსართავების მდებდრობითი სქესის ფორმებია.

ქურდობა. მოცემულ ჯგუფში გაერთიანებულია 97 ერთეული. 37-ფე, ხოლო სიტყვა-60. მასში მოცემულია სიტყვა ქურდობის სინონიმური რიგი: *ammuccare, azzottare, babbanza, babbare, bossare, ciocco, cinquinare, dura, fottare, fregare, gabbare, guzzare, inchiumare, inculare, indurire, marmellare, pizzicare, scavallare, sgraffignare, uncinare, zanzare, zottare-ქურდობა, გაქურდება, volino-შეიარაღებული ქურდობა; spadinare-1.საკეტების გატეხვა; 2.ავტომობილის მოპარვა.* სინონიმებითაა ასევე წარმოდგენილი მოქმედების შემსრულებელი: *asciugone, durista, gratta, mariuolo, zanza-ქურდი; topo di casa-სახლის ქურდი; rebongia, rebonza-ნაქურდალი ნივთები; argomento, ballerina, berta, canterina, ferro, tamburo-იარაღი; confetto-ტყვია; guappo-ბანდიტი; bacaiare, beccarsi, bombi, casanza, cazzottarsi, cazzottarsi, cioccare, fiskione, lecca (სახეში გარტყმა), gargiare, insaccare, ninjata, noce, pizza, rimbalzare, sdrumare, smataflone, smusare, stramusone, tranvata, zaccagnata-ჩხუბი, გალახვა, დარტყმა;*

barbatrucco, bidonata, infarloccare, magheggio, marpione, pacco, porchetta, sola, zingarata - მაქინაცია, მოტყუება, ტყუილი, თაღლითობა; *buiosa, casanza, cheba, collegio, gabbio* - ციხე; *far fuori, mettere le scarpe al sole, togliere dalle spese, saccagnare* (დაჭრა ან მოკვლა დანით), *spegnere*-ვინმეს გაგორება, მოკვლა; *gambizzare, gambizzazione*-ფეხებში სროლა. მაგალითები: *In carcere i «biciclettari» sono odiati più dei carabinieri* - ციხეში უფრო მეტად ვერ იტანენ პროვოკატორებს, ვიდრე პოლიციელებს. *Hanno torchiato il complice finché non ha cantato*- მათ ისინი პრესში ჰყავდათ მანამ, სანამ დანაშაული არ აღიარეს. *-Mi hanno fottuto l'orologio*-საათი მომპარეს. *- Il povero ragazzo ieri è stato messo in cheba per 6 ore!* -საწყალი ბიჭი, გუშინ 6 საათი იჯდა ციხის კამერაში! *-Se non stai zitto ti gargio*- თუ არ გაჩუმდები, დაგასახიჩრებ. *Due malviventi hanno indurito quaranta chilogrammi d'oro*-ორმა დამნაშავემ გაიტაცა 40 კგ ოქრო. *-Con questo magheggio sono riuscito a salvarmi il culo*-ამ აფიორის წყალობით, თავის გადარჩენა შევძელი. *-Mi hanno marmellato il cellulare*-მობილური მომპარეს. *-Oh Paolo, ti hanno anche rimbalzato?*-პაოლო, შენც გაგლახეს?

-Ieri mi hanno zanzato il motorino davanti alla scuola- გუშინ, სკოლის წინ მოპედი მომპარეს. მოცემულ ჯგუფში ჟარგონული სიტყვების უმეტესობა მეტაფორიზაციას განიცდის. საინტერესოა სიტყვა *guappo*, რაც ბანდიტს ნიშნავს. ლიტერატურულ ენაში არსებობს იგივე სიტყვა ოღონდ ცოტათი განსხვავებული ორთოგრაფიით *guapo* ნიშნავს თავხედს, ტრაბახას. საინტერესოა ასევე ფრაზოლოგიზმები, როგორებიცაა: *fare la festa*-გალახვა; *far fuori, mettere le scarpe al sole, togliere dalle spese*, სამივე გამოთქმა ნიშნავს მოკვლას. წარმოდგენილ ჯგუფში არ გვაქვს ჟარგონების ფორმირების სხვა ხერხები.

ნარკოტიკები. მოცემულ ჯგუფში გაერთიანებულია 294 ერთეული. ფე-39-ია, სიტყვა-255. სინონიმური რიგითაა წარმოდგენილი ნარკოტიკული ნივთიერების სხვადასხვა ფორმები. ესენია: *acido, adam, amfa, angelo blu, apri occhi, aristocratica, aspirina da strada, bagna, bamba, barella, berlinese, bianca, bonza, cala, calabrone, calcina, chicca, coccola, configurare, dinamite, ero, fecola, granita, ketch, lenta, merce, neve, paparina, piscia di gatto, polvere, sbubba, sciusta, sniffo, talco, veloce, zanza*-ნარკოტიკი, კოკაინი, ჰეროინი; *accannarsi, brasare, ciffare, cremare, gremare* -მოწევა (კანაფის

სიგარეტი); *ammuggiare, arricciare, fare giù, fare su*-ანაშთიანი სიგარეტის შეკეთება; სინონიმური რიგითაა წარმოდგენილი სიტყვები *ნარკომანი* და *დაბოლილი*. მაგალითად: *bombato, brascato, cannato, cionco, fatto, fleshato, flippato, fradicio, fuso, impasticcato, pippotto, sballato, sottone* (ნარკომანი), *strafatto, strinato, strippato*-დაბოლილი; *droghino, drogoso, drugatero, fanecco, fattone, necco, paglionaro, spadaccino, sucato* (სტაჟიანი), *toffa, tossico* -ნარკომანი; *appalozzarsi, goduria, libidine, sale, sballo, sciallarsi*- კაიფი; *arsenale, cavallo* (ქუჩის ნარკომოვაჭრე), *ingoiatore*-ნარკო კურიერი, *rebongista* (ბარიგა)- ნარკორეალიზატორი; *basilico, brasa, broccoli, erba, fumello, fumo, gangia, gremio, maria, maria giovanna, porra*-მარიხუანა. მაგალითები: *Gli «anfibi» consumano per lo piu' cocaina, ecstasy, ketamine, e meno frequentemente eroina*-«ამფიბიები-ძირითადად იყენებენ კოკაინს, ექსტაზს, კეტამინს და გაცილებით იშვიათად ჰეროინს. -*Chi arriccia appiccia*-ვინც შეაკეთებს სიგარეტს, ის მოწევს. -*Mi sono fatto un cannone*-ჩემთვის გავიკეთე ბიზოკი(ანაშთი). -*Quello sulla panchina è un droghino!*-ის, ვინც სკამზე ზის, ნარკომანია! -*Mi fai fare un paio di chioppi?*- მომცემ, რომ ნაპასი დავურტყა? -*Oggi ci siamo fatti due pere*-დღეს, ორი დოზა გავიკეთეთ. -*Ma te sei fumato duro!* როგორ მაგრა დაბოლდი!

-*Dammi un mozzo*-სიგარეტი მომეცი. -*Gnamo si fa un pollo!* წამოდი გავაბოლოთ! -*Ieri notte ero tanto strinato che non riuscivo neanche ad entrare in casa!*- გუშინ ღამით ისეთი დაბოლილი ვიყავი, რომ სახლში ვერ შევედი! -*Oggi ho svoltato bene* -დღეს კარგად გავიხიბრე. მოცემული ჯგუფის სიტყვები ძირითადად სემანტიკურ ხერხს ანუ მეტაფორიზაციას მიმართავს ჟარგონების შესაქმნელად, თუმცა გვაქვს მეტონიმის ფორმებიც. მაგალითად: *კოკაინს* აღნიშნავს ფერით *bianca*, ან კიდევ შეგრძნების მიხედვით *dynamite*; გემოს მიხედვით გამოიყენება სიტყვა *acido*, რაც ნარკოტიკს აღნიშნავს. სიტყვა *fumo* ნიშნავს კვამლს, ხოლო ჟარგონში *მარიხუანას*. იმავე მნიშვნელობას აღნიშნავს ასევე ფერის ან კიდევ მცენარესთან და ბოსტნეულთან ასოციაციით. მაგალითად: *basilico, broccoli, erba*; ამ ჯგუფში გვხვდება სიტყვაწარმოების ფორმალური ხერხიც. ესაა: ტრონკაცია, კერძოდ, აპოკოპა. აპოკოპის მაგალითებია: *ero-eroina; maria-mariagiovanna; tossico-tossicomane*. საინტერესო სინტაგმებია: *aspirina da strada, piscia di gatto, fare giù, fare su*.

სექსი. მოცემული ჯგუფი აერთიანებს 398 ერთეულს. 61-ფე-ია, ხოლო 337-სიტყვა. საკმაოდ ბევრი სინონიმია, იმისათვის, რომ გამოხატონ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. ესენია: *bagascia, baldracca, battona, belina, biccia, bricca, buggeressa, cagna, carogna, cavalla golosa, ciuccia, donnaccia, maiala, mignotta, peripatetica, sboldra, vera, zoccola, zorra-კახპა; amedeo, avere un culo sfondato (პასიური), bagascio, bucaiolo, buco, buggerone (აქტიური), buliccio, busone, capretto, checca, cinedo, cula, cupio, effe, orecchione, pedale-ჰომოსექსუალი; baciafarfalle, camionista (აქტიური) ლესბოსელი; baiaffa, becca, bega, belino, bigolo, cazzo, cedda, ciolla, fava, manico, minchia, nerchia, pesce, piccio, pistola, pizza- კაცის სასქესო ორგანო; berta, cazza, ciornia, curcio, fica, figa, lallera, penna, pota, pucchiacca, topa- ქალის სასქესო ორგანო; bombare, calpestare, chiavare, chiumbare, ciavare, ciulare, fare zin-zin, farsi, guzzare, ingroppare, piccare, pinciare, pucciare il biscottino, quagliare, scopare, trombare, vangare, zombare- სექსით დაკავება; cappuccio, goldone, guanto, impermeabile, palloncino, pigiamino- პრეზერვატივი; airbag, ciocchie, davanzale, tette, zinne-ქალის მკერდი. მაგალითები: - *Che airbag che hai!*- როგორი დიდი მკერდი აქვს! - *Finalmente ieri sera ci siamo ammoccati* - გუშინ საღამოს, როგორც იქნა ვნებიანად ვაკოცეთ ერთმანეთს. - *Quel tipo m'arrapa un casino*- ეს ბიჭი ძალიან აღმაგზნებს. მსგავსი მნიშვნელობა აქვს წინადადებას: - *Quello ragazzo m'attizza parecchio*- ის ბიჭი ძალიან აღმაგზნებს. ან კიდევ: - *Guardando quella ragazza mi è venuto un attimo di barzottismo*- იმ გოგოს დანახვაზე აღვიგზენი. - *Se continui così finirai a battere il marciapiede* - თუ კი ასე გააგრძელებ, ცხოვრებას ქუჩის პანელზე დაასრულებ. - *Quella tipa me la calpesterei volentieri* - სიამოვნებით გავჟიმავდი ამ გოგოს. - *Quel ragazzo mi ha lumato tutta la sera*- ის ბიჭი მთელი საღამო მომტერებელი იყო ჩემზე. - *Quella carogna si diverte a farmi soffrire!*- ეს კახპა ჩემი ტანჯვით იღებს სიამოვნებას. - *Alla festa io e quella tipa ci siamo fatti*- წვეულებაზე მე ვიწეჯი იმ გოგონასთან. მოცემული ჯგუფი გამოირჩევა უარყოფითი და ვულგარული კონოტაციის მქონე სიტყვათა სინონიმური რიგების არსებობით. სიტყვების უმეტესობა სემანტიკური ხერხებითაა წარმოქმნილი. გვხვდება ასევე ინგლისური ნასესხობა: *airbag*; საინტერესოა ასევე გამოთქმები: *avere un culo sfondato; fare zin-zin; cavalla golosa; pucciare il biscottino; fare la ricotta-**

სუტენიორობა; *famiglia cristiana*-პორნო ჟურნალი; *andare a vela e a motore*-ბისექსუალური ორიენტაციის ქონა. ამ ჯგუფში ჟარგონულ სიტყვათა წარმოების სხვა ფორმალური ხერხები არ გვხვდება.

ალკოჰოლი. ეს ჯგუფი წარმოდგენილია 73 ერთეულით. ფე-14-ია, ხოლო სიტყვა-59. პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, დალევასთანაა დაკავშირებული. მაგალითად: *drinkare, filtrare, tazzare*-ალკოჰოლური სასმელების დალევა; *ape*-აპერიტივი; *fata verde* -აბსენტი (სასმელი); *pisciarella*-მსუბუქი ღვინო ან ლუდი, *scabio*-ღვინო; *benzina agricola*-ძლიერი ალკოჰოლი; *beverone, chupito, cicchetto, morbidone*-ალკოჰოლური კოქტეილი; *bombato, bresco, brillo, cabrio, ciocco, ciucca, fatto, sballato, sbarellato, strafatto, strippato, sverso*-მთვრალი; *cassa, lallera*-სიმშრალე; *ingranarsi, insaccarsi, imbrescarsi, piombarsi, sbronzarsi, piegarsi come una graziella, prendere la balla, tirarsi neri*- ძალიან დათრობა; *lappa, lingua felpata, pastone*-ყელის სიმშრალე (ნაბახუსევი); საინტერესო ფრაზეოლოგიზმებია: *essere alle cozze, essere cotto, essere fuori come un balcone, essere in botta, essere in cariola*-ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა; *fognalotti*. მაგალითები: - *Si sei al volante non alzare il gomito*- თუ საჭესთან ხარ, ნუ დალევ! *Era un barbone, un alcolizzato che dormiva nei gabinetti pubblici*-ეს იყო უსახლკარო, ლოთი, რომელსაც საზოგადოებრივ ტუალეტებში ეძინა. -*Ho una gran cassa*-ძალიან მთვრალი ვარ. -*Oggi mi sono preso una bella ciucca!*- დღეს კარგად გამოვტყვევრი! *Ha bevuto troppo e si è imbrescato*- მან ბევრი დალია და ძალიან დათვრა. -*Mi sono piombato ieri sera* -გუშინ საღამოს ძალიან დავთვერი. მსგავსი მნიშვნელობაა შემდეგ წინადადებაში: *Si è preso una solenne sbronza*-ის ძალიან დათვრა ან კიდევ: *Alla festa ha tirato su na tega micidiale*-წვეულებაზე ძალიან დავთვერი. -*Dopo la festa di ieri ho la lingua molto felpata*- გუშინდელი საღამოს შემდეგ საშინელი ყელის სიმშრალე მაქვს. -*Andiamo al bar a tazzare*- წავიდეთ ბარში, დავლიოთ. -*Dopo tre bicchiere di vino, Gianni cominciò a zovagliare!*-სამი ჭიქის შემდეგ ჯანი იწყებს სისულეების ლაპარაკს! როგორც სხვა ჯგუფებში, აქაც გვაქვს ჟარგონების წარმოქმნის სემანტიკური ჯგუფები, კერძოდ, მეტაფორიზაცია. გვხვდება ინგლისური ნასესხობაც: *drinkare*, ნაწარმოებია სიტყვიდან *to drink*-დალევა, რომელსაც ერთვის იტალიური ზმნის მაწარმოებელი სუფიქსი *-are*. ფორმალური

ხერხიდან გვხვდება ტრონკაცია, კონკრეტულად, აპოკოპა. მაგალითად: *ape-aperitivo-dანაა* ნაწარმოები. საინტერესო და ღიმილისმომგვრელი ფრაზეოლოგიზმებია: *fata verde; benzina agricola; essere fuori come un balcone*. მოცემულ ჯგუფში სხვა ფორმალური ხერხების გამოყენება არ ფიქსირდება.

3.3. ქართული ჟარგონები თანამედროვე სოციოლინგვისტურ სინამდვილეში

საქართველოში, ჟარგონის გამოყენება XIX საუკუნეში დაიწყო. ამას ჰქონდა როგორც სოციალური, ასევე სოციოლოგიური და ლიტერატურული მიზეზები. მუშათა კლასის ჩამოყალიბებამ მძლავრი გადატრიალება მოახდინა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო მოსახლეობის მოდინებას დედაქალაქში. აქ კი სიღარიბე სუფევდა. სამუშაო არ იშოვებოდა, პური ძვირი იყო. გახშირდა მათხოვრობა და პროსტიტუცია. უპატრონო ბავშვები მომრავლდნენ. იმატა ქურდების რიცხვმა. მუშათა კლასი საშიშ კლასად გადაიქცა. ბ.ჯორბენაძე წერდა:

ჟარგონს ხშირად ისევე განმარტავენ, როგორც არგოს: ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. მათ შორის სხვაობად იმას მიიჩნევენ, რომ არგოსაგან განსხვავებით, ჟარგონი დამცირების, ათვალწუნების (პეიორატულ) მომენტსაც შეიცავს (ჯორბენაძე 1989: 49).

საბჭოთა პერიოდში, აკადემიურ წრეებს არ სურდათ ელიარებინათ ჟარგონის არსებობა. ის ზეპირად ვრცელდებოდა. აკრძალული იყო მათი შეტანა განმარტებით ლექსიკონებში, ხოლო ჟარგონების ლექსიკონი არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წელს, შესაძლებელი გახდა ამ საკითხის კვლევა.

პირველი ქართული ჟარგონების ლექსიკონი გამოიცა 1999 წელს ლევან ბრეგამის ავტორობით. ის 25 წლის განმავლობაში აგროვებდა ლექსიკურ ერთეულებს ქართული თანამედროვე რომანებისა და პუბლიკაციების გაანალიზების შედეგად

მასში 600-ზე მეტი სიტყვაა გაერთიანებული. მისი მეორე გამოცემა 2005 წელს მოხდა. მეორე გამოცემაში სიტყვების რაოდენობა 1000-ზე მეტია. ნაშრომი ამ სახის ლექსიკონის ქართულ ენაზე შედგენის პირველი წარმატებული ცდაა. ავტორმა შეძლო შეეგროვებინა, ფაქტობრივად დაედასტურებინა ორიგინალურ ქართულ თუ ნათარგმნ მწერლობაში ახალგაზრდული ჟარგონის გავრცელებული ნიმუშები (600-ზე მეტი სიტყვა), რომლებიც სპეციალურ ლექსიკონებში ჯერჯერობით არ ყოფილა დადასტურებული. მათ შორისაა: *აეთესა, ავარდა, გოიმი, დაასტუკა, დაიბრიდა, დაიადა, ისქესა, იტასავა, მანდრაჟი, მარიაჟობა, მოკეტა, მოტყდა, ნაშამორი, პონტი, წამსერდა* და სხვ. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ მასალა ძალზე საყურადღებო აღმოჩნდა თეორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით (ქურდაძე 2011:38). საინტერესოა ლექსიკონში მოცემული სიტყვების გრამატიკული ფორმები. ლ.ბრეგაძე წერს:

ზმნისწინიანი ფორმების წარმოსაჩენად,[...] მომავალი დროის ფორმებს ნამყო სრულის (წყვეტილის) ფორმები ვამჯობინეთ, რადგან ამ გრამატიკულ დროში ზმნები უფრო ბუნებრივად ჟღერს. საერთოდ, ნამყო სრული (წყვეტილი) ყველაზე პოპულარული გრამატიკული დროა ჟარგონში. ზმნათა დიდი ნაწილი აწმყო დროში არც კი იხმარება. მაგალითად: მოიხა(წავიდა)-არ იხმარება იხევა, [...], წამსერდა (წავიდა)-არ იხმარება მსერდება, თანხა გაიკრა(ფული იშოვა)-არ იხმარება თანხას იკრავს და სხვა მრავალი(ბრეგაძე 1999:7-8).

მაშასადამე, თუ ლ. ბრეგაძის ამ შენიშვნას გავითვალისწინებთ, ზმნის გარკვეული მწკრივის-წყვეტილის-ფორმა ყოფილა საჭირო ზემომოყვანილი სიტყვებისათვის.

ჟარგონის გრამატიკულ თავისებურებებზე მსჯელობისათვის ასევე ფრიად მნიშვნელოვანია ის სიტყვები, რომლებიც მიცემითში -ში თანდებულის დართვისას იძენენ ჟარგონულ მნიშვნელობას. მიცემითი ბრუნვის თანდებული ძალიან პოპულარულია ახალგაზრდულ ჟარგონში. ხშირად ცვლის ქონა ზმნას: *ეტყობოდა, გაკეთებულში რომ იყო; -შენ დღესაც გადაყლაპულში ხარ, ხო იცი? წაგებულშია,- ისე თქვა ერთმა, არც შეუხედავს ენვერასათვის, ნიშნავს: წაგებული აქვს; რამდენშია? ნიშნავს: რამდენი აქვს წაგებული?*

ზოგჯერ ზმნიზედებისგან ხდება ზედსართავების წარმოება: *ნაღში ან სიგნალი ეწებოდა იქ, ან გატენილი დურა უჯრაში. ნაღში აქ ნიშნავს: ნაღად; – ნაღდი საქმეა!.. – ნატურში?! – ნატურში ნიშნავს–ნამდვილად. აქ, ფაქტობრივად, მეტყველების ერთი ნაწილი, ზედსართავი სახელი-იცვლება მეორით-ზმნიზედით, ლინგვისტიკაში ამ მოვლენას კონვერსია ჰქვია. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჟარგონული სიტყვა-ფორმების წარმოებისას ენის გრამატიკული დონეც გასათვალისწინებელია. ვფიქრობთ, ასევე საინტერესოა ის შემთხვევებიც, როდესაც სალიტერატურო ენის ერთი სახის ზმნიზედა ჟარგონში მეორე სახის ზმნიზედის მნიშვნელობას იძენს. სალიტერატურო ქართულში ეს არის ვითარების ზმნიზედა და ნიშნავს *მაგნირაღვე-ეგრევე*, ჟარგონში კი დროის ზმნიზედის მნიშვნელობას ღებულობს და ნიშნავს: *მაშინვე, ახლავე. –ეს რომ დავინახე, ეგრევე ვიყიდე, მერე რაც მოხდებოდა.* ამ მაგალითში *ეგრევე* ნიშნავს *მაშინვე*-ს (ქურდაძე 2011:38-39). აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება არა მარტო მორფოლოგიის დონეს, არამედ გასათვალისწინებელია სინტაქსური დონეც. არ შეიძლება ჟარგონი საერთო ენისაგან მხოლოდ ლექსიკის მხრივ იყოს განსხვავებული, ჟარგონში ვხვდებით საერთო ენისაგან განსხვავებულად გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებსაც. ბუნებრივია, ეს განსხვავებულობა გრამატიკულ ფორმათა შინაარსობრივ მხარეს ეხება, რაც ამ ფორმათა გარკვეულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ გადააზრებას ემსახურება. რ.ქურდაძე წერს:*

ამ მხრივ საჭიროა მომავალში გაცხოველდეს კვლევა-ძიება, რაც ალბათ უფრო ცხადყოფს ჟარგონის ბუნებას. ჟარგონის მეცნიერული შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს, აღნიშნული ჯგუფის ლექსიკა ზუსტად გამოვაცალკევოთ სხვა ჯგუფის ლექსიკური ერთეულებისაგან და მათ თავისი ადგილი მივუჩინოთ. ეს არცთუ ისე იოლი საქმეა. ეს სიძნელე საანალიზო ლექსიკონის მასალის გაცნობისასაც იჩენს თავს. საქმის ვითარებას ართულებს ის, რომ აღნიშნულ ნაშრომში, სამწუხაროდ, ჟარგონის განმარტება არ არის მოცემული, ანუ არაა წარმოდგენილი ის პრინციპი, თუ რის მიხედვით ხდება მასალის დაჯგუფება (ქურდაძე 2011:40).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლ. ბრეგაძის ლექსიკონი მეტად მნიშვნელოვანია და წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით. სავსებით შესაძლებელია, რომ მასში

ზოგიერთი რამ დასაზუსტებელი შეიძლება იყოს, რაც მის ღირებულებას არანაირად არ ამცირებს.

პრაგმატისტული ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჟარგონული ლექსიკის განხილვისას. სწორედ ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებით ნიშანთან აიხსნება ბევრი ჟარგონული სიტყვის როგორც გაჩენა, ისე ამა თუ იმ ენიდან მისი სესხება. ცნობილია, რომ ქართული ჟარგონული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს ნასესხები სიტყვები წარმოადგენს. ნასესხებ სიტყვათა უმრავლესობა რუსული ენიდან, უფრო ზუსტად-რუსული ჟარგონიდან არის შემოსული. ზოგი მათგანი ძალიან გამჭვირვალეა და იოლია რუსულთან მათი დაკავშირება, ხოლო ზოგის წარმომავლობის დასადგენად სპეციალური კვლევაა საჭირო²². ასევე აღნიშვნის ღირსია პირველი ფრანგულ-ქართული სასკოლო არგოს ლექსიკონი, რომელიც ქეთევან ჯაშს ეკუთვნის. ის 1999 წლით თარიღდება, მეორე გამოცემა 2009 წელს მცირე ტირაჟით მოხდა. ამ ლექსიკონის გამოცემა შესაძლებელი გახდა საფრანგეთის სორბონის V უნივერსიტეტში შეკრებილი მასალის დამუშავების და გაანალიზების შედეგად.

ქართული ლექსიკოგრაფია ისეთივე მდიდარი როდია როგორც იტალიური. თუმცა ქართული ლიტერატურა, სადაც პირველი ჟარგონული სიტყვები გვხვდება, XX საუკუნის 60-იანი წლებით თარიღდება. საქართველოში ჟარგონს მუდამ მიიჩნევდნენ უხემ და ვულგარულ ენად. XIX საუკუნეში საქართველოში ჟარგონი გარკვეული წრის ენა იყო, კერძოდ, ქურდების. დღეს ის ახალგაზრდების ენაა. ქართული ჟარგონული სიტყვები ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე იტალიური. ქართული ჟარგონი თბილისში შეიქმნა. ბოლო დროს ის პოპულარული გახდა. ის უცხოური სიტყვებით საზრდოობდა, ადრე რუსულით, დღეს კი - ინგლისურით.

XX საუკუნეში ურბანიზაციამ, ამერიკული მოდის მიბადვამ, ხელი შეუწყო ქცევის ახალი წესების, ახალი მეტყველების ჩამოყალიბებას. დანაშაულებრივი სამყარო შეიცვალა ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობასთან ერთად. 70-იან წლებში

²² იქვე, გვ 44.

საქართველოში შეიქმნა ახალგაზრდების ენა, რომელიც ძალიან ჰგავდა ჟავანეს. ეს ენა საფრანგეთში გაჩნდა. ჟავანეს ენაში ხდება *-av*, *-ov*, *-ag*, მარცვლის ჩამატება სიტყვაში. სწრაფად საუბრისას, ამ სიტყვების გაგება მხოლოდ მიჩვეული ყურის მქონე ადამიანებს შეუძლიათ. ქართულში თანხმოვან წს სვამდნენ მარცვლის შემადგენელ ხმოვანთან ერთად. მაგალითად: *გოწოგოწო<გოგო*, ან ბიწიჭიწი *<ბიჭი* და ა.შ.

პირველი ჟარგონული სიტყვები, რომლებიც ინგლისურიდან იქნა ნასესხები, თარიღდება 80-იანი წლებით. ისინი, ჯერ არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში, მაგრამ ვრცელდება ზეპირად. 1985 წლიდან ადამიანთა მიმოსვლა უცხოეთში ადვილი გახდა, განსაკუთრებით დასავლეთში. ამერიკული გავლენა იგრძნობა ყველგან, განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებაზე. მაგალითად: *სმოკი-სიგარეტის ბოლი; ლაითად-მსუბუქად; ოკ-კარგი; ქეში-ნაღდი ფული; სუპერი-ძალიან კარგი; შოპინგი-საყიდლებზე წასვლა* და სხვა.

საქართველოში ხალხური ენის და ჟარგონის ცნება ბუნდოვანი და ცვალებდია. ხალხური ენის ევოლუცია დაკავშირებულია თბილისის მეტყველების ევოლუციასთან. XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება რეპი, ამერიკული რეპის გავლენით. აღსანიშნავია, რომ ინტერესი, რომელიც გაჩნდა ახალგაზრდული ენის მიმართ შედარებით ახალია საქართველოსთვის. დღეს სიტუაცია საკმაოდ შეიცვალა და ახალგაზრდების მეტყველება ქართული ენის საზრუნავია. სოციოლოგიაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ყველაფერს, რაც ახალგაზრდულს ეხება საზოგადოების, კულტურის და მედიის შიგნით. ახალგაზრდების პრესა მრავალრიცხოვანი გახდა და მინიშნებებს აკეთებს მათ მეტყველებაზე.

ეს მეტყველება გამოიყენება როგორც განმასხვავებელი თამაში, უფროსების სამყაროსთან მიმართებით ისე, რომ უფრო ძლიერი მტკიცე კავშირი ჰქონდეს ახალგაზრდების ჯგუფს. მათი მეტყველების ლექსიკა გავრცელებას იწყებს. ბოლო დროს პუბლიკაციებში ახალგაზრდების ციტირება ხდება, მაშინ როდესაც ადრე მას მიიჩნევდნენ როგორც მშობლიური ენის დამახინჯებად. მაგალითად: *ზედსართავი ჩარეცხილი* ქართულში ნაწარმოებია ზმნისაგან *ჩარეცხვა*, რაც ნიშნავს *უსარგებლოს*.

სიტყვა *პინგვინი* ჟარგონში ნიშნავს *მიამიტ ადამიანს* და *აბიტურიენტს* (ჯაში 2015:126).

3.4. ქართული ჟარგონების კლასიფიკაცია და წარმოქმნის ძირითადი მექანიზმები

დღეს, ქართული ჟარგონი უკავშირდება ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელიც ეხება ისეთივე თემატურ ჯგუფებს, რაც იტალიურ ენაში გვექონდა. სულ განვიხილეთ 610 ლექსიკური ერთეული, რომელთაგან 118 ფრაზეოლოგიური ერთეულია, ხოლო 492-სიტყვა. ქართული ჟარგონი იყენებს როგორც სემანტიკურ, ისე ფორმალურ ხერხებს. განვიხილოთ პირველი ჯგუფი ყოველდღიური ცხოვრება და მისი ქვეჯგუფები: ფული, ქალი-კაცი, პოლიცია, ახალგაზრდული დისკურსი.

ფული. მოცემულ ჯგუფში გვაქვს 27 ლექსიკური ერთეული, რომელთაგან 7 ფრაზეოლოგიური ერთეულია, ხოლო 20-სიტყვა. მაგალითად: *აბშიაკი ან* *ობშიაკი*, *ბაქსი*, *გაწეწა*, *დაამაყუთა*, *დაამღერა*, *თანხა გაიკრა*, *ლიმონი*; *მაყუთბაზი*, *მაყუთი*, *მაყუთი გაჭრა*, *მაყუთი იჭრება*, *მაყუთს ღუნავს*, *მილიონ ტრისტა*, *მოჩოთქა*, *შეაწერა*, *ხრეში*. მაგალითად: -*რა იციან* *ობშიაკის* *მაყუთი* *რომ* *გავასუხარე* *უკვე* (მიხო მოსულიშვილი). -*ამ მწვანე* *ბაქსებს* *არ* *გავარტყი*, *შე* *მართლა* *ჩოილარო?!* (მიხო მოსულიშვილი). -*ოპერაციის* *ხუთივე* *მონაწილეს...უნდა* *დაგვრჩეს* *ერთი* *ლიმონი*. -*რამდენი?* -*ვერ* *გაერკვა* *რამაზ* *კორინთელი*. -*ერთი* *ლიმონი*. *ერთი* *ლიმონი* -*გაიმეორა* *გონებაში* *კორინთელმა*, -*ეტყობა* *ძალიან* *ბევრია* (გურამ ფანჯიკიძე). -*თქვენ* *არ* *შეგეშინდეთ...კიდევ* *დაგამაყუთებთ...ხომ* *მოგცათ* *ფული* *ბუჭამ?* (რეზო ჭეიშვილი). -*დღეში* *საშუალოთ* *შვიდი-ათი* *კლიენტი* *მოჩოთქე* *და* *ორასიდან* *ხუთას* *მარკამდე* *აბარებს* (მიხო მოსულიშვილი). -*თქვენ* *ხომ* *მაყუთბაზების* *მხარეზე* *ხართ*, *თქვენი* *ობიექტურობით*, *ნუთუ* *არ* *იცი* *თქვენ* *ეს* (რევაზ ინანიშვილი). -*ბაზრებში* *ხრეში*, *წვრილი* *ფული*, *ხოლო* *ტროლეზებსა* *და*

ავტობუსებში ხუთი მიღებული ლაპატნიკიდან დიდი-დიდი 100-150 მანეთი (გია ლომამე).

პირველ ჯგუფში არსებული ქარგონული სიტყვების უმეტესობა ნასესხებია რუსული, ინგლისური და ებრაული ენებიდან. გვაქვს ქართული სიტყვის სემანტიკური გადააზრების შემთხვევა. მაგალითად: *დაამღერა*, *ლიმონი*, *შეაწერა*, *მოღუნა*. ზოგიერთი ტერმინი ქართულ ენაში ფულს აღნიშნავს, თუმცა ქარგონში არსებული ლექსიკური ერთეული თუ სინტაგმა სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად: *ხურდა დაუბრუნა-სამაგიერო გადაუხადა*; *ფეხებზე ჰკიდია ორი და ათი შაური-არ ადარდებს*; *ორშაურად-ადვილად*. საინტერესო ფორმაა *ლიმონი*, რაც მილიონის ვერლანიზაციას უკავშირდება.

სამუშაო. მოცემულ ჯგუფში გაერთიანებულია 5 სიტყვა, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეული არ გვაქვს. მაგალითად: *დააცურეს*, *დაიქნიეს*, *მიაწვა*, *ჩალიჩმისტერობა*, *ჩალიჩობს*, თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს *რაიმეს გაკეთებას*. მაგალითად: - *ნებიერიძე მოუხსნიათ!-თქვა ბაჩანამ...-ეხლა მაგის ხალხს ისე დააცურებენ, როგორც ბაღეტ ნაღდუ!* (ნოდარ დუმბაძე). - *რატომ არ მითხარი, რომ ჩალიჩობდი, ტო, ბრილიანტის წილსაც გავარტყი, ერთად ვიქნებოდით, ტო* (მორჩილაძე 1996). - *ამ გამოცდას, მიუხედავად თქვენი ჩალიჩმისტერობისა, ვერც ჩააბარებთ და არც გაქვთ უფლება კონკურსში მონაწილეობისა* (ირინე ტალიაშვილი). - *დაიქნიეს, ბინძურ გულზე გამსკდარია ამის გამო, ველარ წარმოუდგენია ბრიყვი თავი მას უსკამო* (ემზარ კვიციანიშვილი). მეორე ჯგუფში სიტყვები ძირითადად მნიშვნელობის გადააზრებით ანუ მეტაფორიზაციის გზითაა შექმნილი. თუმცა გვაქვს სესხების ფორმებიც.

ქალი-კაცი. მოცემულ ჯგუფში 13 ლექსიკური ერთეულია, 5 ფრაზეოლოგიური ერთეული და 8 სიტყვა. მაგალითად: *წიწკვი*; *ნაშა*; *ტიპშა*; *ნაშამორი*; *დედიკოს ბიჭი*, *გოგოების მაჩალკა*, *ძველი ბიჭი*, *ჯიგარი*, *ჩერეზ ძმა*, *გეჩე*; *ტრუსიკის ძმები*, *ყიყლიყო*, *გოიმი*, *რქიანი*, *შკაფი*, და სხვა. მაგალითად: *ჩვენი წიწკვები, მოკლედ, ჩვენი კლასელი გოგოები სახელოსნოშიც მინი-კაბებით მოდიოდნენ* (დალი ფანჯიკიძე). - *შენ იმ წიწკვს რატომ აეკიდე? დღეს მეთერთმეტე წიწკვი უნდა დავაბა სადმე*

(დუმბაძე 1984). -წადი რაღა, გაინავარდე რაღა, ნახე რა ნაშები, აირჩიე, რომელიც გინდა (ოთარ ჩხეიძე 1999). ერთი ტიპმა მიპაღბოდებდა, არ მევასებოდა, ისე გამიხურა, ბოლოს ვხეთქე, მერე აზრზე მოვიდა (ირაკლი ლომოური). -მინდა ისიც გამიგო, რომ რომანტიკოსი და დედიკოს ბიჭი არა ვარ და ვერც ეგეთებს ვიტან (მიხო მოსულიშვილი). -გოგოებს რო ეჩხუბები, სირცხვილია, ქალაჩუნას დაგიძახებენ. -მეძახიან,-ჩაკბიჩა მაჭკატი,-გოგოების მაჩალკას მეძახიან (ნაირა გელაშვილი). -გაიგე, სიმონ, გოგა, ჩემი გოგა, ჯონ ლენონი რომ ევასებოდა, სულ პირველი რომ იყო ჩხუბში, ჯიგარი მასტი...(მიხო მოსულიშვილი). -გორსალას ახასიათებს ერთი მხრივ, ამპარტავნება, ქედმაღლობა და მეგალომანია, ხოლო მეორე მხრივ, მონური ქედის მოხრა და ქვემეთრობა, სულერთია, რის ან ვის წინაშე (თამაზ ჩხენკელი). -იმ შენ რქიან უფროსს ვერ მოერიე და ბავშვს ეცი ახლა (ირაკლი ბერიაშვილი). ამ ჯგუფში გამოყენებულია სემანტიკური ხერხები: მეტაფორა და ასევე ნასესხობა რუსულიდან, ებრაულიდან. საინტერესოა სიტყვის გეჩე ეტიმოლოგია. ის გამოუსვლელ, სოფლელს ნიშნავს. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში რაიონის მანქანებს, ნომრის წინ უძღოდა რუსული ასოები ГЧ (გე-ჩე), რაც შემდეგ ჟარგონში სოფლელს, გოიმს აღნიშნავდა. ეს სიტყვა დღეს აღარ გამოიყენება. ის მეტონომიის საუკეთესო ნიმუშია.

პოლიცია. მოცემული ჯგუფი აერთიანებს 17 ლექსიკურ ერთეულს, 2 ფრაზეოლოგიურ ერთეულს, და 15 სიტყვას. მაგალითად: აყვანილი; გააფართხალა; გასკვანჩა; გაქაჩა; გაშმონა; გრეხი; დაასტოპა; დასაშტრაფი; ზექსზე დგას; კუდზე შეაჯდა; კუდი; მოაყურეს; მოყურებული; პუსტაპუსტა-პოლიციის რიგითი თანამშრომელი; ჩაავლო; ძაღლი. მაგალითად: მერე ძაღლებს მიუბრუნდა და ძველი ნაცნობებით მიესალმა გულითადად (ჭუმბურიძე თარგ.).

-სამხრეები ცარიელი აქვს...პუსტაპუსტას ეუბნება, გაჩხრიკეთო (აკა მორჩილაძე). ერთ მშვენიერ დღეს მაინც გაქაჩეს ის ტიპი (დალი ფანჯიკიძე). -გაიხსენე, ვის ედექი იმ საღამოს ზექსზე (ტარიელ ჭანტურია). -იარალის ტარებას ვუფრთხი, შეიძლება კუდზე შეაჯდნენ და სულელურად გაფუჭდე (ზაურ კალანდია). ათი წლით არაფრის გულისთვის მოაყურეს (ჯემალ დავლიანიძე). რუსულად აერია რამსი, საცეკვაოდ გაიწია, ვტაცეთ ხელი, დავასტოპეთ (ზურაბ სამადაშვილი).

მოცემულ ჯგუფში ძირითადად, მეტაფორიზაციის ხერხი გამოიყენება ჟარგონების წარმოსაქმნელად. ესენია: *იენოსა; დაგნარი; გასკვანჩა; გვაქვს ასევე ნასესხები სიტყვები: გასროკა; პუსტაპუსტა; შმონი; ზექსზე დგას*. ბოლო, ფრაზეოლოგიური ერთეულია. მასში ნასესხები სიტყვა და ქართული სიტყვაა გაერთიანებული. მოცემულ ქვეჯგუფში ფორმალური ხერხები ცოტაა და გვაქვს მოფერებითი გამეორება: *პუსტაპუსტა*.

ახალგაზრდების დისკურსი. მოცემულ ჯგუფში გვაქვს 321 ლექსიკური ერთეული, 56 ფრაზეოლოგიური ერთეული და 265 სიტყვა. ესენია: *ააგულავა; აკანჩაწელნად; ბაზარი; ბაითი; ბარიგა; გააბანძა; გააპუსტიაკა; გაასუხარა; დააგოიმა; დაალივერა; დააჩმორა; ებაზრა; ეტენება; ეშუხურა; ვაბშე; ვერხი; ზადნი არ იცის; თომარი; იზმენა; კაროჩე; კრიშა; მანდრაჟი; მარიაჟობა; მოაკეტირა; ნასტირნი; ნახალკას ტენის; ოტილო; პადაგრევი; პაე; პრიჩო; ჟვლიპა; ჟოშკობს; რეკა; რეჩი; როჟა; სამსართულიანი; სვეტობს; სვიდო; სოროკი; სტილნი; ტუფტა; უპოდლა; უსტვენს; ურმახებს; ფრუქტი; ქაჯი; ლადაობა; ღუნავს; ყომარი; შანსავიკი; შანსპეპელა; შატალოზე წასვლა; შუხური; ჩაიწვა; ჩმორი; ცვეტში გეტყვი; წაკეტა; ჭამა; ჭედა; ჭკუიდან აიწია; ხოშიანი; ჯიგარი მასტი; ჯინსავიკი. მაგალითები: -ბევრჯერ გვათხლა მთავრობამ გაჭირვების ჟამს (ჭანტურია 1989). -სადამოს იქნება ერთ პონტში, ვაკეში, ის ბაითი ვიციო და გასწავლიო (აკა მორჩილაძე 1996). -თუ ძმა ხარ, რა! კაი-კაი შემწვარი სუკები საწებლით უნდა გააფუჭო?! უჰ-უჰ, ამაკიშკავა (მიხო მოსულიშვილი). -ხვალე აკანჩაწელნად გაირკვევა ყველაფერიო(ზურაბ სამადაშვილი). უცბათ ამ ბაზარ-ვაგ ზალში დააძრო ფინკა და ბახ! (ზურაბ სამადაშვილი). -ბლატაობ სააქაოზე, გვიფარავ საიქიოსაგან (ვახტანგ ჯავახაძე). და ეგრევე გააიასნა მარიშკამ, რო ბანკში ჩემი ბინა მაქ ჩადებული და რო გაგვიყიდონ, მოკვდება დარეჯანი, მესამე სართულიდან გადმოხტება (მიხო მოსულიშვილი). მოულოდნელად დაგვესხნენ, გაბლატავდნენ, მოგვჩანთეს, წაიღეს „მკვდარი ზონა“, კიდევ ორიოდ სოფელი და იქვე გამაგრდნენ (ზაურ კალანდია). -სათაურზე არ გაგიტყდეთ, სათაური რომ გოიმურია, ეგ ნაღია (დალი ფანჯიკიძე). პუპას მაგრა გაუსწორდა, კახამ დაიკიდა და მე კიდევ იზმენებში ვარ, ტო-არა ვგავარ და რანაიარად ვარ ევროპელი! (მიხო მოსულიშვილი). -ჯერ ერთმანეთს დასცხეს ჩემი გულისთვის და ვინც ვერხი აიღო*

ახლა მე მომდგა ხელების ფათურით (გია ჭუმბურიძე). -გარეთ ხოშიანი ამინდია (თამაზ კვაჭანტირაძე). -მაგარი ხოხმა კი იყო იმის ფართხალის ყურება... (გია ჭუმბურიძე). -არც ჯინსავიკი ყოფილხარ,- ძველმანებს აგლახავებდი (ვახტანგ ჯავახიძე).

მოცემული ჯგუფი ყველაზე დიდია და ამასთან მასში გვხვდება ისეთი ჟარგონები, რომლებიც როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური ხერხებითაა წარმოქმნილი. ყველაზე ხშირად გვხვდება მეტაფორა. მაგალითად: *ათოხლა; აყლაპა; წაკეტა; ჭკუა ეკეტება და სხვა*. სიტყვების თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების უმეტესობა რუსულიდანაა ნასესხები: *ხოდშია; წაენასტირნა; წაეიაზვა; უპოდლა; სტრელკა; სიგრუსტნე* და სხვა. გვაქვს მეტონიმის მაგალითი: *სიმონ*; გვხვდება სიტყვათა ოჯახები: *ბაზარი; ბაზარი-ვაგზალი; ბაზრობს; ქაჯი; ქაჯურად; ქაჯური*; გვაქვს ომონიმები: *როჟა-სიფათი; როჟა-ტიპი*; მოცემული ჯგუფი აერთიანებს ვულგარულ სიტყვებს და გამოთქმებს: *შენი...; სირი; სირისტიანი; ჩემის ტრულაილა*; ცალკე აღნიშვნის ღირსია ფორმალური ხერხები, კერძოდ, ტრონიკაცია. მაგალითად: *სვიდო; პე; შოკო*. გვხვდება შორისდებული ტო, რასაც მიმართვის დროს იყენებენ. ამ სიტყვების უმეტესობა გასაგებია ყველა ახალგაზრდისათვის, თუმცა, შეიძლება, ყოველ წუთს მათ არ იყენებდნენ. მეორე ჯგუფში ცხოვრების მანკიერი მხარეები შედის, კერძოდ, შემდეგი თემები: ქურდობა, ნარკოტიკები, სექსუალური ცხოვრება, ალკოჰოლი.

ქურდობა. მოცემული ჯგუფი აერთიანებს 105 ლექსიკურ ერთეულს, 23 ფრაზეოლოგიურ ერთეულს და 82 სიტყვას. მაგალითად: *ააორთქლა; აწევა; აწეული; გაბრიდა; გატრუპვა; განაბი; დაბრიდა; ნაკოლი მისცა; ნახიშტარი; პალუნდრა; რამკიანი; სასროკო საქმე; სვოი ბიჭი; შეაწერა; შეკერა; შეკრული; შეტენა; წილში გაიყვანა; წილში ჩაჯდომა. სველი საქმე; რამკების მტვრევა; სანატორიუმი*. მაგალითად: -*სადღაა პილმენი, ქვაბიანად აუწევიათ* (კვაჭანტირაძე, თარგმ.). -*ზაურა რომ ნაკოლებს იძლევა, აგერ ბებიაჩემმა ნინამ იცის, გავარვარებულმა ბარიგამ არა?* (ლაშა თაბუკაშვილი). -*დღესვე უნდა წახვიდე, აბაროტი აულო, რო ხვალე შერიგება შეგეძლოსო,-ტაზიკამ(ზურაბ სამადაშვილი)*. -*ამბობენ, რომ თოთხმეტი*

წელი აგარაკზე აქვს გატარებული (რევაზ ინანიშვილი). -*მე ისეთი მაინც არა ვარ, ბოზი, კაცს მაინც არ ჩავაგდებ, არ გავყიდი* (გურამ რჩეულიშვილი). -*მე აფხაზეთში ვერ გამბრიდეს, შეჩემანალო და შენ შემჭამო?* (მიხო მოსულიშვილი). -*რაო, არ მესმის!...რა თქვი? დაგაყენეს? ვინ დაგაყენა? მერე რა, რომ ქურდია?...*(ლაშა თაბუკაშვილი). *მაფიური კლანების ერთი „კრიშა“ მეორეს გადასძახებდა-თქვენს სახსენებელს ამოვავდებო* (ნანა არომიძე). -*მერე შენ აქ ქურდად იმიტომ ზიხარ, რომ ჰარიფებისათვის რამკები ამტვრიო?* (ნოდარ დუმბაძე). -*ხომ გითხარით, სველ საქმეს ერიდეთ-მეთქი* (გიორგი და კარლო ჯორჯანელები). მოცემულ ქვეჯგუფში ჟარგონების წარმოქმნის სემანტიკური ხერხები გვაქვს. ესენია: მეტაფორა, მეტონიმია და ნასესხობა. მეტაფორის ნიმუშებია: *ააცოცა; ამწევი; ასწია; ნათაქი*. მეტონიმიის მაგალითად გამოდგება: *გიმელი*. რუსული და ქართული ფორმების ნაზავია: *ნაკოლი მისცა; ოპ-სტოპზე შეყენება; სვოი ბიჭი*. საინტერესო ფორმებია რუსულიდან ნასესხები სიტყვების ქართული აფიქსებით „შელამაზება“. ესენია: *გასატრუპი; გატრუპვა; დასასტუკი; გასასროკი; დაანაკოლა; დაასტრელოა* და სხვ.

ნარკოტიკები. მოცემულ ჯგუფში ლექსიკური 27 ერთეულია, 4 ფრაზეოლოგიური ერთეული და 23 სიტყვა. მაგალითად: *აფულიებს; გაიჩხირა; დაბოლდა; კაიფი; კაიფობს; ლომკები; ნარკუმა; ტარიანი; ქემი; შეკეთებული; წამალზე ზის; წამალი*. მაგალითად: -*მხოლოდ ერთმა პრობლემამ შემაწუხა: თან არავითარი მასალა არ წამომიღია, არ გეგონოთ, ანაშას ან ოპიუმს ვგულისხმობდე...*(დალი ფანჯიკიძე). -*სად არის ჩემი ბაიანი? -აკორდეონს ეძებს?* (გია ბალიშის ძირიდან შპრიცს იღებს სწრაფად) (ლაშა თაბუკაშვილი). -*მაგას ერთი საქსოფონი ან კლარნეტი ყურის ძირში და წავიდა კაიფი...*(მაკა ჯოხაძე). *შევეყურებთ ერმანეთს დაბოლილები და დაარყებულები* (ზურაბ სამადაშვილი). -*ვიღაც წუნკალმა უნდა გამშმონოს და პრაკოლები მისინჯოს ხელებზე?* (ლაშა თაბუკაშვილი). -*აცალე, ბიჭები კლანდებიან და შენი შესვლა გაუტყდებათ* (პაატა ქურდოვანიძე). -*უტვინო ხარ, ასიტაშვილებმა როგორ შეგსვეს წამალზე* (აკა მორჩილაძე). მოცემულ ქვეჯგუფშიც გამოიყენება ჟარგონების წარმოქმნის სემანტიკური ხერხები. ესენია: მეტაფორა და ნასესხობები. მეტაფორის მაგალითებია: *გაიჩხირა; დაბოლდა; მასალა; ტარიანი; უქიშინებს* და ა.შ. რუსული ნასესხობებია: *ნარკუმა; პადაგრევი; პრაკოლი; სოროკი; ზახოდი; ბაიანი*. სიტყვა

კაიფი-ნეტარება, თრობა, სიამოვნება, არაბული სიტყვის ქეიფის, ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი ფორმაა. იგი რუსულიდან შემოვიდა ქართულ ჟარგონში.

სექსი. ამ ჯგუფში 52 ლექსიკური ერთეულია, 8 ფრაზეოლოგიური ერთეული და 44 სიტყვა. მაგალითად: აბამს; აეკიდა; აკიდა; გააფორმა; გაბერა; გაჟიმა; დააბა; დააჯახა; დაევასა; დაეჯახა; დაუზასა; დაქერა; დაწერა; ევასება; ეპადხოდება; ზასაობს; კარგი ნაჭერია; კოზირი; კოზლა; კუჭის წვენი ამოუღო; მოჩანგლა; შეაბა; წააბა; წათომარა; წაკლა; ხმარობს. მაგალითად: -ჯერ გაჟიმა და ახლა პრეტენზიები აქვს (ზურა მესხი). -ახლა ზღვას არაფერი აჯობებს...წადი, გაისეირნე, დაისვენე – მაბამ? ვახ, ვითომ რადაო? განა შვებულება არ გეკუთვნის?! (ოთარ ჩხეიძე 1999). არჩილსა და მის წრეელებს რესპუბლიკის გარეთ თითქმის ყოველ გამოჩენილ ქალაქში თითო-ორი ათვისებული ქალი მაინც ჰყავდათ (გურამ დოჩანაშვილი). მერე ვესტში ჩარჩა, ბებია გაბერა, არ დაქორწინებულან. ერთ დღეს გაიქცა (აკა მორჩილაძე). -ქალი კი არა, თავად მთვარის სონატა გიდგას წინ, სასიყვარულო! დაეკონე, ეამბორე, დაუზასე! (მიხო მოსულიშვილი). -აბა, ამას ეპადხოდები? - გაიკრიჭა ზურამ (აკა მორჩილაძე). -ნუნუ ექიმზე ქათქათა კოზირიც (...) მეონდა (მაკა მიქელაძე). -დიასახლისის მიმყნობაზეც არ ვიტყოდით უარს (გია ჭუმბურიძე). -ის წაკლა ისა, მდივანი, გაივლის-გააქნევს, გამოივლის-გამოაქნევს. ხან ასე დამიჯდება, ხან ისე, იმ პონტში კი არა, რო მეპრანჭება...იმ პონტში რო, -ვინა ხარ, ვის დაკარგვიხარო (თამარ ფხაკაძე). -ვიციო, სიმონ, კარგათ ვიციო, რო შენ ეხლა ჩემთან წერაობა გინდაო, მაგრამ მაგას ვერ ეღირსები, ჯერ თვალებს ამოგაწრავ, მერე ისე ვიკვივლებ, მთელი გერმანიის პოლიცია აქ მოვაო (მიხო მოსულიშვილი).

მოცემულ ქვეჯგუფშიც ჟარგონები წარმოქმნილია სემანტიკური ხერხების გამოყენებით. კერძოდ, მეტაფორა. ესენია: აეკიდა; ათვისებული; კუჭის წვენი ამოუღო; ტვინი ეკეტება; ჰორიზონტალურში იყო. გვაქვს რუსული ნასესხობები, თუმცა არც ისე დიდი რაოდენობით. მაგალითად: ატსტავკა მისცა; ევას პავაროტი; კოზლა; ეპადხოდება; ზასაობს; ბაირამობა-არაბული ნასესხობაა.

ალკოჰოლი. მოცემულ ჯგუფში გაერთიანებულია 45 ლექსიკური ერთეულია, 10 ფრაზეოლოგიური ერთეული და 35 სიტყვა. ესენია: აშარაფა; ბუხიო; გაიტრიტა; გაპობილი; გრადუსშია; გრიალებს; გრიმიტობს; გულაობს; დაასველა; დააყუმბარა;

თოხლი; იბაირამა; იგრილა; კონო; რვიანებს ხაზავს; უბერავს; უბრახუნებს; ურტყამს; შამპო; შარაფი; ჩაარტყა; ჩახრახნა; ჭაჭებში შეუშვა; ხანიგა; ჯანებში წავიდა. მაგალითად: -მიყვარს შამპო, კონო, შოკო (ქართლოს კასრამე). -დღეს არაგვში ვგრიალეობთ!-ხელები დიდი მოქეიფესავით მოიფშვნიტა ისარლიშვილმა (მიხო მოსულიშვილი). არ მინდოდა მთვრალს დაჯდომა (საჭესთან), მე ხო მოვსრიალდი დეკემბერში. მაგარი ბუხოი ვიყავი და გადავრჩი (აკა მორჩილაძე). გოგიას ძმაკაცს ოთარას ესროდა გაპობილი მთვრალი ტაქსისტი მალხაზი (ჯემალ თოფურიძე). -დამირეკა გეველესიანმა. ზახოდის ფული მაქვს და პატივს გცემო. მე ვგრიმიტობდი მაშინ და იმიტომ დამირეკა, თორე წუწურაქია, სკვაზნოის ურტყამს სიბნელეში პროფესორ ხალხს (აკა მორჩილაძე). -დღეს სახლმმართველი იყო და ასე მითხრა, ჩაუწერელი კაცი რომ გყავს სახლში, მაგას დასველება უნდაო! (ნოდარ ღუმბაძე). -ახლა დაიწყეთ „ვარიანტის“ შედგენა. შეადგინეთ? კეთილი. შედით ნებისმიერ რესტორანში (ნოდარ ღუმბაძე). -გუშინ თოხლი იყო! (ზურღან გემაზაშვილი). ნახევარი წელი კიდევ იბაირამა, მაინც გამოიჭირეს (თამაზ კვაჭანტირაძე). რაც ამ სოფელში ლოთაობს, მეცხრე-მეათე დღე არის. ამ ლაფანყურის ქუჩებშიც ბევრჯერ მოხაზა რვიანი („ნიანგი“). -შენოდენს, ჭუკო, ცალ ყურში ჩავისხამ, როცა ხოში მექნება (რუსლან ღონლაძე). -შეუშვით? -შიგ ჭაჭებში (ზურღან გემაზაშვილი). ...ორი ოჯახი გაიჩითა. ერთი ბელგიიდან, ეგ ხო გითხარი და მეორე იყო, სიმონ, თბილისის ერთი კაი უბნის სინამდვილიდან: ცოლი, შვილი და ქმარიც. ეგ „ც“ იმიტო, რო ნი რიბა, ნი მიასა, თან მაგარი ხანიგა, ნირიახა რა და ცოტა ხანში აწიეს კიდევაც (მიხო მოსულიშვილი). მოცემულ ქვეჯგუფში გვაქვს, როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური ხერხები. სემანტიკური ხერხებიდან გვხდება მეტაფორა, ნასესხობები. ფორმალური ხერხებიდან კი ტრონიკაცია, კერძოდ, აპოკოპა. მეტაფორის ნიმუშებია: გააწყლეთინა; გაიტრიტა; გრადუსშია; გრიალეებს; შეუშვა; ჩახრახნა და სხვა. რუსული, სპარსული და არაბული ნასესხობებია: აშარაფა; ბუხოი; გრიმიტობს; გულაობს; იბაირამა; შარაფი; შარაფისტი; ხანიგა. ფორმალური ხერხია ტრონიკაცია. მაგალითად: შამპო; კონო. ორივე სიტყვა აპოკოპითაა მიღებული.

3.5. იტალიური და ქართული ჟარგონების შეპირისპირებით-ტიპოლოგიური დახასიათება

ჩვენ გავანალიზეთ 2700 იტალიური და ქართული ჟარგონი. იტალიური ჟარგონები წარმოდგენილია 2090 ერთეულით, რომელთაგან 513 ფრაზეოლოგიური ერთეულია, ხოლო 1577-სიტყვა. ქართული ჟარგონები წარმოდგენილია 610 ერთეულით, მათგან 118 ფრაზეოლოგიური ერთეულია, ხოლო 492-სიტყვა. შეკრებილი მასალა ორ თემატურ ჯგუფად დავყავით: 1) ყოველდღიურობა; 2) ცხოვრების მანკიერი მხარეები. პირველი ჯგუფი აერთიანებს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ფული, ქალი-კაცი, პოლიცია, ახალგაზრდული დისკურსი. მეორე ჯგუფში შედის ქურდობა, ნარკოტიკები, სექსუალური ცხოვრება, ალკოჰოლი. იტალიურ ენაში ფულთან დაკავშირებული ჟარგონების ანალიზისას გაირკვა, რომ ჯერგოს საწარმოებლად ძირითადად გამოიყენებულია სემანტიკური ხერხი, კერძოდ, მეტაფორა. ნასესხობები ამ ჯგუფში არ გვხვდება. ქართულ ენაშიც მთავარია სიტყვათა გადააზრების ანუ მეტაფორიზაციის ხერხი. პირველ ჯგუფში არსებული ჟარგონული სიტყვების უმეტესობა ნასესხებია რუსული, ინგლისური და ებრაული ენებიდან. ზოგიერთი ტერმინი ქართულ ენაში ფულს აღნიშნავს, თუმცა ჟარგონში არსებული ლექსიკური ერთეული თუ ფრაზეოლოგიური ერთეული სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად: *ხურდა დაუბრუნა-სამაგიერო გადაუხადა; ფეხებზე ჰკიდია ორი და ათი შაური-არ ადარდებს* და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალიურში არ გვაქვს ქვეჯგუფი, რომელიც სამუშაოსთანაა დაკავშირებული. ქართულში ამ ჯგუფის ჟარგონების საწარმოებლად გამოიყენება მეტაფორა და ნასესხობები რუსულიდან და თურქულიდან. მათი რაოდენობა ძალზე მწირია. ჯგუფში: ქალი და მამაკაცი ჟარგონების წარმოქმნის ძირითადი ხერხია მეტაფორა, თუმცა გვაქვს მეტონიმის ფორმა. მაგალითად, *pompato*, რაც კუნთიანს ნიშნავს და მიღებულია ზმნა *pompare*-დან. მეტონიმის, უფრო სწორად სინეკდოხის ფორმებიდანაა ნაწარმოები შემდეგი სინტაგმები: *figa di legno; figa di polistirolo; figa lessa; figa secca*. სიტყვა *figa* ნიშნავს ქალის სასქესო ორგანოს და გამოიყენება გოგოს მნიშვნელობით. გვხვდება ინგლისური ნასესხობებიც: *papaboy* და სხვა. ქართულ ენაში მოცემული ჯგუფის ჟარგონული

სიტყვების წარმოსაქმნელად გამოყენებულია სემანტიკური ხერხები: მეტაფორა და ასევე ნასესხობა რუსულიდან, ებრაულიდან. ჯგუფი პოლიცია იტალიურ ენაში დიდი არ არის, მაგრამ საინტერესოა ჟარგონული სიტყვების ფორმირების ხერხებით. პირველი და უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ როგორც სხვა ჯგუფებში, აქაც უმეტესი სიტყვა მეტაფორიზაციითაა მიღებული. გვხვდება მეტონიმიაც. ფორმალური ხერხებიდან გამოყენებულია აპოკოპა. გვაქვს ასევე ვერლანის მაგალითი *zia poli* ანუ პოლიცია, რაც მარცვლების გადაადგილებით გამოიხატება. ამ ჯგუფში ნასესხობები არ გვაქვს. ქართულ ენაში მსგავსს თემატურ ჯგუფში ძირითადად მეტაფორიზაციის ხერხი გამოიყენება ჟარგონების წარმოსაქმნელად. გვაქვს ასევე რუსულიდან ნასესხები სიტყვები. თუმცა ფორმალური ხერხები ცოტაა და გვხვდება მოფერებითი გამეორება, *პუსტაპუსტა*. მსგავსი ხერხი იტალიურ ენაში არ გვაქვს.

ჯგუფი “ახალგაზრდების დისკურსი” ორივე ენაში ყველაზე დიდია. იტალიურში მოცემული ჯგუფი ძალიან მდიდარია ჟარგონული ერთეულების ფორმირების ხერხების თვალსაზრისით. სემანტიკური ხერხებიდან გვხვდება მეტაფორა და მეტონიმია, ნასესხობები, ძირითადად ინგლისური ენიდან. განსაკუთრებით ეს ეხება ინფორმატიკასთან დაკავშირებულ სიტყვებს. ფორმალური ხერხებიდან გვხვდება ტრონკაცია, კერძოდ, აპოკოპა. გრძელი სინონიმური რიგითაა წარმოდგენილი გამოთქმა *სკოლის გაცდენა, მატალოზე წასვლა*. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ სიტყვები *sorema; soreta*; ორივე სიტყვა *sorella*-სგანაა ნაწარმოები აპოკოპის გზით, რომლებსაც ემატებათ *-ma*-ჩემი, *-ta*-შენი სუფიქსების მსგავსად, რაც ფრანგული კუთვნილებითი ზედსართავების მდებრობითი სქესის ფორმებია. ქართულ ენაშიც მოცემული ჯგუფი ყველაზე დიდია და მასში გვხვდება ისეთი ჟარგონები, რომლებიც როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური ხერხებითაა წარმოქმნილი. ყველაზე ხშირად გამოიყენება მეტაფორა. გვაქვს მეტონიმის მაგალითი. ასევე სიტყვათა ოჯახები და ომონიმები. მოცემული ჯგუფი აერთიანებს ვულგარულ სიტყვებს და გამოთქმებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ფორმალური ხერხები, კერძოდ, ტრონკაცია. მაგალითად: *პაე; შოკო*;

ჯგუფში “ქურდობა”, იტალიურ ენაში ჟარგონული სიტყვების უმეტესობა მეტაფორიზაციას განიცდის. საინტერესოა ასევე ფრაზოლოგიზმები, როგორებიცაა: *fare la festa-გალახვა; far fuori, mettere le scarpe al sole, togliere dalle spese*, სამივე გამოთქმა ნიშნავს *მოკვლას*. წარმოდგენილ ჯგუფში არ გვაქვს ჟარგონების ფორმირების სხვა ხერხები. ქართულ ენაში მოცემულ ქვეჯგუფში ჟარგონების წარმოქმნის სემანტიკური ხერხები გვაქვს. ესენია: მეტაფორა, მეტონიმია და ნასესხობა. მეტაფორის ნიმუშებია: *აცოცა; ასწია; ნათაქი*. მეტონიმიის მაგალითად გამოდგება: *გიმელი*. რუსული და ქართული სიტყვების ნარევია: *ნაკოლი მისცა; ოპ-სტოპზე შეყენება; სვოი ბიჭი*.

ჯგუფში “ნარკოტიკები”, იტალიურ ენაში სიტყვები ძირითადად სემანტიკურ ხერხს ანუ მეტაფორიზაციას მიმართავს ჟარგონების შესაქმნელად, თუმცა გვაქვს მეტონიმიის ფორმებიც. მაგალითად: *კოკაინს* აღნიშნავს ფერით, *bianca*, ან კიდევ შეგრძნების მიხედვით *dinamite*; გემოს მიხედვით გამოიყენება სიტყვა *acido*, რაც *ნარკოტიკს* აღნიშნავს. სიტყვა *fumo* ნიშნავს *კვამლს*, ხოლო ჟარგონში *მარიხუანას*. იმავე მნიშვნელობას აღნიშნავს ასევე ფერის ან კიდევ მცენარესთან და ბოტნეულთან ასოციაციით. ამ ჯგუფში გვხვდება სიტყვათწარმოების ფორმალური ხერხიც. ესაა: ტრონკაცია, კერძოდ, აპოკოპა. ქართულ ენაში მოცემულ ქვეჯგუფშიც გამოიყენება მეტაფორა და ნასესხობები. სესხება, ძირითადად, რუსული ენიდან ხდება.

ჯგუფი “სექსი” გამოირჩევა უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვათა სინონიმური რიგების არსებობით. უმეტესობა სიტყვებისა სემანტიკური ხერხებითაა წარმოქმნილი. გვხვდება ასევე ინგლისური ნასესხობა: *airbag*. ამ ჯგუფში ჟარგონულ სიტყვათა წარმოების სხვა ფორმალური ხერხები არ გვაქვს. ქართულ ენაშიც ჟარგონები წარმოქმნილია სემანტიკური ხერხების გამოყენებით. კერძოდ, მეტაფორით და ნასესხობებით რუსული ენიდან.

ჯგუფი “ალკოჰოლი” იტალიურში გამოირჩევა ჟარგონების წარმოქმნის სემანტიკური ხერხით, კერძოდ, მეტაფორიზაციით. გვხვდება ინგლისური ნასესხობა. ფორმალური ხერხიდან გვხვდება ტრონკაცია, კონკრეტულად, აპოკოპა. მაგალითად: *ape-aperitivo*-დანაა ნაწარმოები. საინტერესოა და ღიმილისმომგვრელი

ფრაზეოლოგიური ერთეულებია: *fata verde; benzina agricola; essere fuori come un balcone*. მოცემულ ჯგუფში, სხვა ფორმალური ხერხების გამოყენება არ ფიქსირდება. ქართულ ენაში მოცემულ ქვეჯგუფში გვაქვს როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური ხერხები. სემანტიკური ხერხებიდან გვხვდება მეტაფორა, ნასესხობები. ფორმალური ხერხებიდან კი ტრონიკაცია, კერძოდ, აპოკოპა. სესხება ხდება რუსული, არაბული და სპარსული ენებიდან. ფორმალური ხერხია ტრონიკაცია. მაგალითად: *მამპო; კონო*. ორივე სიტყვა აპოკოპაა.

დასკვნები

ორი არამონათესავე ენის შეპირისპირებამ დაგვანახა, რომ იტალიური ჟარგონი ანუ ჯერგო გაცილებით უფრო მდიდარია ქართულთან შედარებით. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ქართული ჟარგონი ქართულ ლიტერატურაში მე-20 საუკუნეში გამოჩნდა, ხოლო მისი ლექსიკონში დაფიქსირება და გამოცემა ლევან ბრეგაძის წყალობით გახდა შესაძლებელი. იტალიაში დღეს ჯერგო უფრო გასართობადაა შექმნილი. ახალი სიტყვების შექმნაში თავისი წვლილი შეაქვს დიდ ქალაქებს. მათი წარმოქმნა ხდება სხვადასხვა სემანტიკური თუ ფორმალური კომბინირებული ხერხით, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ჟარგონებზე. ორივე ენაში ნასესხობები გვაქვს ინგლისურიდან, ხოლო ქართულში გვხვდება ნასესხობები რუსულიდან, ებრაულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან და თვით ფრანგულიდანაც. მსგავსება და განსხვავება არსებობს თემატური ჯგუფების დონეზეც. იტალიურში ისეთი ჟარგონული სიტყვები, რომლებიც ოჯახთან იქნება დაკავშირებული ძალიან ცოტაა და ამიტომ ისინი ახალგაზრდულ დისკურში შევიტანეთ. იტალიურში არ გვაქვს თემატური ჯგუფი, რომელიც *სამუშაოს* აღნიშნავს. იტალიური და ქართული ჟარგონების შეპირისპირებითი კვლევა პირველი ცდაა საქართველოში, რომელიც არამონათესავე ენების ჟარგონებს ადარებს. მოცემული სფერო საკმაოდ ფართოა და იმედი გვაქვს, რომ სხვა ლინგვისტები დაინტერესდებიან და გააგრძელებენ კვლევას ამ მიმართულებით.

ზოგადი დასკვნა

1. ჟარგონი არა მარტო ფარული ენის სიმბოლოა, არამედ ის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ენაა, რომლის მეშვეობითაც ამ ჯგუფის წევრები ურთიერთობენ და თანაც ის უცხოა სხვებისთვის. ყოველი თაობა ან სოციალური ჯგუფი რაღაც ენას შეიმუშავებს ერთმანეთთან სასაუბროდ ისე, რომ გაუგებარი იყოს სხვებისათვის. ენობრივი სლენგის ერთ-ერთი მაგალითი ახალგაზრდული ენაა. ამ ფენომენში საინტერესოა ის ფაქტი, რომ უფროსი თაობა ვერ იგებს ახალგაზრდების ენას. ზოგიერთი ჟარგონული სიტყვა ადრე თუ გვიან ენის ნაწილი ხდება. ჟარგონის წარმოქმნა შუა საუკუნეების გვიანდელ პერიოდს უკავშირდება. სწორედ შუა საუკუნეები ყველაზე ნაყოფიერი იყო მოხეტიალე ადამიანების არსებობისათვის, რომლებიც ცხოვრების მძიმე პირობებმა წარმოქმნა. XIX საუკუნის შუა პერიოდში, დანაშაულებრივი ჯგუფები შეიქმნა, იმატა დანაშაულმა. ამასთან ერთად ჟარგონით იტალიელი მეცნიერები დაინტერესდნენ და ენობრივი მოვლენები აღწერეს. დიდი ზეგავლენა იქონია ჟარგონზე დიალექტებმა. ჟარგონის, კლასიკური გაგებით, საიდუმლო ფუნქცია სავალდებულო პირობაა, რომელიც ასევე ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფის ერთიანობას. ჟარგონის წარმოშობას თავისი ისტორია აქვს. მის წარმოშობას და საფრანგეთიდან იტალიაში გავრცელებას ბოშებმა შეუწყვეს ხელი, რადგანაც პირველი ჟარგონული სიტყვები სწორედ საფრანგეთში გაჩნდა. დღეს ბოშები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ. ბოშები ლაპარაკობდნენ და დღესაც ლაპარაკობენ ჟარგონზე, რომელსაც რომანი ეწოდება. იგი დიდ ანალოგიას ავლენს ჰიმალაის სამხრეთის დიალექტებთან. მასში შერეულია სპარსული, ბერძნული, რუმინული ენების მეტ-ნაკლებად დამახინჯებული სიტყვები, აგრეთვე იმ ხალხის ენებიდან ნასესხები ფორმები, ვის გვერდითაც ბოშებს უწევდათ ცხოვრება. ბოშების ხშირ კავშირს მათხოვრებთან გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა მათ მეტყველებაზე, ჟარგონზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მათხოვართა მეტყველებაში შემოვიდა სიტყვები სანსკრიტიდან, სპარსულიდან, ჰინდიდან, სლავურიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი ძალზე მცირეა.

ყველაფერი ზემოთქმული საკმარისია იმისათვის, რომ მეცნიერულად დავასაბუთოთ ამ ხალხებს შორის კავშირი, რათა მათმა ისტორიამ სათანადო ადგილი დაიკავოს იმ კლასთა ისტორიის გვერდით, ვინც ჟარგონზე ლაპარაკობს. ქურდული ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით ყველა იტალიურ ჯერგოშია წარმოდგენილი, ადასტურებს ქურდული სამყაროს კავშირს ისტორიულ ჟარგონთან. იტალია მდიდარია ტერიტორიული დიალექტებით და ხშირად ლაპარაკობენ რომელიმე დიალექტზე, რომ სხვამ არ გაიგოს მათი საუბარი, მაგრამ ჟარგონი სხვა რამეა, რადგან იგი წარმოადგენს «ენას და ერთგვარ ხრიკს». ჟარგონი დიალექტისაგან განსხვავებით არ არის საერთო ეროვნული ენისაგან სრულიად დამოუკიდებელი, რადგანაც სისტემატურად იყენებს მის ლექსიკურ მარაგს, გრამატიკულ სტრუქტურებს და ა.შ. ჟარგონში გვაქვს ინტენცია, რომ მოცემული სოციალური ჯგუფისათვის უცხო ადამიანებთან შეფერხდეს ურთიერთგაგების პროცესი. ამ თავისებურებას ეწოდება გასაიდუმლოება. სტუდენტთა ჯგუფის ზოგიერთ სიტყვას შეიძლება არ ჰქონდეს საიდუმლო ენის ეფექტი. ამიტომ ჟარგონი ზუსტი მნიშვნელობით არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას. ჯერგოს გამოყენება დაკავშირებულია ახალგაზრდების მეტყველებასთან. საუბრისას ახალგაზრდები გარკვეულ სიტყვებს იყენებენ, რომელთა გაგებაც შეუძლებელი არაა, ზოგჯერ კი იყენებენ ენაში არსებულ სიტყვებს სხვა მნიშვნელობით. ახალგაზრდები ხშირად საუბრობენ მინიშნებებით, ანუ იყენებენ ჩვეულებრივ სიტყვებს, რომელთა საიდუმლო მნიშვნელობა ზედაპირზე არ ჩანს. ხშირად აქვს ადგილი მეტაფორების ან მეტაფორული სიმბოლოების გამოყენებას. იტალიურ ენაში არსებობს სხვადასხვა ტიპის ჯერგო: სტუდენტური ჯერგო, ყაზარმის, თეატრალური, კინოს, ტელევიზიის, ჟურნალისტური, სპორტული, ტიპოგრაფიული და ა.შ.

XX საუკუნეში სახელმწიფოში დამნაშავეთა ჯგუფების თანდათანობითი ინტეგრაციის მოწმენი გავხდით. ეს ეხება მაფიის ფენომენს, რომელმაც დასაბამი მისცა ჟარგონულ მეტყველებას. მაფიის წარმოქმნის ისტორიაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ მეორე თავში. ახალგაზრდული ჯერგო თავისებურია და მასში ისეთი სიტყვები გამოიყენება, რომლებიც ნაცნობია უფროსებისათვის, მაგრამ

მას სხვა მნიშვნელობით იყენებენ. ეს სიტყვები სწრაფად იცვლება, მაგრამ თაობებში ტოვებს სახასიათო ნიშანს. ბევრი სიტყვა შემოდის რეკლამებიდან, ფილმებიდან, როკის, რეპის მეშვეობით, დიდია ამერიკანიზმების ზეგავლენა. იტალიურში ხშირად გვხვდება ტერმინები და გამოთქმები, რომლებიც პირდაპირ ქუჩიდან, ბარებიდან, სხვადასხვა წრეებიდან, დისკოთეკებიდანაა აღებული. ბევრი ჟარგონი თვით სკოლებშიც კი აღწევს. ზოგიერთი სიტყვა წინა თაობების დიალექტებიდან ნასესხები სიტყვებია. საოცარია ის ფაქტი, თუ როგორ ამახინჯებენ ახალგაზრდები იტალიურ ენას. ისინი ერთმანეთში უმოწყალოდ ურევენ ყველაფერს და შედეგად ვიღებთ საბოლოო პროდუქტს, რომელიც ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება იტალიელი პურისტების შეხედულებას.

2. მოცემულ თავში პირველად იქნა განხილული ტერმინი „ჯერგო“. განვიხილეთ ჯერგოს სხვადასხვა რეალიები, რომლებსაც ადრე მხოლოდ ლინგვისტური კონოტაცია ჰქონდათ. ამგვარად, მოვიყვანეთ მთელი რიგი მაგალითები ჩრდილოეთ იტალიიდან სამხრეთამდე, ისეთი ჟარგონები, როგორებიცაა ლომბარდიელ მეწაღეთა ჯერგო, სარდინიის ჟარგონის სახესხვაობები, რომლებიც განვიხილეთ და დავყავით. განვიხილეთ ასევე მაფიის ენა, კამორის და ნდრანგეტას, რომელიც სამხრეთის ენას ახასიათებს. ამ სახესხვაობების ანალიზის დროს თავი იჩინა უამრავმა ენობრივმა და ექსტრალინგვისტურმა თავისებურებებმა, რომლებიც არ გვაძლევს საშუალებას ისინი გავაერთიანოთ ისტორიის, განვითარებისა და ლინგვისტური ფორმირების თვალსაზრისით, თუმცა არსებობს საერთო მნიშვნელი: ამ ჯერგოების ძალა და უნარი, რომ გაუძლოს დროს, ისტორიულ და კულტურულ ცვლილებებს და თაობათა ცვლას. ვამახვილებთ ყურადღებას ამ სახესხვაობათა ლინგვისტურ ასპექტზე, კერძოდ, შემოთავაზებული ლექსიკის სპეციფიკურ განვითარებაზე. კვლევისას გამოვლინდა, რომ ადგილი ჰქონდა დაშლის და კვლავწარმოქმნის სხვადასხვა ლინგვისტური პროცესების მონაწილეობას ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად, რომლებიც განიცდიან ხელახალ ლექსიკალიზაციას და ხელახალ სემანტიზაციას. ყველაფერი ეს კი განხორციელდა მორფოფონოლოგიური და სემანტიკური პროცესების მეშვეობით, რომლებიც იყენებს მეტათეზას, აპოკოპას, სინკოპას,

სუფიქსაციას და პრეფიქსაციას, ასევე რიტორიკულ ფიგურებს ანუ ტროპებს, როგორებიცაა მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოხა, სინონიმია და სხვა. მოცემული ნაშრომი ვითარდება ზემოხსენებული ჯერგოს ლინგვისტური და ლექსიკური კვლევის გარშემო იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ამ სახესხვაობების ქვენორმების ცოდნას და ინტერესს, რომლებიც ჩვენი ენობრივი მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია.

3. ორი არამონათესავე ენის შეპირისპირებამ დაგვანახა, რომ იტალიური ჟარგონი ანუ ჯერგო გაცილებით უფრო მდიდარია ქართულთან შედარებით. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ქართული ჟარგონი ქართულ ლიტერატურაში მე-20 საუკუნეში გამოჩნდა, ხოლო მისი ლექსიკონში დაფიქსირება და გამოცემა ლევან ბრეგაძის წყალობით გახდა შესაძლებელი. იტალიაში დღეს ჯერგო უფრო გასართობადაა შექმნილი. ახალი სიტყვების შექმნაში თავისი წვლილი შეაქვს დიდ ქალაქებს. მათი წარმოქმნა ხდება სხვადასხვა სემანტიკური თუ ფორმალური კომბინირებული ხერხით, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ჟარგონებზე. ორივე ენაში ნასესხობები გვაქვს ინგლისურიდან, ხოლო ქართულში გვხვდება ნასესხობები რუსულიდან, ებრაულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან და თვით ფრანგულიდანაც. მსგავსება და განსხვავება არსებობს თემატური ჯგუფების დონეზეც. იტალიურში ისეთი ჟარგონული სიტყვები, რომლებიც ოჯახთან იქნება დაკავშირებული, ძალიან ცოტაა და ამიტომ ისინი ახალგაზრდულ დისკურში შევიტანეთ. იტალიურში არ გვაქვს თემატური ჯგუფი, რომელიც *სამუშაოს* აღნიშნავს. იტალიური და ქართული ჟარგონების შეპირისპირებითი კვლევა პირველი ცდაა საქართველოში, რომელიც არამონათესავე ენების ჟარგონებს ადარებს. მოცემული სფერო საკმაოდ ფართოა და იმედი გვაქვს, რომ სხვა ლინგვისტები დაინტერესდებიან და გააგრძელებენ კვლევას ამ მიმართულებით.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა ქართულ ენაზე

1. გამყრელიძე, თ. კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, თსუ, 2003.
2. ახვლედიანი ც., გაბუნია, ქ. ახალგაზრდული სოციოლექტის ლინგვიტური თავისებურებანი ფრანგული ენის მასალაზე, IV, შრომები, თელავი, თელავის ი. გოგებაშვილის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 48-50.
3. ბრეგაძე, ლ. ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 1999; 2005.
4. ქურდაძე, რ. თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები, თბილისი, „თსუ“, 2011.
5. ჯაში ქ. თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი სტილისტურ-საკომუნიკაციო ფუნქციები, ავტორეფერატი, დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002.
6. ჯაში ქ. ფრანგული არგო, თბილისი, „ენა და კულტურა“, 2003.
7. ჯაში, ქ. თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი სტილისტურ-საკომუნიკაციო ფუნქციები, ჟურნალი „ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, „ენა და კულტურა“, 2002, VIII, გვ. 71-91.
8. ჯაში, ქ. თემატური ჯგუფი “სასწავლო ნივთი” და მასში გაერთიანებული სასკოლო არგოს სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, “დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა”, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 334 (1), 1999 გვ. 180-182.
9. ჯაში, ქ. ფრაზეოლოგიურ არგოტიზმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები თანამედროვე ფრანგულ სასკოლო არგოში, თბილისის უნივერსიტეტის

- შრომები, “დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა”, თსუ, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999, 334 (1), გვ. 177-180.
10. ჯაში, ქ. გარეუბნის ენა როგორც თანამედროვე სასკოლო არგოს სახესხვაობა და მისი სოციოლინგვისტური დახასიათება, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, „პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999 ტ. V, გვ. 44-46
 11. ჯაში, ქ. ფრანგული არგო ლიტერატურაში და მისი ლინგვისტური დახასიათება, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, „პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999, ტ. V, გვ. 34-37.
 12. ჯაში, ქ. არგოს ზოგადი ტიპოლოგია, ”ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, “ენა და კულტურა”, 1999, ტ. IV, გვ. 134-140.
 13. ჯაში, ქ. თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი ადგილი ფრანგულ არგოთა სისტემაში, ”ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, “ენა და კულტურა”, 1999, ტ. IV, გვ. 152-157.
 14. ჯაში, ქ. არგო და სოციოლინგვისტიკა, ”ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, “ენა და კულტურა”, 1999, ტ. III, გვ. 126-132.
 15. ჯაში, ქ., სტუდენტური არგო თანამედროვე ფრანგულ ენაში, ”ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, “ენა და კულტურა”, 1999 ტ. III გვ. 139-144.
 16. ჯაში, ქ. არგო საფრანგეთის სოციალურ ისტორიაში, ”ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის

- სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, “ენა და კულტურა”, 1999, ტ. II, გვ. 163-167.
17. ჯაში, ქ. არგოს ეტიმოლოგია და მისი ადგილი თანამედროვე საფრანგეთის სოციოლინგვისტურ სინამდვილეში, ”ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, “ენა და კულტურა”, 1999, ტ. II, გვ. 177-180.
18. ჯორბენაძე, ბ. ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, მეცნიერება, 1989.

ლიტერატურა უცხო ენაზე

1. Ageno, F., Per una semantica del gergo, SFI , 1957, XV, pp. 401- 421.
2. Ageno, F., A proposito del “Nuovo Modo de intendere la lingua zerga”, GSLI, 1958, 135, pp. 370-391.
3. Ambrogio, R., Casalegno, G. (2004). Scrostati Gaggio! Dizionario storico dei linguaggi giovanili, Torino, Utet, 2004.
4. Ascoli, G. I. , Studi critici, vol. 1, Gorizia, Paternolli, 1861).
5. Baglioni, D., L'etimologia. Roma, Bussole, 2016.
6. Banfi E., Sobrero A. (a cura di). Il linguaggio giovanile degli anni Novanta. Regole, invenzioni, gioco, Bari, Laterza, 1992.
7. Beccaria, G., „Linguaggi settoriali e lingua comune“, in: Beccaria, Gian Luigi (ed.). I linguaggi settoriali in Italia. Milano, Bompiani, 1973, pp. 7-59.
8. Berruto, G., Sociolinguistica dell'italiano contemporaneo, Roma, NIS, 1987, pp. 154-168.

9. Berruto, G., *Prima lezione di sociolinguistica*, Bari, Editori Laterza, 2014.
10. Biondelli, B., *Studi sulle lingue furbesche*, Milano, Civelli, 1846.
11. Bracchi, R., *Il « dubiùn»*. Etimologie ad una raccolta di voci di Olmo in Valchiavenna con particolare riferimento al gergo, *RALinc*, 1983, 358, pp. 75-157.
12. Bracchi, R., *Parlate speciali a Bormio*, in *AALincei* 8/30, Roma, 1987, pp. 181-182; p. 293; p. 378.
13. Bracchi, R., *Alle sorgenti del gergo (la parlata segreta dei calzolari dell'alta valle dell'Adda) e "Parlâr in còsc'ta"*. Il "Vocabolario furvese" del fondo Ascoli e l'inchiesta dell'ALI sul gergo dei calzolari della Valfurva, 1990.
14. Camporesi, P., (ed.), *Il libro dei vagabondi*. Lo "Speculum cerretanorum" di Teseo Pini. "Il vagabondo" di Rafaele Frianoro e altri testi di "furfanteria", Torino, Einaudi, 1973.
15. Cappello, T., *Saggio di un'edizione critica del "Nuovo Modo de intendere la lingua zerga"*, *SFI* 15, 1957, pp. 303-399.
16. Caradec F., *N'ayons pas peur pour des mots*, *Dictionnaire du français argotique et populaire*, 1998.
17. Cevidalli, A. e Atzeni P., *Del gergo in Sardegna*, in "Archivio di Antropologia Criminale, Psichiatri e Medicina Legale", XXXIV (vol. V Serie IV), 1913, pp. 516-529.
18. Cohen, M., *Note sur l'argot*, *Bulletin de la Société de Linguistique de Paris*, 1919, XXI, pp. 132-147.
19. Cortelazzo, M., *Avviamento critico allo studio della dialettologia italiana*, vol. I : *Problemi e metodi*, Pisa, Pacini, 1969.
20. Cortelazzo, M., *Voci zingare nei gerghi padani*, *Linguistica*, 1975, 15, pp. 29-40.
21. Cortelazzo, M., *Note sulle voci albanesi nel gergo dei ramai*, *Zbalk*, 1977, 13, pp. 57-62.

22. Cortelazzo, M., Esperienze ed esperimenti plurilinguistici, in G. Arnaldi e M. Pastore Stocchi (a cura di), *Storia della cultura veneta*, Vicenza, Neri Pozza, 1980, pp. 183-213.
23. Cortellazzo, M., Correnti linguistiche convergenti nel gergo dei ramai di Isili, in *Studi in memoria di Antonio Sanna*, "Annali della Facoltà di Lettere e Filosofia dell'Università di Cagliari", 1984, n. s. VIII (XLV), pp. 307-310.
24. Cortellazzo, M., Il gergo dei ramai sardi e sue corrispondenze, in G. Bolognesi, C.Santoro (a cura di), *Studi di linguistica e filologia. Charisteria Victori Pisani oblata*, II, Galatina, Congedo Editore, 1992, pp. 157-165.
25. Dardano M., *Nuovo manualetto di linguistica italiana*. Bologna, Zanichelli, 2005.
26. D'Arienzo, G., Note sul gergo carcerario e della malavita di Cagliari, in "Annali della Facoltà di Lettere e Filosofia e Magistero dell'Università degli Studi di Cagliari", 1972, XXXV, pp. 435-453.
27. Dettori, A., I ramai di Isili, in AA. VV., *Il lavoro dei Sardi*, Sassari, Gallizzi, 1984, pp. 189-198.
28. Dettori, A., Parole e cose nella lavorazione e nella vendita dei manufatti di rame di Isili, in Comune di Isili (a cura di), *Un museo per l'arte del rame*, Cagliari, Valdès, 1988, pp. 89-114.
29. Dettori, A., Sardegna, in M. Cortelazzo et alii, *I dialetti italiani. Storia struttura uso*, Torino, UTET, 2002.
30. Djachy, K. «La typologie des argots français et géorgien », in *Expressivité et identité dans les langues : aspects contemporains des argots*, Alena Podhorná-Polická (éd.), Brno, Masarykova Univerzita, 2015, pp. 125-132.
31. Djachy, K., L'analyse sociolinguistique de l'argot des jeunes français et géorgien, communication au Colloque International du CIEF, Ottawa, Canada, https://www.researchgate.net/publication/334122916_L'analyse_sociolinguistique_de_l'argot_des_jeunes_francais_et_georgien, 2019.

32. Ferrero, E., I gerghi della malavita, in: Beccaria, Gian Luigi (ed.), I linguaggi settoriali in Italia, Milano, Bompiani, 1973, pp. 207-219.
33. Ferrero, E., Dizionario storico dei dialetti italiani: dal Quattrocento ad oggi, Milano, Mondadori, 1991.
34. Gargiulo, M., In vela! Il linguaggio giovanile in Sardegna. Inchiesta nelle Scuole superiori di Cagliari, Cagliari, AM&D Edizioni, 2002.
35. Gargiulo, M., Indagine sul linguaggio giovanile in due scuole di Isili (NU), in "Studi Sardi" 2003, XXXIII, pp. 593-648.
36. Gheno, V., Social-linguistica, Italiano e italiani dei social network. Roma, Cesati, 2017.
37. Greco, M.T., I vagabondi Il gergo I posteggiatori, dizionario napoletano della parlèsia, Napoli, E.S.I, 1997.
38. Greco, M.T., Gergo e dialetto, in Lo spazio del dialetto in città, a cura di N. De Blasi, C. Marcato, Napoli, Liguori, 2006, pp. 143-148.
39. Guiraud P., L'argot, Que sais-je? Paris, PUF, 1973.
40. Halliday, M.A.K., Il linguaggio come semiotica sociale: un'interpretazione sociale del linguaggio e del significato, Bologna, Zanichelli, 1983.
41. Hudson R., Sociolinguistics. Cambridge: Cambridge University Press, 1980.
42. Kramer, J., Etymologisches Wörterbuch des Dolomitenladinischen, Hambourg: Buske Verlag, 1989.
43. Lanza C., Il Mercabul. Il controlinguaggio dei giovani, Milano, Mondadori, 1974.
44. Lombroso, C., Gerghi nuovi, APs 8, 1887, pp. 125-133.
45. Lombroso, C., L'uomo delinquente in rapporto all'Antropologia, alla Giurisprudenza ed alle Discipline carcerarie, Torino, Bocca, 1889.

46. Longa, G., Vocabolario bormino (= SR 9), Perugia, (rist. anast. con introd. di Ivan Fassin e di Giovanni Presa, Sondrio, Bettini 1975), 1913.
47. LSI, Lessico dialettale della Svizzera italiana di F. Lurà, Bellinzona, 2004.
48. Lurati O., Quale l'ideologia degli ambulanti? Il gergo dei magnani lombardi con una ...Lugano, Dado, 1990.
49. Lyons I., Language and Linguistics. Cambridge: Cambridge University Press, 1981.
50. Marcato C., Fusco F., Parlare "giovane" in Friuli, Alessandria, Edizioni dell'Orso, 1994.
51. Marri, F., Glossario al milanese di Bonvesin, Bologna, 1977.
52. Menarini A., Contributi gergali, AIV, 1942/1943, 102, pp. 497-525.
53. Menarini, A., Fortuna di "bidone", LN, 1947, 8, pp. 13-18.
54. Menarini A., Il gergo della «piazza», in: Leydi, Roberto (ed.), «La Piazza. Spettacoli popolari italiani», Milano, Collana del «Gallo grande», 1959, pp. 463-519.
55. Meneghin, G. (2014-2015). Il lessico di alcune varietà gergali italiane, università degli studi di Padova IL Tesi de Laurea : <https://docplayer.it/32017098-Il-lessico-di-alcune-variet%C3%A0-gergali-italiane.html>, (22.09.19).
56. Mirabella, E. Mala vita. Gergo, camorra e costumi degli affiliati con 4500 voci della lingua furbesca in ordine alfabetico, Napoli, Perrella, 1910.
57. Nocentini, A. L'etimologico, Vocabolario della lingua italiana, Le Monnier, 2010.
58. Ortale, R. Sul gergo dei calderai di Dipignano (CS), in Problemi di morfosintassi dialettale, Atti dell'XI Convegno del Centro di Studio per la Dialettologia Italiana, 1976, vol. 9, Pisa, Pacini, pp. 286-309.
59. Paccagnella, I., *Avviamento alla Storia della lingua italiana*, <https://www.yumpu.com/it/document/view/16003572/ivano-paccagnella-avviamento-alla-storia-della-lingua-italiana>, (09.03.2022).

60. Pellis, U., Il gergo dei seggiolai di Gosaldo, in *Sillogie linguistica dedicata alla Memoria di Graziadio Isaia Ascoli nel primo centenario della nascita*, Torino, Loescher 1929, AGI 22/23, pp. 542- 586.
61. Pellis, U., Note sul gergo sardo, in “*Bollettino dell'Atlante Linguistico Italiano*”, 1933, 1,1, pp. 37-41.
62. Pellis, U., Il gergo d'Isili in Sardegna e quello di Tramonti del Friuli, *Ce fastu?* 1934, 10, pp. 201-203.
63. Pellis, U., Del gergo d'Isili in Sardegna, in *Atti del III Congresso nazionale di Arti e Tradizioni popolari*, Roma, Edizione dell' O.N.D, 1936.
64. Petralli, A., *L'italiano in un cantone. Le parole dell'italiano regionale ticinese in prospettiva sociolinguistica*, Milano:Franco Angeli, 1990.
65. Prati, A., A proposito del “Gergo dei seggiolai di Gosaldo” di Ugo Pellis, 1936, AR 20, pp. 128-134.
66. Prati, A., *Voci di gerganti, vagabondi, malviventi studiate nell'origine e nella storia*, Pisa, Cursi, 1940,
67. Qinq, *Quaderni inquisitionum*. Serie manoscritta dei quaderni dei processi della Comunità di Bormio, Archivio comunale, 1571-1575-1580, <https://www.lombardiabeniculturali.it/bormio/fonti/11/>, (15.07.21).
68. Radtke, E., *Varietà giovanili*, in *Introduzione all'italiano contemporaneo. La variazione e gli usi*, a cura di A. Sobrero, Bari, Laterza, 1993.
69. Raso F. (2008). *Gergo e dialetto*. in *Il legno storto*, Firenze: Nuove Direzioni: <https://www.nuovedirezioni.it/public/publicazioni/interi/8/8.pdf> (9.06. 2016).
70. REWS, *Postille italiane al «Romanisches etymologisches Wörterbuch» di W. Meyer-Lübke e P.A. Farè*, comprendenti le «Postille italiane e ladine» di Carlo Salvioni, Milano. RIL,1864,«Rendiconti dell'Istituto lombardo di scienze e lettere», Milano, 1972.

71. Rizzi, E., Note sul linguaggio dei giovani studenti bolognesi, 1985.
72. Sabatini, F., La “lingua lombardesca” di Pescocostanzo (Abruzzo). Contributo alla storia dei gerghi italiani, CN 16, pp. 241-257, ristampato in Sabatini Francesco, Italia linguistica delle origini. Saggi editi dal 1956 al 1996 raccolti da Vittorio Coletti et alii, Argo, Lecce 1996, vol. II, pp. 325-349.
73. Salvadeo, M., Picceni, S.P., Parlàa calmùn, storia e gergo dei magnani di Lanzada, Sondrio, 1998, p. 115.
74. Sanga, G., Il gergo dei pastori bergamaschi, in: Leydi, Roberto (ed.), Bergamo e il suo territorio, Milano, Silvana Editoriale, 1977, pp. 137-257.
75. Sanga, G., Dialettologia lombarda. Lingue e culture popolari, Milano, Silvana Editoriale, 1984.
76. Sanna, C., Il gergo della camorra, Palermo: il Vespro, 1978.
77. Saviano, R., Gomorra, Milano, Mondadori, 2006.
78. Scala, A., L'elemento lessicale zingaro nei gerghi italiani della malavita: nuove acquisizioni. In Quaderni di Semantica, 2004, 25, pp. 103-127.
79. Scala, A., La penetrazione della romaní nei gerghi italiani: un approccio geolinguistico, in Lo spazio linguistico italiano e le “lingue esotiche”, Atti del XXXIX Congresso della SLI, Milano 22-24 settembre 2005, a cura di E. Banfi e G. Iannàccaro, Roma, Bulzoni, 2006, pp. 493-503.
80. Scala, A., La componente romaní del baccà di Guardiagrele: rileggendo le raccolte di Ugo Pellis ed Ernesto Giammarco, in F. Cugno, L. Mantovani, M. Rivoira, M. S. Specchia (éd.), 2014,
81. Semyonov, I. A., Dizionario del Gergo Italiano-Russo, Mosca: Zhivoy Yazik, 2017.
82. Soravia, G., I dialetti degli Zingari Italiani, Pisa, Pacini, 1977.

83. Studi linguistici in onore di Lorenzo Massobrio, Torino: Istituto dell'Atlante Linguistico Italiano, 2014, pp. 909-921.
84. Sgroi, S.C., Perché “pagare il pizzo”?, AGI, 1994, LXXIX, pp. 200-233.
85. Spano, G., Vocabolario sardo-italiano e italiano sardo coll'aggiunta dei Proverbi sardi, Cagliari, Tipografia Nazionale, 1851/1852.
86. Trifone P., Il linguaggio dei giovani di Pescara, «Contributi di Filologia dell'Italia Mediana» 1996, X, pp. 231-255.
87. Trumper, J., Una lingua nascosta. Sulle orme degli ultimi quadarari calabresi, Catanzaro, Rubbettino. Trumper, Maddalon, Nicaso, Gratteri, 2014, Male Lingue. Vecchi e nuovi codici delle mafie, Pellegrini, 1996.
88. Trumper, Maddalon, Nicaso, Gratteri., Male Lingue. Vecchi e nuovi codici delle mafie, Pellegrini, Kindle-ს ვერსიის, 2014.
89. Vassere, S., Linguaggio giovanile. Le parole e le modalità di comunicazione: https://m4.ti.ch/fileadmin/DECS/DS/Rivista_scuola_ticinese/ST_n.288/ST_288_Vassere_Linguaggio_giovanile.pdf, 2021, (04.02.22).
90. Vigolo, M.T., I gerghi, in G. Marcato (a cura di), I dialetti e la montagna, Padova, Unipress, 2004.
91. Vigolo, M.T., Gergo, in Enciclopedia dell'Italiano, Roma, Treccani, 2011, 566.
92. VSI, Vocabolario dei dialetti della Svizzera italiana, Lugano, 1952.
93. Wagner, M.L., Notes linguistiques sur l'argot barcelonais, Barcelona, Institut d'Estudis Catalans, 1924.
94. Wagner, M.L., Über Geheimsprachen in Sardinien, 1928, VKR 1, pp. 69-94.
95. Wagner, M.L., Recensione a C. Tagliavini-A. Menarini, Voci zingare nel gergo bolognese, 1941, ZRPh. LXI, pp. 363-370.
96. Wagner, M.L., Note gergali, 1944/1945, LN 6, pp. 74-78.
97. Wiczorek-Hecker, J., Come parlano i giovani italiani? La rappresentazione pratica e teoretica della lingua dei giovani, Dresden, Jystina, 2002.

ინტერნეტწყაროები:

https://it.wikipedia.org/wiki/Enciclopedia_dell%27italiano

<https://www.pandasecurity.com/it/mediacenter/mobile-news/gergo-di-internet/>

<https://docplayer.it/31145940-Linguaggio-giovanile-telematico-lgt-dott-ssa-denise-grasselli.html>

დანართი

იტალიური ჟარგონები

ალკოჰოლი

alzare il gomito -ალკოჰოლური სასმელების დაღევა
 drinkare -ალკოჰოლური სასმელების დაღევა
 filtrare -ალკოჰოლური სასმელის დაღევა
 ape -აპერიტივი
 avere la scimmia sulla spalla - ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა
 bagnarsi il becco - პირის დასველება
 barbone - უსახლკარო
 benzina agricola - ძლიერი ალკოჰოლი
 beverone -ალკოჰოლური კოქტეილი
 morbidone -ალკოჰოლური კოქტეილი
 camparizzare -ცოტათი დაღევა, ყელის დასველება
 chupito - ალკოჰოლური დასალევი
 cicchetto -ალკოჰოლური დასალევი
 fata verde -აბზინდა (სასმელი)
 pisciarella - მსუბუქი ალკოჰოლიანი ღვინო ან ლუდი
 potabile -დასალევი, მისაღები
 shottino -დასალევი (ალკოჰოლური სასმელი)
 bombarsi -ალკოჰოლის დიდი დოზით მიღება
 bombato -მთვრალი
 bresco -მთვრალი
 brillo - მთვრალი
 cabrio - მთვრალი
 ciocco -მთვრალი
 ciucca -მთვრალი
 essere alle cozze -მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა
 essere cotto - ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა
 essere fuori come un balcone - ძალიან მთვრალი
 fatto -მთვრალი
 cassa - მთვრალი
 gatta-ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 ingranarsi - ბოლომდე დათრობა
 insaccarsi - ბოლომდე დათრობა
 lallera -სიმთვრალე
 imbrescarsi - ბოლომდე დათრობა
 piegarsi come una graziella - დათრობა
 piombarsi - დათრობამდე დაღევა

prendere la balla - ბოლომდე დათრობა
 sballato - მთვრალი
 sbarellato - მთვრალი
 sbronza - ალკოჰოლური სიმთვრალე
 sbronzarsi - ძალიან დათრობა
 stincarsi - დათრობა
 strafare - ალკოჰოლით გადაჭარბება
 strafatto - მთვრალი
 strippato - მთვრალი
 sverso - მთვრალი
 tirarsi neri - დათრობა
 sverdare - ალკოჰოლით ზედოზირება
 essere in botta - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 essere in cariola - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 mina - ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 rimastanza - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 sottanza - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 svarione - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 tega - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 scimmia - ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 fogna - ლოთი
 lappa - ყელის სიმშრალე
 lingua felpata - ყელის სიმშრალე
 pastone - ყელის სიმშრალე (ნაბახუსევი)
 rigovernarsela - ნაბახუსევი
 piomba - ალკოჰოლური მიძინება
 prillone - ძლიერი თავბრუსხვევა (სიმთვრალის დროს)
 scabio - ღვინო
 sdruso - ყლუპი
 sverdare - ალკოჰოლით ზედოზირება
 sverzura - ტონუსი
 tazzare - ალკოჰოლური სასმელების დალევა
 trincata - დასალევო
 zarrolandia - ადგილი, სადაც იკრიბებიან უსაქმური და ბომჟი ახალგაზრდები
 zavagliare - სისულელეების ლაპარაკი

ნარკოტიკები

accannarsi - მოწევა (კანაფის სიგარეტი)
 acido - სინთეტიკური ნარკოტიკი
 adam - ექსტაზის ტაბლეტი

amfa -ამფეტამინი
 ammuccare - სინთეტიკური ნარკოტიკების მიღება
 ammuggiare - კანაფის სიგარეტის შეკეთება
 andato -ადამიანი, რომელიც იმყოფება ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ
 anfibio -«ამფიბია(ნარკომანების ახალი განხრა)
 angelo blu - ბარბიტურანი (ნარკოტიკული პრეპარატი)
 antibiotico -. ნარკოტიკის დოზა, საკმარისი, რომ მოგიხსნას ლომკა
 appalozzarsi - კაიფი
 apri occhi – ამფეტამინი
 aristocratica - კოკაინი
 arostina -ალბანური მარიხუანა დაბალი ხარისხის
 arricciare - სიგარეტის შეკეთება ანაშით.
 arsenale - ნარკორეალიზატორი
 bamba artiglieria - ნარკომანის აღჭურვილობა
 aspirina da strada - ამფეტამინი
 avere la scimmia sulla spalla – ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 baffo - ორმაგი ბიჩოვი
 bagna – კოკაინი
 bagnata - კოკაინის მიღების წესი სიგარეტით-კოკაინი
 barella - კოკაინი
 basare - მოსაწევის მოწევა
 basilico - მარიხუანა
 berlinese -სინთეტიკური ნარკოტიკი
 bianca -1. ჰეროინი; 2 კოკაინი
 bob -სიგარეტი, ბიჩოვი
 bobmarley - დიდი ბიჩოვი
 bogartare - ბიჩოვის მოქაჩვა
 bomba - ბიჩოვი, მოსაწევი
 bombarsi -ნარკოტიკის დიდი დოზით მიღება
 bombato -დაბოლილი
 bong-წყლის მილი მარიხუანას მოსაწევად
 bonza -1. კოკაინი; 2. ჰეროინი
 botta -კოკაინის ჰეროინის გზა
 brasa -მარიხუანა,ანაშა, ჰაშიში, ბიჩოვი ანაშით
 brasare - სიგარეტის მოწევა (ანაშის)
 brasca -ბიჩოვი(ანაშით)
 brascato-დაბოლილი
 broccoli -მარიხუანა
 bucarsi -გაჩხერა ნარკოტიკის
 bucatino - ნარკომანი,ჰეროინის მომხმარებელი
 buco - ნარკოტიკის შეყვანა
 bugiardino -წამლის ანოტაცია
 bummare - სიგარეტის მოწევა
 buro - ბიჩოვი, სიგარეტი ანაშით

busta -ჰერონის დოზა
 caccola -ჰაშიშის ნაწილი
 cala -ექსტაზის ტაბლეტი
 calabrone - ამფეტამინი
 calarsi - სინთეტიკური ნარკოტიკის მიღება
 calcina -. კოკაინი
 canna -ნამწვი, სიგარეტი ანაშით
 canna a bandiera - ბიჩოკი, განსაკუთრებული სიგარეტი ანაშით
 cannaiole - ანაშის მწვეველი
 cannato - დაბოლილი
 cannone - დიდი ბიჩოკი(ანაშით)
 cannuccia -ბიჩოკი,ანაშით
 carciofo - არტიშოკის ბიჩოკი
 cartina - სიგარეტის ქაღალდი (რომელიც გამოიყენება ანაშის შესაკეთებლად)
 cartone – 1. მჟავა(სინთეტიკური ნარკოტიკი) 2.ლსდ(სინთეტიკური ნარკოტიკი)
 cassetta nera - ჰერონის გრამი
 castello -ორი ან მეტი სიგარეტი ანაშით,ნარკომანის მიერ მოწეული ერთბაშად
 cavallo -ქუჩის ნარკო მოვაჭრე
 ceppo -ანაშის სიგარეტის ნამწვი
 chi arriccias appiccias -ვინც შეაკეთებს სიგარეტს, პირველიც ის მოწევს
 chicca - ექსტაზის ტაბლეტი
 chioppo -მოქაჩვა (სიგარეტის ან ნამწვავის)
 ciano - სიგარეტის ნამწვავი ანაშით
 cicca - სიგარეტი
 cicchino -სიგარეტი
 ciffare -სიგარეტის მოწევა ანაშით
 cilone -ბონგი(მარიხუანის და ჰაშიშის მოსაწევი მუშტუკი)
 cinese rosso - ჰერონი ჩინური წარმოშობის
 cioccolato - ჰაშიში
 cionco - დაბოლილი
 ciospa -სიგარეტი
 cippone - დიდი სიგარეტის ნამწვავი ანაშით
 ciubanga - ბონგი (მარიხუანის და ანაშის მოსაწევი მილი)
 coca -კოკაინი
 coccola - ექსტაზის ტაბლეტი
 configurare - ანაშიანი სიგარეტის მომზადება
 creccola -ექსტაზის ტაბლეტი
 cremare -ანაშიანი სიგარეტის მოწევა
 cristallo -ამფეტამინი
 cubaita - კოკაინი
 diera -სიგარეტი ანაშით
 diler -ქუჩის ნარკო მოვაჭრე
 dinamite -კოკაინი

disco bianco -კოკაინი
 droga da cucina - მეტამფეტამინი
 drogates -ფსევდო ნარკომანი
 droghe d'autore - სინთეტიკური ნარკოტიკი
 droghe furbe - ლეგალური ნარკოტიკი
 droghino -ნარკომანი.
 drogoloso -ნარკომანი, ნარკომანული
 drugatero -ნარკომანი
 erba -მარიხუანა, ანაშა
 ero - ჰეროინი
 eroina da strada -პოპერსი(ნარკოტიკული სწრაფმოქმედი საშუალება)
 essere alle cozze - ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 essere cotto – ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 essere in banana dura - მოდუნებულად ყოფნა დიდ ხნიანი ნარკოტიკული საშუალებების მიღების გამო
 essere in botta -ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 essere svarionato -ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 fanecco –ნარკომანი
 fare giù -ანაშიანი სიგარეტის შეკეთება
 fare su - ანაშიანი სიგარეტის შეკეთება
 farsi - ნარკოტიკების მიღება
 farsi una paglia- სიგარეტის მოწევა
 farsi una pera -ნარკოტიკის გაჩხერვა
 fattanza - ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 fatto - დაბოლილი
 fattone -ნარკომანი
 fecola - კოკაინი
 fiamma - ანაშიანი სიგარეტი
 fiocco - კოკაინი
 flash - ნარკოტიკის ზემოქმედება
 fleshato -დაბოლილი
 flippato - დაბოლილი
 fradicio -დაბოლილი
 francobollo -სინთეტიკური ნარკოტიკი
 fumato – 1. მარიხუანის მწვეველი; 2. დაბოლილი
 fumello-ჰაშიში
 fumo - 1 მარიხუანა,ჰაშიში
 fuoco nel cervello -ამფეტამინით აღზნებული ადამიანის მდგომარეობა
 fuso - დაბოლილი
 gangia -მარიხუანა,ანაშა
 ghiaccio -მეტამფეტამინი(ნარკოტიკული საშუალება)
 gibba -სიგარეტის ბიჩოვი(ანაშით)
 gnugna -ჰეროინი

goccina - ჟელატინის კაპსულა(სინთეტიკური ნარკოტიკი)
 goduria - კაიფი, სიამოვნება
 granita - კოკაინი
 gremare -სიგარეტის მოწევა(ანაშით)
 gremio - მარიხუანა, ანაშა
 Impasticarsi-სინთეტიკური ნარკოტიკის მიღება
 impasticcato -დაბოლილი სინთეტიკური ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი
 impasto -თამბაქოს და ჰაშიშის ნაერთი
 ingoiatore -ნარკო კურიერი ნარკოტიკის გადამტანი მუცლით
 intripparsi - ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 jolla -სიგარეტის ნამწვი,ბიჩოკი (ანაშით)
 jonny -სიგარეტის ნამწვი (ანაშით)
 jungla - ინდური წარმოშობის ჰაშიში
 kenia - აფრიკული წარმოშობის ჰაშიში
 ketch - კეტამინი(ნარკოტიკული საშუალება)
 lainz - სიგარეტის ნამწვი(ანაშით)
 lenta -ჰეროინი
 libidine -კაიფი
 lotto - ჩილიმი
 mangiare il pollo - სიგარეტის მოქაჩვა (დიდ ხანს მოქაჩვა ანაშიანი სიგარეტის) Hei, non mangiare pollo! ეი, ნუ იკავებ ნაპასს!
 maria - მარიხუანა,ანაშა
 marlboro snak - მოსაწევად გასვლა È l'ora del marlboro snak! ახლა მოსაწევად გავიდეთ!
 marocco -დაბალხარისხოვანი ჰაშიში,მაროკოელი წარმოშობის
 merce -კოკაინი
 merda - ჰეროინი
 meta -მეტადონი(ნარკოტიკული საშუალება)
 mezzino -ნარკოტიკის დოზა
 miccia -სიგარეტი
 micropunta - ჟელატინის კაპსულა(სინთეტიკური ნარკოტიკი)
 missile -სიგარეტის ნამწვი
 mista -თუთუნის და ანაშის ნაერთი
 moffo - ჰაშიში
 morbidone -ალკოჰოლური კოქტეილი, ან ჩვეულებრივი წყალი, რომელშიც გარეულია ამფეტამინი
 morfa -მორფი
 morte -პარამეტოკსიამფეტამინი(ნარკოტიკული საშუალება)
 mozzo -სიგარეტი
 necco - ნარკომანი
 neve -კოკაინი
 nota-სიგარეტის მოქაჩვა Dammi una nota di quella paglia მომეცი მოქაჩო
 padella -კოვზი,რომელზეც ნარკომანი ამზადებს ჰეროინს ინექციისთვის

paglia -1 სიგარეტი 2 სიგარეტის ნამწვი(ანაშით)
 pagliare - სიგარეტის მოწევა ანაშით
 paglionaro - ნარკომანი,ანაშის მწვეელი
 paina - სიგარეტი Aspetta che vado a comprare le paine. დაიცა,გავალ ვიყიდი სიგარეტს
 pakistano -პაკისტანური ჰაშიში
 pallina -ჰერონის დოზა,შეფუთული ცელოფნის პარკში ბურთულად
 paparina -კოკაინი
 paracadute -ნარკოტიკის დოზა,ლომკის მოსახსნელად
 pasta -ექსტაზის ტაბლეტი
 pasticarsi -სინთეტიკური ნარკოტიკების მიღება
 peo -მოქაჩვა სიგარეტის
 pera - ჰერონის დოზა
 petardo - სიგარეტის ნამწვი ანაშით
 pezzo - ნარკოტიკის დოზა
 pillola della festa -ანტიდეპრესანტი
 pillola della pace -ფენციკლიდინი(ნარკოტიკული პრეპარატი)
 pippare - ჰერონის ან კოკაინის შეყნოსვა
 pippatto - დაბოლილი
 pippotto - ჰერონის ან კოკაინის გზა
 piramide -ჟელატინის კაპსულა(სინთეტიკური ნარკოტიკი)
 piscia di gatto - კოკაინი
 pista >-კოკაინის და ჰერონის გზა
 pito -სიგარეტი ანაშით
 pizzare - სიგარეტის მოკიდება
 pollo - სიგარეტი ანაშით Gnamo si fa un pollo! წამოდი გავაბოლოთ!
 polvere -კოკაინი
 pompa -ნარკომანის შპრიცი
 porra – 1. სიგარეტი ანაშით; 2. მარიხუანა, ანაშა, ჰაშიში
 prendersi -ნარკოტიკების მიღება
 purino - სუფთა,გამწენდილი ნარკოტიკი
 quartino -ნარკოტიკის მეოთხედი
 ranzano - სიგარეტი ანაშით
 rebongista -ბარიგა
 rimanerci sotto -ნარკოტიკებზე მყარად შეჯდომა
 rimastanza -ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა
 rimastone - ნარკომანი
 roba - ჰერონი
 robboso - ნარკომანი, რომელიც იყენებს ჰერონს
 rollare - სიგარეტის შეკეთება ანაშით
 rota -ლომკა (ნარკოტიკული სინდრომი)
 sabbione - დაბალი ხარისხის ჰაშიში
 sale - კაიფის მიღება (ნარკოტიკით)

sballato - დაბოლილი
 sballo -კაიფი(ნარკოტიკის მოქმედება)
 sbarellato - დაბოლილი
 sbarrone -სიგარეტი ანაშით
 sbongare -ჩილიმის მოწევა
 sbrasare - მარიხუანის დაფრქვა, სანამ შეაკეთებენ
 sbubba -ჰეროინი
 schizetto -ნარკოტიკის შიდა მიღება,გაჩხერვა
 sciallarsi -კაიფი
 scitto - დაბალი ხარისხის ჰაშიში
 sciusta -კოკაინი
 scoppiato - სტაჟიანი ნარკომანი
 sdruso - მოწევა სიგარეტის
 sensimilla -კანაფის სახეობები
 sfumella - სიგარეტი
 siga - სიგარეტი Ce l'hai una siga? შენ გაქვს სიგარეტი?
 sizza - სიგარეტი
 smanettone - გამოცდილი მომხმარებელი
 smokkare - სიგარეტის მოწევა
 sniffare - კოკაინის ან ჰეროინის შეყნოსვა
 sniffata - ჰეროინის და კოკაინის გზა
 sniffo - კოკაინი
 sottone -1. ნარკომანი; 2. დაბოლილი
 spada – 1. ჰეროინის დოზა; 2. ნარკომანის ინექცია
 spadaccino -ნარკომანი, რომელიც ჰეროინს მოიხმარს
 spararsi in vena - გაჩხერვა ნარკოტიკის
 spararsi una botta - კოკაინის შეყნოსვა
